

## პლენარ შლი სხდომა

10 0860ხ0, 11<sup>00</sup>, 08. პატარიაზვილის სახელობის სხდომათა  
დარბაზი

### კონფერენციის გახსნა

**დემურ ჯალაღონია** – შალვა ნუცუბიძე – დგაწლი და  
აზროვნების სტილი

**ორაქლი ბრაჭული** – ალეთოლოგიისა და არეოპაგიტიკის  
შინაგანი კავშირის შესახებ

**ელგუჯა ხინთიბიძე** – შალვა ნუცუბიძე – რუსთველოლოგი

**თამარ ნუცუბიძე** – შალვა ნუცუბიძის საოჯახო პორტრეტი

### აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარი

#### დ ა რ თ ჯ ა ნ გ ა რ დ ა გ ა მ ე

სად გადის ზღვარი საგუთარი და უცხო პულტურების  
დააირისაირჩაში ერიბ-ემანუელ გმილტის რომანში “გატონი  
იბრაკიმი და შურანის გვავილები”

თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან „მე“-სა და „სხვის“ ურთიერთობა, „უცხოს“, „სხვის“ ფენომენი ყველაზე ინტენსიურად ფილოსოფიაში მუშავდება, მაგრამ არა მხოლოდ იქ.

„მე“ სფეროს დიფერენციაცია აისახება „საკუთარ თავთან“ და „სხვასთან“ დამოკიდებულებაში. „ჩემი“ სამყარო უცვლელი როდია, მე მას შევიცნობ, ის ამ შეცნობის გზაზე იცვლება და „სხვაც“ ამ სამყაროს ნაწილია, რომელსაც „მე“ შევიცნობ.

სამყაროს შესაცნობად პირველი ნაბიჯი არის გამიჯვნა „საკუთარის“, „ჩემი Ego-ს“ და „სხვისი“, ანუ უცხოს შეცნობა განუყოფელია საკუთარი თავის შეცნობის პროცესისგან. არის „მე“ და არის „სხვა“. ეს „სხვა“ აუცილებელი პირობაა სამყაროს არსებობისა. როგორც არ არის ბოლომდე განსაზღვრული „მე“, ისევე არ არის განსაზღვრული „სხვა“ (ისიც შეცნობის პროცესში იცვლება).

„მეს“ და „სხვის“ სწორედ ამ ტიპის დამოკიდებულება შეიძლება განზოგადდეს სოციოპულტურული ურთიერთობების

სფეროშიც. ამრიგად, თუ სამყარო მოცემულობათა მრავალფეროვნებაა, სადაც პირველ რიგში „მესა“ და „სხვას“ შორის განსხვავებას ვხედავთ, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენ შორის არის ერთობაც. ჩვენ წყვილში ვართ – „მე“ და „სხვა“ და ამას ინტერსუბიექტური სამყარო შეიძლება ვუწოდოთ. „ჩემში“ მე აღმოვაჩენ „სხვას“. სწორედ ასეთი სწრაფვით „უცხოსქენ“ იქმნება საზოგადოება, კულტურული სამყარო და მთლიანად სოციუმი. ესაა სამყარო თითოეულის და ყველასი ერთად – ორსახოვანი, ისევე როგორც „მე“ („მე“ როგორც ჩემი არსების მატარებელი და როგორც „უცხო“, ჩემგან განსხვავდებული).

მხატვრული დიგერატურის თემად ძალიან ხშირად ქცეულა ინტერაულტურული კომუნიკაციები, „მესა“ და „სხვის“ ურთიერთობების ვარიაციები. „ბატონი იბრაჟიმი და ყურანის ყვავილები“ სწორედ ამგვარი ნაწარმოებია. იგი მცირე რომანია თანამედროვე ხელგიელი მწერლის – ერიკ-ემანუელ შმიდტისა. ის დღევანდელი ევროპული კულტურული სივრცის ძალიან პოპულარული ფრანგულენოვანი ავტორია, მწერალი და დრამატურგი. რომანმა „ბატონი იბრაჟიმი და ყურანის ყვავილები“ 2004 წელს საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებისთვის დაწესებული გერმანული პრემია მიიღო. ამ რომანის კინოვერსია 2003 წელს იქნა გადაღებული, რომელშიც მთავარ როლს – ბ-ნ იბრაჟიმს ომარ შარიფი თამაშობდა. ამ როლმა მსახიობს 2004 წელს ფრანგული ოსკარი – სეზარი – არგუნა საუკეთესო სამსახიობო როლისთვის.

რომანის მთავარი გმირი, 11 წლის ებრაელი მოზარდი მოსკოვი მომო, დიმილს გადაჩვეული მარტოსული ბიჭი, 60-იანი წლების პარიზის ერთ-ერთ უბანში იზრდება, ებრაელების ქუჩაზე. დედა არ ახსოვს, იმდენად ადრე მიატოვა. ადვოკატი მამა საკუთარ სამყაროშია გამოკეტილი, მამა-შვილს შორის სულიერი ერთობის ნატამალი არ არსებობს. ბიჭი თავს მარტო გრძნობს პირქუშ, სიყარულისა და სითბოსგან დაცლილ ბინაში. საკუთარი უბადრუები ცხოვრების შეცვლის სურვილით შეპყრობილი სამოთხის ქუჩაზე მეამვებს ეტორდიალება, მათ გარემოცვაში ექცებს იმ სითბოს, რომელიც ოჯახში ვერ უპოვია. და აი, ვაკუუმს მის სულში ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ავსებს ქუჩის არაბი ბაყალი ბ-ნი იბრაჟიმი, ებრაელებით დასახლებული ცისფერი ქუჩის ერთადერთი არაბი ბინადარი და „არაბი“ ამ შემთხვევაში საბაჟლოს ნიშნავს, დილის რვა საათიდან შუაღამებდე და ხშირად კვირაობითაც კი დიას. მან მომოს ყოფითი პრობლემების მოგვარება, ფულის ეკონომიის ათასი საიდუმლო და, რაც მთავარია, დიმილის ხელოვნება ასწავლა. მომოსავე სიტყვებით, ბ-

ნი იბრაჟიმის წეალობით, მოზრდილთა სამყარო მისთვის ადარ იყო შეუგალი კედელი, რომელსაც უნგბეშოდ ეხეთქებოდა. ეს კედელი გაიძზარა და იქიდან ვიღაცამ ხელი გამოუწოდა.

ეს მცირე რომანი მთლიანად „მესა“ და „სხვის“ ურთიერთობაზეა აგებული, ამ ურთიერთობის საოცარ პარადოქსებზე.

ბიჭი პარიზელია, მაგრამ მხოლოდ მშობლიურ ქუჩას იცნობს. ბ-ნმა იბრაჟიმმა კი ბიჭს ნამდვილი პარიზი აჩვენა, ისეთი, მას თავის ცისფერ ქუჩაზე რომ არც დაესიზმრებოდა. მათა, რომელსაც მთელი ცხოვრება იცნობს, უფრო უცნობია ბიჭისთვის, ვიღრე ლამის გუშინ გაცნობილი იბრაჟიმი და მეტიც, „სხვა“, „უცხო“ ცდილობს, ბიჭის წარმოდგენაში მისი ბიოლოგიური მამის სურათი პოზიტივისკენ შეცვალოს. უყვება, როგორი მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი მამამისს, ვისი მშობლებიც ნაცისტებს საკონცენტრაციო ბანაკში ამოუხოცავთ და ოვითონ მთელი ცხოვრება დამხაშავის კომპლექსი სტანჯავდა იმის გამო, რომ მათ ხვედრს გადაურჩა. მატარებელსაც შემთხვევით არ ჩაგარდნია – მას ცხოვრებისთვის ძალა არ უყო და ამაში მომო არაა დამხაშავე... ბიჭს მამის ტრაგიკულ სიკვდილზე რეაქცია არ აქვს და მხოლოდ ის ენვენება უცნაურად, რომ მამამისი მარსელში წაეხეტა მატარებლისთვის შესავარდნად მაშინ, როცა ეს პარიზშიც შეეძლო გაეკეთებინა. იბრაჟიმის სიკვდილი კი მისი ცხოვრების წარუშლელი ტკიფილია.

ბიოლოგიურ დედასთან 13-წლიანი უნახაობის შემდეგ შეხვედრა ბიჭს გადააწყვეტინებს, სთხოვოს იბრაჟიმს, რომ იშვილოს. ბიჭი მიდის ბუნების კანონის წინააღმდეგ – ის ირჩევს მამას. და როცა ბ-ნ იბრაჟიმს „მამით“ მიმართავს, როგორც თვითონ ამბობს, მისი გული იცინის და სულიერად მაღლება. იბრაჟიმისთვის ბედნიერების ორი პირიბა არსებობს – მომო მის გვერდითაა და მან იცის, მის ყურანში რა წერია. ეს კი საქმარისია.

და აი, იბრაჟიმის ტრაგიკული ადსასრულის შემდეგ ხდება „მეს“ სრული იდენტიფიკაცია „სხვასთან“. „მე უკვე აღარ ვარ ის, რაც ვიყავი: ერთ-ერთი იმ ატომთაგანი ვარ, რომელიც ყოვლისმომცველი სიცარიელის გარშემო ტრიალებს,“ – ამბობს მომო. ერთი თვალის გადავლებითაც ქარგად ჩანს, ამ მცირე რომანის თავდაპირველი მოცემულობები როგორ ელვის სისწრაფით იცვლება – ის, რაც ნაცნობია, თურმე უცნობია და ის, რაც უცხოა და უცნაური, სულ მალე განუყოფელი და მშობლიური ხდება, მეტიც, ის ვინც სისხლით და ხორცით ნათესავია, როგორი უცხოა თურმე და ის ვინც უცხო – როგორი

მშობლიური. მთავარი გმირი დასაწყისიდან დასასრულამდე ასწრებს, მოსედან მუჭამედად იქცეს, ეპრაელიდან – მუსლიმად. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, სამყაროს შეცნობის პოცესში როგორი ცვალებადია ყველა და ყველაფერი, „მეც“ და „ხევაც“ და ამ კლვის სისწრაფით მომხდარ ცვლილებებში ასევე თვალშისაცემია თავიდან ბოლომდე უცვლელი ერთი მოცემულობა – რომ იძრავიმი არაბია. არადა, ამ ფაქტს გაცნობისთანავე თვითონ იძრავიმივე უარყოფს და აზუსტებს, რომ ის მუსლიმია და არა არაბი და რომ ის „ოქროს ნახევარმთვარიდანაა“, როგორც თავად ეძახის თურქეთს, სადაც მიჰყავს კიდეც მომო თავისი მშობლიური ზღვის სანახავად.

ამრიგად, ეს მოცემულობა, რომ იძრავიმი არაბია, ობიექტურად თავიდანვე მცდარია, მაგრამ სუბიექტურად – ბოლომდე შეუცვლელი და შეუმცდარი მომოსთვის, რომელიც თავადაც კი მოსედან მუჭამედად იქცა, მაგრამ იძრავიმი ბოლომდე არაბად დატოვა თავის წარმოდგენაში (მეტიც, როცა თვითოდენტიფიკაციას ახდენს მასთან იძრავიმის სიკვდილის შემდეგ, თავად ხდება ცისფერი ჭრის არაბი). რატომ? – ამაზე გააზრდებული პასუხი თავად მასაც არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისევ იძრავიმისგან იცის, რომ პასუხის გაუცემლობაც პასუხია. და რომ სილამაზე ყველგანაა, სადაც კი გაიხედავ! – ასე წერია ყურანში და მან ეს სილამაზე არაბ იძრავიმში და არაბი იძრავიმის მეშვეობით დაინახა, ამიტომაც არ უნდა არაფრის შეცვლა ამ მოცემულობაში. მთელი მისი ცხოვრება ყირაზე დადგა და ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა სულ მოკლე ხანში, ამ ერთის გარდა – მისთვის იძრავიმი არაბია და ის მამამისია. გარკვეული ეჭვი თავისთავად ჩნდება – ხომ არ არის რომანში სემიტური ერთობის ქვეცნობიერი, კოდირებული განცდა?

აქ უნებლიერ პარალელები ჩნდება დროით სივრცეში ბევრად უფრო ადრინდელ ერთ ყურადსადებ მოვლენასთან – ებრაელთა არაბებთან ეთნიკური თვითოდენტიფიკაციის შემთხვევებთან, რაც XX საუკუნის დასაწყისშივე შეინიშნებოდა სიონისტური მოძრაობის სათავეებთან, როცა ევროპაში მცხოვრები ებრაელები თავიანთ სემიტურ უკეცებთან დაახლოებას სწორედ არაბულ-მუსლიმურ კულტურასთან დაახლოების გზით ცდილობდნენ. ეს იყო საქმაოდ უქმოკიდებული იდეა ებრაელთა პალესტინაში და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში დაბრუნებით თანამედროვე ებრაულ-მუსლიმური ბუნებრივი სემიტური სიმბიოზის შექმნის შესაძლებლობის შესახებ (რის წარმატებულ პრეცედენტად მათვის ისტორიული მაგალითი იყო მუსლიმურ-ებრაული სიმბიოზი ანდალუსიასა და გრანადაში).

ამ პარალელების საფუძველს კი თავად მწერლის მიერ მიცემული ინტერვიუ იძლევა, სადაც ის ადასტურებს, რომ რომანი ეხმიანება XX ს.-ის არაბ-ისრაელის კონფლიქტს და მიზნად ისახავს არაბულ-ებრაულ ურთიერთობებში პოზიტივების წინ წამოწევას.

**„ვეზნისტყაოსნის”** ერთი უცნობი თურქული თარგმანის  
შესახებ

1999 წელს თურქეთში ყოფნის დროს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებითან გულტურული კავშირის საზოგადოების დელეგაციას ჩვენმა თანამემამულებ პაირი პაირიოდლუმ (ვახტანგ მალაძემაძემ) გადასცა “ევენტუალისტის” დღემდე უცნობი თურქული თარგმანის ხელნაწერი.

წარმოდგენილი თარგმანი შესრულებულია XX საუკუნის 30-იან წლებში “ვეფხისტყაოსნის” ფელიქს პეჩინას გერმანული თარგმანიდან. თარგმანის ავტორია ქ. ადანის ვაჟთა ლიცეუმის გერმანული ქადაგის ასტრიანი პეტრი.

წიგნად გამოცემული აღნიშვნული თარგმანი შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ქ. ბურსის ბიბლიოთეკაში, მაგრამ მისი გამოტანა ვერ მოხერხდა აღმინისტრაციის კატეგორიული წინააღმდევობის გამო. მაშინ ჩვენმა თანამემამულებ მკვეყდ სევალმა (ფუტკარაძემ) მოახერხა ამ წიგნის ხელით გადმოწერა. ამ ფაქტის გამომჟღვნების შემდეგ ბიბლიოთეკის აღმინისტრაციამ წიგნი საერთოდ გააქრო კარტოთეკიდან, ხოლო მეცნედ სევალი კი სამსახურიდან დაითხოვა.

ამ დრამატული ბედის მქონე პროზაული თარგმანის ერთადერთი ეგზემპლარის ტექსტუალურმა ანალიზმა გამოავლინა თარგმანთან დაკავშირებული რიგი საყურადღებო მომენტი.

**მ გ ი ა გ უ რ ჯ ა ნ ა ე ბ**  
ი რ ე ნ ი ა თ ა ვ ა ე რ ე ნ ი ვ ი ე რ ა ვ ე ლ ი მ ფ ე რ ლ ე ბ ი ს , ვ ე რ ი დ უ ნ  
ო რ ე ნ ა კ რ ი ს , დ ა გ ა ჰ რ ი ს ს ა ვ ი შ ი ს , თ ხ ე ჭ ლ ე გ ა გ ა შ ი

ՕՐՈՆԻԱ, ՕՐՈՆԻԱ ՀՅ ՀԱՅԱՍՏԱՆ ԱՇԽԱՏԱՆ, ՄԱՆՈՒՋԱՆԱՆ  
օրոնիա, օմօւ մոկցագուո, րամցենագ մծագրուո օցո, եղլոցնեածո  
ան սաբորոտ զամուսաբյօն, ան - ոյմորոտ. սաբորուլ  
նախարմոցյօն օրոնիա թոշջեր օմցենագ մծագրույօն, րոմ  
սարշանմյօն ցագագուուս.

ზოგიერთი მოსაზრებით, სატირა – მძვინვარე და გესლიანი სიცილი – ბევრად უფრო ძველია, ვიდრე კეთილი დაცინვა – იუმორი.

სატირისთვის თანაგრძნობა მიუღებელია, იგი თუ გმობს მოვლენის ერთ მხარეს, გმობს მოვლენას მთლიანად. თუმცა, ცხადია, თანამედროვე ეტაპზე ამგვარი არადიფერენცირება უკვე მხოლოდ მხარევრულ ხერხს წარმოადგენს ფერების გამუქების მიზნით.

რაც შეეხება იუმორს, იგი იმთავითვე დიფერენცირებას გულისხმობს: დაცინვა შეიძლება ეხებოდეს ადამიანის ამა თუ იმ ქცევას, მაგრამ არა მის არსს მთლიანად. ვლაპარაკობთ რა ირონიაზე, უნდა განვასხვავოთ მისი ორი ფუნქცია:

1. ირონია, როგორც მხატვრული პრინციპი;
2. ირონია, როგორც სტილური ხერხი.

სპარსულ ლიტერატურაში სატირა ახალი მოვლენა არ გახდავთ. უკვე შეასაუკუნეების პოეტებთან გვხვდება ბრწყინვალე სატირული ფურცლები. თანამედროვე კოქქამ კი ახალი გზები დაუსახა მხატვრული ასახვის ამ ფორმას.

თუმცა, აქეე შეგნიშნავთ, რომ იმ მწერალთა რიცხვი, რომელთათვისაც ირონია არა იმდენად მხატვრულ პრინციპს, არამედ სტილურ გზას (შეიძლება ითქვას, მსოფლალქმის საშუალებასაც) წარმოადგენს, საკმაოდ მცირეა. ასეთი ტიპის ნაწარმოებებში ირონია უშუალოდ არის წარმოდგენილი ავტორის ან პერსონაჟის სიტყვებში.

მოვიყვანთ თითო მაგალითს ორი საინტერესო მწერლის – ფერიდუნ თონქაბონის და ბაჟრამ სადექის – ნაწარმოებებიდან: „ყველამ ვიცით, რომ ადამიანისთვის ყველაზე ძნელი ფიქრია.

აზროვნება, ფიქრი – ძირში ეწინააღმდეგება ადამიანის ზარმაც ბუნებას. ტელევიზორი ათავისუფლებს ფიქრის მძიმე აუცილებლობისგან. ამიტომ ტელევიზორი ბუტერბროდთან და ტანსაცმლის „ელგასთაბ“ ერთად კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ადმოჩენად უნდა იქნას მიჩნეული“ (თონქაბონი, „ქებათა ქება სიზარმაცეს“);

„მე და ფარვიზ-ხანი სამსახურმა ირან-ამერიკის ურთიერთობის საზოგადოებაში მიგვავლინა ინგლისურის შესასწავლად. რამდენიმე ბერიქალი და ბერიქაციც დადის სხვადასხვა დაწესებულებიდან. დღეს ხომ, თუ კაცმა ინგლისური არ იცის, წასულია მისი საქმე. ქალის დასანიშნად, სამსახურის საშოგნელად – დასაგველად, უნივერსიტეტის დარაჯად სამუშაოდ... ინგლისურია საჭირო“ (სადექი, „დაუპატიუებელი სტუმარი დიდ ქალაქში“).

ირონიის, როგორც სტილური ხერხის, ფლობა საკმაოდ რთულია, ავტორისგან დახვეწილ გემოვნებას და სიფაქიზეს მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ირონია რიტორიკა-პათეტიკაში გადაიზარდოს.

## ბათუნა თუმანიშვილი მორალის სიმრავლე აარემიაში და აოლიშვილიშობა

განსაზღვრების თანახმად, მორალი, რომელსაც იგავი შეიცავს, არის სენტენცია, რომელიც განმარტავს მასში არსებულ სასარგებლო აზრს. იგავი, ჩვეულებისამებრ, აღწერს კონკრეტულ ეპიზოდს, ხოლო მორალი, რომლის მატარებელიც ის არის, აღიარებული ჰქონდა, რომლის ილუსტრირება ამ ეპიზოდით ხდება. როგორც ნებისმიერი იგავი, ანდაზაც პრაქტიკულად შედგება ორი ნაწილისაგან: ქარაგმულად ნათქვამი მსჯელობისაგან – ზოგადი დასკვნისაგან და დარიგებისაგან – ასენა-განმარტებისაგან. ორივე ერთეული დაკავშირებულია ცხოვრებისეული ყოველდღიური რეალობის ამსახველ ფაქტებთან და მოვლენებთან. აფასებს რა სიტუაციას, იღებს გადაწყვეტილებას და შესაფერის დროსა და კონტექსტში დასკვნის სახით გვთავაზობს რჩევას ყოფითსა თუ ზნების საკითხებზე.

ნიშანდობლივია, რომ გერმანული სამეცნიერო ლიტერატურა იგავში განარჩევს „მორალს“ (Moral) და „ცხოვრებისეულ სიბრძნეს“ (Lebensklüg). როგორც ჩანს, „Lebensklüg“ უნდა გავაიგივოთ ზოგად დასკვნასთან – განზოგადებულ სიბრძნესთან, ხოლო „Moral“ – შეფასებასთან, რომელიც გულისხმობს ვინმეს ან რაიმეს განსჯას, თანაგრძნობას, დარიგებას და ა.შ. შეფასება კი, ჩვეულებისამებრ, ეყრდნობა განზოგადებულ სიბრძნეს, რამდენადაც ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული, ნათქვამი თუ რომელი საქციელია განსასჯელი ან, შესაბამისად, შესაქები.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის რიტორები შესაძლებლად თვლიდნენ, რომ ერთსა და იმავე იგავს შეიძლება პქონდეს რამდენიმე მორალი, თუკი მას განვიხილავთ სხვადასხვა მოტივით. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მართებული იქნება პარალელის გავლება ანდაზა-ომონიმებთან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, არაბულენოვანი მაგალითების ანალიზზე დაყრდნობით, ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოყოფილ იქნა შემდეგი ჯგუფები:

ა) წმინდა ომონიმია – ერთი კონკრეტული შინაარსით წარმოდგენილი ტექსტი ერთზე შეტ განხოგადებულ სიბრძნეს – ზოგად დასკვნას (შესაბამისად, ერთზე შეტ მორალს) აფიქსირებს. ამას საფუძვლად ედება მოცემული ეთნოსის მიერ სამყაროს შემცნების პროცესში ერთ კონკრეტულ მოვლენაზე დაკვირვებისას სხვადასხვა კუთხით დანახული თვისებები და შედეგად მიღებული გამოცდილება. ეს განაპირობებს ერთი ტექსტის სხვადსხვა რაკურსით (რიგ შემთხვევაში მეტიც, ურთიერთსაბირისაპირო აზრით) გახსნას, რის ფონზეც, ბუნებრივია, თითოეული განსხვავებულ შეფასებას იძლევა და განსხვავებულ სიტუაციურ კონტექსტში ითხოვს რეალიზაციას, კ.ი. მოცემულ პარემიულ სივრცეში მისი ზოგადაზრობრივი განფენილობის პარამეტრები და უროვნულ ცნობიერებაში შესაბამისი რელევანტური ჩარჩოების განსაზღვრა სხვადასხა სიბრჭეზე ფიქსირდება.

ბ) პეტეროსიტუაციურიბა – მოცემულ შემთხვევაში კვლევისას პოსტულატად იქნა აღვეული ი. ნეიგორის „თავისუფალი ქმედება“ (action de choix), რომლის შიდა სტრუქტურა ასეთია: მორალი იძლევა შეფასებას, ხოლო შეფასება შეიძლება მხოლოდ საქციელისა, რომელიც თავისუფალი არჩევანის პირობებში ხდება. აქ მოცემულ ტექსტს საფუძვლად უდევს ერთი განზოგადებული სიბრძნე – ზოგადი დასკვნა, რომლესაც, შესაძლოა, მსგავსი ტიპის (არა სხვადასხვა) სიტუაციურ კონტექსტებში სხვადასხვა-გარი აზრობრივი შეფერილობა მიეცეს, რის ფონზეც, გარკვეულ-წილად, განსხვავებულ მორალს – შეფასებას იძენს. ამგვარი მაგალითების აქტუალიზაციისას მიღებული შეფასება (მორალი) მოცემული ზოგადი მნიშვნელობის თემატურ ჩარჩოებს პრაქტიკულად არ სცდება, მაგრამ მის ჩამოყალიბებას, ერთი მხრივ, ის კონკრეტული სიტუაციური კონტექსტში განაპირობებს, რომელშიც ხდება მისი რეალიზება და, მეორე მხრივ, მის ფორმირებას გარკვეულწილად განსაზღვრავს სამეტყველო აქტის მონაწილეობა, ინდივიდუალური გემოვნება, პიროვნული მსოფლმხედველობა, ზნეობრივი თვითშეგნების ნორმები და ა.შ.

საილუსტრაციო მასალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოხსენებაზე, ჩაწერილი და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან. ტექსტთა უმრავლესობისათვის მონახულია შესაბამისი ქართული ეკვივალენტები.

## თესა ჯანაშია ზერმადულ თავალოლი – ირანელი პრიტიპოსი და პოეტი

XX საუკუნის დასაწყისში სპარსულ პოეზიაში ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, ე. წ. „შერე ნოუს“, ექვება საფუძველი.

„შერე ნოუ“ – ახალი პოეზია, რომელიც დასავლეთევრუპული ლიტერატურის გავლენით ჩამოყალიბდა, იწვევს სპარსული ქლასიკური ლექსთწყობის მსხვევებას და სპარსულ პოეზიაში ახალ მსოფლმხედველობას ამკიდრებს.

ირანელ კრიტიკოსთა დიდი ნაწილი ირანში ახალი ლიტერატურული მიმართულების ჩამოყალიბების პროცესს ნიმა იუშიჯის სახელს უკავშირებს.

ფერეიდუნ თავალოლი, რომელიც ნიმას ლექსს „თავისუფალი არუზის პოეზიას“ უწოდებს და მის ნოვატორობას ცალსახად აღიარებს, მკაცრად უპირისპირდება და აკრიტიკებს „შერე ნოუს“ იმ წარმომადგენლებს, რომელთა პოეზიაც არუზის სისტემის სრული რდევევით გამოირჩევა და მისი შეფასებით, „დასავლეთევროპული ვერლიბრის მარტივი გადამდევრებაა.“

ცნობილი ირანელი კრიტიკოსი ჰარინქუბი წიგნში „ახალი პოეზიის თვალსაწიერი“ ფერეიდუნ თავალოლის, ირაჯ მირზასთან ერთად, ახალი პოეზიის ფუძემდებლად მიიჩნევს.

ფერეიდუნ თავალოლის პოეზიაში შენარჩუნებულია არუზის სისტემა, თუმცა თვალში საცემია XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში კლასიციზმთან ბრძოლაში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მიმართულების – კლასიციზმის ნიშნები.

თავალოლის შემოქმედება ზოგადად ხასიათდება უკიდურესი პესიმიზმითა და სევდის მოტივებით, რაც სატრუიალო დირიკასა და ბუნების პეზაჟის აღწერასთან ერთად, რომანტიზმისთვის დამახასიათებელი შტრიხი იყო.

თუ დასავლეთევროპულ რომანტიზმში სასიყვარულო თემატიკა დომინირებს, ხოლო ქართული რომანტიზმისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია პატრიოტული მოტივები, ირანში ეს ახალი ლიტერატურული მიმართულება, მეტწილად, სევდის მოტივებითა და უკიდურესი პესიმიზმით გამოვლინდა.

პოეზიაში უკიდურესი უძმედობისა და უსაზღვრო სევდის გამოხატვის გამო, ირანელმა კრიტიკოსებმა ფერეიდუნ თავალოლი „შავი, რეაქციული რომანტიზმის“ ფუძემდებლად აღიარეს, ხოლო მის პოეზიას „ბედის მარადიული წყევლა“ უწოდეს.

მართალია, ფერეიდუნ თავალოლის შემოქმედებაში დასავლეთ-ეგროპული ლიტერატურული გავლენის პირველი ნიშნები გამო-გლინდა, მაგრამ ფერეიდუნ თავალოლის პოეზია არ იყო „შერე ნოჟ“ - თავისუფალი ვერსიფიკაციის ფორმა, რაღაც მის პოეზი-აში ახალი თემატიკა ტრადიციული სალექსო ფორმებით გა-ქდერდა.

### **შეისრან მემკელი გვილი “ვისრამიანში” მოსსიციებული ბიბლიური გმირები**

“ვისრამიანის” ქართული რედაქცია, რომელიც არა უგვიანეს XII ს-ის II ნახევრამდე უნდა შესრულებულიყო, ფახო ედ-დინ გორგანის “ვის ო რამინის” საარსულ ტექსტთან განსაკუთრებული სიახლოებითა და სიზუსტით ხასიათდება. ქართველ და უცხოელ ირანისტთა, კრიტიკოსთა და მრავალრიცხოვან ძევლევართა მიერ ჩატარებულმა მუშაობამ დიდი ხანია ნათელი მოპიფინა თხზულების სიუჟეტის ფალაურობას. ნაწარმოები ძირითადად აქამქინდური იდეების სამყაროში ტრიალებს, ზოროასტრული წვევები და იდეოლოგია მასში ხშირად იჩენს თავს. თხზულებაში თვით საკუთარი სახელებიც კი ძველი ირანულია.

წვენ მიერ “ვის ო რამინის” და “ვისრამიანის” ანთროპონიმების საფუძვლიანმა შესწავლამ ნათელყო, რომ ნაწარმოების მოქმედ პირთა სახელების უმეტესობა ავესტური ძირებიდან მომდინარეობს. თუმცა, ფახო ედ-დინ გორგანი, რომელიც XI ს.-ის მუსლიმი პოეტია, ცხადია, თავისი დროის წინაშე ხარკს მოიხდიდა. პოემის შესავალ ნაწილსა და ბოლოში გვხვდება მუსლიმური საკუთარი სახელები, რომელთა მატარებლები მაშინდელი სულთნები, გამგებლები თუ ცნობილი ვეზირები არიან და გორგანი, ტრადიციისამბრ, მათ მიმართ ხოტბას აღავლენს. ავტორი თავისი პერსონაჟების ამა თუ იმ თვისების უფრო დამაჯერებლად წარმოსახუნად არცოუ იშვიათად მიმართავს როგორც ირანელთა მითიურ, ასევე ბიბლიურ გმირებსაც. ამჯერად ყურადღება შეგაჩერეთ ბიბლიურ გმირთა სახელებზე, რომლებიც დაფიქსირდა „ვის ო რამინსა“ და „ვისრამიანში“. ესენია: ადამი, ბალაკი, იესო, იოსები, მათუსალა, მოსე, ნოე, სოლომონ, ქრისტე, აქედან მათუსალა და ქრისტე მხოლოდ პოემის ქართულ ვერსიაში გხვდება.

თითოეულ სახელს კონკრეტული დატვირთვა აქვს. ასე, მაგალითად, სოლომონი, რომელმაც ბიბლიის მიხედვით, დამით გამოცხადებულ უფალს მოსთხოვა არა სიმდიდრე, არამედ მხოლოდ სიბრძნე, რათა სამართლიანად ემართა ერი, გვევლინება უზენაესი სამართლიანობისა და მართლმსაჯულის სიმბოლოდ. პოემაში, რომლის ძირითადი იდეა უმაღლესი სამართლიანობაა, იმარჯვებს რამინი – ანუ სიკეთე და სამართლიანობა. მისი გამეფების „შემდეგ რამინისაგან „ხელმწიფენი ყველანი ისწავლიდის მოსამართლეობასა“ („ვისრ“, 368). ის შედარებულია სოლომონთან („ვ. ო რ.“, 527). საქართველოს ისტორიაში თამარიც „ბჭელ ჯდა შორის თვისისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უდელსა მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვისისა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის“. რამინის გარდამ სოლომონთან შედარებულია სულტან თოლრულ-ბეგი და მისი ვეზირიც.

ქართველი მთარგმნელი, რომლის ენა, ვ. როდონაიას შეფასებით, ბიბლიისა თუ საღვთისმეტყველო ტრაქტატების, პიმნოგრაფიისა თუ პაგიოგრაფიის, საგმირო თუ სამიჯნურო ეპოსის დიდებული და მრავალფეროვანი პოეტური სიტყვითაა ნასაზრდოები, თითქმის ზედმიწევნით იცავს ნაწარმოების სულისკვეთებას, თუმცა ზოგჯერ ის პრინციპული ხასიათის კორექტივს გვთავაზობს. „ვისრამიანს“ აშკარად დატყობია ქრისტიანული აღმსარებლობის იერი. ა. ბარამიძისა და ქ. კეკელიძის აზრით, მთარგმნელი იმთავითვე ემიჯნება „ვის ო რამინის“ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ სინამდვილეს და საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: „ესე ხელმწიფე (შაჰი მოაბადი) ქრისტეს მოსლვასა წინათ იყოო“. ქრისტე სპარსულ ტექსტში არ გვხვდება. ამ შემთხვევის გარდა, კიდევ რამდენიმე ეპიზოდში მთარგმნელი ასეთსავე კილოს ინარჩუნებს. მაგ: „ვითა წესია სპარსთა“ და ა.შ.

მოხსენებაში განვიხილეთ გორგანის თხზულებაში და მის ქართულ თარგმანში დადასტურებული ცხრავე ბიბლიური სახელი და შევეცადეთ მათი როლის გარკვევას ქართულ-სპარსული კონტექსტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

## თამთა გარულავა მილისა და მღვიმარებისათვის (რუმის „მასნეზის“ მიხედვით)

მოხსენებაში გაანალიზებულია ჯალალ ედ-დინ რუმის „მესნეზის“ არაქებში წარმოდგენილი ზნეობრივ-ფილოსოფიური კონცეფციის ორი ურთიერთდაპირისპირებული ცნება: ძილი და ძღვიძარება.

მუსლიმური კანონის მიხედვით, მღვიმარება უფლისათვის სათხო საქმედ ითვლებოდა. თუმცა მღვიმარების სათხოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც სუფიებში ასკეტური ცხოველების წესის ჩამოყალიბებისას იძენს. პირველი სუფი ასკეტები ხშირად დამეებს ყურანით განსაზღვრული ლოცვების კითხვით ატარებდნენ, დღეს კი – მარხვით. სუფიური პრაქტიკის საძირკვლად სამი რამ მოიაზრება: „მცირე საკვები, მცირე ძილი, ცოტა საუბარი“: მღვიმარება უდიდეს სათხოებიად ითვლებოდა მისტიკურ გზაზე წინსვლისათვის. რაღა თქმა უნდა, ძილისაგან თავის შეკავება, სიფხიზე სუფიური ასკეტური პრაქტიკის ერთ-ერთი საფეხური იყო უფრო დიდი სულიერი სიმაღლის მისაღწევად. ფიზიკური მდგიმარება ადამიანს სულიერი სრულ-ყოფისათვის მზადყოფნას ასწავლიდა, სულიერ სიფხიზღემდე მიჰყავდა იგი.

რუმის „მესნეზის“ ერთ არაქები (წიგნი II, ამბავი კაცისა, მთხარებ აირში გველი რომ შეუტრა) ძილი უზრუნველი ადამიანის მდგომარეობას გამოხატავს. ამგვარი სულიერი მდგომარეობის კაცმა მთვლემარების გამო გველი – საკუთარ სულში შეპარული საშინელი მანკიერებანი – შეიძლება ვერც შენიშნოს.

სხვა არაქები პოეტი მოგვითხრობს იმ ადამიანის ამბავს, დიდი ხნის ნანატრმა სატრფომ დამით პაემანი რომ დაუნიშნა (წიგნი VI). შუაღამისას, როცა სატრფო მოვიდა, მეტრუე დაძინებული დახვდა. ტრადიციული სუფიური პოეტური ტერმინოლოგიით, ამ არაქები სატრფო უფალია, რომელთანაც შეერთება მეტრფის – ადამიანის უმაღლესი მიზანია. რუმის არაკის მეტრუე ამ მნიშვნელოვან წუთს სულიერი სიძაბუნით, ძილით შეხვდა. ძილი აქ ადამიანის ყოველდღიურ საზრუნავსა და ფუჭ საფიქრალთან ერთად, სულიერ სიკვდილსაც გულისხმობს. როგორც ფიზიკური ძილის დროს ადამიანს მიცვალებულივით ამქვეყნისა არაფერი გაეგება, სულიერი ძილი კაცს სულიერი დირებულებებისა და საჭიროებების მიმართ გულგრილს ხდის. ამ არაქები მდგიმარება საბოლოოდ უფალთან შესახვედრად სიფხიზღესა და მზადყოფნას გულისხმობს.

**მარინა ალექსიძე**  
**თბილისშირი ფარმაციულობის საარსულენოვანი პოლიტექნიკური უნივერსიტეტი**  
**XIII საუკუნეოში**

XIII საუკუნეში ირანში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ პოეტები, რომელთა თახალუსიც (ლიტერატურული ფსევდონიმი)

”თევზლისი” იყო. ეს ფსევდონიმი უქველად მიგვანიშნებს მათ კავშირზე თბილისთან – როგორც წესი, თბილისურ წარმოშობაზე. თუმცა პოეტების ეროვნების დასადგენად ეს ფსევდონიმი არაფერს იძლევა. ამ დროს თბილისი დიდი, მრავალეროვანი ქალაქი იყო და ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ როგორც სპარსელები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

XIII საუკუნის სპარსელი პოეტის, ხალილ შირვანის, კრებულ ში XI-XIII საუკუნეების 300 პოეტის 4000-ზე მეტი რობაი არის შეტანილი. მათ რიცხვში XIII საუკუნის ის ექვსი პოეტიც, რომელთა თახალუსიც „თევზლისი“ იყო. მათი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ძალიან ცოტაცნობა არსებობს. ოთხი მათგანის – ყაზი თევზლისის, ქამალ თევზლისის, ლათიფ თევზლისის და სეიიფ თევზლისის, სახელიც კი დაკარგულია და მხოლოდ ლიტერატურული ფსევდონიმებია შემორჩენილი. კრებულში მათი რამდენიმე რობაი არის შესული.

შედარებით მეტი ვიციო ბადრ თევზლისის შესახებ. ცნობილია მისი სახელი – ბადრ ად-დინ დაუდი (მაჰმუდი). ხალილ შირვანი მას პირადად იცნობდა და და ალბათ ამის გამო თავის კრებულ ში ბადრ თევზლისის 37 რობაი შეიტანა.

ყველაზე მეტი ცნობა შემორჩა აბუ-ლ-ფაზლ ჰაბიშ ბონ ებრაპიმ მოპამად თევზლისის შესახებ. ცნობილია მისი ცხოვრების სხვადასხვა დეტალი და, რაც მთავარია, მისი თხზულებების ვრცელი ნუსხა. ჰაბიშ თევზლისი არა მხოლოდ პოეტი იყო, არამედ სწავლულიც. მას უკუთნის ნაშრომები სხვადასხვა სფეროში: ლიტერატურისმცოდნეობაში – „ლიტერატურის კანონი“, „რითმათა მთარგმნელები“, „გამოხატვის სრულყოფილება“; თეოლოგიაში – „ყურანის არსებობა“ და „ყურანის მოკლე შინაარსი“; ასტრონომიაში – „ასტროლოგიის განმარტება“; მედიცინაში – „მედიცინის განმარტება“ და „წამლების ჩამონათვალი“ და სხვა.

მასალის სიმცირე ამ ავტორების შემოქმედების კვლევას ართულებს, თუმცა ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მათი პოეზია ჯდება ხატოვანი აზროვნების იმ ჩარჩოებში, რომელიც ასეთი მყარია სპარსულ კლასიკურ ლიტერატურაში.

## ნაცული გაპარაგა სომატური ლექსიკა თურქულში

სომატური ლექსიკების შემცველი ფრაზეოლოგიზმები უხვადაა თურქულში. ეს ფრაზეოლოგიზმების უძველესი პლასტია. მოკლე მიმოხილვა ჩატარებულია **baş** (თავი), **el** (ხელი), **göz** (თვალი) – სამი სომატიზმის მაგალითზე.

მეტყველების ნაწილების მიხედვით სომატიზმების შემცველ ფრაზეოლოგიზმებში გამოიყო:

ა) სუბეტანტიური ფრაზეოლოგიზმები: **baş tacı** – 1. კერპი 2. (გადატ.) სათავეანო, ღმერთი; **el kiri** – ხელის ჭუჭყი, ფული; **göz nuru** – თვალისხინი.

ბ) ადიუქტიური ან პოსებიური ფრაზეოლოგიზმები: **başı sert** (თავი მისი ძლიერი) - ჯიუტი, დაუჯერებელი; **eli bayraklı** (ხელი მისი დროშიანი) – ჩხებისთავი, ბუნებისთავი; **gözü pek** (თვალი მისი კეთილი) – მამაცი, გაბედული.

გ) აღვერბიალური ფრაზეოლოგიზმები: **baş başa** – 1. მარტოდ, განმარტოებით, პირისპირ; **el ele** – ხელი ხელს, მხარი მხარს; **göz gözü** – პირისპირ.

დ) ზმური ფრაზეოლოგიზმები: **baş gösterdi** – თავი იჩინა, თავი წამოყო; **el soktu** – ჩაერია; **göz tuttu** – თვალში მოუვიდა.

მოძიებული მაგალითების სიუხვე საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყველაზე მეტი პროდუქტიულობით გამოირჩევა ზმური ფრაზეოლოგიზმები.

თურქულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებში იმდენად ხშირია ლექსიკური ერთეულების დამთხვევა, რომ უცილობდად სავარაუდებელია სიღრმისეული სტერეოტიპების არსებობა. ფსიქიკური პროცესებისა და ადამიანის სხეულის ნაწილების მთავარი ფუნქციების იდენტურობის გამო ამ თრი სხვადასხვა ერის, ორი სხვადასხვა ენათა ოჯახის ენის – ქართულისა და თურქულის – ფრაზეოლოგიზმებში ბევრია საერთო: **başını karışımıya vakti yok** – თავის მოსახუანი დრო არა აქვს; **eline ayagina düşer** – ფეხებში უგარდება, ევედრება; **gözüne hiç bir şey görünmez** – თვალში არაფერი უჩანს და მრავალი სხვ.. ბევრია სომატიზმის შემცველი ისეთი ფრაზეოლოგიზმი, რომელიც მხოლოდ თურქულისათვისაა დამახასიათებელი: **başına ateş yandi** (თავზე ცეცხლი წაექიდა) – მეხი დაეცა (დიდი უბედურების ნიშან); **eli böğründe kaldı** (ხელი უბეში ჩარჩა) – დაუძლეურდა, დაჩაჩანაკდა; **gözünün ipi sarardı** (თვალის ძარღვი გაუყითლდა) – თვალები ამოუღამდა (ლოდინით) და სხვ.

სომატიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმების პოპულარობა განიკირდება ულია შინაარსის აქტუალობით, სახიერი წარმოსახვით, სალხურობით, გრამატიკული აგებულობის სიმარტივით, სტილისტური მრავალმხრივობით და სხვ. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება ან უცვლელად, ისევე როგორც იხმარება იგი ხალხში, ან ავტორისეული გადამუშავებით. ხშირად ინდივიდუალური და ტრადიციული საწყისი ერთიანდება ერთ მთელში და კიდებთ განსაკუთრებული ექსპრესიულობის ნათელ მაგალითს.

### ვატი ანთაძე ლუმისიგური და ფრაზეოლოგიზრი დერივაციის მიზართებისათვის საპრესულ ხეაზი

სპარსული ლექსიკის ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, საგნობრივი შინაარსის მქონე შრე მაღალი სიტყვათ- და ფრაზათწარმოებითი პოტენციალით გამოირჩევა. საზოგადოდ, სპარსული სახელდებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ხატოვანება, რაც ბუნებრივად განაპირობებს ამ ენის მკვეთრად გამოხატულ მიღრეკილებას ფრაზეოლოგიური დერივაციის მიმართ, ფრაზეოლოგიზმი ხომ ხატოვანი ენობრივი მინიატურაა.

წვენ მიერ ყურადღება გამახვილებულია შემდეგ გარემოებაზე – ერთი და იმავე ლექსიკური ელექტრონული სახელდადი დერივატები, კომპოზიტები და ზმნური ფრაზეოლოგიზმები სემანტიკური თვალსაზრისით ხშირად ერთმანეთს უტოლდება. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ნახევრადაფიქსური ლექსემების, ე.წ. კომპოზიტოიდების მასალაზე იკვეთება. სპარსულ ენაში ყველაზე პროდუქტული ნახევრადაფიქსი ზმნის აწმეოს ფუძეა (მაგ. *gäribangir* – „აბეზარი, მომჩივანი“, შდრ. *gäriban-e Kasi-ra gereftän* – 1. „საყელოში წვდომა“, 2. „გინძეზე აკიდება, ვინძესთვის თავის მობეზრება“; ნახევრად აფიქსი „*gir*“ – „მწვდომი“ ზმნა *gereftän-iს* „მოკიდება, წვდომა“ აწმეოს ფუძეა).

მოხმობილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევი კომპოზიტები, აფიქსური, განსაკუთრებით კი, ნახევრად აფიქსური წარმოების სიტყვები ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა ტრანსფორმებს, მათ შექმმულ ვარიანტებს წარმოადგენენ, შესაბამისად, ერთსა

და იმავე ლექსემაზე დაფუძნებული სახელადი და ზმური დერივატები ღრმა სტრუქტურაში შინაარსობრივად ტოლფასია.

რიგ შემთხვევებში, ბაზისური ზმური ფრაზეოლოგიზმები სიტყვათმნიშვნელობათა რაოდენობით აღმატება თავის სახელად შესატყვისებს. იხილეთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი და ასევე *papuš duxtän* – 1. „(ვინმეს – bäraye) გაცურება, გაბრიყება“, 2. „(ვინმესთვის - bäraye) ონის მოწყობა“, 3. „(ვინმესთვის - bäraye) ინტრიგის მოწყობა“, 4. „(ვინმესთვის bäraye) ცილის დაწამება“, შდრ. *papušduz* – „მატყუარა, თაღლითი“. როგორც ვხედავთ, მაგალითად მოტანილ ზმურ ფრაზეოლოგიზმთა პოლისემია არ აისახება მათ ერთსიტყვიან ტრანსფორმებში.

## ნიმუშები

### შალის მეტყველება არაბული ნის გვიპატურ დიალექტში

არაბული ენის დიალექტების კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპი არსებობს: ტერიტორიული, სოციალური, ასაკობრივი და ა.შ. საინტერესო თავისებურებებს აჩვენებს ქალთა მეტყველება ეგვიპტურ დიალექტში. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტისას დასტურდება, რომ ქალის მეტყველება განსხვავდება მამაკაცის მეტყველებისგან ლექსიკისა და ფონეტიკის ზოგ ასპექტში. ჩატარებული კვლევების შედეგად, როგორც მოსალოდნელიც იყო, მორფოლოგისა და სინტაქსის სფეროში ინფორმაცითა სქესის მიხედვით განსხვავება არ დადასტურებულა.

ეგვიპტურ არაბულში ქალის მეტყველების მირთადი თავისებურებებია:

### ლექსიკის სფეროში

1. ქალთა მეტყველება კაცების მეტყველებასთან შედარებით მეტადაა გაჯერებული სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც ტაბუდადებულ სიტყვათა ნაცვლად გამოიყენება.

اسم الله عليه (بـ مـ) (الله عليه السلام)

اسم النبي حارسهم

და სხვა მსგავს გამოთქმებს, რომლებიც უფროსი ან მცირებულოვანი ვაჟიშვილის სახელის ნაცვლად გამოიყენება, ან ავადმყოფი ვაჟიშვილისა, მხოლოდ ქალები წარმოთქვამებს.

2. ასევე, ტაბუდადებულია იმ ავი თვალის მქონე ადამიანის სახელი, რომლის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაშორებლადაც, მისი სახელის ნაცვლად წარმოთქმებნ ფრაზებს:

خمس في عينه

(بـعـتو (تـوـتو) مـيـس تـغـاـلـشـي، رـاـق دـاـاـهـلـوـجـيـوت نـيـشـنـاـزـيـ،  
تـغـاـلـجـيـمـيـق دـاـتـهـرـوـدـجـيـ).

خـسـهـ فـيـ عـيـنـهـ الحـسـودـ.

### فـونـجـيـوـجـيـسـ لـفـجـرـتـشـ

1. მამაკაცთა მეტყველებისგან განსხვავებით, ქალთა მეტყველებაში დენტალური თანხმოვნები d, t, ḥ განიცდიან ალვეოლარიზაციას წინა წარმოების ხმოვანთა (i, e) გაფლენით, თუ ეს ხმოვნები მოსდევენ აღნიშნულ თანხმოვნებს:

d: adêm – ‘aÜêm (ძველი). t: èxtim – èxsim, èxtim (ბეჭედი). t.: nawa÷êr – nawaöér (მცველები).

2. მსგავსი ფონეტიკური ცვლილება შესაძლებელია z თანხმოვანთანაც, ამ წინაალვეორალურმა თანხმოვანმა შეიძლება მოგვცეს უკანაალვეოლარული i, ასევე წინა წარმოების ხმოვნების ზეგავლენით: z > i mazêka – maîeka (მუსიკა) და სხვ.

3. ემფატიკურმა თანხმოვანმა ო ასევე i,e ხმოვნების წინამდებარე პოზიციაში შეიძლება მოგვცეს ო თანხმოვანი: ya èalxói - ya èalxói (სიტყვ. ჩემო დასასრულო, გამოთქმა, რომლის დაახლოებითი მნიშვნელობაა “ჩემო ყველაგ”).

ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ არაბულ დიალექტოლოგიაში ადამიანთა მეტყველებაში სქესის მიხედვით განსხვავდაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის დეტალურმა შესწავლამაც, შესაძლოა, კელევის ახალი საინტერესო თემები წამოსწოოს.

## ნოტები გართაია

ძართულში შემოსული სპარსული ლექსიკიდან (იოსებ  
ბრიშაშვილის „ძალაშრი ლექსიკონის“ მიხედვით)

1997 წელს რუსულან კუსრაშვილმა საარქივო მასალაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“, რომელიც მდიდარია აღმოსავლური – მათ შორის სპარსული – ლექსიკით. ჩვენ შევიცადეთ, გამოგვლინა და გამოგვეყო ეს ლექსიკა, რომელთა ერთ მცირე ნაწილს წარმოვაჩენთ.

სიტყვები „ქალაქური ლექსიკონიდან“:

1. აშპაშხანა, 2. გაბოტილი, 3. გამოუშიარდა, 4. დაბახანა, 5. დარღიმანდი, 6. თამაჟქრობა, 7. თახჩაფუჩი, 8. ინჩი, 9. მურდაშური, 10. ნამარდი, 11. ნიმრო, 12. ფარეზი, 13. ქამანდარი და 14. შანიშინი მომდინარეობენ შემდეგი სპარსული ლექსიკური ერთეულებიდან:

- دیاغ 1. (پ) هوشیار 2. بت (ბოთ), 3. აშپز ხანე 4. აშევაზიარ (აშევაზიარ), 5. დაბადებანე 6. ტურქეთი 7. მარმარალი 8. მორდეშურ 9. მორდეშურ 10. მორდეშურ 11. ნიმრუ 12. ფარაონის 13. ნიმრუ 14. შაჰنشاه

ମାନାମ୍ବା ରତ୍ନାଶ୍ରମ

სოკოლი-აღზრდის სისტემის შესახებ ძველ ირანში

ძველი სამყაროს ტრადიცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აიძებდა სწავლა-აღზრდის პრობლემას, რასაც მრავალი საქურადღებო ფაქტი ადასტურებს. აღზრდის ინსტიტუტი ორგანულად უკავშირდებოდა ძველი ირანის იმპერიის სოციალურ სისტემას, მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი ჰქონდა და განპირობებული იყო სახელმწიფოს ინტერესებით.

აქემენიანთა ირანში დამკიდრებულმა აღზრდის სისტემამ ასახვა პოვა ბერძნულ წყაროებსა და ირანულ ლეგენდებში, მოგვიანებით – მხატვრულ ლიტერატურაში. ყურადღებას იქცევს ცნობები, რომელნიც ძველ ირანში უფლისწულისა თუ სხვა წარჩინებულ ოჯახთა ვაჟების აღზრდას ასახავენ. აქემენიანთა ირანში არსებული აღზრდის სისტემა მიზნად ისახავდა მხექვ, მამაცი მეომრის ჩამოყალიბებას, ზოროასტრული რელიგიის კარგ ცოდნასა და შესაფერისი საერო განათლების მიღებას. არისტოკრატ ვაჟთა საგანგებო მომზადება და წვრთნა ბავშვობიდანვე იწყებოდა. აქემენიანთა უფლისწული იზრდებოდა სამეფო კარისაგას მოშორებით, სოციალურად უფრო დაბლა მდგომ ოჯახში, სშირად უბრალო ხალხთან, ზოგჯერ – მწყვეტისებთან.

პართული ხანის შესახებ გაბნეული ცნობების საფუძველზე რამდენადმე ჭირს სახელმწიფოს ცხოვრების აღდგენა, თუმცა გარკვეული დასკანების გამოტანა მაინც შესაძლებელია, კერძოდ, “გაძიძევების” ინსტიტუტი დამკიდრებული ჩანს როგორც აქტერიანთა, ისე პართულ ხანაში.

„გაძინავების“ ტრადიცია გრძელდება სასანურ ეპოქაშიც. გაუის აღზრდა არა მშობლების სახლში, არამედ სხვა ოჯახში წარმოდგენილია ფალაურ ლიტერატურასა და ისტორიულ ქრონიკებში. მათთვის წოდების გაუის აღზრდა ითვალისწინებდა

როგორც ფიზიკურ წვრთნასა და სამხედრო-სპორტულ გარჯიშებს, ისე თეოლოგიური და საერო განათლების მიღებას.

საქურადღებოა ვაჟების ასაკობრივ ჯგუფებიდ დაყოფის პრინციპები; აღმზრდელისა და აღზრდილის (აღზრდილების) განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულების საკითხები; ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. წ. “ქალის ხაზი” სწავლა-აღზრდის სისტემაში და სხვ.

სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული წყაროები, როგორც აღრეულ ხანაში, ისე გვიან ფეოდალურ პერიოდშიც. არსებული მასალების შეპირისპირება-შეჯერების შედეგად მრავალი მსგავსება-განსხვავება იჩენს თავს, რაც მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

## ლილი შორშოლიანი

### შეიათეთ დინასტიის ორი მეურისა და მათი შთამომავლების სახელში „ორსტომიაში“

როგორც ცნობილია, ქართველები ძველთაგანვე დიდ ინტერესს იჩნევნენ „შაპ-ნამესადმი“ და საუკუნეების განმავლობაში თარგმნიდნენ მას მშობლიურ ენაზე. ამ თხზულების ჩვენამდე მოღწეული თარგმანები ქართული მწერლობის აღორძინების ეპოქაში – XV-XVIII საუკუნეებშია შესრულებული. თუმცა ნ. მარის მოსაზრებით, „შაპ-ნამს“ ქართული თარგმანი XII საუკუნეშიც უნდა გვიონოდა, მაგრამ უამთა სიავის გამო მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ასეთი ვარაუდის საფუძველს ნ. მარს ქართული მწერლობის კლასიკური პერიოდის ზოგიერთი საისტორიო თუ მხატვრული ლიტერატურის ძეგლში „შაპ-ნამეს“ რამდენიმე პერსონაჟის სახელის მოხსენიება აძლევდა. ამასთან, რაკი ზოგიერთ მათგანში „შაპ-ნამეს“ გმირთა სახელები ძველი ან საშუალო სპარსული ფორმითაც არის მოცემული, დ. კობიძე და მ. ანდრონიკაშვილი ფიქრობდნენ, რომ ირანული ეპიკური თქმულებები და მათი პერსონაჟების სახელები საქართველოში ზეპირგადმოცემათა გზით უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და ქართველი ავტორები ამ სახელებს საქართველოში უკვე დამკვიდრებული ფორმებით იყენებდნენ, ხოლო მათ მიერ სახელთა ასალსპარსული ფორმებით წარმოდგენას ეს მეცნიერები „შაპ-ნამეს“ ტექსტის ორიგინალ ში ცოდნით სხივნენ.

აღორძინების ეპოქაში შემუშავებული „მეფეთა წიგნის“ ქართული თარგმანები, რომელებსაც ვერსიებსაც უწოდებენ, ფირდოუსის თხზულების საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანისას ფრიად მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენენ და ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ზოგიერთ ქართულ ვერსიაში ფირდოუსის თხზულების და მისი მიბაქა-გაგრძელებებისათვის სრულიად უცნობი პერსონაჟების ამბებიც იყითხება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ვერსია (კერძოდ, „უთრუთიან-საამიანი“), შესაძლოა, არა ფირდოუსის, არამედ სხვა აგტორის „შაპ-ნამეს“ ქართულ თარგმანს წარმოადგენდეს.

„მეფეთა წიგნის“ ქართულ ვერსიებში სულ 337 პირის საკუთარი სახელი დასტურდება. ამათგან 285 ანთროპონიმია, ხოლო 52 დევებისა და ჯინების სახელია. გვხვდება მთარგმნელ-გამლექსავთა მიერ მოხსენიებული სხვა სახელებიც.

„მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების საკუთარ სახელთა შესწავლას საფუძველი იუსტ. აბულაძემ ჩაუყარა. შემდგომ ზოგიერთი სახელის შესახებ საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები გამოიქვეს დ. კობიძემ, მ. ანდრონიკაშვილმა, მ. ხუბუამ, ქ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ. ჩვენ კი ამ საკითხის კვლევას კარგა ხნის წინ შევუდექით. კვლევის შედეგებს პერიოდულად ვაქვევნებდით.

ამჯერად წარმოგიდგენთ „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ძირითად ნაწილში – „როსტომიანში“ მოცემულ ქეიანთა ბოლო ორი მეფისა და მათი შთამომავლების სახელთა ამოსავალ სპარსულ ფორმებთან შედარება-შეჯერების გზით მიღებული კვლევს შედეგებს. განხილული გვაქვს სახელები: ლუარსაბ, გოშტაშპ, ზარიარ, საანდიატ, ორმაზდ, შირასპ, ხურშიდ გარდ, ფაშოთან, ნოსტევ, ბაამან, მერინუშ, დანუშ, დარუშ (სულ 13 სახელი ვარიანტებითურთ). სხვადასხვა წყაროსა და ლექსიკონში მოვიძიეთ ამ სახელთა ძელი და საშუალო სპარსული ფორმები, მათი ეტიმოლოგიები. კლილობოთ ავხსნათ სპარსულ და „როსტომიანში“ მოცემულ ფორმათა შორის გამოვლენილი სხვაობების მიზეზები.

კვიქრობთ, კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ქართული ონომასტიკის (სახელებისა და გვარსახელების) მკვლევართათვის, რაღაც „შაპ-ნამეს“ მრავალი პერსონაჟის სახელი (მათ შორის ამჟამად განხილულთა ნაწილი) ქართველებმა დიდი ხანია გაითვისეს და ისინი ქართულ ეროვნულ სახელებად იქცნენ, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი შემდგომ ქართულ გვარსახელებსაც დაედო საფუძვლად.

## **დასავლეთი გროვნული მემათა და ლიტერატურის სემინარი**

### **ნატალია როლოვანაია**

#### **აღმოსავლეთის თემა XVIII საშპანის ზრანგულ ზღაპრებში**

XVIII საუკუნის საფრანგეთში საგძნობლად იზრდება ინტერესი აღმოსავლეთისადმი. შორეული ქვეყნების შესახებ ცხობებს ფრანგი მწერლები უპირატესად მოგზაურთა აღწერების მეშვეობით იღებდნენ. იმ ხანად ძალზე დიდი წარმატება ხვდა წილად ანტუან გალანის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილ „1001 ღამის ზღაპრებს“. ამას მოჰყვა სპარსული და თურქული ზღაპრების თარგმანი, შემდეგ კი აღმოსავლური ზღაპრების გადაკეთება და მიბამვა.

აღმოსავლური ზღაპრების განსაკუთრებული წარმატება აისხება იმით, რომ იმ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა კლასიციზმის ესოებიკის წინააღმდეგ და იზრდებოდა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი; მკითხველებს ძალიან მოეწონათ შარლ პეროს მიერ გამოქვეყნებული ზღაპრები.

XVIII საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში შეიქმნა მთელი რიგი ზღაპარი აღმოსავლურ თემაზე, რომლებშიც ნაციონალური ლიტერატურული ტრადიციები გაერთიანებული იყო აღმოსავლურ ეგზოგრაფიასთან. მათი მოქმედება ვითარდება სხვადასხვა ქვეყნაში, მათ შორის საქართველოშიც, რომელსაც ავტორები წარმოადგენენ ასეთივე სათავგადასავლო-ზღაპრულ ასპექტში.

აღმოსავლეთის თემატიკა ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებში იძენს თვითსებურ კოლორიტს.

ტომა-სიმონ გელები (1683-1766) თავის აღმოსავლურ თემაზე დაწერილ ზღაპართა კრებულებში ცდილობს შექმნას სათანადო ადგილობრივი კოლორიტი. ამისათვის იგი იყენებს იმ დროს არსებულ ზოგიერთ წყაროს და აკეთებს ტექსტში ისტორიულ და გეოგრაფიულ კომენტარებს, რომლებშიც ზუსტ მასალებთან

ერთად გვხვდება ბევრი შეცდომაც. სათავგადასავლო და ფანტასტიკურ ამბებთან ერთად, გელებზის მოთხრობებში იგრძნობა აგრეთვე დიდაქტიკური ტენდენციაც, რადგანაც აეტორის მიზანი არის „არა მარტო გაართოს, არამედ გააცნობიეროს მკითხველი“: გელებზის ზღაპრებში ნათელი და ბნელი ძალიან მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული და მწერალი მკაცრად იცავს თავისი დროის მორალურ კოდექსს. საქართველოსთან დაკავშირებული მასალები გვხვდება გელებზის კრებულებში „ჩინური ზღაპრები“ და „თაორული ზღაპრები“.

საქართველოს თემას თავის ზღაპრებში ეხება აგრეთვე ჯან ქაზობი (1719-1792). გელებზისაგან განსხვავებით, მას არა აქვს სურვილი მოგვაწოდოს ისტორიული თუ გეოგრაფიული ცნობები და ამის საშუალებით შექმნას ადგილობრივი კოლორიტის იღუზია. მის მოთხრობებში ასევე ნაკლებად არის დიდაქტიკური ტენდენციებიც. ზღაპრები აგებულია ფანტასტიკურ ამბებზე, მაგრამ ამ არაჩვეულებრივი მოვლენების აღწერისას იგრძნობა ავტორის ირონია და დაცინვა.

### ინსპ მერაბიშვილი „შიში შეიძლეს სიჟარულსა“ და XX საუკუნის ეპოქული აზროვნება

„ევროპის კულტურის წყაროები ევროპაში კი არ უნდა დაიძებოს, არამედ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის გავლენით დასავლეთზე და არა პირიქით... უნდა გათავდეს რუსთაველის კვლევის მხოლოდ ქართული კულტურის ფარგლებით შემოსაზღვრა, რადგან არსებითად რუსთაველი... საკაცობრიო კულტურის სფეროში გადადის.“ – ბრძანებდა შალვა ნუცუბიძე.

თუ პლატონმა სიბრძნის საწყისად „თავმაზა“, ანუ გაკვირვება გამოაცხადა, რუსთაველმა ასეთ საწყისად შიში აღიარა. „შიში შეიქმნა სიყვარულსაო“ – ბრძანა მან და დვოისმოშიშობა სიბრძნის მწვერვალზე აიყვანა.

მთის გაგიუებულ რუებს,  
დვიით, ძენძით და ქვიშით,  
გრიგალი დააყრუებს

მაცხოვრისადმი შიშით, – ბრძანა გალაკტიონმა XX საუკუნეში და ამით რუსთაველის ფილოსოფიას ახალი სიცოცხლე შთაბერა, სიცოცხლე, რომელიც მის პირდაპირ მემკვიდრეობას ნიშნავდა.

არც რუსთველია მხოლოდ ქართულ ცოდნაზე აღმოცენებული პოეტი და არც გალაკტიონი, რომელშიც, აღმოჩნდება, რომ მთელი მსოფლიო კულტურაა გარდატეხილი.

ჩვენი მოხსენების მიზანია, გამოვავლინოთ, თუ რამდენად არის XX საუკუნის ევროპული აზროვნება ამ დამოკიდებულების მიმდევარი.

### **თუმცა პირობების ხელობანის ბეჭისწერა შილიამ გოლდინგის რომანში „ძაღლდის ადამიანები“**

შილიამ გოლდინგის რომანი “ქადალდის ადამიანები” (1984) ფილოსოფიური იგავია, რომელსაც დრმა სიმბოლური დატვირთვა აქვს. ეს ნაწარმოები საგრძნობლად განსხვავდება გოლდინის სხვა რომანებისაგან და როგორც ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით უფრო ტრადიციულია. რომანში დაცულია მოვლენათა ქრონოლოგია, ნაკლებად არის გამოყენებული რეტროსპექტიის ხერხი. თუმც, „ქადალდის ადამიანები“ გაცილებით უფრო დატვირთულია სიმბოლურად, ვიდრე გოლდინგის რომელიმე სხვა ნაწარმოები.

ამ რომანის იგავური ბუნების გახსნას ის ართულებს, რომ გოლდინგის სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავდით, მასში სიმბოლო უფრო დრმად არის დაფარული და ფორმით და შინაარსით უფრო მრავალწახნაგოვანია, ვიდრე, მაგალითად კუნძულის სიმბოლიკაა რომანში “ბუზების მეუფე”, გამოქვაბული – “მექმეკიდრეებში” ან კლდე “ფინჩერ მარტინში”.

ისევე როგორც გოლდინგის ყველა სხვა რომანში, „ქადალდის ადამიანების“ სათაურიც სიმბოლურია: ქადალდის ადამიანებს წარმოადგენენ ცნობილი მწერალი ბერკლი და ახალგაზრდა ბიოგრაფი თაკერი, რომელთა ცხოვრების არსი ქადალდისაა და, შესაბამისად, მათი არსებობაც მოჩვენებითი და ილუზორულია. რომანი ქრონოლოგიურად ასახვს ბერკლის „ბუზებულად ქცევისა“ თუ იზოლირების პროცესს. ბერკლი ცდილობს განაცალევოს საკუთარი თავი წარსულისაგან და ნებისმიერი ურთიერთობისგან ადამიანებთან. მის „გარიყულ“ სტილს მკითხველისაგან გაუცხოების უფასებიც კი აქვს. შიშით გამოწვეული იზოლირება აიძულებს ბერკლის ადამიანებში მხოლოდ საფრთხე დაინახოს. სწორედ ამიტომ გაურბის იგი ადამიანებს, საკუთარ თავს და

საკუთარ წარსულს. ბერკლი წარსულის დავიწყებას სასმელის დახმარებით ცდილობს. რომანის დასაწყისში ბერკლი წარმოდგენილია როგორც უკვე ჩამოყალიბებული დოთი, რომელიც ნაბახუსევს დაეხეტება თავისი ცნობიერების „შავ ორმოში“. მისი მექანიკურება დაემსგავსა ფილმის არეულ კადრებს, რომლის მთავარი არსი სიბნელეში გაუჩინარდა. ფაქტობრივად, დარჩა მხოლოდ იმ მოვლენათა მოგონება, რომელთა დავიწყებაც მას გამალებით სწადია. მისი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოსეთად იქცა.

ამ რომანით გოლდინგი გვიჩვენებს, რომ ჯოჯოხეთი და სამოთხე ჩვენ თვითონ შეგვიძლია შეგქმნათ აქ ახლა ჩვენში. ცოდვილმა ბერკლიმ იტანჯა ჯოჯოხეთში დედამიწაზე, მაგრამ მიტევების სულმა მასაც დაანახა სამოთხის სილამაზე. მხოლოდ თავისი რომანის დაწერით აღიარა ბერკლიმ თავისი ცოდვები, თვალი გაუსწორა წარსულს. ამაში მას რიქ თაკერი დაეხმარა. ახალგაზრდა ბიოგრაფი, რომელსაც ბერკლი აბუჩად იგდებს, მისი ბედისწერა გახდა. რიქის ბრძანი ტყვიამ ბოლო მოუღო ბერკლის აგონიას და გვაუწყა, რომ ყველაფერი დასრულდა.

### თამარ აზტიაშვილი

#### იმპრესიონიზმი მარსელ პრუსტის რომანში „დაბარბული დროის მიუბაში“

1. თანამედროვე კულტურაში შეინიშნება ხელოვნების დარგთა შორის ურთიერთგავლენის გაძლიერება, რის შედეგად იზრდება ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინარული ფუნქციონირების აუცილებლობა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფერწერაში, შემდგომ მუსიკასა და ლიტერატურაში იმპრესიონიზმი მკვიდრდება, როგორც სამყაროს ხედვის ახალი «მეორდი», რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მოდერნისტულ ხელოვნებაზე და, კერძოდ, ფრანგული მოდერნისტული რომანის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

2. მარსელ პრუსტის რომანი “დაკარგული დროის მიებაში” შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმპრესიონისტული პროზის თვალსაჩინო ნიმუში, სადაც თავს იჩენს ამ მიმდინარეობის სტილისტურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ თავისებურებათა მთელი წყება, მყარად დამკვიდრებული იმ დროის ფერწერასა და მუსიკაში.

3. პრუსტის მიღებობა სამყაროსა და მასში მყოფი შემოქმედის მიმართ ემსახურება არა მხოლოდ მწერლის ემოციურ-ესთეტიკური მისწრავებების გამოხატვას, არამედ აგრძელებს იმპრესიონისტი მხატვრებისა და მუსიკოსების ძიებებს სამყაროს შემცნების ახალი საშუალებებისა. ეყრდნობა რა სივრცისა და დროის ნოვატორულ კონცეფციას, პრუსტი აღწერს წარმავალ, წუთიერ სამყაროს და იყენებს ამისთვის ბეგრით და ვიზუალურ საშუალებებს, როგორც მხატვარი – სინათლეს და კომპოზიტორი – ჟდერადობას. ერთგვარი „პუანტილიზმი“ და დისონანსური ჟდერადობა; განყენებული სტილი და სიუჟეტური ხაზის წაშლა, მსგავსად მუსიკაში - ტონადობის და ფერწერაში - პერსპექტივის გაქრობისა; ხშირი თემატური გადახვევები, სადაც რომანის სიუჟეტი და ფორმა, როგორც მელოდია და რიტმი მუსიკალურ ნაწარმოებში და თემა და კომპოზიცია ფერწერულ ტილოზე უშუალოდ ექვემდებარება გრძნობებს - წამიერ შემცნებას და ათავისუფლებს ხელოვნებას დოგმებისგან, ხტატიკური მდგომარეობისგან და გამოყევას იგი თავისუფალი ფორმებისა და ასოციაციების სამყაროში.

4. იმპრესიონიზმის მიმდევარი, მარსელ პრუსტი გახდა თავისუფალ ძიებათა გამტარებელი, რომელიც არასოდეს ემოჩილებოდა « ფორმულებს », რადგან თვითონ ცნება „იმპრესიონიზმი“ – „შთაბეჭდილება“ არის მხოლოდ ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც იწყება ახალი «ინდივიდუალისტური» გამომსახველობითი საშუალებების ძიება, იქნება ის ნიადაგი, რომელზედაც იშლება მოდერნიზმის სრულიად განსხვავებული სახეები ფერწერაში, მუსიკაში, ლიტერატურაში და ხელოვნების სხვა დარგებში.

### გარიაზ გარამიძე

#### დიალოგური ისტორიზმი გეორგ თრაპლის პოზიცია

გეორგ თრაპლის პოეტური აზროვნების კოსმიურობას ერწყმის მისი ისტორიულობაც, არა მარტო სამყაროს ხედვის ვერტიკალურ-დროით ასპექტში, არამედ იმ ისტორიული გზის გათავისებით, რომელიც გაიარა კაცობრიობაში სამყაროს საზრისის წვდომის პროცესში. „დიალოგიურობას“ შეიძლება ვუწოდოთ გ. თრაპლის პოეტური გზის მოტივი და შეცდომა იქნებოდა გვესაუბრა გავლენაზე სხვა შემოქმედთა მხრიდან. ერთადერთი სიტყვა-კატეგორია, რომელიც ამ შემთხვევაში მართებული იქნებოდა, არის დიალოგი. „დიალოგიურობა“ უნდა გავიგოთ როგორც ქვეტექსტურად მომქმედი მოტივი, ხოლო

„დიალოგი“ ქვეტექსტური მოტივის ტექსტურად რეალიზებული ასპექტი. „დიალოგიურიბა“ როგორც მოტივი, თრაკლის პოეზიაში რეალიზდება კონცენტრული წრების სახით. ყველაზე ვიწრო წრეში ხვდება „დიალოგი“ იმ შემომქმედთან, ვინც თითქმის თრაკლის თანამედროვე იყო, პირველ რიგში ბოდლერთან და დოსტოევსკისთან. ორივე შემომქმედთან მას აერთიანებს თანამედროვე სინამდვილის კრიზისული აღქმის განსაკუთრებული სიმძაფრე. მაგრამ თრაკლის კავშირი ფრანგ პოეტთან და რუს რომანისტთან არაერთგვაროვანია: თუ თავისი პოეტური გზის დასაწყისში თრაკლს ბოდლერთან აკავშირებს თანამედროვე სამყაროს დაცომულ-ხრწნადი რეალობის ხედები, შემდეგ იგი ამ რეალობას გაიაზრებს როგორც კატასტროფას, მაგრამ ამავე დროს მის პოეტურ აზროვნებაში ისახება დაღუპვისადმი დაპირისპირებული ტენდეცია, რომელსაც შეიძლება ხსნის ძიების მოტივი ვუწოდოთ.

სწორედ რეალობის კატასტროფული აღქმისა და მისი შესაძლო ხსნის სულ უფრო გამოკვეთილი განჭვრება და მათი ერთმანეთთან შერწყმა უნდა ჩაითვალოს იმ თემატიკურ-მოტივურ კომპლექსად, რომელიც თრაკლს აკავშირებს დოსტოევსკისთან.

შემდეგ ფართოვდება წრეთა არეალი და ამ არეალში „ვხვდებით“ პიოლდერნლინსა და ნოვალისს. მომდევნო წრეში დიალოგის მონაწილედ გვევლინება ეპოქები, მათი მსოფლმხედვეულური არსით – შუა საუკუნეები, ბიბლიური ეპოქა და ანტიკურობა.

გ. თრაკლისთვის მთავარი იყო დიალოგიური მიმართება ქრისტიანულ წარსულთან და სწორედ ამ დიალოგს ემსახურება მთელი თრაკლისეული სიმბოლიკა და მოტივთა სისტემა, ანუ ქრისტიანობასთან დიალოგი ცენტრალურია თრაკლის დიალოგიურ სამყაროში.

### სიგილი გელაძე პოეტური ტექსტის თავისებურება

1. პოეტური ენა ენობრივი საშუალებების თავისებური გამოყენებით გამოირჩევა.

2. პოეტური ტექსტი აზრებსა და საგნებს არაპირდაპირად გამოხატავს. თვით ბუნებრივი აღწერაც კი არ ნიშნავს ფაქტის შესახებ მარტივ თხრობას, პირიქით, ის მოიცავს ესთეტურ მიზანს ავექტური კონტაციებით.

3. პოეზიაში ვერბალური თანმიმდევრობა არ ქმნის პროგრესულად განვითარებად აზრს; პირველი წაკითხვისას

ვერბალური თანმიმდევრობა მოქმედებს, როგორც მიმეზისი, აშლროს ხდება ინფორმაციის სხვადასხვა ელემენტის დაგროვება. ამას მოჰყვება სემიოზისი. (რიფატერი, in:Littérature et réalité, L'illusion référentielle, P. 1982 გვ.118) ანუ, მკითხველი რეფერენციას ეძებს პოეტური ტექსტის ჩარჩოში და არა მის მიღმა. რადგან, პოეტურ ტექსტში სიტყვის ინდივიდუალური მნიშვნელობა წაშლილია, იგი პოეტური ტექსტიდან გამომდინარე იძენს მნიშვნელობას.

4. პოეტური ტექსტის პირველი წაკითხვისას თვალში გვხვდება, რიფატერის ტერმინით თუ ვიტყვით, “აგრამატიკულობა”. ასე მაგალითად, დაბალი ზეცა, რომელიც ახურავს შეწუხებულ სულს, დამეზე შავი დღე, დამურის მსგავსი იმედი, გისოსებივით წვიმის ნაკადები, ობობა, რომელიც ადამიანების ტვინში ქსელს აბამს, კატაფალკა, რომელიც სერავს ადამიანის სულს, ხოლო შავი ალამი ამშვენებს ადამიანის კეფას. ჩვეულებრივ ენობრივ სიტუაციაში მსგავსი სიტყვათშეხამებები წარმოუდგენელია. მაგალითად, არავინ იტყვის “წვიმის გისოსები გვაწვიმსო, ანდა, სულზე ზეცა მასურავსო, ან კიდევ, იმედი-იგივე დამურაო, ან კატაფალკა სულში დამიღისო”, და ა. შ. რასაც ვერ ვიტყვით პოეტურ ტექსტზე. ამ შემთხვევაში რეფერენცია, ანუ სიტყვის, ან ფრაზის მნიშვნელობა ყალიბდება პოეტური ტექსტის ფარგლებში და არა ექსტრალინგვისტურ სიტუაციაში. ასე გადადის მიმეზისი სემიოზისში.

5. მოკლედ, თუ რომან იაკობსონს დავესესხებით, სწორედ პოეტური ტექსტის ფარგლებში წარმოქმნილი რეფერენცია უწყობს ხელს ვერბალური მესიჯის ხელოვნების ნიმუშად გარდაქმნას. (Roman Jakobson, Essais de linguistique générale, P.1973, p.210) ანუ, ვერბალური მესიჯი იძენს ექსპრესიულ, ანუ პოეტურ დირექტულებას. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ ლინგვისტიკა არის ენობრივი სტრუქტურების შემსწავლელი მეცნიერება, პოეტიკაც, ანუ პოეტური ტექსტებიც, რომლებიც იგივე ენობრივი სტრუქტურებით ოპერირებს, ლინგვისტიკის განუყოფელი ნაწილი.

6. პოეტური ტექსტის ერთ-ერთი დისტინქციური ნიშანი ისაა, რომ იგი იყენებს უჩვეულო შინაარსის მქონე ენობრივ სტრუქტურებს. მაგალითად, ბოდლერისათვის ქალი არის “შემოდგომის ლამაზი ცა, ნათელი და ვარდიფერი” (ბოდლერი, “საუბარი”)- “Vous êtes un beau ciel d'automne, clair et rose”, ვერლენისათვის კი “რჩეული პეიზაჟი”- “Votre âme est un paysage choisi (Verlaine “Clair de lune”).

## 606ლ ძაგლარაშვილი

## შერაო დე ნერვალის ორმანის, „ორელის,” პომაოზიციის თაგისებურება

1. უერაო დე ნერვალის (1808-1855) ორმანი „ორელი” მისი უკანასკნელი ნაწარმოებია, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. მწერალმა მისი დამთავრება ვერ მოასწრო, რაც მხოლოდ ვარაუდს ბადებს ნერვალის ჩანაფიქრისა და ნაწარმოების შესაძლო აგებულების შესახებ.

2. ორმანტიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ექსპერიმენტები, მხატვრული ნაწარმოების ფორმასთან მიმართებით, უცხო არ იყო ე.წ. „მცირე რომანტიკოსთა” ჯგუფის წარმომადგენლისათვის. „ორელი” იღეურ-თემატურად არის დაკავშირებული „ცეცხლის ქალიშვილებსა” და „ქიმერებთან”. ამ ნაწარმოების სიუჟეტების მსგავსება მკვლევართა ყურადღებას იაყრობს: „ორელი” საინტერესო ხდება, არა მარტო როგორც დამოუკიდებელი ქმნილება, არამედ, როგორც ნერვალის მხატვრულ-სტილისტური ხერხის თავისებურების გამოვლინება: მწერლის ოცნება, შეექმნა ერთი დიადი ქმნილება, სწორედ ამ სამი ნაწარმოების ერთიან კონტექსტში გააზრებაში პპოვებს ასახვას.

3. ნაწარმოების კომპოზიციის საფუძვლად ლაიტმიტივების გამოყენება დამასასიათებელია ნეორომანტიზმის, მითოლოგიური სიმბოლიზმისა და XX საუკუნის მითოლოგიური რომანისათვის. „ორელი”, ისევე, როგორც „ცეცხლის ქალიშვილები” და „ქიმერები”, ორფეოსის შესახებ მითის სიუჟეტური ინვარიანტია. სიუჟეტების მსგავსება შეიძლება ლაიმორტივის არსებობად მივიჩნიოთ ერთი ავტორის სამი ნაწარმოების ფარგლებში. სწორედ აქ ჩანს ნერვალის, როგორც მწერლისა და შემოქმედის, ნოვატორობა.

4. მითი ორფეოსის შესახებ მოარული სიუჟეტის სახით ვლინდება რომანში – „ორელი”, და ამკვიდრებს მის ადგილს ლიტერატურის ისტორიაში, მსგავს სიუჟეტზე შექმნილ სხვა მწერლების ნაწარმოებების გვერდით.

5. „ორელი” იქმნებოდა ნერვალის ცხოვრების ურთულესს პეროდში: დაავადებული მწერალი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. რეალური და ირეალურის მონაცვლეობა, ერთი მხრივ, რომანტიზმის ესთეტიკის ერთგულებით აიხსნება. ამავე დროს, ნაწარმოებში ასახული მოვლენები და რომანის სტრუქტურა მწერლის ავადმყოფობის მიმდინარეობას ჰგავს. შესაბამისად, „ორელი”, ავტორის სულიერი და ფიზიკური ავადმყოფობის ამსახველ ჩანაწერებად შეიძლება მივიჩნიოთ.

6. კერარ დე ნერვალის რომანის – „ორელის”, კომპოზიციის თავისებურება გამოიხატება: 1) დაუმთავრებელი ნაწარმოების არქიტექტონიკაში 2) რომანის, როგორც პიროვნული მითის გააზრებაში 2) „ორელის”, ნოველების კრებულის – „ცეცხლის ქალიშვილებისა” და ლექსების – „ქიმერების”, სიუჟეტების მსგავსებაში, რაც რომანს სიუჟეტური ინვარიანტის ფორმას სძენს 3) რეალურისა და ორეალურის მონაცემებისაში, რაც ნაწარმოების სტრუქტურული თვისებურების და მისი მითოლოგიური პელევის საწინდარი ხდება.

### **პონტანტინე პრებატ გოთე და ქრისტიანული რელიგია**

1. გოთეს მიმართება ზოგადად რელიგიისადმი, და კონკრეტულად ქრისტიანობისადმი ურთულესი პრობლემათაგნია და ღრმა შესწავლას მოითხოვს. ხოლო თავის მხრივ ამ პრობლემის მეტნაკლებად მართებული გააზრება ქმნის საფუძველს გოთეს მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მართებული შესწავლისა და რეცეფციისა.

2. დოგმატური ქრისტიანობის პოზიციებიდან გოთეს ქრისტიანობისადმი დამოკიდებულებას იმთავითებ ნებატიურად აფასებდნენ ლიტერატურულ და თეოლოგიურ წრეებში (იოპან კასპარ ლაფატერი, ავგუსტ ვილჰელმ შლეგელი, ფრიდრიხ შლეგელი, ვოლფგანგ მენცელი, რომან გურდინი და სხვ). ეს შეფასებანი ცალმხრივი და სწორხაზოვანია და საფუძველშივე მცდარი, რამდენადაც მათში საერთოდ არ არის გათვალისწინებული თავად გოთეს პიროვნების სირთულე, მრავალპლანისანობა და ყოვლისმომცემელობა, გოთეს პიროვნების პოეტური არსი. ასევე, არ არის გათვალისწინებული თავად ის ეპოქა, ის თხტოლოგიური კონტექსტი (განმანათლებლობის ეპოქა ზოგადად), რომელშიც მოუწია ცხოვრება გოთეს; არ არის გათვალისწინებული თავად გოთეს სიცოცხლის ხანგრძლივობაც კი, რამდენადაც ისეთი გრძელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც გოთემ განვდო, რელიგიური, და მათ შორის ქრისტიანული წარმოდგენები, არც თუ ისე სწორხაზოვნად და მარტივად იქმნებოდა და ყალიბდებოდა, და მით უმეტეს ისეთი რთული და ღრმა პიროვნების სულში, როგორიც გოთეა. გოთეს რელიგიური წარმოდგენების ჩამოყალიბება, შესაბამისად ქრისტიანობისადმი მისი მიმართება ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესია, გოთეს რელიგიური შემუცნება სხვადასხვა საფეხურს მოიცავს.

3. გოეთეს მიმართება ქრისტიანობისადმი ობიექტური რელიგიურობითაა განპირობებული, ანუ ცოდნაზე დაფუძნებული რელიგიურობით. ქრისტეს ფეხომენი გოეთესათვის ობიექტურად არსებული სინამდვილისეული ფეხომენია ( ატრურაპ ნომენ), ანუ, პირველფეხომენის თავისებური გამოვლენა.

4. შესაბამისად, ქრისტეში გოეთე ხედავს არა დვთის ძეს, დმერთს, მაცხოვარს, არამედ მას განიხილავს ისეთივე დიდ პიროვნებებად, როგორებიც იყვნენ ხოკრატე, მოსე. ანუ, გოეთე ქრისტეს უპირველესყოვლისა განიხილავს როგორც კაცობრიობის სულიერ აღმზრდელს, უმაღლესი საღვთო წენობის გამოცხადებას. შესაბამისად, ქრისტეს პიროვნებას გოეთესათვის არა მისტიკური, არამედ ეთიკურ-მორალური დატვირთვა აქვს.

5. გოეთეს ქრისტიანობა არაკოლეგიური, არაკონფესიური და ადოგმატურია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ფორმალურად ლუთერანულ-პროტესტანტული ეკლესიის წევრი იყო. შეიძლება ითქვას, რომ გოეთე საბოლოო ჯამში თავისუფალი ქრისტიანია და მისი ქრისტესადმი მიმართება პიროვნეულ-ინდივიდუალურია. მისთვის პირველქრისტიანთა მიერ დაფუძნებულ პირველქრისტიანობასა აქვს ჭეშმარიტი დირექტულება, რომელიც წმინდა სახარებებშია ასახული, და არა ეკლესიის მიერ გაშუალებულ და ინტერპრეტირებულ დოგმატურ ქრისტიანობას. თავისი პირველფეხომენის თეორიდან გამომდიმარე გოეთე ქრისტიანობასთან მიმართებაში სწორედ წმინდა რელიგიურობის, ანუ რელიგიურობის ონტოლოგიური იმპლიციტურობის თვალსაზრისს ავითარებს.

6. თუმცა გოეთეს მიმართება ქრისტესადმი ისეთი ინტენსიურად სუბიექტივისტური და მისტიკური არაა, როგორც ეს ნოვალისთანაა, ვინაიდან ს. კირკეგორის მართებული შენიშვნით, ქრისტიანობისა და ქრისტეს მიმართ გოეთეს მაინც აკლდა “უშუალობის პათოსი”, ანუ სუბიექტური მისტიკა, ხოლო ფრ. ნიცშეს ენიო რომ ვთქვა, ქრისტიანობისა და ქრისტეს მიმართ გოეთეს ასასიათებდა “დისტანციის პათოსი”, ანუ, ამ შემთხვევაში ობიექტური შევრეტელობა.

## ლუგან ცაგარელი პარატემსტის მხატვრული დანიშნულება არნო შმიდტის რომანში „საღამო რძოს შარაგანდედით“

საღამო ოქროს შარავანდედით გერმანელი მწერლის არნო შმიდტის უკანასკნელი დასრულებული ტიპოს კრიპტული რომანია (1975 წ.). პარატემსტი იკვეთება რომანის სტრუქტურული და ნარატიული თავისებურებები. მოიპოვება შემდეგი სახის პარატექსტები: სათაური (*Abend mit Goldrand*), უანრობრივი მითოება (“eine MärchenPosse” – “ზღაპრული ფარსი”), ქვესათაური (“55 Bilder aus der Lä/Endlichkeit für Gönner der Verschreibk/Kunst” – “55 სურათი სოფლური/სასრული ცხოვრებიდან ეტიმოსტიკის კეთილისმყოფელთათვის”), ეპიგრაფი (სატიტულო გვერდზე, თითოეული დღის წინ და XVIII სცენის წინ), მოქმედ პირთა ნუსხა, შუალედური სათაურები და სარჩევი. აღნიშნული პარატექსტობრივი ელემენტები ასრულებს არა მხოლოდ ერთგვარი “ზღურბლის” ფუნქციას, რომელმაც მკითხველი მხატვრულ სამყაროში უნდა გადაიყვანოს და მისი მოღოლინის პორიზონტი ააგოს, არამედ ისინი აწვდის რეციპიენტს ინფორმაციას ტექსტის სტრუქტურის შესახებ. ნაშრომში თითოეულ მათგანს განვიხილავთ.

“საღამო ოქროს შარავანდედით” – როგორც ტოპოსი – რომანის დაწერამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა არნო შმიდტის ტექსტობრივ კოსმოსში. მისი გამოყენება სათაურად ახორციელებს ინტერტექსტობრივი კონტექსტის აქტუალიზებას. ესაა ტიპიური ციტატური სათაური (ჟენეტი 1989:91), რომელსაც თემატური, უფრო ზუსტად კი – მეტაფორული ფუნქცია აქვს: იგი მეტაფორულად მიანიშნებს ნაწარმოების ცენტრალურ თემაზე – სიბერე, ცხოვრების მწუხრი, კულტურის დაისი.

უანრობრივი მითოება – “ზღაპრული ფარსი” ფიქციონალობის მკაფიო სიგნალია. იგი მთელ ნაწარმოებს ფიქციონალურ დისკურსს მიაკუთვნებს და გამორიცხავს მის წაკითხვას ბიოგრაფიულ ჭრილში. ამასთან, აღნიშნული უანრობრივი მითოება გარკვეულ ცნობებს გვაწვდის რომანის უანრობრივი და დიეგეტური თავისებურებების შესახებ.

ქვესათაურში საცნაურდება რომანის ერთი დამატებითი თავისებურება, სახელდობრ – ავტორულექსიურობა. სხვა ქვესათაურების მსგავსად “55 სურათი სოფლური/სასრული ცხოვრებიდან ეტიმოსტიკის კეთილისმყოფელთათვის” რემატულია, ანუ იგი უშუალოდ ტექსტს უკავშირდება (და არა მის თემას ან შინარსს), განსაზღვრავს მის არქიტექტონიკას (“55 სურათი”), გამოყოფს სასურველ რეციპიენტს (“ეტიმოსტიკის

კეთილისმყოფელთაოვის") და ახორციელებს პოეტოლოგიური პრინციპის თემატიზებას ("ეტიმოსტიკის").

საინტერესოა მოქმედ პირთა ნუსხაც. იგი მოიცავს ცნობებს მოქმედ პირთა ორივე ჯგუფის (სახლის მობინადრენი და მაწანწალები), მოქმედების ადგილისა და დროის შესახებ. მოცემულ პარატექსტში წარმოდგენილია არა მხოლოდ პერსონაჟების სახელები, არამედ მათი მეტსახელებიც, რომელებიც სიმბოლური დატვირთვის მატარებელია.

სარჩევი რომანის არქიტექტონიკასთან ერთად მოიცავს მინიშნებებს ნაწარმოების რეცეფციის შესახებ. ამგვარი მინიშნებებია, მაგალითად, "გაყოფილი გვერდი", "სამსვეტიანი გვერდი".

ამრიგად, რომანის პარატექსტების ესოდენ დიდი მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება აიხსნება ამ ახალი ტიპის ნაწარმოების რეცეფციის გამარტივებისა და შემსუბუქების სურვილით.

### დაღი ზანჯირიძე

#### მხატვრული თარგმანის ანალიზის პრინციპები. სტილის ეპივალენტობის პროგლემა

მხატვრული თარგმანის ანალიზი სამ დონეს მოიცავს. ესენია: შინაარსის დონე, ანუ ტექსტის გაგების ხარისხი, ნორმატიული სტილისტიკის დონე, ანუ გამართული ენობრივი საფუძველი და სტილის დონე როგორც თარგმანის ეკვივალენტობის უძალენესი გამოვლინება.

ჩამოთვლილთაგან პირველ თრ პირობას ქართული თარგმანის საკმაოდ დიდი ნაწილი აქმაყოფილებს. შესაბამისად თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად ვერც ვადიარებთ, თუ პირველი და მეორე დონის არსებობა გარანტირებული არ არის. რაც შექება სტილს, მისი კვლევა ამ ორი დონის დადგებითად შეფასების შემდეგ იწყება, სტილის კვლევაში კი გადამწყვეტია დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი – თარგმანი ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენდეს მკითხველზე, როგორსაც დედნის მკითხველზე ახდენდა. ამ შთაბეჭდილებას დედნის კონტურ მხარესთან ერთად ემოციური და ესთეტიკური მხარის რეპროდუქციის ხარისხი განაპირობებს, რაც მთლიანად სტილის სფეროში თავსდება.

ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში დედნის სტილის რეპროდუქციას ხელს უშლის ერთგვარი მეტაენის არსებობა, რომელსაც პირობითად შეიძლება თარგმანის ენა ვუწოდოთ. იგი თავისი ხასიათით უნივერსალურია, აკმაყოფილებს ქართული ენის ნორმატიული სტილისტიკის ნორმებს, გაჯერებულია ენის

სხვადასხვა შრეებიდან მოპოვებული ერთეულებით, მათ შორის არქაიზმებით, იშვიათად ხმარებული, მარკირებული სიტყვებით, ზოგჯერ კი პირიქით, გრძნობების, განცდების ამსახველი ტრაფარეტული დაქსიკით, კლიშეების სიმრავლით, ქართულ რეალიებზე დამყარებული ფრაზეოდოგიზმებით, დიალექტიზმებით და სხვა ისეთი ენობრივი ერთეულებით, რაც თარგმანის გაქართულების მიზეზი ხდება, მთლიანობაში კი ეს მეტაურა მაღალფარდოვანებისა და სიტყვაუხვობის ეფექტს ქმნის, ერთგარი უნივერსალობის მიუხედავად მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილად ყალიბდება და საფუძველშივე გამორიცხავს დედნის სტილის რეპროდუქციას. თავის მხრივ დედნის სტილის რეპროდუქციას რამდენიმე კომპონენტი განაპირობებს, რომლებიც პროფესიონალ მთარგმნელს ტექსტები მუშაობის დაწყებამდე უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული.

ეს კომპონენტებია: 1. დედნის ავტორის პოზიცია ასახული მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი. ეს პოზიცია შეიძლება იყოს ნეიტრალური, ირონიული, ფილოსოფიური, ტრაგიკომიკური, კაზისერიოზული და ა.შ. 2. ავტორის დამოკიდებულება სალიტერატურო ენასთან და მის მიღმა არსებულ შრეებთან, როგორიცაა დიალექტი, უარგონი, სკაბრეზი, არგო; 3. ავტორ-მთხოობელისა და პერსონაჟების განსხვავებული ხმები; 4. სტილის აბსტრაქტორებული ნიშნები: მაღალფარდოვანება და სისადავკ, ლაკონიურობა და სიტყვაუხვობა, რიტმი და ინტონაცია; მუსიკალობა და პოლიფონიურობა; ხატოვნება და სიმშრალე. 5. მხატვრულობისა თუ განსხვის პრიმატი და ა.შ.

საილუსტრაციო მასალად წარმოდგენილი იქნება საკუთარი თარგმანები: მაქს ფრიშის "Homo Faber", პერმან პესეს „ტესინური შემოდგრმის დღე“, ულრის პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი გნებანი“ და გრ. რობაქიძის ესე „ადოლფ პიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“, რომლებიც სტილის თვალსაზრისით დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

### მანანა გელაშვილი სიმბოლოს უზრუნველყოფის პოლიტიკის „ბალანში მოხუც მეზღვაშრზე“

კოლრიჯის „ბალანა მოხუც მეზღვაურზე“ (1798) იმ ნაწარმოებთა როცხეს განეკუთვნება, რომელიც თავისი თემატიკითა და გამომსახველობითი ფორმებით ორი საუკუნის შემდეგაც კრიტიკოსთა და მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

კოლრიჯისათვის სამყარო დმერთია ქმანაციაა, ამიტომ ყოველი მოვლენის მიღმა სულიერი სამყარო ძეგს, რომლის პოეტური გამოსახვა მხოლოდ სიმბოლოთია შესაძლებელი, რაღაც სიმბოლო საშუალებას ძლევს პოეტს წარმოაჩინოს ხანიერში – მარადიული, კონკრეტულში – ზოგადი, ხილულში – დაფარული და სხვ. „ბალადაში მოხუც მეზღვაურზე” კოლრიჯის სა ვარელი პოეტური ხატის უაღრესად საინტერესო სიმბოლურ დატვირთვასთან გავქვს საქმე.

ნაწარმოების ერთერთ ცენტრალურ სიმბოლოს ზღვით მგზავრობა წარმოადგენს. კოლრიჯის ლექსები, ჩანაწერები, პირადი წერილები ადასტურებენ, რომ ეს ხატი მისთვის მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ძიებასთან, სულიერ ხეტიალსა და ამ ძიებაში გამოვლილ შეჭირვებათა ხატად იქცა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მზისა და მთვარის სიმბოლიკა. აგტორის მითოპოეტიკაში მზე დმერთის, უსაზღვრო საყვარულის ხილული ხატია, რომელიც სამის ერთობას მოიცავს: სითბოს, სინათლესა და წრიულ ფორმას. ოუმცა ოუ სიყვარულის, ანუ დმერთის დაკარგვა ხდება, მხის ბუნება კეთილის ნაცვლად ბოროტად გამოვლინდება. სწორედ „სისხლიანი მზის” ქვეშ იწყება მოხუცი მეზღვაურისა და მისი მეგობრების ტანჯვა.

კოლრიჯი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა ცნობებს მთვარის ფაზებთან დაკავშირებულ საკულტო დღესასწაულებზე, იწერდა თავის დაკვირვებებს მთვარეზე და სხვ. მთვარე შემაგ ხილვათა, წარმოსახვის სტიმულატორია, ამიტომ სამყაროს დაფარული აზრის გამოვლენა სწორედ მისი სინათლის ქვეშ ხდება. ამასთანავე კოლრიჯის პოეტურ ხედვაში მთვარის ნამგალისუბური ფორმა და ნავი/კიდობანი ერთმანეთთან ასოცირდება, რაც მთვარისა და ზღვით ხეტიალის კავშირზე მიუთითებს, ორივე ერთად კი სულიერ ძიებას უკავშირდება.

ნაწარმოების ერთ-ერთ ცენტრალურ ეპიზოდს მოხუცი მეზღვაურის მიერ წყლის გაელთა დალოცვაა, სადაც კოლრიჯის საყვარელი სამი ხატი იყრის თაგს: მთვარე, წყალი და გველი. ნაწარმოებში ამ მოქმედებით მთვარდება ბოროტ ძალთა ადზევება, იწყება წვიმა, განბანვის, განახლების სიმბოლო, რომელიც მთვარის სინათლის ქვეშ მიმდინარეობს.

ნაწარმოების რთულ სამყაროში ზოგიერთ ხატთა სიმბოლური მნიშვნელობის კვლევა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მკაცრად განსაზღვრულ, ლოგიკურ ინტერპრეტირებას, რაღაც ამა თუ იმ პოეტური სახის ერთნიშნა მაჩვენებელზე დაყანას მექანიკურ შეკვეცამდე მივყავართ, რითაც პოეტური ხატის ღიაობა, სუგესტურობა იკარგება. ხოლო

კოლრიჯის ამ ნაწარმოებში სიმბოლოთა მრავალნიშნადობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაწარმოების მრავალპლანიანობას.

### **რუსულან უცმიძე დისტარსის მარეალიზაციი ლინგვისტური პროექტები მხატვრულ ტექსტში**

წარმოდგენილ ნაშრომში დისკურსის იმ განსაზღვრებას ვეურდნობით, რომელიც დისკურსს განიხილავს, როგორც ტექსტის აქტუალიზაციის პროცესს, ანუ ტექსტის კონტექსტუალიზაციას. ეს პროცესი, ანუ დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის რეალიზებულია, როგორც მკითხველის მიერ ავტორის გზავნილის რეკონსტრუქციის მცდელობა. ტექსტისა და დისკურსის ურთიერთმმართების საყითხისადმი განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, მაინც შეიძლება გამოიყოს მნიშვნელობების ის სფერო, რომელიც თითოეულ მათგანს ახასიათებს: ის ფორმალური მნიშვნელობები, რომელებიც კოდირებულია

ტექსტის ენაში და ამასთანავე დამოუკიდებელია მწერლის თუ მკითხველის კონტექსტისაგან, სემანტიკისა სფეროა, ხოლო დისკონტინუურობა –

კურსის ენა, რომელიც გამოიყენება შესაბამის კონტექსტში ტექსტის დეკოდირებისათვის, პრაგმატიკისა სფეროა.

ტექსტის ლინგვისტიკის და ლინგვოსტილისტიკის მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დისკურსის, ისევე როგორც სხვა სუპერვერბალური კატეგორიების, ფორმალიზაცია შეუძლებელია, მაგრამ ვერბალურ დონეზე უნდა არსებოდეს ის ლინგვისტური სიგნალები, რომლებიც ხელს უწყობს დისკურსის რეალიზებას. დისკურსი ასოციაციური დონის ფენომენია, მაგრამ მის წარმოშობას რეპრეზენტულ ანუ ვერბალურ დონეზე რადაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით შესაძლოა ავტორთა დაყოფა რაოდენობრივი ან თვისებრივი მსაზღვრელების მიხედვით: ა) მწერლები ან "სიტყვაუხვნი" არიან და მკითხველს ნაკლებად სჭირდება "სიდრმისეული წვდომანი" ტექსტის ადეკვატური გაგბისათვის (მაგ. დიკენსი; ოუმცა დიკენსთან თვისებრივი მსაზღვრელების – მისი ბრწყინვალე

მეტაფორების დეკოდირებაა საჭირო); ან "სიტყვაძუნწი" არიან, მათი ნათქვამი იმპლიკაციებითაა დატვირთული და შესაძლებლობას იძლევა ნაირგვარი ინტერპრეტაციებისათვის (ჰემინგუეი). რა თქმა უნდა, არსებობს ამ ნიშნით დაჯგუფებულ მწერალთა შორის "შუალედური" ავტორებიც (გოლსუროთი). ბ) დისკურსის მარეალიზებელი ვერბალური დონის ერთეულების "თვისებრივი" ნიშნით გამოყოფა უთუოდ სტილისტური შეფერილობის მქონე ენობრივ ელემენტებს ეხება. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ლ.პეინის წიგნში "The Lively Art of Writing" (1965) მოყვანილი მოსაზრება გამოდგება (თუმცა არაფერი აქვს საერთო დისკურსთან – ამას წიგნის გამოცემის წელიც ადასტურებს) – წერისას გამოიყენეთ "აუდიო-აქტიური" და "მაღალი ვოლტაჟის" მქონე ზმნები, რომლებიც "აღიზიანებენ" წარმოსახვას; რაც უფრო აქტიურია ზმნა, მით უფრო ცოცხალია სურათი, რომელსაც ის ქმნის. ლ.პეინი "აქტიურ" ზმნებს წერის ხელოვნებასთან დაკავშირებით განიხილავს, წარმოდგენილ ნაშრომში ისინი დისკურსის წარმომშობ ელემენტებათაა მიჩნეული. ლ.პეინის ავტორის სტილის გამომსახველობითი მხარე აინტერესებს, ამ ნაშრომში ისინი საპირისპირო მხარეს – მკითხველის დისკურსს უკავშირდება.

გაანალიზებულ მოთხოვნებში (ქმენსფილდის "The Wind Blows", არნ.ბენეტის "The Wind") აუდიო-აქტიური ზმნების გარდა ვიზუალურად-აქტიური და გრძნობად-აქტიური ზმნებიც მრავლად გხევდება – ყოველი მათგანი "მაღალი ვოლტაჟის" მქონე ზმნაა და ძალზე ექსპრესიულ სურათებს ქმნის, რაც სტიმულს იძლევა წარმოსახვის გააქტიურებისა და ამის საფუძველზე დისკურსის შექმნისათვის.

### ტექსტის საკარული

სასხვნი ნიშნების რეალიზაციის ზოგადი თავისებურებები ვ. გულვის ნაწარმომბის – „შეზრისაპმ“ – მიხედვით

1. ვ.ვულვის რომანი „შუქურისაკენ“ ავტორისეული იდუმალებით გაუდენოთილი ნაწარმოებია. მწერლის ამ ქმნილებას სამართლიანად უწოდებენ ხოლმე „ნამდვილ შედევრს“, რამეთუ ნოვატორული ენობრივი საშუალებებით აღწერილი სინამდვილე ამართლებს მწერლის ინტენსიას, მთელი სიმართლით გადმოგვცეს გმირთა განცდები, რაც, თავისი მხრივ, დაკვირვებული, ფილოლოგიურად განსწავლული მკითხველისაგან, ოსტატურად

რეალიზმული ემოციური მუხტის მთელი სიძლიერით აღსაქმედად, ფრთხილ დეკოდირების უნარს მოითხოვს;

2. რომანში რეალიზმული თხრობის მანერა მრავალი საინტერესო პარამეტრით ხასიათდება. ლექსიკის, გრამატიკული ფორმებისა და სასვენი ნიშნების რითმულ სერათოან დაქვემდებარება ვაულფის მხატვრული სტილის გამნსაზღვრელია; ასეთი დაქვემდებარების შედეგია ნაწარმოებში თეორი ლექსის ტექნიკით შექმნილი მაღალმხატვრული პასაჟები;

3. სასვენი ნიშნების ვირტუოზული გამოყენება ვაულფის ნაწარმოების „შუქურისაკენ“ ერთ-ერთი ძლიერი მახასიათებელია. მწერალი მეტად ორიგინალურად იყენებს წერტილ-მძიმეს, ფრჩხილებს, კითხვით ნიშნებს და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესოა ის კონტექსტები, სადაც სასვენი ნიშნების დახმარებით ხდება გარევეული მოდალობის რეალიზაცია;

4. მთელ რიგ შემთხვევებში სასვენი ნიშნები შეიძლება, ინფორმაციული ან ემოციური პაუზის გაკეთების აუცილებლობაზე მიუთითებდეს;

5. სასვენი ნიშნების არა მარტო გამოყენება, მათი უგულებელყოფაც ვ. ვალფის შემოქმედებითი ტექნიკის დამახასიათებელი პარამეტრია, რაც, უმეტესად, გამოყენებულია გარკვეული რითმის სარეალიზაციოდ, გმირის შინაგანი განცდების გადმოსაცემად და ა.შ.;

6. ნაწარმოებში პირდაპირი მეტყველების მიმანიშნებელი სასვენი ნიშნები უმეტესად უგულებელყოფილია, რაც „ცნობიერების ნაკადის“ მიმართულების ტექსტისათვის უცხო არ არის. ეს აისხება იმით, რომ სასვენი ნიშნების ასეთი ნიველირება ტექსტს უფრო რითმულსა და მოქნილს ხდის;

7. ირიბი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სასვენი ნიშნების გამოყენების წესები უმეტესად დაცული არ არის და გადატანილ სტრუქტურებში შესაბამისი პირდაპირი მეტყველების რეალიზაცია დიდი ასოთია წარმოდგენილი. ჩვენი ვარაუდით, ამ გზით ავტორს სურს, რომ გმირის ტექსტი ირიბ მეტყველებაშიც გამოირჩოდეს;

8. ჩამოთვლისას და მხატვრული გამეორებისას მძიმის ნაცვლად ავტორი ხშირად წერტილ-მძიმეს ან ორწერტილს იყენებს, რაც გახანგრძლივებულ პაუზას გულისხმობს. ჩამონათვალის წერტილ-მძიმით წარმოდგენა გრადუალურ კულ-მინაციას უფრო ამწვავებს და, შესაბამისად, ემოციურად ტვირ-თავს. ასეთი სახით წარმოდგენილი კონტექსტი, უმეტესად, შემაჯამებელი დასკვნით (afterthought) სრულდება ხოლმე;

9. „ცნობიერების ნაკადის“ მიმართულებისათვის დამასახითავტებელი პრინციპებით წარმოდგენილ პირდაპირ მეტყველებაში სასვენი ნიშნებიც ავტორის ინტენციას ექვემდებარება და ინფორმაციაც გარკვეულ შინაარსობრივ წიაღსვლას მოითხოვს;

10. გ. ვულფის ნაწარმოებში „შუქურისაკენ“ „ცნობიერების ნაკადის“ მიმართულებისათვის დამახასიათებელი „გაშლილი ჩართული კონსტრუქციები“, რითმისა და პოლიფონიურობის შეგრძნების გაადვილების მიზნით, უმეტესად ფრჩხილებშია წარმოდგენილი.

### **ნინო დარასელია შორისდებული ურეიმული სმიანტიკის თგალსაზრისით**

როგორც ცნობილია, კოგნიტოლოგთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც დისკურსში მეტაშეტყობინების როლს ასრულებენ და ფრეიმული ტიპის კოგნიტური სტრუქტურების აქტივაციას იწვევენ ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს შეიძლება შორისდებული მივაბუთვნოთ.

კომუნიკაციისას, დისკურსში საკვანძო მნიშვნელობის მქონე რელევანტურობის პრეზუმეციის მატარებელი შორისდებული ასრულებს ოსტენსური სტიმულის როლს – იგი იყერობს ადრესატის უურადღებას, მიმართავს მას რელევანტურ ინფორმაციაზე, ასრულებს დისკურსში მეგზურის როლს, რაც ადრესატს ადრესანტის ინტენციის ამოცნობაში ებმარება. ამასთან ერთად, შორისდებული ახდენს ადრესატის აზროვნების სტიმულირებას და გარკვეული ტიპის ფრეიმის ან ფრეიმების ერთობლიობის აქტივაციას. ინდივიდი შეტყობინების აღქმისას აგებს მენტალურ სივრცეს, რომლის ფარგლებში (ჩარჩოში) იგი ახდენს ტექსტით ოპერირებას. აქტივირებული ფრეიმი / ფრეიმები ქმნის შეტყობინების ინტერპრეტაციისათვის ინფერენციულ საფუძველს.

## **მანანა რ უსიეშვილი კომუნიკაციის სოციალურ-პოზიტიური მოდელი და ლინგვისტური თავაზიანობა**

თანამედროვე ენათმეცნიერება დღეს წარმოუდგენელია პრაგმატიკის თეორიის გარეშე, რომელიც ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგად რამდენიმე ათეული წლის წინ ჩამოყალიბდა. პირველ ეტაპზე მისი საკლევი საკითხების დიდი ნაწილი შეადგინა იმ შეკითხვებმა, რომლებსაც პასუხი ვერ დაეძებნა მაშინდელ ლინგვისტიკაში. სწორედ ამიტომ უწოდებდნენ პრაგმატიკას “ლინგვისტიკის სანაცვეს”. ამითვე აისხება ამ თეორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გარკვეული ეკლექტურობა და სიჭრელე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შესაძლებელად გვეჩენება სენებულ პრობლემათა ორ ძირითად ჯგუფში მოქცევა: პირველ ჯგუფში გაერთიანდება პრაგმატიკის თეორიისათვის რელევანტური სოციალური, ეთნიკური და კულტუროლოგიური საკითხები (ლინგვისტური თავაზიანობის თეორია, დისკურსის ანალიზი, კონვერსაციის ანალიზი), ხოლო მეორე ჯგუფში - კოგნიტური ხასიათის პრობლემატიკა (ინფერნციული პროცესები, რელევანტურობის თეორიის პრობლემატიკა, გამონათქვამის კოდირებისა და დეკოდირების რელევანტურობის კვლევა და ა. შ.)

მოხსენების მიზანია ა) პრაგმატიკის თეორიაში არსებულ ამ ორ ძირითად ჯგუფს შორის ხიდის გადება, მათი “შერიგება” და როგორც სოციალური, ისე კოგნიტური მომენტის შემცველი ინტეგრირებული მოდელის აგება; ბ) ამ მოდელში ლინგვისტური თავაზიანობის თეორიისათვის ადგილის მიჩენა.

### **ნათია ნემსაძე**

#### **გრამატიკალიზაციის მექანიზმის დაგენერიკულობა**

კონკრეტული კატეგორიების გრამატიკალიზაციის კვლევისას დადგინდა ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ამ პროცესს განაპირობებს: ეს არის კოგნიტიური და კომუნიკაციური ფაქტორები. ცნობილია, რომ მოსაუბრები თავისი აზრის გამოსახატავად საკუთარი კოგნიტიური სტრუქტურების ამსახველ ლინგვისტურ სტრუქტურებს ქნიან. მაგრამ თუკი საუბრისას ასეთი სტრუქტურები ხშირად გამოიყენება, ისინი რუტინულ და ავტომატურ ხასიათს იძენენ. მაგრამ სხვადასხვა ენებში სხვადასხვა კატეგორიები გრამატიკალიზდება, რადგანაც ადამიანებს განსხვავებული კოგნიტიური სტრუქტურები და

საკომუნიკაციო მიზნები აქვთ. გრამატიკალიზაციის პროცესის გააზრდისას გამოყოფენ არა მხოლოდ იმ კატეგორიებს, რომლებიც გრამატიკალიზაციისაკენ მიისწავიან ხოლმე ენებში, არამედ იმ მიზეზებსსაც, თუ რატომ არ ხდება ამ კატეგორიების გრამატიკალიზაცია კველა ენაში. მიიჩნევენ, რომ გრამატიკალიზაციას განაპირობებს გარკვეული კოგნიტიური კატეგორიების მიერ შექმნილი წინასწარი განწყობები. მიჩნეულია, რომ კატეგორიების გრამატიკალიზაციის მიზეზები შეიძლება იყოს: ა) შემთხვევებითობა, ბ) კულტურულოგიული საფუძვლები, გ) რაიმე კატეგორიის გრამატიკალიზაციის ენის აწ არსებულ გრამატიკულ სტრუქტურაზე დამოკიდებულება. ახალი გრამატიკული კატეგორიების წარმოქმნა მოტივირებულია თანამედროვე გრამატიკული სისტემით ან ეს უკანასკნელი ხელს უშლის მათ წარმოქმნას.

ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა სინგაქსური ცვლილებების ბუნებას, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ცვლილებები თანდათანობით ხორციელდება: ეს შეიძლება იყოს სიტყვათა წყობის ცვლილებები, წინადადების ახალი სინგაქსური სტრუქტურის წარმოქმნა, გრამატიკული მარკერების გამოჩენა და ა.შ. ბევრ მკვლევარს უფრო ცვლილების პროცესი აინტერესებს, ვიდრე ერთი ფორმისა თუ ფუნქციის მეორეში ტრანსფორმაციის შედეგი (ტიმბერლეიკი, ჰოპერი და მარტინი). ენობრივი ცვლილებების კვლევისას მეც აქცენტს უფრო თვით პროცესის შესწავლაზე გავაკეთებდი.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში ერთი სტრუქტურა მთლიანად იცვლება მეორე სტრუქტურით, მაგრამ ეს არასდროს ხდება ერთაშემაგრე: ბარკვეული პერიოდის დროს ორივე სტრუქტურა ერთდროულად ფუნქციონირებს ენაში და მათ თანასწორი უფლებებიც კი აქვთ. ხანდახან ეს ორი სტრუქტურა თავისუფლად ცვლის ერთმანეთს ენის მატარებელთა მთელ გარემოცვაში, ხანდახან კი, მხოლოდ ბარკვეულ გარემოში ხდება შესაძლებელი მათი ჩანაცვლება. ენობრივი ცვლილებების გრადუალურობა ვარიაციულობითაც ხასიათდება.

ენის სისტემაში კანონზომიერი და შემთხვევებითი მოვლენებისა და ენის ცვალებადობის კვლევისათვის გადამწყვეტ ფაქტორად მიმართია ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პრიგოვინის თეორიისა და ეწ. ბრიუსელის სკოლის პარადიგმის გამოყენება და მისადაგება. ცვალებადობის პრიგოვინისეული თეორია შეიძლება საფუძვლად დაედოს ყველანირი ცვლილების ფაქტს ენასა და მეტყველებაში და მოგვცეს ამ ცვლილების სქემა, რომელიც უკვე გამოყენებულია

სხვადასხვა მეცნიერებებში ცვლილებების კანონზომიერებების დასაღებად.

## გ ი რ ა ბ ი შ უ ფ ა რ ა ძ ი

### ტექსტის ვონოლოგიური სებმენტაციის საპითხისათვის

იმის აღიარება, რომ ტექსტი შეიძლება დაიშლოს შემადგენელ სეგმენტებად და მასში გამოიყოს ფონების ფორმატის ერთეულში გაერთიანებული ჯგუფები, სხვა არაფერია თუ არა ზედაპირული ძიება. რეალურად ჟღერად ტექსტს მკაფიოდ გამოხატული კონტინუალური ხასიათი და ის ერთეულები აქვთ, რომელებიც შესაძლებელია ადვილად წარმოჩინდნენ დროით-სპექტრულ სურათში. მოცემულ ერთეულებს საერთოდ არ გააჩნიათ ენობრივი დირქეულება.

ჩვეულებრივ ვერდნობით იმ მოსახრებას და ტრადიციულ შეხედულებათა იმ გრძლივ ჯაჭვს, რომელთა საფუძველზეც აღიარებულია ენაში ფონემათა სისტემების არსებობა. ამ, ერთი შეხედვით, საკამათო საკითხის ამოსავალ წერტილად დისკრეტული ერთეულების (ფონემების) აღმოჩნის რთული პროცესი ითვლება. ეს უკანასკნელი ხომ ამა თუ იმ ფონემათა კონკრეტულ წარმომადგენლებად გვევლინებიან.

ეჭვერარეშეა, რომ სეგმენტაციის პრობლემა ლინგვისტურ (ენობრივ) და არა “ბუნებრივმეცნიერულ”, ანუ აკუსტიკურ ან, თუნდაც, ფიზიოლოგიურ ხასიათს ატარებს. აქვდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტი წინალინგვისტურ მასალას როდი ურთავს ლინგვისტურ (ენობრივ) კრიტერიუმებს. უფრო მეტიც, იგი მუშაობას ტექსტის ფონოლოგიური, ფონემური ჩაწერით იწყებს. სეგმენტაციისავარ მიმართული ყველა მანიპულაცია სხვა არაფერია, თუ არა ტექსტის ფონოლოგიური დაყოფის დამამტკიცებელი საბუთი. ფონემათა ფონოლოგიური რეალიზაცია დასტურდება ერთდროულად ტექსტის ფონემურ ინტერპრეტაციასთან ერთად ან მის შემდეგ.

ჩვენი აზრით, ფონოლოგიურმა სეგმენტაციამ თავად უნდა მოგვცეს მინიმალური ფონოლოგიური სეგმენტები, ამიტომ სხვა დამატებითი გამოყენება სავსებით ზედმეტია. მირითადი კრიტერიუმი ამ პროცესში განსახილველი სეგმენტის მორფოლოგიური დაყოფადობის უნარის გარკვევაა. ეს უკანასკნელი კი თავს იჩენს როგორც მორფემული საზღვრის გავლისას, ისე მორფოლოგიზირებულ ჩანაცვლებებში, თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში კრიტერიუმი საჭიროებს უფრო დაწვრილებით ანალიზსა და მტკიცებულებას. ტექსტის

ფონოლოგიური სეგმენტაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მარცვალს ენიჭება. ფონოლოგირ თეორიაში ეს უკანასკნელი ნაკლებადად შესწავლილი, ვიდრე სეგმენტური ფონოლოგიის სხვა უფრო მყარი შემადგენელი ნაწილი. ზოგიერთ ნაშრომებში მარცვალი ან საერთოდ უარყოფილია ან ნაკლებად ფიგურირებს. ავტორთა გარკვეულ ნაწილს საქვთვდაც კი მიაჩნია მარცვლის არსებობა სამეტყველო აქტებში.

ასეა თუ ისე, საზოგადოდ მიჩნეული ფაქტია, რომ თანამდეროვე მეცნიერებაში ზესეგმენტურ ერთეულთა ფორმიერება გარკვეული რაოდენობის სეგმენტურ ერთეულთა ჩამოყალიბება-განვითარების შემდგომ ხორციელდება. ისინი ამ უკანასკნელთა შინაგანი კომუნიკაციური შინაარსის ერთგვარ გამფორმებლებად გვევლინებიან.

### გართიამ მეტრებელი

#### ტიპური შეცდომები ინგლისური ენის შემსწავლელ ძართველ სტუდენტთა მეტყველებაში

ინგლისურ ენაზე მეტყველებისას ქართველი სტუდენტისათვის ყველაზე ძნელად დასაძლევი ის ფონეტიკური მოვლენებია, რომლებიც, ერთი შეხედვით, იდენტური სჩანს, მაგრამ სინამდვილეში, მის მშობლიურ ენაში სრულიად განსხვავებულია.

ჩვენ შევეცადეთ, ყურადღება გაგვეძახვილებინა ყველაზე ტიპურ შემთხვევებზე, რომელთაც სწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

თანხმოვნებზე მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე ენაში არსებული ბგერები t, d, n, s, z, l ინგლისურში ნუნისმიერია, ხოლო ქართულში კი დენტალური.

ქართული [r] არის წინაენისმიერი, დორსალური, ალვერლარული, ხოლო ინგლისური [r] კი წინაენისმიერი, პაკუმინალური, პოსტ-ალვერლური.

ქართულში სიგრძე-სიმოკლის მიხედვით ხმოვანთა კლასიფიკაცია არ ხდება, მაშინ როცა ინგლისურში ხმოვნის დაგრძელებამ ან დამოკლებამ შესაძლებელია მნიშვნელობის შეცვლა გამოიწვიოს.

ლაბიალიზებული ხმოვნები [r] და [z] ინგლისურში მხოლოდ მომრგვალებულია, მაშინ როცა ქართულში წინ წამოშვერილი ბგერით წარმოითქმის.

ინგლისური სონანტები [l], [m], [n] ინგლისურში მარცვლებს ქმნიან, თუ მათ წინ თანხმოვანი უძღვით, ხოლო ქართულში მათ მარცვლის შექმნის უნარი არ აქვთ.

გაბმულ მეტყველებაში, როცა ორი ინგლისური ხშელი ერთად იყრის თავს, პირველს არტიკულაციის მხოლოდ ორი საფეხური (ხშა და დაყოვნება) აქვს, ხოლო ქართულში ორივე ხშელს სამივე საფეხური აქვს.

როცა ინგლისურში ხშელს მოსდევს ნაზალური სონანტი, განხეშა ნაზალურია, ხოლო ქართულში კი – ორალური.

ინგლისურში გვაქს პროგრესული, რეგრესული და ორმხრივი ასიმილაცია, ქართულში კი მხოლოდ რეგრესული, ამიტომ ქართველები ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა მშობლიური ენის ჩვევები ინგლისურში არ გადაიტანონ.

მახვილი ინგლისურში დინამიურია, მნიშვნელობის განმასხვავებელი (ფონოლოგიური), ქართულში კი ფიქსირებულია და ფონეტიკური.

ძლიერი მახვილის გამო ინგლისურში უმახვილო მარცვლებში მყოფი ხმოვნები განიცდიან რედუქციას, მაშინ როცა ქართულში, სადაც მახვილი ძლიერი არაა, ხმოვნები უმახვილო პოზიციებში ინარჩუნებენ მათ თვისებებს.

ქართული და ინგლისური ენების ინტონაცია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

ინგლისური ენის თხრობით წინადადებებში I უმახვილო მარცვალი წარმოითქმის ყველაზე მაღალი ტონით (ქართულში ყველაზე დაბალი ან საშუალო ტონით); მომდევნო მარცვლები თანდათანობით დაბლა ეშვება და, ჩვეულებრივ, ტონი ეცემა ბოლო მახვილიან მარცვალზე (ქართულში ტონი ეცემა ბოლო უმახვილო მარცვალზე)

ქართულს არ ახასიათებს ინგლისურისათვის ტიპური ტონის მკვეთრი ვარდნა წინადადების ბოლოს.

## 0 ზ ა პ ე ლ ა პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი დეისისის პატობორიენტის რეალიზაცია აგრორისეულ ტიაღისგვეგში

**დეიქსისი** პრაგმატიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც ემსახურება ენასა და კონტექსტს შორის დამოკიდებულების ასახვას ენაში არსებული სტრუქტურების მეშვეობით. დეიქსისის თემა, ანუ ინდექსური გამოთქმები (indexical expressions/indexicals) განხილულია მთქმელის კონტექსტში: *დეიქსისის ცენტრად მიჩნეულია მთქმელის ლოკაცია და ყოველგვარი ინდექსური გამოთქმა მასთან მიმართებაში დგინდება.* განვასხვავებო დეიქსური გამოთქმების ორგვარ გამოყენებას: **რეფერენციულს** და **ატრიბუტულს/განსაზღვრებითს.** რეფერენციული მნიშვნელობით მნიშვნელოვანია მთქმელის

ინტენცია და ადრესატის მიერ გამიზნული რეფერენტის წარმატებით მოთავსება, რაც შესაძლებლობას გაძლიერება დავადგინოთ მთქმელის რეფერენცია სემანტიკური (განსაზღვრებითი) რეფერენციის საპირისპიროდ.

მოხსენებაში წარმოდგენილია დეიქსისის ტრადიციული კატეგორიების – პირის, ადგილის/სივრცობრივი, დროის/ტემპორალური, ასევე, დისკურსის/ტექსტის და სოციალური დეიქსისის კატეგორიების ანალიზი და მათი რეალიზაციის ლინგვისტური საშუალებები ავტორისეულ წიაღსვლებში ინგლისური რომანის მასალაზე.

• **პირის დეიქსისი** ეხება მონაწილის როლის გადმოცემას სამეტყველო ხდომილებაში. ყოველგვარი მითითება, ანუ ინდექსირება ხდება იმ პირის მიერ, ვისაც ეკუთვნის ეს გამონათქვამი. აგტორისეულ წიაღსვლებში ეს პირი ყოველთვის არის პირველი პირი – ავტორი, თუმცა პირის კატეგორია შეიძლება იყოს ან არ იყოს ვერბალურად გამოხხატული.

• **ადგილის/სივრცობრივი დეიქსისი** ეხება სივრცობრივი ადგილმდებარეობის გამოხატვას სამეტყველო ხდომილებებში მონაწილეთა მდებარეობასთან მიმართებით. განვასხვავებთ **პროქსიმალურ/Proximal** (მთქმელთან ახლოს) და **დისტალურ/Distal** (არა-პროქსიმალურ/ადრესატთან ახლოს) კატეგორიებს, რომლებიც ძირითადად გამოხხატულია ჩვენებით ნაცვალსახელებში და ადგილის დეიქსურ ზრნიზედებში.

• **დროის/ტემპორალური დეიქსისი** ეხება ტემპორალური მომენტებისა და მონაცემების გამოხატვას გამონათქვამის ზეპირად ან წერილობით გადმოცემის დროსთან მიმართებით. ამ უკანასკნელს ლევინსონი უწოდებს კოდირების დროს – Coding time- CT, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს მიღების დროისაგან – Receiving Time – RT. როდესაც RT იდენტურია CT – სი, ადგილი აქვს დეიქსურ სინქრონულობას (*deictic simultaneity*).

• **დისკურსის/ტექსტის დეიქსისი** ეხება გამონათქვამში გამოყენებულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, რომლებიც მიუთითებს დისკურსის იმ ნაწილს, რომელიც ამ გამონათქვამს შეიცავს (თვით გამონათქვამის ჩათვლით). ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ დისკურსის **თემატურ მარკირებას**, რომლის ძირითადი ფუნქციაც არის წინმსწრებ (წინარე) დისკურსში წამოჭრილი მარკირებული გამონათქვამის დაკავშირება რომელიმე განსაზღვრულ თემასთან.

• **სოციალური დეიქსისი** ეხება სოციალურ განსხვავებათა კოდირებას მონაწილეთა როლებთან მიმართებით, კერძო,

მთქმელსა და ადრესატს/ადრესატებსა ან მთქმელსა და რეფერენტს შორის სოციალურ ურთიერთობათა ასპექტში. სოციალური დეიქსისის გამომხატველია ნაცვალსახელთა მხოლობითი/მრავლობითი ფორმები, პატივისცემისა და მოწიწების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები (honorifics), წოდებითი ფორმები (vocatives) და ენაში არსებული ტიტულებისა და მიმართვის სხვადასხვა ფორმა.

## 03 ვხაძაძე სიმულაპრა, ზანტაზმა, რეპლაზმა, მითი და ადამიანთა საზოგადოება

1. სიმულაპრის და რეპლამის ზოგადი თეორიული დახასიათება არ ისახავს მიზნად კონკრეტული კლიპის ან კლიპთა სიმრავლის დახასიათებას და კლასიფიკაციას. ეს მირითადად დასახელებულ საკითხთა ირგვლივ არსებულ შეხედულებათა ერთად თაგმოყრა და წარმოდგენაა. ნებისმიერი დასახელებულ მოვლენათაგან უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებისათვის, თუნდაც იმ ძილ-ბურანიდან გამოსაღვიძებლად, რომელშიც დღეს რეკლამა და მის მიერ შექმნილი სამყარო ქმნის. ნებისმიერი პიროვნება, ქვეცნობიერად და გაცნობიერებულად, ამ სამყაროში მოქმედი ძალების მორჩილია და მათ მიერ იმართება. ამდენად, ქვემოთმოყვანილი თეორიული მოსაზრებანი ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული კონკრეტული რეკლამური მოვლენის გასაანალიზებლად. თანამედროვე რეკლამის ერთ-ერთი ტიპი – კლიპი – ისეთი აუდიოვიზუალური საშუალებაა, რომელშიც, როგორც ნარატიულ ინსტანციაში, ყველაფერი ემსახურება ამბის, თხრობის აგებას და აგტორის სიმბოლური (კირტუალური) სამყაროს გახსნას.
2. კლიპი, როგორც ინტერტექსტუალობის და ფსიქოანალიზის ფენომენი. კლიპის ენობრივი რეალიზაცია.
3. სიმულაცია და სიმულაციონისტური მოძრაობა; ამ მოძრაობის პრინციპები და წარმომადგენლები. კლიპის ადგილი მასშედიაში, როგორც ლექტანის ძირითადი პრინციპის „მედია-მესიჯია“ რეალიზაცია.
4. უან-ბოლდრიიარი სიმულაციის მოვლენის ერთ-ერთი ძირითადი ინტერპეტატორი. ობიექტთა დომინირება სუბიექტზე, ნიშანთა სიჭარე, მნიშვნელობის და, შესაბამისად, რეალობის გაქრობა. თანამედროვე საზოგადოება, როგორც სიმულაკრთა და ფანტაზმა (მოჩვენებათა) სამყარო; ბოდრიიარი – პოსტმოდერნის ერთ-ერთი ძირითადი სახე.

4. სიმულაკრების ინტერპრეტაცია პლატონის, ეპიკურეს და დელეზის თვალსაზრისით. სიმულაკრი და ფანტაზმა (მოჩვენება), როგორც საზოგადოების ძირითადი მახსიათებლები. მთი, და მარადიული დაბრუნების მითი სამულაკრთა წრებრუნვაში. სიმულაკრი, როგორც მარადიული სიყალბის, უსასრულო სიყალბის პროდუქტი; ფანტაზმა – ამ პროდუქტის ეფექტი. რეკლამა – სიმულაკრის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახე, რომლის ძირითადი იმპულსია პიროვნებაზე ზემოქმედება, ხოლო მიზანი – გასაღება-მოხმარება. თანამედროვე ადამიანი სიმულაკრების და ფანტაზმების არარეალურ, დემონურ სამყაროში ცხოვრობს.

## თათეზვილი თეა

### დროისეული ანაქრონიების როლი მხატვრულ ტემსუზი

1. დროისეული ანაქრონიები დიდ როლს ასრულებენ ტექსტის დეკოდირებასა და ინტერპრეტაციაში. ჟერარ ჟენეტი განასხვავებს რეტროსფერულ და პროსფერულ ანაქრონიებს, რომელებიც ფოკალიზაციის და მიხედვით შეიძლება იყოს სუბიექტური ან ობიექტური. გარდა ინფორმატიულ და ექსპლიკაციურ ფუნქციებს მათ აქვთ აგრეთვე ინტერტექსტუალური და გენერაციული ფუნქციები. ამგვარად, სწორედ ამ ინტერტექსტუალური და გენერაციული ფუნქციებით ახდენენ დროისეული ანაქრონიები მხატვრული ტექსტის დეკოდირებას.

2. მხატვრული ტექსტის მრავალგანზომილებიან სტრუქტურაში პროლეფსისი და ანალეფსისი, რომელიც ასევე ცნობილია **flash-back**-ის სახელით, წარმოქმნის ისევე როგორც **mise en abyme**, მიკრო-ტექსტებს, მაგრამ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, არ იმეორებს მთავარი ტექსტის სიუჟეტსა და თქმატიკას, არამედ ქმნის ახალ მიკრო ტექსტებს, რაც თვით ტექსტში იწვევს ახალი ტექსტობრივი სამყაროს წარმოქმნას. ვინაიდან, დროის მანიპულირებით, პროლეფსისი და ანალეფსისი ამჟარებენ კავშირს ამ ახალ მიკროტექსტებს შორის და შემდეგ მათი განლაგებით ქმნიან სუპერტექსტს, ანუ პიპერტექსტს.

3. კლოდ სიმონის რომანში „აკაცია“, რომელიც სტრუქტურითა და შინაარსით წარმოადგენს პოსტმოდერნისტულ რომანს, დროისეული ანაქრონიები ფუნქციონირებენ როგორც ნარატიული კოდი. ანალეფსისებითა და პროლეფსებით შექმნილი მიკრო და ქვემიკროტექსტების უწესრიგო განლაგებით აღწევს კლოდ სიმონი „აკაციაში“ რომანის ქაოსური სტრუქტურის სახის შექმნას.

მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება თითქოს მთელი ორმანი ერთი გრძელი ფრაზაა.

4. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედია რომანის ბოლო ეპიზოდი, როდესაც ნარატორის გონიერების ოპერაციული დრო. მ. ტაბაჩნიკისა და გ. გიორგის მიხედვით ოპერაციული დრო წარმოდგენილია, როგორც ვირტუალური ნიშის ტრანსფორმაცია თანმიმდევრული განხორციელების პროცესში. ანაქონიებისგან განსხვავებით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ექსპლიციტურ ზედაპირს, ოპერაციული დრო მიეკუთვნება სიღრმისეულ ტექსტურ სტრუქტურას. იგი უნიკალურულია, განსხვავებით პლურივექტორული თხრობის დროისაგან.

5. აკაციის ფოთლების ფორმა ნარატორში იწვევს კალმის ასოციაციას, რაც მას შთააგონებს წერას და რაც მას საბოლოოდ საშუალებას აძლევს იპოვოს თავისი არსებობის მიზანი და ცხოვრების ქაოსური მოძრაობა პარმონიულობით შეცვალოს. ეს დამოკიდებულება ერთდროულად მსგავსია და უპირისპირდება პრუსტის ხედვის. საქმე ეხება წერის საშუალებით იპოვო “დაკარგული დრო”, მაგრამ, პრუსტისგან განსხვავებით, კლოდ სიმონს არ სჯერა “დროის პოვნის” შესაძლებლობის. ის ეთანხმება ჰეგელის ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც „ისტორიას აქვს დასასრული“, მეხსიერებას არ შეუძლია წარსულის აღდგენა.

## გეთეგან გაბუნია

### ენობრივი დაბეგმარების სრულილებისსტური ფენომენი

1. დღევანდელი ფრანკოფონია, როგორც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი (ეროვნული) სახე, გულისხმობს ფრანგული ენის პოზიციების გასამყარებლად მიმართულ ყველა სისტემური ხასიათის დონისძიებას (შიგნით თუ გარეთ) და, შესაბამისად, წარმოადგენს ერთ-ერთ სოციოლინგვისტურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტას აქვს არა მხოლოდ თეორიულ-მეცნიერული, არამედ პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც.

2. ტერმინები „ენობრივი პოლიტიკა“, „ენობრივი დაგეგმარება“ და „ენობრივი შენებლობა“ სხვადასხვა მოცულობის და შინაარსის ცნებებია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მათი მნიშვნელობა გაიგივებულია. ჩვენი აზრით, „ენობრივი პოლიტიკა“ ორივე ცნებას მოიცავს: დაგეგმარება არის გრძელვადიანი ენობრივი დონისძიებების შესრულების გეგმა, ხოლო ენობრივი მშენებლობა – მის განსახორციელებლად ჩატარებული

პრაქტიკული მუშაობა. ენობრივი პოლიტიკა ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

3. ენობრივი სიტუაცია არის სინქრონული და დიაქრონული ფენომენი. პირველი გულისხმობს კონკრეტულ სიტუაციასა (ენის მდგმორეობისაგან განსხვავებით) და ენათა ურთიერთობებს მოცემულ ლოკალურ სივრცეში, მეორე – ამ ლოკალური სიტუაციის სხვადასხვა ქრონოლოგიას. ენობრივი სიტუაცია დინამიკური ცნებაა, რომლის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს როგორც ობიექტური (სხვადასხვა ენის მატარებელთა რიცხვი, დამწერლობა (ძველი თუ ახალი), ისე სუბიექტური ფაქტორები; არსებული ენობრივი სიტუაციის შენარჩუნების ან შეცვლისათვის სახელმწიფოს სხვა რომელიმე სტრუქტურა შესაბამის დონისძიებებს ატარებს.

4. ფრანკოფონიის ხარისხობრივი ქრონოლოგიური ცვლილება საბოლოო სახით ჩამოყალიბდა როგორც მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი ენობრივი პოლიტიკის მოდელი. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ეტაპი: ა) ბრძოლა ფრანგული ენის უფლებებისათვის (ლათინურთან მიმართებაში), ბ) ფრანგული კოლონიზაციის ენა, გ) ფრანგული – როგორც აულტურის, თავისუფლების სიმბოლო და მსოფლიო ელიტარული საზოგადოების ენა, დ) ფრანგული ენის პოზიციების დამობა და შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება – განხორციელება მისი დღვევანდელი პოზიციების შენარჩუნებისათვის.

## ეთერ გელგარე ლოკალური პრანგა თანამდეროვე ფრანგულ ენაში

1. „ლოკალური ფუნქცია“ ბრუნვის კატეგორიად და გამოხატავს სივრცობრივ-დროისეულ მიმართებებს. ისინი ზნის მოღიგიატორებად იწოდებიან, რადგან ზნის ჯგუფში შემავალი დამატებების მსგავს მიმართებებს არ ამჟარებენ მასთან.

2. წინადადების სიღრმის სტრუქტურა შედგება ზნისა და ერთი ან მეტი სახელადი ჯგუფისაგან; თითოეული მათგანი დაკავშირებულია ზნისათან ბრუნვის განსაზღვრული მიმართებით – სიღრმეული ბრუნვების უნივერსალური სისტემა სინტაქსური ბუნებისაა და არა მორფოლოგიური.

3. გენერაციული გრამატიკის მიხედვით ზედაპირულ სტრუქტურაში ბრუნვები შემოიყვანება სპეციალური წესებით და გამოხატავს სიღრმეულ და ზედაპირულ მიმართებათა სხვადასხვა ტიპს. ამავე წესების გამოყენებით ვლინდება ის გრამატიკული მახასიათებლები, რომელთაც არ აქვთ „მორფემული“

რეალიზაცია, მაგრამ სინამდვილეში არსებობენ და გამოიხატებიან ბრუნვის მორფებისაგან სრულიად განსხვავებული სინტაქსური მიმართებებით.

4. ტერმინი „ბრუნვა“, ჩ. ფილმორის აზრით, სიღრმული სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებაა, ხოლო ტერმინი „ბრუნვის ფორმა“ – ბრუნვის მიმართების გამოხატვა კონკრეტულ ენაში; იგი ნებისმიერი ფორმით შეიძლება გამოიხატოს – აფიქსაციით, სუპლეტიურობით, ენალიტიკური თუ პროკლიტიკური ნაწილაკების დამატებით, სიტყვათა რიგის შეზღუდვით.

5. ბრუნვის მორფების როლი შეიძლება წინდებულებმაც შეასრულონ. „დოკალური ფუნქციები“ შეიძლება გამოიხატოს ნულოვანი წინდებულით, არსებითი სახელის მიერ არჩეული წინდებულით; ზოგიერთი ზმნა სპეციფიურ წინდებულს თხოვლობს. არსებითი სახელის წინდებულიანი ხმარება აფართოებს ბრუნვის მნიშვნელობას. თუ წინდებული NP-ს აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მაშინ ისინი წარმოადგენერ ერთი და იმავე სიღრმული ელემენტის, მაგალითად K (kasus-ბრუნვა) რეალიზაციას.

## გეზეა პინტურა შვილი 05 ტერტიულური სტუდია ლინგვისტური კვლევის ობიექტი

1. ლინგვისტიკაში ინტერტექსტუალობის პრობლემატიკის შესწავლა უახლოეს წარსულს უკავშირდება, იმდენად რამდენადაც ინტერტექსტუალობის ფენომენი განიხილებოდა როგორც წმინდად ლიტერატურული კატეგორია. ამავე დროს, უდავოდ ის მნიშვნელობა, რასაც უცხო ტექსტში ინტერტექსტის ჩართვის კონკრეტული ფორმები თუ სახელი იძენს.

2. ინტერეტექსტუალობის ფენომენი თანდათან იქცევდა ლინგვისტების, განსაკუთრებით კი ტექსტის ინტერპრეტაციაში მომუშავე მეცნიერების უურადღებას. მათი შესწავლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, განეხილათ ინტერტექსტური ფენომენის არსი, გაეანალიზებინათ, თუ როგორ და რატომ გახდა ინტერტექსტუალობა ლინგვისტიკის კვლევის საგანი. ინტერტექსტუალობის ლინგვისტური ანალიზის დროს წინა პლანზე გამოდის ტექსტის კომუნიკაციური ასპექტი, ანუ პროდუციენტის და რეციპიენტის ურთიერთქმედება და მეტატექსტური კომპონენტების შეღწევა სხვა კომუნიკაციურ სივრცეში.

3. ინტერტექსტულობის მრავალმხრივი კონცეფციის თანახმად ამ ტერმინს აქვს საკმაოდ გამჭვირვალე შინაგანი

ფორმა („ინტერ”-შორის). ინტერტექსტუალობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოქმედებითი აქტები ხორციელდება იმ ენაზე, იმ მასალაზე, იმ ტრადიციის მიხედვით რომელთაგან ეს უკანასკნელი წარმოიქმნებიან და რომელთა განახლება მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს. თანამედროვე მეცნიერება აღნიშნული ინტერაქციის გამოსახატავად „ინტერტექსტუალობის” ტერმინთან პარალელურად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „გადაწერა-გადამუშავება”, (*réécriture*) „პრეცედენტულობის თეორია”, „სხვისი სიტყვა”, „ზეტექსტობრივი პავშირები”, „ტექსტთა შორის კომუნიკაცია” „რიზომა“ და ა.შ. რიზომატული ტექსტის ნიმუშია უ. კოს რომანი „გარდის სახელი“

4. ინტერტექსტუალობის პრობლემატიკის ლინგვისტური კალევის ჩარჩოებში მოქცევის პირველი მცდელობა, მეცნიერთა აზრით, ჟ. ჟენეტს მაუთვის. თავის ნაშრომში „პალიმსეტი” იგი განიხილავს ინტერტექსტუალობას როგორც ერთ ტექსტში სხვა ერთი ან რამდენიმე ტექსტის არსებობის ფაქტს, რომელიც ვლინდება ისეთი ფორმით, როგორიცაა ციტატა, აღუზია, პლაგიატი და ა.შ.

5. ლინგვისტურ კალევებში ინტერტექსტუალობის მარკერად მიჩნეულია ინტერტექსტები, როგორც ინტერტექსტუალური კავშირების რეალიზაციის ლინგვისტური საშუალება. ინტერტექსტი არის ტექსტის მრავალმხრივი ფსიქოლინგვისტური კატეგორია, რომელიც მიუთითებს სხვა ტექსტთან მიმართებას ლექსიკურ, სინტაქსურ თუ სტილისტურ დონეზე გამოხატული ენობრივი მარკერების – ინტერტექსტებების საშვალებით. ამგვარი კალევა საშუალებას იძლევა უფრო დრმად იქნეს გაანალიზებული ტექსტი, რაღაც ხშირად ინტერტექსტუალური მინიშნებების გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება-ინტერპრეტაცია ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელი ხდება.

## ვიზრი ახვლედიანი

### შართული ფონოტაქტიკური ბბერათსიმბოლიკის ასახვა „ვეზხისტიანისის“ ვრაპეშულ თარგმანებში

1. თანამედროვე ლინგვისტიკამ წინა პლანზე წამოსწია არა ფორმის, არამედ ფუნქციის კალევა. ეს ეხება ენის ფონოტაქტიკური სისტემის კომპონენტებსაც, მათ შორის თანხმოვან ფონემათა ჯგუფების შესწავლასაც მათი ფუნქციების კალევის თვალსაზრისით. ფონემათა შეერთებები შეფერილნი არიან გარკვეული სემანტიკით, გამოიმსახველობით, ხატოვანებით და ამიტომაც აღიქმებიან როგორც მატარებელნი ან გამაძლიერებელნი სხვადასხვა გრძნობისა: სინაზის, შინის,

სიხარულის, ყურადღების, სიყვარულის, სიმსუბუქის, უხეშობის და სხვ. ეს ფუნქციები სრულდება ბგერათა ჯგუფების მიერ, რომლებიც სიტყვისა და გაბმული ტექსტის ფარგლებში წარმოგვიძებენ ფონეტებს; ამიტომაც ფუნქციონალური აღწერის (და არა სისტემურის) დროს საკვლევი ობიექტია ბგერათა ჯგუფები. და არა ფონემათა ჯგუფები.

2. ფრანგულ ლინგვისტიკაში არსებობს ჩამონათვალი თანხმოვანთა ჯგუფებისა, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა შეგრძნებას და მათი ბგერათსიმბოლური მახასიათებლები თვალსაჩინოდ ვლინდება ტექსტში, განსაკუთრებით კი – პოეზიაში; ასეთებია: სინაზის, სითბოს, სიყვარულის, ერთგულების გამომხატველი – bl, dr, rl, fl, pl, rf, rd, rp, tr, rs, rt; სიმკაცრის, ძალის, სირთვლის ამსახველები – br, kr, ks, fr, gl, gr, str და ა.შ. პოეტურ ტექსტში ბგერათშეერთებები ასრულებენ ესთეტიკური ზემოქმედების ფუნქციას, ანუ ინფორმაციის მიმღებისათვის განსაზღვრული მდგომარეობის შექმნას. პოეტურ თარგმანებში, ორიგინალის შინაარსის ზუსტი ასახვისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძნობათა გამოყენებას, რომელიც სემანტიკურად ადექვატურია ორიგინალის ბგერათსიმბოლიკისა.

3. „ვეფხისტეფაოსნის“ სტრიქონები:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“

ს. წულაძისეულ თარგმანში ასე ჟღერს:

„L’ami vrai, pour l’ami de cœur, doit ne pas craindre de souffrir,  
Il doit donner cœur contre cœur, comme un pont son amour offrir“;

ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანში:

„Un ami ne doit éviter aucun danger pour son ami,

Il doit offrir cœur contre cœur, l’amour lui servira de pont“;

გ. ბუაჩიძისეულ თარგმანში:

„Un ami endure les maux, à l’appel de l’ami répond,

Il donne le cœur pour le cœur, l’amour sert de route et de pont“.

სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლიკური ასახვისათვის ს.წულაძეს გამოყენებული აქვს vr, rl, cr, dr, fr, tr ბგერათშეერთებები; ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილს – rs, fr, tr, rl, rv; გ. ბუაჩიძეს კი – dr, rl, rp, rs. ფრანგული ბგერათსიმბოლიკის წესების მიხედვით, ს. წულაძის თარგმანში ორი (rl, tr) ბგერათშეერთებაა სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლური ამსახველი, ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანშიც ასევე ორი (rs,

tr) ბგერათშეერთებაა, ხოლო გ. ბუაჩიძის თარგმანში ოთხივე ბგერათშეერთება (dr, rl, rp, rs) სემანტიკურად აღეპვატურია სიყვარულისა და ერთგულებისა.

## ლალი ძეგბა-ხუდაძე

### მნა და მოციები XXI საშპუნის ლინგვისტიკაში

ზოგიერთი გერმანელი ენათმეცნიერის აზრით, დღეს უპევ დადგა აზროვნების ძეგლი წესებისგან თავის დაღწევისა და ახალი გზების ძიების დრო კოგნიტიურ მეცნიერებებში. ამისათვის, მაგალითად, ა. დამაზიო (Damasio 1997), გ. როთი (Roth 2001) მ. შვარც-ფრიძელი (Schwarz-Friesel, 2007: XII) გვთავაზობენ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების წინ წამოწევას, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მარგინალურ მოვლენად ითვლებოდა ლინგვისტიკაში: ეს არის ემოციები, რომლებიც ადამიანის კოგნიტიურ შესაძლებლობებსა და უნარებზე, უპირველეს ყოვლისა, ენისა და ენის გამოყენებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ.

ამ თვალსაზრისით, ინტერაქცია, რომელიც ენასა და ემოციონალურ ფაქტორებს შორის არსებობს თეორიული და პრაქტიკული ინტერესის ობიექტად შეიძლება იქცეს. ტექსტზე ორიგნტირებულ ამგვარ ანალიზებს არა მხოლოდ ფილოლოგიური, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეძენაც შეუძლიათ, რამდენადაც ემოციები ადამიანის ცხოვრების განმაპირობებელ ფენომენებად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც ცნობიერების მდგომარეობის, აზროვნებისა და ცხოვრებისეული ქმედებების პროცესებს არეკალავს. ენით გამოხატული შინაგანი, სუბიექტურად განცდილი გრძნობების, ემოციების გნობრივი რეპრეზენტაცია არის მათი თანამოსაუბრისთვის (რეციპიენტისთვის) შეტყობინების უმნიშვნელოვანესი გზა.

ენისა და ემოციების ურთიერთმიმართება განპირობებულია კოგნიტიური სისტემისა და გრძნობების კონცეპტუალური სფეროს, ამ ორი ფენომენის ურთიერთებავშირით. ენობრივი პროცესები, როგორც პროდუქცია ასევე მათი რეცეფცია ავლენს ემოციონალური კომპონენტების ზეგავლენას კოგნიტიურ პროცესებზე. ამდენად, ეს კომპონენტები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც პერფორმანსის (ერთ კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში მოქმედი) ფაქტორები. ასევე აღარ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ მართებულ მიღღომად მხოლოდ სისტემაზე

ორიენტირებული ლინგვისტიკის აზროვნების ძველი პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ენა, როგორც ჩაკეტილი კოგნიტიური სისტემა, მიბმული უნდა იყოს ენობრივი მონაცემების დამუშავების ავტონომიურ პროცესებზე. კოგნიტიური პროცესებისა და ემოციების ინფორმაციების მენტალური გადამუშავებისას ინტერდისციპლინარული კვლევები ნეკროლოგიის დარგში (Roth 2003, Isen 2004) განუყოფელ პროცესუალურ ერთიანობაზე მოწმობს.

ამგარი კვლევები ძირითადად ეძღვნება ენობრივ ნიშანთა გამოყენებას ავექტის ტრანსფერისთვის ესთეთიკურ პრაქტიკებში, მათ შორის ფიქციონალურ ტექსტებში, რომლებშიც ხდება ესთეტიკური კომუნიკაციის ობიექტივაცია ვწ. „ავექტების პოეტიკაში“ და ხელოვნებაზე ორიენტირებულ დისკურსებში (მაგ: მედიებში), კოგნიტიურ-ემოციური კომპეტენციებისა და მათი რდევების, პერსონალური, სოციალური იდენტობისა და ემოციების კულტურული კოდირებების დადგენის მიზნით.

## ნატა ჯანელიძე გოვთმ „არჩევითი ნათურალური“ კონტრასტული ლინგვისტიკის და ტრანსლასტიკის ჟრილში

1. კონსტრასტული, ანუ კონფრონტაციულ / კონტაქტური ლინგვისტიკა მეცნიერების შედარებით ახალი განხრაა. ენათა შეპირისპირება ხდება არა მათი გენეტიკური პრობლემატიკის პოზიციიდან, არამედ იგი მიზნად ისახავს სტრუქტურულ-სემანტიკური, ასევე სემიოტიკურ-სიმბოლური პარადიგმების კონვერგენციის და დივერგენციის შემთხვევების დადგენას მონათვესავე და არამონათვესავე ენებში.

2. ამგარი კვლევა განსაკუთრებით უცხო ენების შესწავლისას ხდება რელევანტური. კერძოდ, კონტრასტული ლინგვისტიკის გათვალისწინებით შესასწავლი ენის დედაენასთან შეპირისპირება ხელს უწყობს ინტერფერენტების (შეცდომების) წინასწარ განკვრებას და თავის არიდებას. როგორც საბაზისო ცოდნა კონტრასტული ლინგვისტიკა იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც ენის მატარებლები ენობრივი კონტაქტის საერთო პირობებს უნდა დაექვემდებარონ და ინტერფერენციის თუ ინტერფერენტების არსებობა ცალმხრივი ან ორმხრივი ზეგავლენის შედეგია.

3. თანამედროვე ფუნქციონალურ-პრაგმატული და გამოყენებითი მიზნების შესაბამისად აღმოცენდა ვწ.

ტრანსლასტიკა (თარგმანის თეორია), რომელიც შეპირისპირებით მეცნიერების ერთგვარ ზედნაშენს წარმოადგენს. მისი კალევის ობიექტია მხატვრული თარგმანის პროცესი, მხატვრული ლიტერატურა კი, თავის მხრივ, ენის სტრატიგიკაციული მოდელის სრულ რეალიზაციას და აქტუალიზაციას ახდენს. ამდენად, მისი კალევა ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით მოიაზრება.

4. კონტაქტი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა სფეროში მხატვრული ლიტერატურის საშუალებით მიიღწევა და ზეობრივ ფასეულობათა სისტემის კონსტანტულობა და პომოგენურობა, მხატვრული ლიტერატურით გაშუალებული, პაცობრიობას ერთი ნიშით (ენით) აერთიანებს.

5. გოვთეს შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო სიმბოლოთა და ნიშანთა ერთობლიობის ნიმუშია.

6. მისი „არჩევითი ნათესაობა“ „გამოცანისებურ“ ქმნილებად ითვლება. შეპირისპირება ქართულ თარგმანთან, რომელიც ნ. ამაშუქალის მიერ არის შესრულებული, საშუალებას იძლევა სიმბოლური პარადიგმის თანხვედრის (კონვერგენციის) და განსხვავების (დივერგენციის) დადგენისა გერმანულ და ქართულ ენებში.

## **გარენა პრიზარებაზე და გამოხასოვან დაპატიორებული სირთულეები**

1. ნათქვამის გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები, როგორც კომუნიკაციის პროცესის თანმხლები მოვლენა, ტრადიციულად ნორმის დარღვევას/ნორმიდან გადახრას უკავშირდება და საკუთარი გენეზისის მიხედვით ან უშუალოდ ენობრივი ნორმისა და სამეტყველო ქმედების, ან ორგანულანატომიური და ფსიქიკური პლანის დარღვევებად კალიფიცირდება. წინამდებარე გამოკვლევაში სიმბიმის ცენტრი გადატანილია გაგების უჯრომენისა და მისი დარღვევის მექანიზმის ანალიზზე ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ რაკურსში მოსაუბრისა სამეტყველო ინტენციისა და მსმენლის მოლოდინის პორიზონტის ურთიერთმიმართება-შეპირისპირების ფონზე.

2. ენობრივი გამონათქვამის/ტექსტის გავება მინეულია მრავალსაფეხუროვან აქტიურ კოგნიტიურ პროცესად, რომელიც იწყება რეცეპციით და მიღებული ინფორმაციის სელექციისა და საკუთარ გამოცდილებასთან მისი შედარება-აკომოდაციის გზით მიდის მოსაუბრის ზრახვის ამოცნობამდე, ანუ მისი სამეტყველო ქმედების ინტერპრეტაციამდე.

3. მოსაუბრის ზრახვის ინტერპრეტაცია უკავშირდება, ერთი მხრივ, ინტერპრეტაცია აღქმას, რომელიც გულისხმობს თანამოსაუბრის ხატისა და ამ უკანასკნელის თვალით დანახული საკუთარი ხატის შეპირისპირებას ერთმანეთთან; მეორე მხრივ კი, მთხოვბელის ინტენციისა და მსმენლის მოღოღისის პორიზონტის შეპირისპირებას, რასაც მათ შორის ჰიპოთეტურად დასაშვები მიმართებების ურთიერთგანხვაგებულ კონსტრუქციებამდე მიგავართ.

4. განსხვავებული კონსტრუქციები ხდება მთხოვბელსა და მსმენელს შორის მეტწილად დისკოზიციური, შედარებით იშვიათად კი პარიტეტული მიმართების ჩამოყალიბების საფუძველი, რასაც შედეგად ახლავს არა მხოლოდ შესაბამისი გამონათქვამის/ტექსტის აღმოცენების, არამედ ასევე ერთი და იმავე ტექსტის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც იდენტურ საკომუნიკაციო სიტუაციაში შეოფა პირთამოვის.

5. ნათქვამის/ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში იოლი წარმოსადგენია, რომ არა მხოლოდ ენობრივი ნორმიდან გადახრა ან სულაც ენობრივი ომონიმია შეიძლება გახდეს მიზეზი გამონათქვამის არასწორი გაგებისა, არამედ ასევე მსმენლის მოღოღისის პორიზონტიც, უპირველესად კი ფონური ინფორმაცია მის ფინქიკაში დამკვიდრებული სააზროვნო სქემების სტაბილურობა-კონსერვაციულობის გამო; მეორე მხრივ, გაგების პროცესის აქტიური ბუნება იმასაც არ გამორიცხავს, რომ მოსმენილმა ასიმილირება-ადაპტაციის გზით უზრუნველყოს მსმენლის სააზროვნო სქემების რესტუქტურიზაცია რაღაც გარევეულ დონემდე, ანუ ის გახდეს ინდივიდის ფონური ინფორმაციის ნაწილი და თავი იჩინოს სხვა დროს, რადაც სხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში გაგებასთან დაკავშირებული ახალი ბარიერის გადალახვის პროცესში.

## თეა ზეთელაგა ნარატიული ტექსტების სემანტიკური გაზისი

1. ტექსტების ნაირსახეობა მკვლევართა წინაშე ბუნებრივად აყენებს ტექსტების შედარების, მათ შორის იგივეობისა და განსხვავებულობის გამოვლენის პრობლემას. ენათმეცნიერები ცდილობენ განსაზღვრული ნიშნების მიხედვით ტექსტების გაერთიანებას ინტერნული და ექსტერნული მახასიათებლების გათვალისწინებით. ამასთან ყურადღება მახვილდება ისეთ კრიტერიუმებზე, როგორებიცაა ფუნქციონალურობა, სიტუაციურობა, თემატურობა და ფორმულირების ადექვატურობა.

2. ნარატიული ტექსტები მიეკუთვნება კალოგენური ტექსტების ჯგუფს. ისინი ერთიანდებიან სემანტიკური პაზისის მიხედვით და დისკურსის სხვადასხვა ტიპს ქმნიან. ნარატოლოგია შეისწავლის თხრობის სხვადასხვა ფორმებს, იქნება ეს ნოველა, მოთხრობა თუ რომანი. ნარატიული ტექსტები ენობრივ ნიშანთა თანამიმდევრობაა, რომლითაც ავტორი წარმოგვიდგენს შემთხვევების, ამბებისა და ისტორიების მონაცელეობას დროის განსაზღვრულ პერსპექტივაში.

3. ტერმინებისადმი წაყენებული უპირველესი მოთხოვნაა ენობრივ ნიშანსა და ცნებას შორის სიმეტრიულობის დაცვა, რაც უნდა გამოიხატოს მიმართებაში – ერთი ცნება – ერთი ტერმინი. მაგრამ ამ მოთხოვნის დაცვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ჩანს პუმანიტარულ მეცნიერებებში. თავდაპირველად ჩნდება ახალი ცნება, ახალი ტერმინი. შემდგომ ხდება მისი გადატანა უპვე ახალი ნიუანსებით მეცნიერების ერთი დარგიდან მეორეში ან ერთი ტერმინოლოგიური ველიდან მეორეში. ენობრივი ნიშის ასიმეტრიულობის განონის შესაბამისად მიმართება ერთი-ერთზე ირლვევა. ცნების სემანტიკური სტრუქტურა ივსება ახალი შინაარსებით, ტერმინი კი იგივე რჩება.

4. დისკურსი, როგორც განზოგადებული ცნება, მოიცავს ტექსტების გარკვეულ რაოდენობას. ისინი ერთმანეთთან პრაგმატული და სემანტიკური თვალსაზრისით არიან დაკავშირებული. დისკურსიად მიჩნეულია თემატური მიმართება და პრაგმატული ერთიანობა. თუნდაც დროის სხვადასხვა მონაკვეთში შექმნილ ტექსტებს შეიძლება პქონდეთ საერთო თემა, რომელიც გაერთიანდება დისკურსიულ ერთეულად. ცალკეული ტექსტი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მონაკვეთი, ფრაგმენტი საერთო დისკურსისა.

### ნუნუ გაპანკაძე

#### დარბობრივი ჰემსტი, რობორც დარბობრივი ენისა და აზოვნების ურთიერთმიმდართების შედები

დარგობრივ დისკურსში ნებისმიერი ფორმით ჩაბმა ადეკვატური საკომუნიკაციო ერთეულების წარმოქმნას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ დარგობრივი საკომუნიკაციო ერთეულის, დარგობრივი ტექსტის შესაქმნელად აუცილებელია სპეციფიკური ცოდნა როგორც დარგობრივი, ასევე ენობრივ და ფორმალურ-სტრუქტურულ პლანშიც, მით უფრო, თუ ტექსტი უცხოურ ენაზე იქმნება ან, პირიქით, უცხოური ენიდან ქართულ ენაზე გადმოაქვთ. ამგვარი ცოდნის სიმწირის შედეგია არასწორი

საკომუნიკაციო ერთეულები, რაც აისახება როგორც შინაარსზე, ასევე ენობრივ-ფორმალურ გაფორმებაზეც.

დარგობრივ ტექსტს განვიხილავთ დარგობრივი ენისა და დარგობრივი აზროვნების ურთიერთმიმართების ფონზე. იგი წარმოადგენს ენობრივ-საკომუნიკაციო ქმედების შედეგს, რომელიც ხორციელდება გარკვეულ პროდუქტულ ქმედებასთან კავშირში/ერთად. დარგობრივ საკომუნიკაციო სფეროში მომუშავე ადამიანები დარგობრივი ტექსტების მეშვეობით ახორციელებენ კომუნიკაციას. რამდენადაც კომუნიკაცია სოციალურად / საზოგადოებრივად განსაზღვრული ქმედებაა, დარგობრივი ტექსტიც ის ერთეულია, რომლის დახმარებითაც ენობრივი ქმედება სოციალურ-კომუნიკაციური ქმედების სახით ხორციელდება.

ადამიანებს შორის გაგებინების პროცესს დარგობრივი კომუნიკაციის სფეროში დარგობრივი ცნობიერების შინაარსების მატერიალიზაციისაკენ მივყავართ. ამასთან კომუნიკაციის პროცესში ადამიანების მიერ გამოიყენება (დარგობრივი) ენობრივი საშუალებები და სტრუქტურები, რომლებიც კონკრეტულ დარგს უკავშირდება და კოგნიტურ მიმართებებს ზუსტად და საგნობრივად გამოხატავენ. ამის შედეგად მიმართება ენა-აზროვნება დარგობრივ ტექსტში გამოხიატება როგორც მიმართება დარგობრივ ენასა და დარგობრივად აზროვნებას შორის.

დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი დისციპლინის თეორიული კვლევის გზით მიღებული შედეგები პრაქტიკულ სფეროზე უნდა იქნეს გადატანილი, მაგალითად, დარგობრივი ენების შესწავლაზე. შესაბამისად, დარგობრივი ენის სწავლება ნიშნავს, ზოგადი ენისაგან განსხვავებული ფუნქციისა და მახასიათებლების მქონე ენის სწავლებას. ასევე, დარგობრივი ენის სწავლება გულისხმობს არა მხოლოდ დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლას, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ (დარგობრივი ტერმინოლოგია მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია სემანტიკური განზომილებისა), არამედ ეს ნიშნავს დარგობრივი ენისა და აზროვნების წესების resp. დარგობრივობის შესწავლას.

აღნიშნული კი გულისხმობს, რომ დარგობრივი ენის სწავლების პროცესში უნდა ისწავლებოდეს დარგობრივი ენისათვის დამასასიათებელი ლექსიკურ-სემანტიკური, სინტაქსური, სტილური, ფუნქციურ-კომუნიკაციური, სოციო-ლინგვისტურად ინგრიანტული და ვარიანტული ელემენტები და სტრუქტურები, რომლებიც ახასიათებენ დარგობრივ ტექსტს, როგორც კომპლექსურ წარმონაქმნეს. მხოლოდ ამ მრავალმხრივი ფენომენის, დარგობრივი ტექსტის დონეზე დარგობრივად აზროვნებასა და დარგობრივ ენას

შორის მიმართების ანალიზის დროს იკვეთება მკაფიოდ ხსენებული მიმართების რთული მქეანიზმი. შესაბამისად, სწორედ დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილი საკომუნიკაციო ერთეული არის იმ მოთხოვნილებების შესატკვისი, რასაც დარგობრივი ტექსტი აყენებს და მხრივ ასეთ შემთხვევაში იქნება დარგობრივი დისკურსიც წარმატებული და ადეკვატური.

## თამიზა სასიაჟღილო სმენლის ოორუ სამატებელო აპტეგში

მსმენლის ფაქტორი სამეტყველო აქტებში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მთქმელისა. მსმენლი მთქმელის აქტიურ პარტნიორად გვევლინება. მთქმელის მიერ ამა თუ იმ სამეტყველო აქტის პირდაპირი ან ირიბი რეალიზაციის შემდეგ მსმენლს დეკოდირებისა და ინტერპრეტაციისათვის ეძლევა განსაზღვრული პროპოზიციული შინაარსის, ილოკუციური ფუნქციისა და სტილის გამონათქვამი, რომელიც თხრობით, კოთხვითი ან ბრძანებითი წინადაღებაა. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, სიტუაცია: სტუმარი ზის ოთახში, სადაც ფანჯარა ლიაა და ცივა. მას შეუძლია მასპინძელს უთხრას:

- (1) დახურე რა ფანჯარა!
- (2) შეგიძლია ფანჯარა დახურო?
- (3) ცივა ოთახში.

ამ სამივე გამონათქვამის ილოკუციური ფუნქცია იქნება მოწოდება ფანჯრის დახურვისაკენ. (1), როგორც ბრძანებითი წინადაღება, პირდაპირი გამონათქვამია, ვინაიდან მასში წინადაღების ტიპი სრულ შესაბამისობაშია გამონათქვამის კომუნიკაციურ მიზანთან. (2) და (3) გამონათქვამები თხოვნის სამეტყველო აქტის ირიბი რეალიზაციის ფორმებია და მათი, როგორც კითხვითი და თხრობითი წინადაღებების მნიშვნელობა, ამ გამონათქვამების ჭეშმარიტ კომუნიკაციურ ფუნქციას არ გამოხატავს, ვინაიდან თხრობითი წინადაღება ყოველთვის მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას არ ახდენს და არც კითხვითი წინადაღებაა ყოველთვის შეკითხვა. (2) გამონათქვამი ირიბი სამეტყველო აქტის ძლიერი კონვენციონალიზებული ფორმაა, რადგან მასში ჩანს გამონათქვამის პროპოზიცია, (3) გამონათქვამის შემადგენელი ელემენტები კი პროპოზიციის იოლად ამოკითხვის საშუალებას არ იძლევა და ამიტომაც ეს გამონათქვამი სამეტყველო აქტის რეალიზაციის სუსტად კონვენციონალიზებულ ფორმას წარმოადგენს.

ამგარი გამონათქვამების ილოკუციური დანიშნულების შეცნობა-გაშიფვრას მსმენლი ახდენს გრაისის კომუნიკაციური

იმპლიკატურის - მსმენლის ცნობიერებაში მიმდინარე განსჯით-დასკვნითი ოპერაციის საშუალებით, რის შედეგადაც მსმენელს ექმნება განსაზღვრული განწყობა მთქმელის ინტენციისადმი და განაპირობებს მის დადებით ან უარყოფით რეაქციას მთქმელის გამონათქვამზე.

მთქმელ-მსმენლის ზეპირი კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვიზუალური და ფონაციური სიგნალები, რომლებიც გამონათქვამების ინტერპრეტაციისათვის საჭირო დამატებით ინფორმაციას იძლევიან. მსმენლის სიგნალებად ითვლება კინესიკური და პროქსემიკული კომპონენტები, შორის-დებულები, განსაზღვრული სიტყვები, შესიტყვებები, ჩახველება, დასტვენა, ხერხშა, სიცილი, ინტონაცია, ინტენციური დუმილი. ესენია კომენტარები ან რეპლიკები, რომლებითაც მსმენელი ანიშნებს მთქმელს, როგორ შთაბეჭდილებას ახდენენ მისი გამონათქვამები მასზე, ადეკვატურად ახდენს თუ არა ის მათ დეკოდირებას ან მათი მიზანია დიალოგის წარმართვა სასურველი მიმართულებით ან მთქმელისთვის სიტყვის შეწყვეტინება სიტყვის ჩამოსართმევად.

## 6ანა გოგოლაშვილი

### აოლიტიკური ენის პროცენტორნალური საზღვრები და მალებიტოლოგიური ღისპურსის პროგრესი

1. სოციოლინგვისტიკაში არსებული ე.წ. სამეტყველო აქტების თეორია ეფუძნება ინტენციისა და კონვენციის ცნებების ანტინომიას, რომლის შედეგსაც ენობრივი დისკურსი წარმოადგენს.
2. სამეტყველო აქტების პროცესში პოლიტიკის ენა არ გამოავლენს სპეციფიკურ ვარიეტეტულ სტრუქტურას და იმ სფეროების ენობრივი ცნებებით ოპერირებას, რომლებიც შედის პოლიტიკური საქმიანობის სფეროში. (მაგ. საფინანსო პოლიტიკა, გარემოს დაცვა, დიპლომატია და ა.შ.).
3. პოლიტიკური ენის ინტენციისა და კონვენციის საზღვრების დადგენა დამოკიდებულია თავად პოლიტიკის ცნების რეალიზაციის მასშტაბზე, რადგან პოლიტიკური ლექსიკა პრინციპულად და სისტემას წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკურმა

დისკურსმა შესაძლოა მოკლე ან გრძელვადიანი სოციალური მნიშვნელობის ფუნქცია შეიძინოს. პოლიტიკური დისკურსის იდეოლოგიური ლექსიკონი სპეციფიკურ გავლენას ახდენს სიტყვების სემანტიკაზე და, შესაძლოა, ამ დისკურსში მას არაზეობრივი ფუნქციის შესრულება დაეკისროს. ასეთ შემთხვევებში ენის პოლიტიკის რეალიზაცია აღიქმება არა როგორც „ცოცხალი დემოკრატიის“ ფაქტი, არამედ როგორც კომფლიქტის მაპროცესირებელი სიტყვათშემოქმედება.

4. მაღვიდიქტოლოგია ის მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ენაში არსებული შეურაცხმულებლი სიტყვებისა და გამოოქმების დანადგა-გინებისა და წყველა-კრულების სოციო-და ფსიქოლინგვისტურ მახასიათებლებს, რომელთა რეალიზაციის დროსაც ენა კარგავს თავის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

5. პოლიტიკურ დისკურსში ენის ფუნქცია ხშირად გასცდება ხოლმე ზნეობრივ საზღვრებს, რის დროსაც დისკურსის მონაწილეთა პოლიტიკური თუ სოციალური დისკომფორტი ენასთან ურთიერთობის კრიზისში ვლინდება.

6. პოლიტიკის ენის „მაღვიდიქტოლოგიური დისკურსის“ მახასიათებლების რეალიზაციის შედეგად ხდება ენის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა, რისი თავიდან აცილებაც მხოლოდ სამართლებრივი გზით დაწესებული საზღვრების დაცვით იქნება შესაძლებელი.

## 6069 ძიგერიძე

სასრაგლო-სამეცნიერო ტემსთის სახეობები შართულ და გერმანულ საუნივერსიტეტო სიცრცეში და მათი დარგობრივი მნიშვნელობა

სასწავლო-სამეცნიერო ტექსტების სახეობები თანამედროვე საუნივერსიტეტო კურიულუმების მონაპოვარია. მათი მრავალფეროვნება უწინარესად განპირობებულია საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით. ეს უკანასკნელი კი ანარეკლია საზოგადოების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხედვისა. შესაბამისად, საუნივერსიტეტო კურიკულუმი ავტორიტარულ საზოგადოებაში მკვეთრად განსხვავდება დემოკრატიულ საზოგადოებაში განვითარებული საუნივერსიტეტო სწავლების ფორმატისაგან, სადაც სააუდიტორო მუშაობა უპირველეს ყოვლისა ეფუძნება ორმხრივ, ინტერაქციულ მიმართებას. ამ შემთხვევაში აუდიტორიაში წამყვანია დიალოგური და არც თუ იშვიათად პოლილოგური სამუშაო რეჟიმიც კი, რაც, თავის მხრივ,

იწვევს საკომუნიკაციო სივრცეში ტექსტის სახობების ცვლილებას, კერძოდ, მათ გამრავალფეროვნებას.

ემპირიული მასალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული სტატისტიკის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მოძიებული სასწავლო-სამეცნიერო ტექსტის სახობები, ბუნებრივია, განსხვავდება იმ ჩამონათვალისაგან, რაც დამკვიდრებულია გერმანულ საუნივერსიტეტო კურიკულუმში. აღნიშნული სხვაობა ნიშანდობლივია, ფაქტობრივად, ყველა პოსტსაბჭოთა საუნივერსიტეტო კურიკულუმისათვის. განსხვავების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი, როგორც უკვე აღნიშნეთ, იდეოლოგია.

მიგანია, რომ საგანგებო განხილვის საგანი უნდა იყოს, ერთი მხრივ აკადემიური, ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო ტექსტის სახობები. სასწავლო პროცესში დამკვიდრებული ტექსტის სახობები (ამონარიდი, ოეზისების ფურცელი, ჰენდაუტი, რეფერატი, ოქმი, გაფართოებული გეგმა-ექსპოზე, საშინაო დავალება/ესეს, საგამოცდო წერა-კლაუზურა, სასწავლო (დიდაქტიზირებული) ტექსტები კამ. შესავალი კურსების სახელმძღვანელო და ქრესტომათიები) საფუძველია შემდგომ საფეხურზე სამეცნიერო ტექსტის სახობების (სამეცნიერო მოხსენება, მოდერაცია, სტატია, რეზიუმე, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადიპლომო, საკვალიფიკაციო ნაშრომი, დისერტაცია, მონოგრაფია). სასწავლო და სამეცნიერო ტექსტის სახობათა შორის ცალკე შეიძლება დასახელდეს როგორც ძირითადი (მაგ., სასწავლო რეფერატი, საშინაო დავალება, სამეცნიერო სხვადასხვა საფეხურის სამეცნიერო ნაშრომი, სტატია, დისერტაცია, მონოგრაფია), ასევე დამხმარე ტექსტის სახობები (სასწავლო ამონარიდი, ოეზისების ფურცელი, ოქმი; სამეცნიერო ამონარიდი, გაფართოებული გეგმა, რეზიუმე).

აკადემიური ტექსტების სახობათა დაჯგუფება შესაძლოა მოვახდინოთ საკომუნიკაციო სიტუაციაში მონაწილე სოციალური ჯგუფების პოზიციის გათვალისწინებით. ამ პოზიციიდან გამომდინარე უნდა დასახელდეს გარკვეული დამხმარე ტექსტების სახობები, რომლებიც მიეწოდება სასწავლო პროცესის მონაწილეებს ტექსტის შემდგომ სახობათა წარმოქმნის მიზნით. მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ შემდგენ ტექსტის სახობები: რიდერი (ოემატური პრინციპით დალაგებული ქრესტომათია), ექსცერპტი (ამონარიდი), სკრიპტი, საგამოცდო ტექსტი/კლაუზურა.

ზომოხსენებული ტექსტების პროდუცირება ძირითადად ხდება დამოუკიდებლად, ისინი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესის შედეგია, თუმცა მათ შორის სახელდება ასევე ტექსტის

სახეობა “ოქმი”, რომლის პროდუცირება ხდება სასწავლო პროცესში და, ფაქტობრივად, ის არის პოლილოგური ენობრივი ქმედების რეფლექსია. ტექსტის ეს სახეობა არის ერთგვარად დამსხმარე ტექსტის სახეობათა ნუსხიდან, რომელიც შემდგომ ეტაპზე გამოყენებული იქნება როგორც საინფორმაციო წყარო ტექსტის სახეობის “საშინაო დავალება” პროდუცირებამდე გაფართოებული გვემის (ექსპოზე) ჩამოსაყალიბებლად.

ზემოხსენებული ტექსტის სახეობებს აქვთ მხოლოდ მათვების ნიშანდობლივი გრამატიკული თუ თემატური სტრუქტურა და, შესაბამისად, საკომუნიკაციო ფუნქცია, რაც განაპირობებს მათ განსხვავებულობას. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ ტიპის ტექსტების ფუნქციური განმარტება, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მათ მართებულ ჩართულობას როგორ აკადემიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით პროცესებში. ტექსტის აღნიშნული პარამეტრები გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის, როცა ვალარებთ სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით შექმნილ ერთსა და იმავე ტექსტის სახეობას. მოდიფიკაცია ძირითადად შეეხება ტექსტის სახეობის ენობრივ რეალიზაციას და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექსტის აგების პრინციპებს.

ამრიგად, ქართულ და გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო-სამეცნიერო ტექსტის სახეობები. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე სასწავლო-დიდატიკური და სამეცნიერო-კვლევითი პრინციპებიდან გამომდინარე, საერთო-ეკროპული მობილობისა და მეცნიერებისა და კვლევების ტრანსფერის მიზნით, სასურველია საუნივერსიტეტო სივრცეში დარგობრივად დამკაიდრდეს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული აკადემიური და სამეცნიერო ტექსტის სახეობები.

## ნანა პერიძე მართვისა და პალეოთობის ურთიერთობისართვების საპიონისათვის

მართვისა და ვალენცობის ურთიერთობისართვების საპიონისათვის მართვისა და ვალენცობის ცნებები სხვადასხვა დროს დამკიდრდა ენათმეცნიერებაში. ვალენცობა (Valenz) დამოკიდებულქბის გრამატიკიდან მოდის, მართვა (Rektion) კი – ტრადიციული გრამატიკიდან.

მართვა აღნიშნავს სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირების გრამატიკულ მიმართებას, რომელიც სუბორდინაციის ფორმას წარმოადგენს. დაქვემდებარებული სიტყვის ბრუნვა განსაზღვრავს მასზე სინტაქსურად დაქვემდებარებულ ლექსიკურ ერთეულს.

მართვა მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენაა, რომელიც ტრადიციულად ახასიათებს ზმნებს, ზედსართავ სახელებს, წინდებულებს.

უახლეს ენათმეცნიერულ ლიტერატურაში მართვის ახლებურ ინტერპრეტაციას ვხვდებით. ასე მაგალითად, განასხვავებენ კატეგორიულ (kategorial) მართვას, როცა არსებითი სახელი მართავს გენიტივს (Gen.) და ლექსიკურ (lexikal) მართვას, როცა წინდებული მართავს დატივს (Dat.). მას მიაჩნია, რომ მართვის ორივე სახეობა ზმნის ჯგუფშია შესაძლებელი.

ვალენტობის ცნება თავდაპირველად სინტაქსში შემოვიდა, მაგრამ იგი მხოლოდ სინტაქსური თვისებად არ ითვლება. განასხვავებენ სინტაქსურ, ლოგიკურ-სემანტიკურ, პრაგმატულ გალენტობას. კომუნიკაციურ-პრაგმატულ ასპექტში ვალენტობა განიხილება როგორც აქტანტების დამოკიდებულება სიტუაციასა და კონტექსტზე. ლოგიკურ-სემანტიკური ვალენტობა შინაარსობრივ პლანს წამოსწევს წინ, ხოლო სინტაქსური – აქტანტების სტრუქტურულ მიმართებას გულისხმობს.

ვალენტურ თვისებებს ავლენენ ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი, ანუ ავტოსემანტიკური მეტყველების ნაწილები, თუმცა ბოლო დროს სინსემანტიკურ მეტყველების ნაწილებსაც (ზმნიზედებს, წინდებულებს, კავშირებს) მიაწერენ ამ თვისებებს.

არსებით სახელთა უმრავლესობა ვალენტობის მატარებელია. იგი შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამ-, იშვიათად ოთხვალენტიანი. არსებითი სახელის ვალენტობა გამოიხატება გენიტივის ატრიბუტით, წინდებულიანი არსებითი სახელით, ინფინიტიკური ჯგუფით, ზედსართავი სახელით, ნაცვალსახელით ან დამოკიდებული წინადაღებით, რომლებიც არსებითი სახელის აქტანტებად იწოდებიან.

ვალენტობა გაცილებით უართო ცნებაა, ვიდრე მართვა. მართვის მოქმედების საზღვრები უფრო შეზღუდულია, რადგან მართვითი დამოკიდებულება თავსდება ვალენტური კავშირის შიგნით.

ვალენტობა სემანტიკურ-სინტაქსური მოვლენაა, რომელიც ლოკალიზდება წინადაღების წევრის დონეზე და სემანტიკურად მოტივირებულია. იგი შეიძლება გამოვლინდეს წინადაღებაში ან პოტენციურად იგულისხმებოდეს.

ვალენტობა გულისხმობას: ა) სინტაქსური ფორმების დამოკიდებულებას; ბ) სემანტიკურ შეთავსებადობას; გ) მართვით დამოკიდებულებას.

პ. აიზენბერგს გენიტივით გამოხატული ატრიბუტი არსებითი სახელის აქტანტად არ მიაჩნია. იგი თვლის, რომ ეს

დამოკიდებულება მართვაა და არა ვალენტობა. მისი აზრით, ვალენტობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა რომელიმე პატეგორიის ერთეული რამდენიმე სხვა ერთეულს მართავს. ასეთ ერთეულად ის მიიჩნევს ზმნას, რადგან ზმნას ბევრი სხვა შემავსებლის მიერთება შეუძლია.

მართვა ვალენტობის განსაკუთრებულ სახეობად უნდა ჩაითვალოს. მართვა პოტენციურ შესაძლებლობებს არ ითვალისწინებს. ის სინტაქსურ-მორფოლოგიური მოვლენაა, გამოიხატება მორფოლოგიური ნიშნებით და სემანტიკურად არამოტივირებულია. მართვა ეფუძნება ქვემდებარე-შემასმენლის როგორც წინადადების ორკომპონენტიანი დერმის მთავარ წევრებად აღიარებას, შესაბამისად, ქვემდებარე და შემასმენელი წინადადების მთავარ წევრებად ითვლება, ვალენტობა კი ემყარება ზმნის აღიარებას წინადადების ბირთვად და არა წევრად, ამიტომ ვალენტობის თვალსაზრისით ქვემდებარე მიიჩნევა ერთ-ერთ აქტანტად.

ვალენტობისა და მართვის ცნებათა ფუნქციური დატვირთვა განსხვავებულია. ვალენტობა გულისხმობს სიტყვათა ურთიერთ-მიმართებას როგორც სინტაქსურ, ლოგიურ, ისე პრაგმატულ-სემანტიკურ ასპექტში, ხოლო მართვა წმინდა სინტაქსური მოვლენაა.

### **სოზორ მუჯირი ფიქსტის დაბაზულობის გელი ინტონაციის თვალითახედვით**

1. დაძაბულობის გელი გამონათქვამსა და ტექსტში წარმოიქმნება ვერბალური და პროსოდიული საშუალებებით. დაძაბულობის შექმნის ვერბალური საშუალებაა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ენობრივი ერთეულების დისტანციური განლაგება და პირიქით, მათი ერთ ადგილზე თავმოყრა.
2. პროსოდიის დონეზე დაძაბულობა გამოხატულია როგორც პროსოდიული „დაბლობებით“ და „ძირვალებით“, ასევე გამონათქვამის პაუზურ ჯგუფთა თანმიმდევრობაში აქცენტისა და მელოდიის პარამეტრების თანდათანობითი ზრდით, რაც მთავრდება ფოკუსური პაუზური ჯგუფის „პროსოდიული მანიფესტაციით“ და დაძაბულობის ნეიტრალიზაციით.
3. როგორც ვერბალური, ასევე ინტონაციური საშუალებებით გამოხატული დაძაბულობა განაცალკევებს და, ამავე დროს ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის პაუზურ ჯგუფებს, რითაც ერთდროულად ასრულებს დელიმიტაციურ და ინტეგრაციულ

ფუნქციებს და გვევლინება ტექსტის დისკრეტულობისა და კოპერენციულობის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებად.

4. ტექსტში დაძაბულობის ველის განვითარება კორელაციაშია ტექსტის კომპოზიციის განვითარებასთან, რომლის კომპონენტებია: პროცესების დასმა, მისი გადაწყვეტის გზები და სამომავლო პერსპექტივები. ტექსტის დასაწყისში ტექსტის თემა (პრობლემა) კომუნიკაციის მონაწილეთაგან მოითხოვს მის შესახებ აზრის გამოოქმას, მის სპეციფიკაციას, რაც იწვევს ტექსტში დაძაბულობის შექმნას და პროსოდიული პარამეტრების თანაბათანობით ზრდას. ტექსტის შეაში, სადაც უკვე შემოთავაზებულია პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები, დაძაბულობა და მისი პროსოდიული მარკირება რაოდენობრივად და თვისებრივად მატულობს. ტექსტის ბოლოს პრობლემის სპეციფიკაცია დასრულებულია და მხოლოდ მისი გადაწყვეტის სამომავლო პერსპექტივებია მინიშენებული. შესაბამისად, დაძაბულობა სრულდება და მისი პროსოდიული ასახვა ადარ ხდება.

## სლავური მნემისა და ლიტერატურის სემიოს

### ნათელა ჰოსონის ანალიტიკი, როგორც თანამედროვე რუსული მნის რეპრენेशული მრთელება

სემანტიკური ანალიტიკი, როგორც თანამედროვე რუსული მნის რეპრენेशული მრთელება ანალიტები წარმოადგენს სოციუმის ენობრივ ცოდნას დროის გარკვეულ მონაკვეთში. მათი ძირითადი თვისებებია: სიხშირე, სოციალური მნიშვნელობა, ადგილისა და დროის პარამეტრები.

სემანტიკური ანალიტები თანამედროვე რუსულ ენაში არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, რაც იწვევს მათი სისტემური და კომპლექსური შესწავლის აუცილებლობას რეკურენტული ერთეულების სახით.

რეკურენტული ერთეული განებულება იმ ლექსიკურ სფეროს, რომელიც ფუნქციონირებს გარკვეულ დროში ენობრივი სტანდარტის დონეზე და მიღებულია სოციუმის უმრავლესობის მიერ.

რეგურენტული ერთეულების გამოყოფა დამოუკიდებელ ლექსიკურ რგოლებში გამოხატავს აქტუალობის კატეგორიას, რომელიც წარმოადგენს როგორც კოგნიტიურ, ასევე ლინგვისტურ ცნებას.

რეგურენტული ერთეულების შესწავლა იძლევა საშუალებას, დაფიქსირდეს ენის ლექსიკური მარაგის განვითარება, მისი კონცეპტ-სფეროს აღწერა, რაც გვაძლევს საშუალებას ვიქტორი წარმოდგენა სოციუმზე კონკრეტული დროის ასპექტზე.

### ნადგუშა ყიზიანი

#### ნორმის ვარიანტულობა როგორც მნის ეპოლუციის შედეგი

თანამედროვე მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია ლ.ჭ. შექრბას მიერ წამოყენებული თეზისი იმის შესახებ, რომ „მალიან ხშირად ნორმა გამოხატვის ორ საშუალებას უშვებს და ორივე მათგანს მართვებულად თვლის“. ასე, მაგალითად, თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენისათვის ნორმატიულია შემდეგი სიტყვების – მიკროორგანიზმების სახელწოდებების: ამება, კირუსი, მიკრობი, ბაცილა და სხვ. – ხან სულიერი, ხან უსულო მიმართებით გამოყენება.

ვარიანტული ფორმები – ეს ენის ეპოლუციის ობიექტური და გარდაუგალი შედეგია. რაში მდგომარეობს ნორმის მერყეობის მიზეზი აღნიშნულ შემთხვევაში? პასუხი ენის ისტორიულ წარსულში იმაღება.

კატეგორია „სულიერი“ რუსული ენისათვის ახალია. მისი ჩამოყალიბება რუსული სალიტერატურო ენის განვითარების შედარებით გვიანდელ პერიოდს უკავშირდება. მხოლოდ XVII საუკუნის დამდეგისათვის და ისიც არა საბოლოო სახით, აღნიშნულმა კატეგორიამ, ადამიანის პირის გარდა, ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერებისა და სხვ. სახელწოდებები მოიცვა. სიტყვები ამება, კირუსი, მიკრობი, ბაცილა და სხვ. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ ქანში. ეს, ასე ვთქვათ, სახელების ბოლო მასივია არსებით სახელთა შორის, რომლებიც „ცოცხალ არსებას“ აღნიშნავენ.

კატეგორია „სულიერს“ წინ უძღვოდა პირის კატეგორია. მისი განვითარება დაკავშირებული იყო სიტყვათა თავისუფალი წყობის მქონე გრამატიკულ სისტემაში სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთისაგან განსხვავების აუცილებლობასთან.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სუბიექტისა და ობიექტის მსგავსი განსხვავების აუცილებლობა აღარ არსებობს. როგორც სულიერი, ასევე უსულო არსებითი სახელები

აბსოლუტურად თანმიმდევრულად გაირჩევიან ერთმანეთისაგან ლექსიკურ-სემანტიკური ნიშნების საფუძველზე, რაც ფორმათა პარადიგმაში გამოიხატა. სიტყვის მიუთვნება განსაზღვრული ჯგუფისადმი (სულიერი / უსულო) ხდება იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაშია იგი აღმნიშვნელთან, სიტყვა განიხილება იზოლირებულად, ადგილი აქვს, ასე ვთქვათ, სიტყვისადმი ატომისტურ მიღვომას.

მეტყველების ნაცადში სიტყვების კორუსი, მიურობი და მსგ. სახ.-ბრალდ. ბრუნვების ფლექსიების ომონიმია არ ქმნის კომუნიკაციურ „დაბრკოლებებს“: რთულად თუ მოიპოვება კონტექსტი, რომელშიც აღნიშნული სიტყვები პირთან აკშირში არიან ან სუბიექტის როლს ასრულებენ. ეს მიკროორგანიზმები პრაქტიკულად ყოველთვის ობიექტის როლს ასრულებენ. აქედან გამომდინარე, სინტაგმატური ურთიერთობები საწყისი, ტრადიციული ფორმის დარღვევას არ მოითხოვენ. ამიტომაც შესაძლებელია მათი შემდეგნაირი გამოყენება: მეცნიერი /იგანე, ნიკიტინი, ის/ კორუსის იკვლევეს. ასეთი ფორმა ცვლილებას მხოლოდ პარადიგმატული ურთიერთობების გავლენით განიცდის. ხოლო პარადიგმატიკაში მაშინვე წამოიჭრება კითხვა: არსებითი სახელი სულიერია თუ უსულო? ამ დროისათვის – ენაში აღნიშნული არსებითი სახელების გაჩენის პერიოდისათვის – ენაში უკვე გამომუშავდა სულიერის აღმნიშვნელი გარკვეული კრუტერიუმი: ხილული აქტივობის ნიშან-თვისება, რასაც აქმაყოფილებენ სიტყვები – მიკროორგანიზმების სახელწოდებები.

### ტატა ჰეიშვილი-მოსკალეგორ

მის განვითარებული ულემანტებაი მცირე პროზაულ ზორმაში  
(ა. პიტოვის მოთხოვება „პეპიას ზიალას“ მიხედვით)

ნარატივის ლინგვისტიკის ძირითადი საგანია თხრობითი ფორმების შესწავლა. ტრადიციულად ნარატივი განისაზღვრება კომუნიკაციური სიტუაციით, რომლის დროს ხდება ინფორმაციის გადაცემა ერთი სუბიექტისაგან მეორე სუბიექტისათვის. ლინგვისტიკა შეისწავლის ენას, როგორც ურთიერთობის ძირითად ფორმას და ენის ეს თვისება ძირითად იხსნება კანონიკურ-კომუნიკაციურ სიტუაციაში, როდესაც მთხრობელი და მსმენელი ხედავენ ერთმანეთს. ნარატივი წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემას არასრულყოფილი კომუნიკაციური სიტუაციის პირობებში. სხვადასხვა თხრობითი ფორმა ზუსტად წარმოადგენს ამ არასრულყოფილების გადალახვის ხერხებს.

თხრობითი ფორმა ნარატიული ტექსტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციონალურ დახასიათებას წარმოადგენს.

თხრობითი ფორმის არჩევა – მნიშვნელოვანი მომენტია მხატვრული ტექსტის შექმნისას. განხილულ ნაწარმოებში გამოიყოფა თხზულება პირველი პირის სახით; ავტორი მთხოვობელის როლში გვევლინება და თავად მიეკუთვნება ამ ტექსტის სამყაროს, ანუ არის მოქმედების უშუალო მონაწილე. თუმცა ამ ტექსტის განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში, რომ პირველად გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი და არა მხოლობითი რიცხვი (В нашем доме ремонт. То, что мы станем выше не ощущается на третьем этаже. Мы бродим по квартире в ватниках и шапках...). ეს რეალობაში, ხოლო მოდევნო ზღაპარში გამოეწევის ულია მხოლობითი რიცხვის პირველი პირი (Тут меня обняла какая-то ласковая и теплая волна... Я стоял... Я пил чай из пиалы... А потом я уснул.).

თხრობითი ფორმის დიაგნოსტიკა მოითხოვს ტექსტის ეგოცენტრული ელემენტების ანალიზსაც. ეგოცენტრული ელემენტებია: დეიქსისი, მოდალურობა, დიალოგური სიტყვები, ექსპრესიის მაჩვენებლები (я, едруг, пожалуй, благодаря, потому, тут, опять, вокруг, отовсюду и др.). სალაპარაკო რეჟიმში “ეგოცენტრიკები,” როგორც წესი, მიმართულები არიან მთხოვობელისკენ.

ენის ეგოცენტრულ ელემენტებიად (ბერტრან რასელის მიხედვით) ითვლება სიტყვები, კატეგორიები და კონსტრუქციები, რომელთა სემანტიკა გულისხმობს მიმართულებას მოსაუბრე სუბიექტისაკენ ან მისი რომელიმე ანალოგისკენ. ამ შემთხვევაში იგულისხმება დეიქტური სიტყვები (я, мы, здесь, там). მაგრამ ეგოცენტრულ ელემენტებს მიაკუთვნებენ აგრეთვე დეიქტურ გრამატიკულ კატეგორიებს (ასპექტი და დრო), სუბიექტური მოდალურობის ნიშნებს და სხვა. ეგოცენტრულ ელემენტებს ყოფენ პირველად და მეორად ელემენტებად. სწორედ მეორადი ეგოცენტრული ელემენტები დასაშვებს ხდიან ნარატიულ ინტერპრეტაციას. თხრობითი ფორმის განსასაზღვრავად საკმარისია ორი პარამეტრი: 1) რომელი ეგოცენტრიკები არის დასაშვები მოცემულ თხრობაში; 2) ვის განკარგულებაში არიან იხინი.

## ხატია ხატიაშვილი ბილინგვიზმი და საზოგადოება

ქვეყანა, ერო, ეროვნება, თემი, სახელმწიფო, სკოლა, ოჯახი, კულტურა – თითოეული ამ ცნებათაგან ენის გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

მულტიკულტურული და პლურილინგვალური გამოცდილება ჩვენს სინამდვილეში ყოველდღიურობად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სწორედ ამის წყალობით ვითარდება თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკა, განსაკუთრებით ის მიმართულებები, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებასა და ენის ათვისებას უკავშირდება.

სოციალური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმა (სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურიდან ყოფით და შიდაოჯახურ ურთიერთობებამდე) საკუთარ გავლენას ახდენენ ბილინგვი ინდივიდის ჩამოყალიბებაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მშობლიური და მეორე ენების სწავლების მეთოდის განსაზღვრისათვის.

დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობამ ორი ან მეტი ენა იცის. ჩვენი სამყარო მრავალენოვანია. ინდივიდის იდეალური ორენოვანობა, რაც ლ. ბლუმფილდს თავის დროზე საგსებით ჟესაძლებლად მიაჩნდა, სინამდვილეში თითქმის არ გხევდება. ფაქტობრივად, ბილინგვი ადამიანი თითოეულ ენას ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში იყენებს. მას არ შეუძლია რამდენიმე ენის ყველა კონტექსტში გამოყენება.

უ. ვაინრიხმა ოდესაც წამოაყენა იდეა, რომ ბილინგვიზმი შეიძლება იყოს შემადგენლობითი (comproud), თუ ორი ენის სისტემა საერთოა; კოორდინატული (coordinate), როდესაც ორი ენობრივი სისტემა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს; სუბორდინიატული (subordinate), როდესაც მეორე ენის სისტემაში ჩაწვდომა პირველი ენის სისტემის წყალობით ხდება. დღეს ეს სხვაობა აქტუალური აღარაა.

ბილინგვიზმის ფსიქოლინგვისტურ საფუძვლებზე დისკუსია, ენის ცოდნის დიფერენცირების აუცილებლობა დონეების მიხედვით, ორი ან მეტი ენის შერწყმის კანონზომიერებების გავლენა ინდივიდზე – ამ საკითხებზე მეცნიერები გამუდმებით კამათობენ და დროთა განმავლობაში ეს კამათი სულ უფრო მწვავე სასიათს იძენს. პრობლემას, კერძოდ, ტერმინოლოგიის მრავალფეროვნებასა და მის არაზუსტი გამოყენებას ართულებს – პირველი/მეორე, ძირითადი/დამატებითი, მშობლიური/უცხო, დომინანტური/მეორეხარისხოვანი, მემკვიდრეობითი/შემნილი, გარემოს ენა, დედის/მამის ენა და ა.შ.

ენის ათვისებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია პიროვნების ხასიათი, ტემპერამენტი, მეხსიერებისა და უურადღების კონცენტრირების უნარი, წარმოსახვის თავისებურება, ის, თუ როდის, რა ასაკში აითვისა მან ენა.

ბილინგვური აღქმისა და განათლების სწორი წარმართვის შემთხვევაში შედეგი თითქმის ყოველთვის დადებითია და პიროვნება ორი ენის კარგ მცოდნედ ყალიბდება.

## **მართება პლატფორმაზე დირექტული პოლიტიკის სხვადასხვა მიცნობულ პარალიზმაში**

ენობრივი მოდელირების ზოგად პრობლემათა შესწავლა, ლინგვოკრეატიული მოლაპარაკე პიროვნების განხილვა კონტენტ-დისკურსიული პოზიციებიდან პიროვნებათშირის კომუნიკაციაში წარმოადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემას.

დირექტული კომუნიკაცია, როგორც დიალოგიური ინტერაქციის მონაწილეობა სამეცნიერო პროცესის განსაკუთრებული სახეობა, ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ენაში.

დირექტულობის, როგორც ფუნქციონალური ენობრივი კატეგორიის, მნიშვნელობა სემანტიკური ვარიანტის სახით შეევანილია საერთოდ კაუზაციის მნიშვნელობაში. კაუზაციის კატეგორიას საფუძვლად უდევს მოლაპარაკეს ნების გამოხატვა, რომელიც “წააქეზებს” შეტყობინების ადრესატს გარკვეული ქმედებისაკენ.

დირექტულ გამონათქვამებს როგორც დიალოგიური ერთიანობის ნაწილს შეისწავლიან სხვადასხვა მეცნიერულ პარადიგმაში.

სტრუქტურულ-სემანტიკური მიდგომის ფარგლებში გამოყოფენ კაუზაციის რეპლიკების ისეთ მნიშვნელობებს, როგორიცაა თხოვნა, რჩევა, აქრძალვა, ნებართვა და სხვა. მათი სემანტიკური სტრუქტურა შეიცავს შემდგენ აუცილებელ კომპონენტებს: კაუზაცია, კაუზაციის აგენტი, კაუზაციის პაციენტი და შედეგობრივი მდგომარეობა.

ფუნქციონალურ-სემანტიკური მიდგომის პოზიციიდან დირექტულ გამონათქვამებს წარმოადგენს ლექსიკურ-გრამატიკული კელების სახით.

ხოლო სამეცნიერო კომუნიკაციის პრაგმატიკის პოზიციიდან, ანუ სამეცნიერო აქტების თეორიის ტერმინებში, “იმულება” (“წააქეზებლობა”) არის ილოკუციური ძალა, რომელშიც გამოხატულებას პოვებს ენობრივი ურთიერთობის მიზნობრივი ასპექტი. მისი კონკრეტული შინაარსი ისხსნება ამოსავალი სიტუაციას, მოლაპარაკის ქმედების, ანუ სამეცნიერო აქტის და საქმის საბოლოო მდგომარეობის, შედეგობრივი სიტუაციის, ურთიერთქმედების ანალიზის საფუძველზე.

**ნატა გასილაძე**  
**პონცევაშვილის ასოციაციური ფუნქციონირება**  
**რუსულ ენაზი**

ლექსიკურ-სემანტიკურ ასპექტში კონცეპტი წარმოადგენს ერთეულს, რომელშიც აკუმულირებულია რეალის სხვადასხვაგვარი ნიშანი (კერძოდ, თვალსაჩინო წარმოდგენის სახით) და მთელი მათი მრავალსახეობის ექსპლიკაციას ახდენს სათანადო ლექსიკური ერთობლიობა. კონცეპტის (კონცეპტოვანი კომპლექსის) სტრუქტურირება ხდება რამდენიმე ასპექტში. ერთი მხრივ, იგი განისაზღვრება სემანტიკური პოტენციალისა (ინტენსიონალისა) და ლექსიკური ექსპლიკაციის საშუალებათა (ლექსიკური სიმრავლის) თანაფარდობით. სემანტიკური პოტენციალი, თავის მხრივ, აღიწერება ასპექტის, სემანტიკური ნიშისა და სემური კონკრეტიზატორის იერარქიულად თანაფარდი ცნებების მეშვეობით: სემური კონკრეტიზატორების ერთობლიობა – ასპექტის, ასპექტების ერთობლიობა – კონცეპტის სემანტიკურ პოტენციალი. მეორე მხრივ, კონცეპტის სტრუქტურა აღიწერება მაკროკონკრეტისა და მისი შემადგენელი მიკროკონკრეტების კომპლექსის ცნებებით, რომლებიც ბაზისურ რეალიას ასახავენ მისთვის დამახასიათებელ სიტუაციურ კავშირებში. მაკროკონცეპტის როგორც ერთიანი სტრუქტურის, ინტერპრეტაცია ემყარება ლექსიკურ და სემანტიკურ მაჩვენებლებს: ახვის (ასოციაციურ-სემანტიკური ველის) ლექსიკურ შემადგენლობაში ინტეგრალურ როლს ასრულებენ ლექსემები (უპირველეს ყოვლისა, ზმური), რომლებიც ასახელებენ მიმართებებს შესაბამის რეალიებს შორის; მაკროკონცეპტის სემანტიკურ კონტინუუმში ინტეგრალურია მიკროკონკრეტებისათვის საერთო შინაარსები. კონცეპტი ძირითადი კატეგორიად ლექსიკის ასოციაციური ფუნქციონირების სემასილოგიურ ანალიზში, ლექსიკაში სისტემური მიმართებების ანალიზში, ეს კატეგორია განსაზღვრავს კვლევის სათანადო მოდელს. სემასილოგიურ ასპექტში განხილვისას კონცეპტის კატეგორია ახდენს ლექსემათშორისი კავშირების ერთერთი ტიპის რეპრეზენტაციას. ეს ტიპი განპირობებულია სიტუათა დენოტატურ-სიტუაციური მიმართების ერთიანობით. ენის მატარებელთათვის იგი ფსიქოლოგიურად რეალურია და, ამდენად, დირქტულია ლექსიკურ-სემანტიკური სისტემისათვის. კონცეპტის ასე დანახული კატეგორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენის ლექსიკური შედგენილობის სისტემური აღწერის მოდელად:

ამგვარი აღწერის ერთეულს წარმოადგენს მეტყველების ნაწილ-თაშორისი პარადიგმა, რომელსაც ასოციაციურ-სემანტიკური ველი ეწოდება. ასეს, რომელიც აერთიანებს კონცეპტის ექსპლიკაციის ლექსიკურ საშუალებებს, შეიძლება მიეცეს სემანტიკური პარადიგმის კვალიფიკაცია (თუმცა პარადიგმების კვალიფიკაციის კლასიკური ტიპების ფორჩევი იგი ფრიად სპეციფიკურია): მასში შემავალ სიტყვებს, რომელთაც სხვადასხვა კატეგორიალურ-გრამატიკული და კატეგორიალურ-ლექსიკური სემანტიკა აქვთ, აერთიანებს ის, რომ მათ მნიშვნელობებში ამა თუ იმ ფუნქციური და იერარქიული სტატუსით წარმოდგენილია ინტეგრალური სემანტიკური კომპლექსი (ცველი, წყალი, სახლი და მისთ.).

**07062 გაკენაძე**  
**ლექსიძე მრთელობა სემანტიკური გარდამხდა სლავურ-რუსულ  
რელიგიურ ღისკურსზე**

იმ სიტყვათა მნიშვნელობების განსაზღვრის სირთულეებზე, რომლებიც იხმარებოდა შორეულ წარსულში, ასევე მათი აღქმის თავისებურებებზე ბევრი ლინგვისტი წერდა. სიტყვის აზრობრივი სტრუქტურის, მისი ყველა გრამატიკული ფორმისა და ფუნქციის, ექსპრესიული და სტილისტური ელფერის სრული გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ლექსიკური სისტემის ფონზე და მათთან კავშირში.

ზოგიერთ ტერმინოფონდზე სრული წარმოდგენის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული საკვანძო სიტყვის წინასწარი სემანტიკური ანალიზის საფუძველზე. სწორედ ამიტომ მოცემული ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს სლავურ-რუსული სულიერი კულტურის საკვანძო სიტყვის **“вдохновение”**-ს ფუნქციონირებისა და სემანტიკური გარდაქმნის თავისებურებების გამოვლენა. ამ მიზნით შესწავლილი იქნა ოსტროუსკის ბიბლია – პირველი სრული სლავური ბიბლია (1581 წ.) და რუსული ბიბლია.

ვ. დალის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში (1880 წ.) სიტყვა “**вдохновение**”, “**вдохнуть**” მოცემულია ზენა “**вдыхать**” მნიშვნელობაზე დაყრდნობით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოსტროვსკის ბიბლიაზი  
სიტყვა “**вдохновение**” არ ფიგურირებს, რასაც მოწმობს შემდეგი  
პარალელური ლიქვიდი:

**რუსული ბიბლიი (მათგ. 22 : 43):** Говорить имъ: какъ же Давидъ, по вдохновенію, называетъ его Господомъ.

შეგვიძლია სხვა მაგალითის მოყვანაც:

**თხოვთ ბიბლიი (მათგ. 22 : 43):** მათგან დაბოლოვ ამიტება.

**რუსული ბიბლიი (მათგ. 22 : 43):** И пришелъ онъ по вдохновенію въ храмъ.

როგორც ვხედავთ, სიტყვა “**вдохновение**” ჩნდება მხოლოდ რუსულ ბიბლიიში, ხოლო ოსტროჟსკის ბიბლიის პარალელურ ლექსებში ფიგურირებს სიტყვა **“თხოვთ”**. დროთა განმავლობაში ადგილი პქონდა სიტყვა “**вдохновение**”-ს მნიშვნელობის გარკვეულ ძვრებს და მისი სემანტიკის გარდაქმნას. კერძოდ, მოხდა ზმის მოქმედების მნიშვნელობის მიღევა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობის ფორმირება, რამაც ასახვა პპოვა რუსული ენის ლექსიკონში (М., 1981, в 4 т.).

სიტყვა “**вдохновение**”-ს სემანტიკური განვითარება ნათელი მაგალითია მოცემული გენეტიკურ-სტილისტური პლასტის სიტყვებისათვის, რომლებიც ფართოდ გამოიყენება განყენებული ცნებების აღსანიშნავად და განეკუთვნების საზოგადოების სოციალურ, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს.

## გაია თუხარები შანრისა და მეტასანრის ბანცალპეპების პროგლემისათვის

თანამედროვე ლიტერატურადმცოდნეობაში ქანრის კატეგორია საქმარისად დამუშავებულია. მიუხედავად ქანრის განსაზღვრებების სიმრავლისა, თეორიული და პრაქტიკული გაურკვევლობები ამ მხრივ თითქმის არ არის. ამასთან ერთად, 1970-იანი წლების მიწურულიდან და 1980-იანი წლების დასაწყისიდან მეცნიერებაში მეტასანრის, ანუ ერთგვარი “ზეჟანრის”, “უმაღლესი ქანრის” ცნება გაჩნდა. ეს კატეგორია იშვიათად წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ინტერესის - ამ შემთხვევაში არ არსებობს მკაცრი თეორია და თავს იჩენს რიგი აქტუალური პრობლემებისა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემათაგანი - ქანრისა და მეტასანრის განცალკევების განსაზღვრაა. აუცილებელია გავრკვეთ - ამ მოვლენებს რა ანათესავებს და პრინციპულად რა განასხვავებს.

არსებობს მეტაუანრის სამი ფუნდამენტალური განსაზღვრება. პირველი ეკუთვნის რ.ს. სპივაკს. მეტაუანრი მისი აზრით, – არის “სტრუქტურულად გამოხატული, ლიტერატურული სახეობის მიმართ ნეიტრალური, სამყაროს მხატვრული მოდელირების მრავალი ისტორიულად კონკრეტული საშუალებების მყარი ინგარიანტი, გაერთიანებული მხატვრული გამომსახველობის საერთო ნიშნით.”

რამდენადმე სხვაგვარად ხედავს მეტაუანრს ნ.ლ. ლეილერმანი. მკვლევარი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს საკუთარი კონცეპციის კავშირს ი.ნ. ტინიანოვის იდეასთან, რომელიც გულისხმობს “უფროსი უანრების” არსებობას. მეტაუანრი, ამ ოვალთაზრისით – ერთგვარი “წამყვანი ჯანრია”, “შინაარსობრივი ფორმის ერთგვარი პრინციპიალური მიმართულებაა <...>, რომელიც დამახასიათებელია უანრების მთელი ჯგუფისათვის და ავლენს მათ სემანტიკურ ნათესაობას.

მეტაუანრის მესამე განსაზღვრება ეკუთვნის ე.ი. ბურლინას. მკვლევარი ნ.ლ. ლეილერმანის კვალს მიჰყვება და მეტაუანრს ხედავს, როგორც ეპიქის “წამყვან უანრს”. მისი აზრით მეტაუანრი “დროსა და სივრცეში შემდგარი ნაწარმოების დამასრულებელი ტიპია, რომელიც გამოხატავს გარევეულ კონკრეტულ-ისტორიულ კონცეპციას”. ამასთან ერთად ე.ა. ბურლინა უცილობლად უსვამს ხაზს მეტაუანრისის დროის კულტურასთან შეწყვილებას, მის ფუნქციას, როგორც მოცემული კულტურის გამომხატველისა, გაცილებით დომინანტურის, ვიდრე უბრალო უანრების, რამდენადაც მეტაუანრი, მეცნიერის აზრით, ერთდროულად კლინდება გარევეული კულტურის სხვადასხვა სფეროებში. ყველა მოცემული განსაზღვრება განსხვავებულია და შესაბამისად საკამათოა. ამდენად, მეტაუანრის კატეგორია ბოლომდე გაურკვეველი რჩება და მის შესახებ საუბრისას აუცილებელია ყველა მკვლევარის კონცეპციის გათვალისწინება.

ძირითადი მომენტები, რომელიც ჯანრისა და მეტაუანრის მსგავსებისა და ამავე დროს არსებული განსხვავების კონსტრუირების საშუალებას იძლევა შემდეგში მდგომარეობს: პირველი – მეტაუანრს განასხვავებს მიღრეკილება გავიდეს ლიტერატურული სივრცის ჩარჩოდან სხვაგვარ, გაცილებით ფართო კოორდინატების სისტემაში. მეტაუანრი თავისი ბუნებით ერთგვარ სინთეზიკურ წარმონაქმნად გვევლინება.

ლიტერატურული ციკლი, კრებული ან ლექსების წიგნი - გარკვეულწილად მეტაუანრია; როგორც მეტაუანრის მნიშვნელოვანი დიფერენციონალური მახასიათებელი შეგვიძლია გამოვყოთ “დისციპლინათაშორისი”, სინთეზუკური მიმართულება,

სწრაფვა ერთგვარი სინკრეტიზმისკენ; შემდეგი მომენტი - უანრისა და მეტაუანრის სტრუქტურულ-სემანტიკური ბუნებაა. უანრის სტრუქტურა მუდამ კანონიკურია. მეტაუანრის სტრუქტურულ-სემანტიკური ბუნების საკითხი ბოლომდე ნათელი არ არის. უდაოა, რომ თავისი შინაგანი აგებულებით მეტაუანრი მსგავსია უანრისა: მის საფუძველში არსებობს ერთგვარი მყარი კონსტრუქცია. ოუმცა, მეტაუანრის სტრუქტურულ-აზრობრივი მატრიცის ერთმნიშვნელოვნად არქაულ ბუნებიაზე საუბარი არ შეგვიძლია. მატაუანრები, შესაძლებელია წარმოიშვნენ როგორც აქტუალიზაციისა და ტრანსფორმაციის უძველესი არქეტიკის გზით, ასევე სხვა სახის, არაკონვენციონალური გზით. ბოლო მომენტი, რომელიც აუცილებელია აღინიშნოს, ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესში უანრის და მეტაუანრის ყოფის თავისებურებებია. მეტაუანრის სიცოცხლე დიდი კონვენციონალობის შემთხვევაში მისი სტრუქტურულ-სემანტიკური საფუძველი, სავარაუდოდ, უანრის სიცოცხლის მსგავსია.

## ნოდარ ფორაზიშვილი 6. პ. ობრეგის პრემა „იუმორის“ მრთი პასაზის შესახებ

1. უკვე მრავალი წელია, არცოუ ნათელი გარემოებებისა და ასეთივე მიზეზების წყალობით, რუსულ პოეზიასა და სამწერლო კულტურაში ნ.პ. ოგარიოვს აშკარად დაგრინგებული მდგომარეობა და ადგილი უკავია. არადა, მის სიცოცხლეშივე წერდნენ მასზე ვგ. ბელინსკი, ა.ა. გრიგორიევი, ნ.ა. დობროლიუბოვი, ნ.ა. ნეკრასოვი, ნ.გ. ჩერნიშევსკი და სხვებიც, ისინი, ვისი სოლიდური მცდელობებიც მიზნად ისახავდა სიტყვაკაზმულობის ფაქტ სამყაროსთან სენებული მწერლის ზიარებასა და მისთვის, ასე ვთქვათ, დამსახურებული და საპატიო ადგილის მიჩნას.

2. იმ ნაწარმოებებს შორის, რომელიც აღნიშნული მიზეზების გამო ვერ ერწყმის პოეზიის საყოველთაოდ აღიარებულ წესრიგს და ვერ იძენს სათანადო სიცხადეს, აღნიშვნის დირსია პოემა

„იუმრი”, რომლის ლირიკულ გმირადაც თავად ავტორი წარმოგვიდგება. მოცემულ შემთხვევაში, იმ „პიროვნული სახის” გამოაშეარავება, რომელიც „ლიტერატურულ თრეულს” „ბიოგრაფიული კონკრეტულობით” და შემთხვევითი თვისებების „შემოჭრის” გარეშე ჩატაცვლა – ჩვენი გამოკვლევის სტრატეგიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

3. ურადღებას იყრობს ერთი საინტერესო ფაქტი: ლირიკულ გმირს, ავტორის მსგავსად, იზიდავს მოგზაურობა და მის მარშრუტში ხვდება არა მხოლოდ რუსეთი თავისი ქალაქებით, არამედ საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი და, რაღა თქმა უნდა, კავკასიაც, შემგული შესაბამისი კომენტარებით. ეს უკანასკნელი აუცილებელია როგორც თავისუფალ მოაზროვნის სწრაფვათა საპირწონე:

Я патриот, свой знаю долг,  
Но взять Парижа б не решился.  
Я думаю, довольно с нас,  
Когда мы усмирим Кавказ

4. ყოფით ცხოვრებაში ბარბაროსული დებულებებით შეჭრა, მათ შორის პოლონეთის ან კავკასიის ყოფაში – ერთ-ერთი აშკარა გამოხატულება დესოტიზმისა – არა მხოლოდ პრიმიტიული მოცალების ან ძალდატანების დონეზე, არამედ შემაძრწუნებელი ფორმითა და ვაჟლარული კონფიგურაციით აღწევ „სიყრმეში”. და სრულიად ადარ აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი მისამართითაა ნათქვამი ქვემომოყვანილი მუქარა:

К тому же во мне другая кровь,  
В душе совсем другая вера:  
Есть к массам у меня любовь,  
И в сердце злоба Робеспьера.  
Я гильотину ввёл бы вновь...  
Вот исправительная мера!  
Но нет её, и только в них  
Могу я бросить желчный стих.

5. თუ მხედველობაში მივიდებთ კავკასიას ან პოლონეთს, როგორც წარსულს დერჯავული რეალობისა, და აწმუნს წარსულისგან მოწყვეტის გარეშე, ყველა საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: „დროებათ დომინირებული სურათ-ხატები” პლავაც გაყინული რჩება რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში – დროების ყინული არ დნება და ვერც მასში ჩაყინული სურათ-ხატები დაიძრებიან; და სწორედ ამის წყალობით ჩნდება მარადიულობის ილუზია, ანუ „სტატიკური მდგომარეობიდან” გამოუსვლელად

„თავის თავში დროის უსასრულობის მოცვა”. ეს კი მოწმობს იმ ფაქტს, რომ რუსეთისთვის დამახასიათებელია „ისტორიის მიზანმიმართულად დაგიწყების დაჩქარებული პროცესი”, ხოლო „ახალი ისტორისტები” პელავაც „პატაკომბების” იდეოლოგიის ტყვეობაში რჩებიან ისე, რომ „დისციპლინარული გეტოდან” გამოსვლის მცირები შანსიც არ ეძღვევათ.

6. გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „იუმორის” ლირიკული პერსონაჟი კავკასიასა და პოლონეთთან, ისევე როგორც დღევანდელი რუსეთი საქართველოსთან, ამყარებს „მისტიკურ ურთიერთობებს: რეალობა წარმოადგენს არა მოცემულობას, არამედ მის მიზანმიმართულ, „დერუავნიკულ” მცდელობათა ნაკრებს”.

## ქართველური ენების, კავკასიონურისა და პლასიტური ფილოლობის სამცია

### 0რ0ნ0 დარჩია

#### ქართველური ელემენტები გერმანულ თეონიზმაში

ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევრის უნიკალურმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყო ბერძნული მითების ჭეშმარიტება, რომ გმირთა ეპოქაში ეგეიდაში მაღალგანვითარებული ცივილიზაციები არსებობდნენ, რომ ბერძენთა ისტორიულ ასპარეზზე გამოჩენამდე ბალკანითის ნახევარკუნძული, ეგეიდა, მცირე აზიის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროები დასახლებული ყოფილა პელასგებით, ლელეგებით, კარიელებითა და სხვა წინაბერმნული ტომებით. ჯერ კიდევ ჰომეროსის “ოდისეა” ადგვინერდა კუნძულ კრეტას (XIX, 172 გვ.), სადაც რამდენიმე ტომი ბინადრობდა და რამდენიმე ენაზე მეტყველებდნენ.

წინაბერმნული ეულტურა მრავალ კითხვას ბადებს და XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე მეცნიერთა არაერთი თაობა ცდილობს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და იმავდროულად აქტუალური საკითხი წინაბერმნული ტომების ეთნიკური კუთვნილება და მათი ენისა თუ ენების რაობაა და ეს უშუალოდ უკავშირდება ბერძნული ენაომეცნიერების პრობლემატიკას, ვინაიდან ბერძნულმა ენამ ათასობით წინაბერმნული ლექსიკური ფორმატივი თუ სიტყვათმაწარმოებელი შემოგვინახა. მრავალი ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგია დღემდე დაუდგენელია და არსებობს მოსაზრებები მათი წინაბერმნულ ენობრივ სამყაროსთან კავშირის შესახებ.

წინაბერმნულ ენობრივ მასალაში დღეისათვის გამოვლენილია რამდენიმე ასეული ლექსიკური ფორმატივი, რომელთა ქართველური წარმომავლობა მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ეჭვს აღარ იწვევს. რა მასალის, რა მონაცემების საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი წინაბერმნული მოსახლეობის ქართველურ ტომებთან ნათესაობის შესახებ? ეს გახლავთ ქართული და ბერძნული ლექსონტური შედარებით ანალიზი, ორივე ხალხის კულტურის აკნად მცირე აზიის მიჩნევა, ანტიკური მითოლოგიის მონაცემთა დატალური ანალიზი და ცალკეული ლინგვისტური დაკვირვებები.

მოსესენებაში “ქართველური ელემენტები ბერძნულ თეონიმებში” ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებებზე დაყრდნობით წარმოდგენილი და გაანალიზებულია რამდენიმე ბერძნული თეონიმი (კერძოდ, ათენა, ბაქტოსი, კიბელე, ტიტანი, კაბირები), რომლებშიც, შესაძლებელია, ქართველური ელემენტები გამოიყოს წინაბერმნულის კავკასიური თეორიის კონტექსტში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის უაღრესად რთული და საკამათო საკითხი, რომელსაც მომავალში სერიოზული კვლევა ესაჭიროება. აღსანიშვია ისიც, რომ ბერძნულსა და ქართველურ ენებს შორის პარალელურის არსებობა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ ათასწლოვან ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებზე, რომელიც ეგვიძასა და კავკასიას, ქართულ სამყაროს შორის არსებობდა.

## თინათინ გიორგობიანი დედნისა და თარგმანის შეაირისაირეანი

### ანალიზისათვის

მოხსენებაში ყურადღებას ვამახვილებთ, რომ მხატვრული თარგმანის ენისათვის ესთეტიკური ფუნქციაა გადამწყვეტი და რომ მთარგმნელი ცდილობს თარგმანი უფრო მეტად მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, გაითვალისწინოს სალიტერატურო ენის ნორმები და შედეგად ვღებულობთ ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფს, ორი სტრუქტურის სინთეზს, სადაც ძველი ბერძნული და ქართული ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული. იმისათვის, რომ ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის შეპირისპირებით ანალიზი წარმოგვეღინა, მივმართეთ აკაკი ურუშაძის მიერ ქართულად ამეტყველებულ პლუტარქეს.

პლუტარქეს სტილისათვის დამახასიათებელი იყო ზნეობრივი კატეგორიები. იგი ფილოსოფიასა და რიტორიკას თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გასამაგრებლად მიმართავდა. პლუტარქეს “მორალიები” – ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, რელიგიური, დიდაქტიკური თუ პლოტიკურ-ისტორიული წიაღსვლებით, პოეტური ამონარიდებით და მახვილგონივრული დაკვირვებით ერთგვარი რიტორიკაა. მაღალმხატვრულობამ, ეთოკურობამ, ენის ხატოვანებამ განსაზღვრა პლუტარქეს ნაწარმოებთა პოპულარობა.

ზნეობრიობის უმთავრესი თვისებები პლუტარქეს “პარალელურ ბიოგრაფიებშიც” ქარგად იკვეთება. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ცხოვრებასა და ისტორიას. პლუტარქე ანტიკური სამყაროს ორმოცდაათი მოდვაწის ცხოვრების აღმწერია და სწორედ მისი შემოქმედებითი სტილის დამახასიათებელია, რომ მან სათავე დაუდო ხასიათის ანუ ლიტერატურულ პორტრეტს.

რიტმი და ინტენსივია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პროზის სტილისტიკაში; სტილისტური ხერხები, რიტორიკული ფი-

გურები თხულების რიტუალობას ქმნიდა და ბერძნული დედნების მიხედვით კარგად იყო ცნობილი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებისათვის.

ქართულ თარგმანებში ფორმათა ბუნებრიობა, აზრის სიცხადე და ხატოვანება მიიღწევა ქართული ენისათვის ბუნებრივი კონსტრუქციების გამოყენებით კალკების ნაცვლად. ფრაზის გაშლით და ქართული ენის ბუნების შესაბამისად გადმოტანით განსაკუთრებული ბუნებრიობა და სისადავე მიიღწევა; აღდგენილია წინადაღების გამოტოვებული წევრები, მიმღეობური ფორმები გადმოტანილია ზმნის პირიანი ფორმებით, შენარჩუნებულია დაღნის სტილი, ინტონაცია. ამთაბ ეს თარგმანები ფასეული.

ქართველი მთარგმნელი ბუნებრივი ქართული ფრაზით ცვლის რიტორიკული ხერხის, პარონომასიის შემცველ ბერძნულ გამოთქმებსაც. გრამატიკულ ფორმათა ერთობლიობა, მხატვრულ ტექსტში მათი ორგანიზება და ხმარების მეტნაკლები სიხშირე ლექსიკურ ერთეულებთან ერთად აყალიბებს ნაწარმოების პოლიფონიას, მათ შორის რიტმისა და ინტონაციას.

მიჩნეულია, რომ პროზის იდუმალი მიზიდულობის ძალა მის რიტმულობაშია, ხოლო პროზის რიტმის კანონები ლექსიტრულის მკაფიოდ გამოხატულ მეტრიკულ კანონებზე მაღლა დგას.

## ლეილა ბებ უჩაძე აარონოვაზიული გამოთქმის სინტაქსური გვალიზიკაციისათვის

1. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, პარონომაზიულ გამოთქმებში, ჩვეულებრივ, ორი კომპონენტი გვაქვს: საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით და ზმნის პირიანი ფორმა (პოვნით ვპოვთ..., გმორჩევით გამოირჩია...). პარონომაზიულ გამოთქმაში შეიძლება სამი სიტყვაც იყოს, თუ მოქმედებით ბრუნვაში დასტული კომპონენტი შედგენილ შემასმენელთან აღმოჩნდება (შეჩუენებით შეჩუენებულ კვენით..., მწირობით მწირ იყვნეს...);

2. პარონომაზიულ გამოთქმაში ერთი და იმავე ძირის ფორმები გვხვდება (მოდებით მოვიღო..., დახსნით დაჭხსნდეს...), მაგრამ შეიძლება სხვადასხვა ძირის ფორმებიც შეგვხვდეს, “რომელთაც ერთი შინაარსი ან დაახლოებით ერთი შინაარსი აქვთ...: აღმოცენებით აღმოჰქედ..., განთხევით განმიშორენ...“ (ი. იმნაიშვილი);

3. პარონომაზიულ გამოთქმაში შესაძლოა რთული ზმნაც გვქონდეს (შეურაცხებით შეურაცხ-მყო...), იშვიათად თრივე კომპონენტი საწყისია (უბრძანა თრევით მოთრევაი...);

4. პარონომაზია ძალიან ხშირად ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გახვდება, მაგრამ იგი არაა მიჩნეული არაქართულ მოვლენად, რამდენადაც მას ეხვდებით როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის ორიგინალურ ძეგლებშიც და დიალექტებშიც (შეძლებით კი შეიძლება..., გალახვით არ გამიღავს, მარა შეჯანჯგალებით კი შევაჯანჯგალე...);

5. რაც შეეხება აღნიშნული გამოთქმის სინტაქსურ კვალიფიკაციას, ამ თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობაა:

ა) იგი განიხილება როგორც ერთი მთლიანობა, ან

ბ) თითოეული კომპონენტი პარონომაზიული გამოთქმისა მიიჩნევა წინადაღების დამოუკიდებელ წევრად.

მოხსენებაში განიხილულია ეს თვალსაზრისები და არის ცდა საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენისა.

### დიანა ანზიგიაზი

ზმა, როგორც სემიოტიკური ნიშანი (აღმიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთიმიმართების რამდენიმე საკითხისათვის)

ზმის, როგორც სემოტიკური ნიშანის დახასიათებისას საჭიროა გამოვიყენოთ რამდენიმეგვარი მიმართება, ზოგადად ზმის ერთგვარი აბსტრაქტული მოველი, აბსტრაქტული კატეგორია, ანუ პლატონის ენით რომ ვთქათ, ზმა, როგორც ზოგადი იდეა, ზოგადი ფორმულა – ეს იქნება ზოგადი ნიშანი, ანუ ერთგვარი აბსტრაქტული ნიშანი.

ამას გარდა, ამ ფორმულაში ჩასმული ყოველი ცალკეული მნიშვნელობა წარმოადგენს ცალკეულ ნიშანს, ანუ ზმის ყოველი ცალკეული ფორმა – იქნება დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც გამომდინარებს ზმის აბსტრაქტული ნიშნისგან, და სხვა ნიშნებს დაუკავშირდება როგორც ვერტიკალური, აგრეთვე პორიზონტალური მიმართებებით.

და თითოეული ზმის ყველი ცალკეული კატეგორია შეიძლება აგრეთვე ქვენიშნის ფორმით წარმოვადგინოთ, რადგან მას ექნება თავისი საქუთარი აღსანიშნი და აღმნიშვნელი.

ზმის, როგორც ზოგადი ნიშანის დახასიათებისას, საჭიროა შევქმნათ ერთგვარი ფორმულა, ზოგადი განმარტება, რომელშიც ჩაჯდება ყველა ენის ყველა ზმის ყველა ფორმა, ანუ ეს იქნება გვარეობრივი დახასიათება ზმისა, როგორც უნივერსალური ნიშნისა. აქ უდაოდ გამოგვადგება ანა ვერტიკასეული მოდელი ენობრივ პრიმიტივთა, ანუ ყველა ენისათვის საერთო სიტყვათა დახასიათებისა.

გამომდინარე იქიდან, რომ ზმამ, ნებისმიერ ენაში შეიძლება გამოხატოს უამრავი კონტექსტური მნიშვნელობა, მოქმედება,

მდგომარეობა, გრძნობა, აღქმა, სიტუაცია, და ა.შ. ამიტომ, ჩვენს ზოგად დეფინიციაში, იმისათვის რომ ჩაჯდეს აბსოლუტურად ყველა ცალკეული შემადგენელი, ზმნას გამოგხატავთ, როგორც დროსა და სიგრცეში ფიქსირებად მოვლენას, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ აქტანტები. ზმნის მიერ გამოხატული ნებისმიერი შინაარსი აუცილებლად წარმოადგენს მოვლენას, ხოლო ზმნის საეციფიკურობას, რომელიც პირთა მონაწილეობით განისაზღვრება, აქტანტთა როლით წარმოვადგენთ.

ანუ, ჩვენ მიერ წარმოდგენილ დეფინიციაში ჩაჯდება ყველა ზმნა.

ე.ი. ზმნის აბსტრაქტული მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშანს, სადაც აღსანიშნი არის მოვლენა, ხოლო აღმნიშვნელი - პირთა მონაწილეობით გამოხატული ზმნური ფორმა.

რადგანაც ზემოხსენებულ დეფინიციაში მხოლოდ სინტაქტიკური წესებია მოცემული, ნიშნის ამგვარი ინტერპრეტაცია ფორმალურ სახეს მიიღებს.

ზმნის ზემოთდასახელებულ ვერბალურ ფორმულაში კონკრეტული მნიშვნელობების ჩასმითა და დაკონკრეტებით მივიღებთ ცალკეულ ზმნურ ნიშნებს. სადაც, აღსანიშნი - მოვლენა დანაწილდება და განისაზღვრება უფრო ვიწრო და კონკრეტული მნიშვნელობებით და აგრეთვე უფრო კონკრეტულ ფორმას მიიღებს აღმნიშვნელიც, კონკრეტულ ზმნურ ფორმას შეისხამს.

მაგალითად, რომელიმე “ვწერ” ზმნა, ეს იქნება ნიშანი, რომელშიც აღმნიშვნელი იქნება კონკრეტული მოქმედება - წერა, ხოლო აღსანიშნი - პირველი პირით გაფორმებული, აწმუო დროის ზმნური ფორმა.

ეს ქვენიშანი ჩაჯდება ზმნის ზოგადი დეფინიციის ქვეშ მოაზრებულ პარადიგმაში და პორიზონტალური მნიშვნელობით დაუკავშირდება იმავე ძირის სხვა ზმნურ ფორმებს.

ამდენად გამოვიდა, რომ არსებობს ზოგადი ზმნური ფორმულა, და ქვეზმნურ ნიშანთა სისტემები, სადაც ვერტიკალურ კოორდინატთა სიბრტყეზე განთავსდება ყოველი ცალკეული ნიშნისათვის უნიკალური სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო პორიზონტალურზე - ზმნის ისეთი კატეგორიები, რომელიც შეიძლება საერთო იყოს სისტემის სხვადასხვა წევრისათვის.

**ქვეყნის მიზანი შეიძლი**  
**მიზანის აღმნიშვნელი რეომატოკონტროლი სისტემი**  
**ძარის შესახვა და ფრანგული**

მეტყველების აღმნიშვნელი ქართულ-ფრანგული ონომატოპეტური ხასიათის ლექსიკის ურთიერთშედარების შედეგად საინტერესო სურათი იკვეთება. მეტყველების აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვების შედარება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ამ შემთხვევაში უდიდესი და ხშირად რადიკალურად შემცვლელი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. მაგრამ ასევე საინტერესო ცალქე, განხოგადებული მნიშვნელობით რამდენად მოიცავს მეტყველების იმ ემოციურად შეფერილ ბგერწერას, რის გამოც ჩვენ მათ გამოყოფთ.

საანალიზოდ ავარჩიეთ სიტყვები, რომლებიც აუცილებლად სამეტყველო ხმიანობის მნიშვნელობას გამოხატავნ და არა – მხოლოდ ხმაბაძვითობას, სხვა შემთხვევაში გაცილებით მეტი სიტყვა მოგროვდებოდა. ესენია: „ბოდიალი“ (სისულელის, ჩვენთვის მიუღებელის ლაპარაკი და არა ავადმყოფის უაზრო ბოდვა). სიტუაციის გათვალისწინებით გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება ხოლმე); „ქაქანი“, „დადღანი“, „ჭიჭყინი“, „ტიტინი“, „ტიკტიკი“, „ტატანი“ (დაუტატანა), „ჯიჯდინი, ჯაჯლანი“, „ეაფანი“, „ჩიჩინი“, „ჩიფჩიფი“, „ჩლილინი“, „როხროხი“, „ჭარტალი“ (ენის), „ცაცხანი“ (დაუცაცხანა) და სხვა.

ფრანგულში მსგავსი ემოციით დატვირთული სიტყვები, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ზუსტი თანხვდრა ქართულ-ფრანგულ თარგმნით ლექსიკონებში დაცული არ არის. ეს სიტყვებია: ბავარდერ (ლე ბავარდაგე); ლე ვერბიაგე; ცოქუეტერ (ლეცოქუეტაგე; ლე ცაქუები); ჯასერ (ლა ჯასერიე); ბაბილლერ (ლე ბაბიაგე); ჯავასესერ; ლე ბაბილ; ლე ბაბილლემენტ; ლე რამაგე; ბალტუტიერ; მურმურერ; გაზუილლერ (ლე გაზუილლემენტ); ლე გროგნემენტ (ლა გროგნერიე); ლე ბოუგონნელენტ; ლე რონცონნემენტ (ფამ.). რამდენიმე ქართული ცნება ერთი სიტყვით ვერ გამოიხატება და აღწერითი ფორმებია გამოყენებული, რაც მოსალოდნელიცაა; ერთი რამ უდავოა, აღნიშნული მნიშვნელობის ონომატოპოეტური სიტყვები ქართულში უფრო მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი

როგორც ჩანს, ასეთმა სიტყვებმა მოგვიანებით იტვირთა ადამიანის ხმიანობის აღნიშვნა, ისინი ერთგვარი ასოციაციის გზით მიმსგავდნენ ადამიანისას იმის მიხედვით, მანამდე რასაც გამოხატავდნენ. როგორც ცნობილია, ხმაბაძვით სიტყვებში აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი მოტივირებულია, ბგერას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ბგერწერით ლექსიკას მჭიდრო კავშირი აქვს ბგერასა და მნიშვნელობას შორის. ამ ტიპის ლექსიკაში მცირე ბგერითი ცვლილებები სემანტიკურ მნიშვნელობათა ელფერის ცვლას იწვევს. ამიტომ ვარიაციულობა,

რომელიც ბგერწერითი დერივაციის სახეს იღებს, ერთგვაროვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა კონებს ქმნის. მონათესავე მნიშვნელობის მქონე ლექსემებს მონათესავე ბგერითი სტრუქტურა აქვთ. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ ფონემურ დიფერენციალურ ნიშანთა და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კავშირებზე (მელიქშვილი, 1999, 80). მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვა ენაში განსხვავებულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, ქართული და ურანგული ენების მაგალითის გათვალისწინებით, ერთი რამ უდავოა, ქართულში ასეთი სიტყვები გაცილებით მრავალრიცხოვანია და სტრუქტურულად უფრო მოწესრიგებულ, სისტემურ სურათს ქმნის, ვიდრე ურანგულ ენაში. ქართულში /ა-ი-უ/ ხმოვნების მონაცვლეობა ერთგვაროვან ბგერით ყალიბში საკაოდ ხშირია. საშუალო აწეულობის /ე, ო/ ხმოვნები ბგერწერითი სიტყვების გადმოსაცემად არ გამოიყენება ხოლმე. ეს ერთგვარი უკიდურესობა მკვეთრი დაპირისპირების შექმნის მიზნით უნდა აიხსნას.

### **დაგანა გელიძიშვილი**

**პროგლე დიადიხოსის რეცოლოგიური სტრუქტურის ცნება-ტრაქტორი გაგება და გადმოვიდა იორანი პეტრიტან**

გასული საუკუნის 30-იან წლებში (71 წლის წინ) ქართული კულტურისა და პუმანიტარული მეცნიერების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: გამოიცა იორანე პეტრიტის შრომების II ტომი – განმარტება პროკლე დიადოხოსის, “პლატონური ფილოსოფოსის”, ტრაქტატისა “თეოლოგიის საფუძვლები” (პეტრიტის თარგმანით – “კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი”). ტექსტი გამოსცა სიმონ ყაუხხიშვილმა და გამოკვლევა დაურთო შალვა ნუცუბიძემ, რომელმაც იორანე პეტრიტი გამოაცხადა წარმართული ფილოსოფიის ავტორად (“.. ასე მიგიდა ქართველი გამგრძელებელი ბერძნული წარმართული ფილოსოფიისა წარმართობამდე, მაგრამ არა ბერძნულ და არც აღმოსავლურ, არამედ ქართულ წარმართობამდე”). მწარმართულმა ფილოსოფიამ იგი წარმართობას დაუახლოვა და ქრისტიანობის და ქრისტიანობის წარმართულ ქნაზე გადათარგმნის ცდა გააძვინდის”). I ტომი, თვით პროკლეს ტექსტი (ანუ კიმენი) გამოქვეყნდა სამი წლის შემდეგ, 1940 წელს. მას წინ უძღვის მოსე გოგიბერიძის გამოკვლევა იორანე პეტრიტის მსოფლმხედველობაზე, რომელშიც სრულიად საპირისპირო აზრია გამოიქვედის: “პეტრიტის ტექსტი არავითარ წარმართობაზე ლაპარაკი არ არის.. პეტრიტი უდიდესი ოსტატით ხმარობდა ანტიკური ფილოსოფიის კლასიკურ

ნიმუშებს, რათა ამის საშუალებით ქრისტიანული დოგმის გონიერით გამართლების საქმე უზრუნველყო.. პეტრიწი ისეთს ინტერესტაციას უქმობდა ფილოსოფიას, რომ ქრისტიანობას აგუებდა, ანდა იგი თვითონ აკეთებდა ქრისტიანობასთან შეგუებულ ცნებებს, პქმნიდა საკუთარ ფილოსოფიას, მაგრამ ეს საკუთარი ფილოსოფია იყო ქრისტიანული სქოლასტიკა”. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ორი თვალსაზრისი დღემდე უპირისპირდება ერთმენეთს და ტექსტის უფრო დრმა კვლევას მოითხოვს.

პლატონური ფილოსოფიისა და მისი ტერმინოლოგიის სისტემატიზაციონის, პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების” თარგმანს დიდი მნიშვნელობა პქონდა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დადგენისა და სისტემატიზაციის თვალსაზრისით. პროკლეს ფილოსოფიური სისტემის კომენტირების პროცესში პეტრიწმა დაამჟავა, დააზუსტა და სისტემაში მოიყვანა ქართული ფილოსოფიური ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი, შექმნა პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის (რიგების – *seirav*) ცნებითი სისტემის შესატყვისი ნათელი და გამჭვირვალე ტერმინოლოგიური სისტემა, რომელიც ოსტატურად მიუსადაგა ქრისტიანულ დოგმატიკას და, როგორც თვითონ იტყოდა, “ააღმრთისმეტყველა” იგი. რადგანაც პროკლეს „ღმრთისმეტყველების საფუძვლები”, პეტრიწის აზრით, არის „დიდთა საღმრთოსმეტყველოთა ხედვათა” სახელმძღვანელო, რომელიც „სასწავლოდ შემავალთა ყოველთა” ასწავლის დვთისმეტყველების ელემენტებს, საფუძვლებს, უმარტივეს ცნებებსა და კატეგორიებს (წინასიტყვ. გვ. 5-6), და რომლის ავტორმაც მარტივად და ნათლად წარმოაჩინა არსის წესი და რიგი (*seirav, tavxici*), როგორიცაა გონებისა, სულისა, ბუნებისა, სხეულისა (წინასიტყვ. გვ. 6), ამიტომ იგი თავ-თავის ადგილას განუმარტავს მსმენელებსა და მოსწავლეებს თითოეულ ცნება-ტერმინს, დაკავშირებულს ამ სტრუქტურასთან.

პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის თავში დგას (პგის, *τεννει*) უზადო და წმიდა (ეიჯლიკრინპკვ) ერთი, რომელიც არის დასაბამი და მიზეზი (ajrch;, aijtiva) ეოველთა მყოფთა (// სიმრავლისა – *ρα` ή ριή` πος*);

ამ უზადო, თვით პლატონის „უმწვერვალესი გონებისაგანაც კი მიუწვდომელი” ერთის შესაცნობად იმეცადინა პროკლემ და, რაოდენ იყო შესაძლო, წარმოადგინა ნათელი დასაბუთება ამ მყოფთა საწული, სატრუქტო და სასულევრო ერთისა. განსამარტავი ტრაქტაციის (შტოიცევწმის ეოლოგიკ); მირითადი აზრი, ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი წარმოაჩინოს, თუ არს

**ერთი** და **იძულებათა** მიერ თანშეხიტყუათათა აღმოაჩინოს ესე მრავალსაქადაგომ ერთი (წინასიტყვა, გვ. 3). პირველი თავები პროექტებისა და პეტრიწის განმარტებებისა ეძღვნება ერთის უპირატესობის დასაბუთებას აპოფატიკური მეთოდით, როდესაც ყოველი საწინააღმდეგო დებულება უჯეროებამდევა მიყვანილი („არამედ ეს შეუძლებელ და უჯეროცა“) და „თანგანგლის სახედ“ (დანასკვის სახით) მტკიცდება პირველად დაშვებული თეზისი. ეს უზადო და წმიდა (eijlikrinhvç) ერთი არის ყოველივეს დასაბამი, საფუძველი (აჯრცებე): დასაბამი ერთი, მიზეზი ყოვლისა ხირავსა (§ 22, გვ. 61). იგი არის უპირატესი (prwtistos) ყოველთა მეოფთა, **მთეზი** (aijtiiva) და თვით უმიზეზო (აჯვნაიტივოს), **მზიარებელი** (metevcwvn) და თვით კი უზიარო (ajmevqektoç); უზიარებლობა თვისებაა მხოლოდ ზესთერთისა, რომელიც ზესთა ძეს ყოველთა ერთთა (§ 24, გვ. 65, 29-32). ერთი სამი ასპექტით განიხილება:<sup>1</sup> სამხახე არს ხედვად ერთისავ: 1) ვითარ ზესთავსა პირველისა, რომელი ზესთა ძეს ყოველსა გსაზიდსა რიცხუთასა და ორცა-რას ეზიარების პირველ თვესსა და ორცა-რას იზიარებს შეძღვობად თვესსა, რადგან განწვალა მისდამი; 2) და კუალად არს ხეზავ ერთი, ხილული შორის სიმრავლესა და თანგანწვალებული სიმრავლესავე თანა; 3) და კუალად ხეზავ ერთი – თითოეულსა ოდენ თვითებასა შორის იხილვების, რომელთა ამათ შესატყვ სახელი ერქემის: პირველსა – ზესთამ მრავალთად, ხოლო მეორესა – შორის მრავალთად, ხოლო შესამებსა – ერთი თვითებასა შორის გუართასა (§. 24, 67, 31-34, 68, 1-7). (იხ. აგრეთვე, § 23, გვ. 64, 25-30.) ის ზესთა ერთი, აბსოლუტური ერთი, თვითერთი (აუკტონი) (=უქმნო, უქმნელი ერთი), პირველი ერთი, „რომლისა ხეზავ არდა იყოს უპირმშოებ“ (§ 3, გვ. 23, 32-33) – ოდენ ეს ზესთ ერთი და ძეთილობა შეუძლებს ერთქმნად ყოველსა ნათხესა სირავსასა, რამეთუ ერთიქმს ყოველთა და მოუკლებს ყოველსა ნათხესა სირავსასა გაერთებასა და შემოკრებს განწვალებულთა და ერთიქმს ყოველსა. რომელი ხეზათა ერთთა კერ უძლებს, ვითარ განმრავლებულმან ერთმან და გათვალებულმან ერთმან, ვითარ რომლისამე მხოლოდსამან, არამედ მან ზესთამან ერთმან ყოვლისა სირავსამან სიმრავლე ერთ-ყო და თვითებანი რიცხუთანი აერთნა (§ 23, გვ. 65, 13-20).

---

<sup>1</sup> **qmuli erTis** (*γυνόμενον ἔι*), **Sedqmuli erTis, myofi erTis**, Sesaxeb ix. a. xaranauli, 1990, gv. 89, 117, 130, 159, 163.

ეს არის სწორედ ყოველთაგან **ზესთმდგბარე უცნაური ერთი** და **ძეთილობარი**, რომელსა წადილმან პატივისამან პკადრა მას და მამადცა წოდებად (წინასიტყ, გვ. 8, 6). **ერთი** – იგვე ძეთილობაა: იგივებად ერთი და ძეთილი (ქს კა; ტ ჯაჯგაქოვნ) და დასაბაზ ყოველთა კეთილი (§ 20, გვ. 18, 16); **კეთილობარ და ერთი** – იგივებად და დმერთი და ძეთილი – იგივება (კავშირნი, § 113).

აქ **ერთი** დახასიათებული იყო მისგან გამომდინარე სიმრავლესთან, არსის იერარქიულ წყობასთან მიმართებით.

მთელი რიგი ტერმინებისა კი **ერთს** ახასიათებს აპოფატიკური თვალსახრისით, როგორც შეუცნობელს, მიუწვდომელს, უთქმელს და წარმოუსახველს: ერთი არის **უცნაური** – **უცნოვ** (agnewstoc), **მიუწვდომელი** – **მიუწვთო, უთქმელი** – **უთქოვ, უქმნელი** – **უქმნოვ** დაბოლოს, იგი არის წარმოუსახველი – **უოცნოვ**. როგორც გხედავთ, ყველა ეს ტერმინი ზემოთ სტრუქტურულ მოდელებში განხილული იმ მოკლე მოდელის მიხედვითაა ნაწარმოები (ცნობა – **უცნ-ო**, მიწუთომა – **მი-უწუთ-ო**, თქემა – **უთქ-ო**, ოც(ნ)ება – **უოცნ-ო**), რომელიც შემუშავებულ იქნა სპეციალური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცნებითი ენისათვის, მისი ყოფითი, ანუ „მდაბრიონთა“ ენისაგან განსხვავების მიზნით. **ცნობა** ზმინდან გარდა **უცნოვ** ტერმინისა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი სქემა გვიჩვენებს, იოანე პეტრიწის მოკლე მოდელებით სხვა ტერმინებიც აქვს ნაწარმოები: **მუცნ-ე, საცნ-ო**; უკუთქმითი შინაარსის კიდევ ერთი ფორმა **უცნობ-ო** აქვს ნაწარმოები. „უკანასკნელის მნიშვნელობა „უმეცარი, უვიცი, უგონო.“ ცნებათა დიფერენცირება ამ შემთხვევაში ფუძის ათემატურ **ცსქს** და ოქმატურ **ცნ-ობ** ფორმებს აკისრიათ: **უცნოვ** არის „გონებით შეუცნობელი, შეუმეცნებელი“, **უცნობოვ** კი „უმეცარი, უვიცი“: ისიცუა **უცნობომან** გულსა შინა თვესსა, არა არს დმერთი (ფსალმ. 13.1; 52.2. განმარტება, 213, 15-16. შდრ. შეელი თარგმ: თქვა **უცნურმან** გულსა შინა თვესსა – არა არს დმერთი).

რაც შეეხება **უ-ცცნ-ო** ტერმინს, იგი ნაწარმოებია **ოცნება** ზმინდან. ბერძნული ტერმინების fantasiva, favntasma, fantastikovn, fantastovc თარგმნისას მნიშვნელობათა განსხვავებული ნიუანსების დაცვა და გადმოცემა მეტად ძნელია. ამიტომ ნემესიონის რუსულად მთარგმნელმა, ფ. ვლადიმირსკიმ, ეს ტერმინები უთარგმნელად გადმოიტანა. იოანე პეტრიწი, როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც შესანიშნავად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს და ძველ ქართულში უკვე არსებული **ოცნება** ტერმინის გვერდით მოხერხებულად აწარმოებს დანარჩენი ტერმინების ზუსტ ქართულ შესატყვისებს. ეს კარგად ჩას „ბუნებისათვს კაცისა“-ს VI თავიდან, რომელიც „ფანტაზიის,

„არმოდგენის” ანუ „ოცნების” უნარს, ძალას ეხება. ნემესიოსი ამბობს: OIJ di; Stiwivkoiv tevssara tautav fasi, fantasivan, fantastovn, fantastikovn, favntasma (ნემ. PG, გ. 40, 633). იოანე პეტრიშვის თარგმანით: ხოლო სტოქლინი ოთხად იტერდეს ამას: ოცნებად, ოცნებითად, ოცნებრიგად და ოცებად (ბუნ. კაც. 72, 8-9. იქვე: ოცნება//საოცი). უ-ოცნ-ო საბას გაგებული აქვს, როგორც ცნობა ზმის დერივატი და განმარტებული აქვს, როგორც „არასაცნობელი”. ასევე, სიმ. ყაუხენიშვილსაც უოცნო გაგებული აქვს, როგორც „საცნაურის” ანტონიმური და „უცნაურის” სინონიმური მნიშვნელობისა და საძიებელში იოანე პეტრიშვის შრომების II ტომისათვის ასხნილი აქვს, როგორც „შეუცნობელი” (იხ. კავშირი, გვ. 301). ასევე გაგებული უოცნო პეტრიშვის „განმარტების” რესული თარგმანის თრივე გამოცემაში (იხ. ფცცვჯპტყბტ> 1942, გვ. 25, 1984, გვ.39). მაგრამ პეტრიშვის აშკარად განსხვავებული ცნებები აქვს გადმოცემული ამ ორი ტერმინით: უცნო – „შეუცნობელი” და უოცნო – „წარმოუდგენელი, წარმოუსახელი”. ამგარად, უოცნო მიღებულია არა ცნობა, არამედ ოცნება ზმიდან. როგორც ზემოთ, ტერმინი უოცნო იოანე პეტრიშვის ერთისა და ძეთილობის – ღმერთის ატრიბუტად აქვს ნახმარი მახასიათებლების რიგში უცნაური – უცნო, მიუწოდებელი – მიუწუთო, უთქმელი – უთქმო, უქმნელი – უქმნო სინონიმური წყვილების რიგში.

უცნაური, უცნო ერთი („შეუცნობელი” ერთი): რამეთუ იგი ზესთავ და უცნაური ერთი უხახოსაცა და ურომელოსა წარმოაჩენს ნივთსა (განმარტება, 43,9); მის ერთისა მიერ წარმოიჩინა ესე უცნაური ნივთი, კითარ უცნო – უცნობა მიერ (იქვე, 43,13).

**მიუწოდებელი, მიუწუთო ერთი:** პირველსა მას მიუწოდებელსა ზესთ არსება ერთსა (იქვე, 130, 28-29); ერთი იგი და ზენავ ყოველთა ხწოვებით ყოველთა მიზეზ და მიუწუთო (60,4).

**უთქმო, უთქმელი ერთი:** უთქმო იგი ერთი მიუდრებელობასა ზესთა ძეს (იქვე, 48,15); მის უთქმება ერთსა მიერ (45,8).

**უქმნელი, უქმნო ერთი:** უქმნელსა ერთსა არცა ნაწილნი პქონან და არცა ასონი და კავშირი (23,6); უქმნო ერთი ზესთა ძეს ნაწილობრივადასა (23,37).

**უოცნო ერთი:** უოცნო იგი ერთი ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და მოქმედებასა (18,25); მას უოცნოსა ერთსა მოაქუს თვე-შორის ყოველი ზესთგუართავი (30,4); ესე მის უოცნოსა ოდენ ერთისა არს თვეგებად (65,31) და სხვ.

**უცნო და უოცნო** ცნებები იოანე პეტრიშვილდე არ უნდა ყოფილიყო გარჩეული: გონებით წარმოუსახელის,

წარმოუდგენელის მნიშვნელობით ეფრემი მცირე იყენებს ტერმინს **მოუგონებელი**: კოველთა მოგონებათაგან მოუგონებელ არს ზემთაგონებისა იგი ერთი (არეოპაზ., 6,19). (მდრ. არცა გამოითქმის, არცა მოგონებად შესაძლებელ არს (იქნ. 10,20).

ამონიოს კრიტიკის შრომების მთარგმნელი იოანე ტარიჭისძე „გონებით წარმოდგენის“ (ეჯნეოპ., საი) მნიშვნელობით მოგონებას იყენებს: არცა კაცისათ, თანიერ სიტყვერებისა, შესაძლებელ არს მოგონებად (ამოხ. 87,6). მას „აზროვნების“, „შემეცნების“ მნიშვნელობითაც მოგონება (ნოვსიი) შესატყვისით აქვს გადმოცემული, თუმცა ამავე, გნოსეოლოგიური შინაარსით იგი გაგონება ტერმინსაც იყენებს.

მაქსიმე აღმსარებლის შრომების თარგმანში (-14), რომელიც ამონიოს მთარგმნელის ხელიდან ჩანს გამოსული, „გონებით წარმოუსახველი“ აღწერითადაა ნაწარმოები: არა გაგონებული (ოუჯ ნოვგვისი). საინტერესოა, რომ „გონებით წარმოსახვა“ გადმოცემულია შესიტყვებით: გაგონებისშორისი ოცნება, სადაც შესიტყვება-ტერმინის ძირითადი წევრი ოცნება ტერმინია.

ეს უზადო, უოცნო, უთქო, მიუწუთო, უქმნელი ზესთერთი მიღმაა (იმმრე – *eiprevkeina*) და **ზესთა ძეს** (*ujperkei nois, ujperiveroic*) ყოველივე მისგან წარმოგზავნილზე, ანუ წარმოუგლზე (*provodoic, proveisin*). ეს უანასკნელი იყოფა **რიგებად**, პროკლეს ტერმინით – **seirav** (ჯაჭვი), რომელიც პეტრიწს ხან ტრანსლიტერაციით გადმოაქვს – ბიზანტიური წარმოთქმით – „სირა“, ხან კი ზუსტ ქართულ შესატყვისს იდლევა (ხშირად ჰენდიადისურ წევილში): **ნათხზი სირახსად** („თხზავს“) ზმინდან მიმღეობა „**ნათხზი**“, ავ. „ნათხზენი“ – „ნაწნავი“), ხან: **ნაქუხი სირახსად** („ქსოვს“ ზმინდან). ზოგჯერ პროკლესთან ამ ცნების ადსანიშნავად *tavxis* („წყობა, განრიგი, წესი“, „hfrphz“) ტერმინიც გვხვდება, რაც შესაბამისად **წესით** ითარგმნება. სირა (**ნათხზი, ნაქუხი**) თუ შეიძლება ითქვას, ტექნიკური ტერმინია. თვისობრივად იგი ერთი გვარის (*eildos*) **მხოლოთა** შემცველია, **სირას** ანუ რიგისათვის **კიდოსის** ანუ გვარის (რაგვარობის) მიმცემი, გვარმყოფელი და არსების მიმნიჭებელი. ამდენად იგი არის **გვართმთავარი** ანუ **სირათმთავარი**, (სერიის, რიგის მთავარი), **წესთმთავარი**, **სირათდასაბამი**. სირათმთავრებთან ანუ სირათდასაბამებთან მსგავსების საფუძველზე **ბაძის** (ზუელვის, *mivmesic, ojmoiovthc*) გზით ხდება უკუქცევა უშუალოდ თავისი არსებითი დასაბამის, მიზეზის (*ajrchv, ajitiva*) მიმართ და არა „გითარ დახუდეს“ (ანუ როგორც მოხვდება, შემთხვევით), რადგანაც უცხოსა კითარ ეტრიოს ბუნებით? (გვ. 88,18).

**წარმოობის**, ანუ გ ზავნის (proi>evnai, provodoც) ანუ ემანაციის საფუძველიც მსგავსებაა: გ ზავნანი არსებათანი მსგავსებისა მიერ არიან (§ 55). ამასთან, რაც უფრო ახლოა (მოახლეა) ყოველი მომდევნო გვართა სფერო ანუ რიგი ზესთერთან, მით უფრო მსგავსია მისი და, ამდენადვე, უფრო უმჯობესია მის-ქვეშეოთ რიგზე. შესაბამისად – რაც უფრო დაშორებულნია „ნათხნი სირავსანი“ ერთისაგან, მით უფრო მდარე ანარეპლებია და „უმსგავსონია“ ისინი ერთისა. და ასე – უსახო და უგვარო ნივთამდევ, რომელსა არარსად სახლოსდგა სიტყუამან (§ 21, გვ. 58).

ყოველივეს დასაბამი და პირველმიზეზი ზესთერთია (ანუ თვითერთი – აუთიოენ: ერთისა მიერ პირველისა წარმოიყენებიან მხოლონი არსებათანი („კავშირნი“, § 115, გვ. 71)), მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ყოველ რიგს თავისი საქუთარი დასაბამი, თავი (სირათმთავარი, გვართმთავარი) აქვს და, მაშასადამე, თავისი უახლოესი მიზეზიც. ამ გვართმთავარი პენადისაგან – ყოველი გუარის დასაბამითი მიზეზი მსგავსთა წარმოიყენებს: ყოველი სირათდასაბამი, ვითარცა იყოს თუთებად პირველისად, თან-მისცემს თუთა თუთებისაგან სირასა ყოველსა („კავშირნი“, § 115, გვ. 71), ანუ როგორც პეტრიწი იტყვის, „იზიარებს უზებთავეს და მიზეზი თუ-გამო მიზეზთანსა და თან-მისცემს თავისი მოუკლებელისა მყოფობისაგან“ ისე, რომ თვით არაფერს მიიღებს მისგან. ამგვარად, უჯობესი (უმაღლესი) იზიარებს უდარებეს, (ანუ უდარები ეზიარება უმჯობესებს: ე. ი. ზიარების<sup>1</sup> მექანიზმი სერიათა მწკრივში წარმოობის პროცესში – ცალმხრივია. მიზეზისაგან გამომდინარე მიზეზთანაზე<sup>2</sup> (აიjtiatovn) თავის თავში ატარებს

<sup>1</sup> ზიარება ტერმინის გააზრებასთან დაკავშირებით იხ. იოანე პეტრიწის „განმარტების“ I თავი, სადაც იგი მეტად მარჯვედ იყენებს ამ ზმნის სამი სხვადასხვა ფორმის (იზიარებს მათ იგინი, ეზიარა იგი მას და იზიარა მან იგი) ლინგვისტურ ანალიზს იმისათვის, რომ დაასაბუთოს პროკლეს ძირითადი თეზისი „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაოთავე ერთხა.“

<sup>2</sup> ტერმინი „მიზეზისაგანი“, რომელიც ბერძნ. αἰχτίατρον-ის შესატყვისად აქვთ ნახმარი ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს (იხ. „დიალ.“, 47,2), გამოხატავს მიზეზისაგან გამომდინარეობას, პეტრიწის ტერმინი მიზეზთან კი ხაზს უსვამს მიზეზისაგან გამომდინარეობასთან ერთად მიზეზის თავის თავში მქონებლობას ანუ „პყრობას“ (-ოგან სუფიქსი ქონების გამომხატველია), რასაც

მიზეზს, მაგრამ მისი იგივეობრივი, იდენტური კი არ არის, ე. ი. არა **თვით იგია** (οὗτοις, *tautovn*), არამედ „**კითარ – იგივე სხუა**“ კერძოდ: იგივეა უკუკ მხავეებისა მიერ, ხოლო გასხვაულ – უმსგავსობისაგან. **მიზეზნი თანუზიარონი** ანუ **თანუქონონია** (*ajmenqektoç*) – რამეთუ არას მიიღებენ თვესთა შემდგომთაგან, არამედ სამარადისოდ დამხტუალულ არიან ზენაობასა შორის მთავრობისახას, კითარცა მიზეზნი და წყარონი არსონი და არას მიიღებენ თვე-გამოთა მიზეზთაგან (*§ 63, გვ. 128.*)

**სირათა** ანუ **გუართა** გამომდინარეობა, **წარმოობა** (*proi?enai, producire, progredivit*) **გზავნა** (*o[de]os* – გზა-დან,) გარკვეული თანმიმდევრობით, საფეხურებრივად ხდება. ეს პროცესი ნათლადაა გადმოცემული პეტრიწის „განმარტების“ მე-60 თავში: ყოველი ზედა რიგის **მთავარი** ანუ **სირათმთავარი** (მხოლო, მონადა *monavç*) გადასცემს თავის **თვითებას** მის მომდევნოს და დაუზესთავდება მას როგორც მიზეზი და მაარსებელი. თითოეულ მწკრივს, სერიას (**ნათხზს, ნაჯუსს**) თავისი სირათდასაბამი **მხოლო** ანუ **მონადა** აქვს (*monavç*), რომელიც იდეის (*e[st]deos* – *I[deva]*) ტოლფასია: რაიც-რაივე იყოს, კითარ **მხოლო** სხეულთაო – ცავ; და **მხოლო** ბუნებათაო – საკუკელთაო ბუნება; და **მხოლო** სულთაო – საკუკელთაო სული; და **მხოლო** გონებათაო – ნაძღლებული, და **მხოლო** ერთთაო (პენადების) – მზე იგი ერთისავ („განმარტება“, § 21, გვ. 59, 12-16).<sup>1</sup> არსთა ყოველი **გვართმთავარი** (გონებისა, სულისა, ბუნებისა...) მხოლოდ თავისი გვარის ფარგლებში მოქმედებს, მაგ., გონებისა ყოველი მოქმედებად კიდევ და სადამდე მოქმედებს ძალი გონიერი – და გაგუარებულთამდის, ხოლო მეტად კედარა გაზიდავს თვესთა გონიერთა ნათელთა (*§ 20, გვ. 58*), მაშინ, როდესაც ერთის მოქმედება გასწვდება ყველა რიგს თვით **უსახო** და **უგვარო**, **ურომელო** ნივთამდე (მატერიამდე), თითოეული გვარის არსებობის პრინციპი კი **ერთობაშია**, რაც ერთოან **ზიარებით** (*tevqexiç*)

იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს **მიზეზისა** და **მიზეზთანის** ურთიერთდამოკიდებულების გაგებისათვის.

<sup>1</sup> პენადების (**ერთთა**) და მონადების (**მხოლოთა**) შესახებ პროკლესა და პეტრიწის ონტოლოგიურ სისტემებში დაწვრილებით იხ. ანა ხარანაული, 1990, გვ. 117-130, მისივე 1995, გვ. 140-151; ასევე, ლ. გიგინეიშვილი, 1995, გვ. 152.

մոօդվազա. **յ՛րտուան** նուարշաա շալիշչու (ejpistrofiv) ևայշպալուց-յրտո մանարժելուա, եռլու տպու յո շնուրու, անյ տանշյոնու (ajmevqektoz), տօստմօջոմու (aujtarkhvcs, aujqupovstatoz). մեռլուց ամ նյետյրտու մալոյմս ևոմրազլուս յրտյոլու ևրտյոլու և մյերտյու (§ 23, զը. 65), յ. ո. մատո յ՛րտ-շշարագ յմնա, րոմյլոնուց յրտ րոցե, ևորաս մյալցայն (վարմուացցեն). մացրամ նուարշաա յովյլու մոմցայնու րոցուս յրտուան եցիա արա յմշյալուց, արամյց վոնա րոցուս ևորատմուացրյածու, անյ շշարտմուացրյածու միշացեցիւ (ojmioivthc) թշշյունու (§ 35, զը. 87). րաճցանաց ևատանալու արե, րածու յշուեց և բարմուարեւեց և գաեեշացրյեց (զը. 88). վոնաալմցա մյետեցամու, յ. ո. ույ ար գամոյլու տազուս լասաձամսա և լասաբյուս և, “ույ ուժյեց յշու մուրուս մուշյեսա մուշյետանո”, մամու „արցա բարմոյլուս նատենման ևորաւեսաման և արցա գանտյուժյեց մեռլունո մյուջտանո” (զը. 87), յ. ո. ար ոյնցիա վարմունա, ցանցուարյած. մացցարագ, ցանցուարյածու անրու մատո մոցրմարյուն, րոմ յովյլու մուշյետանո էցոյւս մուշյեսա մուրուս ուշեսա և օվարմոյծս մուշան և ա յաշնոյլչչու (մուժալուց) (զը. 87).

ամցարագ, **յ՛րտու** արուս ևաբարու և ևաբրդու (to; ojrektovn) յովյլու մուս մոյր բարմոնաարետա. թրժունա և բարունու մուս յրտուսագմո անյ կյուուլունուսագմո (ajgaqovc) արուս յաշնոյլչչու (ejpistrofiv) ևայշպալուց, յե արուս ցանցուարյածուս մամունրացըելու մալա, ցանցուարյածուս, րոմյլուց լունույր անրոցնեմու լոյկյուրու ևասօտուսա յրուսբունց անրոցնեմու յո ևյլուս վշրտնուս և ցանցուարյածու, նյալցալուս և ցանցմրունուս ցիա.

## ՀԱՐՑԱԿԱԲ ԹՑԱԲԹՑԱՃԵ

### ԹՐՑԵՎՈՒՆ ՌԵԴԱՅՑՈՒՍ ՖԵՇՏԱՑ ԱԼԱՑԵՐԴՈՒ ՌՈՒԵՏԱՅՈ?

ալացերդուս ռուետացուս ևաելուու բնունունու 1054 վյլու մայ մտանց, կյերմու, կալուածուս վմոնճա լցուումնելուս լացրամո ցադանցիրունու ելունանցիրու, րոմյլուց ևայկլուսու մուշյեյմուս ելունանցիրու յուղյէցումու ալացերդուս մոնասերունան մուեցա և ամյամագ 484-յ նոմրուտ ունաեմու ելունանցիրու յրոցնունու ցյենքրուս Ա յունունու. յե մանյսյրունու ևեցածասեցա յշուտետ ևայմարա յարցագ արցագ արուս մյեվացլուու, մացրամ լցումը էասյեցայցըմլուու յուտեցա, ույ րոմյլու հյածունուս թյունիւս մյունիւս մյունաց ալացերդուս ռուետաց.

սամյցնոյրու լունունու ամ ևայուետան լացաշմուրյամու անրուտ ևեցածասեցանա. ելունանցիրուս մորվյլու ալմնյերյլուս, ոյց լունունուս, անրուտ, ալացերդուս ռուետաց յիշտումյ տունյլուս

რედაქციის ტექსტს შეიცავს, იმავე აზრისაა იღია აბულაძეც-უფრო ფრთხილად გამოხატავს თავის პოზიციას ამ საკითხზე კორნელი კეკელიძე, მაგრამ არც ის გამორიცხავს, რომ A 484-ში დაცული სახარების ტექსტი ექვთიმე ათონელის რედაქციისა იყოს. ივ. იმნაიშვილს წიგნში „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“ აღნიშნული აქვს, რომ ალავერდის ოთხთავის ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისა, თუმცა ამის დამამტკიცებელი არგუმენტები არ მოჰყავს. განსხვავებული და, ვფიქრობთ, საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოოქმული მიხეილ ქავთარიას, რომელსაც ეკუთვნის ამ ხელნაწერის ბოლო ვრცელი აღწერილობა. მისი აზრით, „ალავერდის ოთხთავი უნდა ასახვდეს გიორგი მთაწმიდელის ოთხთავზე მუშაობის I ეტაპს, როდესაც მას ექვთიმეს რედაქცია ორჯერ შეუდარებია ბერძნული დედნისთვის და ადრეული ქართული თარგმანისთვის“. მიუხედავად იმისა, რომ მ. ქავთარიას მიერ გაკეთებული დასკვნები არ ეყრდნობა ტექსტოლოგიურ ანალიზს და ძირითადად ხელნაწერზე დართული ანდერძების მონაცემებს ეფუძნება, ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული მოსაზრებათაგან იგი ყველაზე ახლოს დგას იმ დასკვნებთან, რომელიც ჩვენ ალავერდის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მივიღეთ.

ჩვენი აზრით, ალავერდის ოთხთავში ასახულია გიორგი მთაწმიდელის მიერ სახარების ტექსტზე მუშაობის შეალედური ეტაპი, როცა გიორგის ქართული თარგმანის ტექსტი ბერძნულთან მხოლოდ ორჯერ აქვს შედარებული. რედაქტირების პროცესი ჯერ არაა დასრულებული, შესაბამისად არც ვულგატის ტექსტია საბოლოო სახით ჩამოყალიბებული, რადგან ბერძნულთან მესამე და საბოლოო შედარება ჯერ არ განხორციელებულა. ამიტომაც არ ერთვის ალავერდის სახარებას გიორგი მთაწმიდლის ის ცნობილი ანდერძი, რომელიც მან მუშაობის დასრულების შემდეგ, ბერძნულთან მესამედ შედარების შედეგად ვულგატად ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო და რომელიც ამ რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ახლავს. სამაგიეროდ, მას ერთვის მეტად საყურადღებო ანდერძი, რომელშიც გიორგი ათონელი გვეუბნება, რომ ალავერდის ოთხთავში დაცული სახარების ტექსტი სანდო და უეჭველია, რადგან ის შედარებულ-შეჯერებულია სამი სანდო წეროს მიხედვით. ესენია: а) „**მამისა ეფთუმეს სახარება**“ (შეიძლება იგულისხმებოდეს ექვთიმეს მიერ თარგმნილი სახარების სვინაქსარული საკითხსავები ან მის მიერვე თარგმნილ მათეს და ითანებს თავის განმატებებში წარმოდგენილი სახარების ტექსტის თარგმანი); ბ) „**ქართული სახარება**“ (იგულისხმება ძველი, ალბათ, ხანმეტური და

საბაწმინური რედაქციები) და გ) ბერძნული სახარება (სავარაუდოდ, იმ დროს ბიზანტიაში მიღებული და გარცელებული), რომელთანაც მას ძველი თარგმანის ტექსტი ორჯერ შეუდარებია. ცხადია, ამგვარი შედარების შედეგად მიღებული ტექსტი განსხვავდება როგორც ძველი რედაქციების („ქართული სახარების“) ტექსტისაგან, ასევე ექვთიმე ათონელის თარგმანისაგან, რადგან ბერძნულთან ორჯერ შედარება-შეწამების შემდეგ მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ამავე დროს, ეს ტექსტი განსხვავდება ბერძნულთან მესამე შედარების შემდეგ ჩამოყალიბებული ვერსიისგანაც, რომელიც ლიტურგიაში დამკვიდრდა, მთელ საქართველოში გავრცელდა და ვულგატად იქცა.

### ანა ზარანაული

ავტორის ხანგარში ფრაგმენტები და ქართული პიბლიის თარგმანის სატრანია

ეხაიას და იურემიას წინასწარმეტყველებებისა და ეზრა I-ის ხანმეტი ფრაგმენტები, როგორც ცნობილია, რამდენიმე საუკუნით უსწრებებ ძველი აღთქმის წიგნთა შემცველ ხელნაწერებს. ამდენად, ქართული ბიბლიის თარგმნისა და მისი ტექსტის განვითარების ისტორიის კვლევა, პირველ რიგში, ამ ფრაგმენტთა შესწავლასა და მათ შეპირისპირებას უკავშირდება მოგვიანო ქართულ ხელნაწერებთან.

ხანმეტი ფრაგმენტები ნათელს ჰუკენ ქართული ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებულ ზოგად და კონკრეტულ საკითხებს, ისეთებს, როგორიცაა:

**1. თარგმანის დედანი:** ხანმეტი ფრაგმენტებში დაცული ძვ. აღთქმის ტექსტები მომდინარეობენ სეპტუაგინტას სხვადასხვა რეცენზიიდან – ლუკიანური (ეხაიას წინასწარმეტყველება და ეზრა I) და პექსაპლური (იურემიას წინასწარმეტყველება) რეცენზიებიდან.

**2. თარგმანის ადგილი:** ხანმეტი ფრაგმენტებში დაცული ორი ტექსტუალური ტრადიციის – ანტიოქიურისა და პალესტინურის არსებობა უჩვენებს, რომ ხანმეტი ფრამენტებში შემონახული ძვ. აღთქმის თარგმანები სხვადასხვა გარემოში იყო შესრულებული.

**3. თარგმანის დრო.** თარგმანი, რომელიც ეხაიასა და ეზრას ხანმეტი ფრაგმენტებშია დაცული, არ შეიძლებოდა შესრულებულიყო მეოთხე საუკუნის პირველ ნახევრმდე, მანამ, სანამ ლუკიანური რეცენზია შეიქმნებოდა და სანამ ამ რეცენზიაში ხანმეტი ფრაგმენტებში დადასტურებული გვიანდელი სწორები შევი-

დოდა. თარგმანის ის სახე, რომელიც ხანმეტმა იურემიაზ შემოგვინახა, ასევე, ვერ შესრულდებოდა IV საუკუნის დასაწყისამდე, სანამ ჰექსაპლური რეცენზია, გბრაელებთან პოლემიკის იარაღად შექმნილი, ეკლესიის ყოფაში არ დამკვიდრდებოდა.

**4. ტექსტის ისტორია.** იმ წიგნების ტექსტის ისტორია, რომლებიც ხანმეტმა ფრაგმენტებმა შემოგვინახეს, გვიჩვენებს ბიბლიის ქართული თარგმანების განვითარების სხვადასხვა გზას: ეხრა I-ის ხანმეტ ფრაგმენტში შემონახულ თარგმანს ოშკურიერუსალიმურ ხელნაწერებში სრულიად განსხვავებული – სომხურიდან განორციელებული თარგმანი ჩაენაცვლა, იურემიას ხანმეტი ტექსტი ასევე, ახალმა თარგმანმა – ბერძნულიდან მომდინარე ლუკიანური ტრადიციის ვერსიამ შეცვალა, ხოლო ესაიას წინასწარმეტყველება ფაქტიურად იგივე დარჩა, თუმცა კი გარკვეულ მონაკვეთებში ოშკურ და იურუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ეს ტექსტი ჩვენამდე არმოღწეული, განსხვავებული თარგმანისა თუ კონტამინირებული ტექსტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**განთანმომავლი  
დამუშავების ხმარებასთან დაკავშირებული  
ზოგიერთი საპიტი**

ქართულში გვაქვს შემთხვევები, როცა სასვენი ნიშნის არა-სწორი ხმარება წინადადებაში ზოგჯერ ავტორის ჩანაფიქრისაგან სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ მნიშვნელობას გვაძლევს.

ამჯერად მინდა დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დარღვევის შესახებ გამოვთქმა რამდენიმე მოსაზრება.

ვნახოთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი. „სახელმწიფო საგუთოებაში დიდი რაოდგობით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწებიცაა“ (კვირის პალიტრა“, №29, 2004, გვ.7). „სასოფლო-სამეურნეო“ სწორად წერია – დეფისით, მაგრამ „არასასოფლო-სამეურნეო“ მცდარი დაწერილობითაა მოცემული. ავტორს ამ სიტყვაშიც დეფისი უქმარია „სამეურნეოს“ წინ. რა გამოვიდა? იმის ნაცვლად, რომ ეთქვათ: სახელმწიფო ფლობს მიწებს, რომლებიც არაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაო, მივიღეთ სრულიად სხვა შინაარსი: აღნიშნული მიწები არასასოფლოა, მაგრამ სამეურნეო. „არასასოფლოსამეურნეო“ ან უდეფისოდ, შეერთებულად უნდა დაეწერათ, ანდა „არა“ ცალკე და შემდეგ „სასოფლო-სამეურნეო“ ჩვეულებრივად – დეფისით.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე „ერთერთის“ მართლწერაზე. ტრადიციულად ამ სიტყვას დეფისით წერენ. რატომ? ხუთ-ხუთის, სამ-სამის, ორ-ორის გაგრძელება არის „თითო-თითო“ და არა „ერთერთი“. „ერთერთი“ არის ბევრიდან ერთი, ესაა რუსული *jlyv* ხე (vyjub[]), „თითო-თითო“ კი ეს *jlyve*. მასწავლებელმა რომ თქას, ერთერთი ბავშვი გამოვიდეს დაფისთან ამოცანის ამოსასნელადო, ერთი რომელიმე მოწაფე უნდა გამოვიდეს კლასში მყოფთაგან თუ თითო-თითო მორიგეობით, ერთმანეთის მიყოლებით? ვფიქრობ, პასუხი ნათელია. ამიტომ ამ სიტყვის მიღებული მართლწერა უნდა შეიცვალოს და უდეფისო დაწერილობა დამკვიდრდეს.

„გილოცავთ შობა-ახალ წელს“ – ამგვარი დაწერილობა არასწორია. ისე გამოდის, თითქოს დეფისით „შობასთან“ დაკავშირებულია „ახალი“ და არა „(ახალი) წელი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება იყოს ასეთი ჩაწერა: „გილოცავთ შობა-ახალწელს“. მაგრამ სხვა შემთხვევებში გაჭირდება ახალოგიურად მოქცევა, რადგან, მაგალითად, ქართულ გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელად გამოყენებული ახალი, ზემო, დიდი... (ახალი ათონი, ზემო მაჩხაანი, დიდ ჯიხაიში,

პატარა (ცემი...) მოცილებულია საზღვრულს და მათი შეერთება საზღვრულთან არ არის რეკომენდებული. ალბათ, დადგა დრო, გადავხედოთ დადგენილ წესს და ამგვარი მსაზღვრელები საზღვრულთან ერთად, შერწყმულად, გაუთიშავად დავწეროთ. ეს ბევრად გაგვიადვილებს ანალოგიური აღნაგობის მქონე როგორი სახელების მართლწერის მოწესრიგებას.

სამედიცინო და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია (გაზ. „ერთიანი ეროვნული გამოცდები-2005“, 2005, გვ. 7). აქ ბუნდოვანია: „სამედიცინო“ „დანიშნულებას“ ეკუთვნის თუ „მასალებს“. დაწერილობის მიხედვით იგულისხმება „სამედიცინო მასალებისა და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია“, მაგრამ, სინამდვილეში აქ ივარაუდება „სამედიცინო დანიშნულებისა და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია“. ასე რომ, ეს საკონკურსო სპეციალობა უნდა გაფორმებულიყო დეფისის დახმარებით: „სამედიცინო- და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია“.

## **გედისა შავიშვილი „შებაპს“ ტექსტის მრთი აღილის**

### განმარტებისათვის

1. "ქბაპს" ტექსტის გამოქვეწისონავე უამრავი პრობლემა გაჩნდა იმის გამო, რომ ამ ერთგვერდიან თხზულებას სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ და განსხვავებულ შეფასებასაც აძლევდნენ იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ კითხულობდა მას.
2. ტექსტის უამრავი გამოცემა არსებობს. ამათგან თითქმის ყველაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი პირველი და ბოლო მუხლები. განსხვავებული წაკითხვის მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვაგვარადაა გაგებული რამდენიმე ტერმინი, მაგალითად: "ყოველი", "ენაპ"... და ის გაუგებარი ფრაზა, ტექსტის ბოლოში ასე რომ იკითხება: "ასი ესე წელი".
3. თითქმის ყველა გამოცემაში ფრაზა "ასი ესე წელი" დაკავშირებულია დასაბამითგანის გამოთვლასთან. ამიტომაა ასის ნაცვლად ხან 104, ხან 112-ია იმის მიხედვით, რომელი სისტემაა ნავარაუდევი. ხელნაწერებშიც კი განსხვავებული ციფრებია მითითებული.
4. ყველა პრობლემა ძალიან ადვილია გადასაჭრელად, თუ ტექსტს ისე წავიკითხავთ, როგორც ძეგლს, რომელსაც წერს (ან იწერს) ძეგლი ქართული ენის, თეოლოგიური ტერმინოლოგიის, ქრისტიანობის ისტორიისა და ქართველი ერის ისტორიის კარგი

მცოდნე, უგანათლებულესი პიროვნება, ფუტკარივით მშრომელი დიდი მეცნიერი. ადამიანი, რომლისთვისაც გამოკვეთილადაა დამახასიათებელი ამა თუ იმ თარიღის ზუსტად დადგენა და მითითება.

## **გლეხე გოგორიძე ახალი სალექსიკონი მასალა განმარტებითი ლექსიკონისათვის**

ენა, როგორც ცვალებადი მოვლენა, მუდმივად მდიდრდება და ვითარდება. ეს ცვლილება განსაკუთრებით ნათლად აისახება ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში.

ამ მხრივ, უხვ მასალას იძლევა უახლესი ქართული მწერლობის ნიმუშები (გიორგი ლეონიძე, გიორგი შატბერაშვილი, რევაზ ინანიშვილი, თამაზ ბიბილური, ზაირა არსენიშვილი, ნუგზარ შატაიძე...). კერძოდ:

1. მათს თხზულებებში გამოყენებული ლექსიკის ერთი ნაწილი "ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში" არ გვხვდება (დაფნია, ნამიჭამია, ადლაბიჯა, სიხრიკა, გასაღევარი, საყველაწმინდაო, ქირმიში, დაისლამე, ნიმბი...).

2. ლექსიკონში შეტანილი ბევრი სიტყვა დამატებითს ახსნა-განმარტებას საჭიროებს (დაფა, ფრჩხილი, ზრო, ბუქთაობა, შემოდგომურა, ჭანარი, წაგლუვებინა, ნაერთბაშევი...)

3. ლექსიკის გარკვეული ნაწილი მწერლისეული ჩანს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ლექსიკონში უნდა აისახოს: ზოგი მათი განსხვავებული სემანტიკის წარმოსახენად (აზეზილი, ხელუდირსი, ჩათაპ-რული, ახვეტილი...), ზოგი კი, როგორც ისტორიზმი, რომელიც არ უნდა დაიკარგოს (თავგლეჯილა, გოჯილა, ალიწეწია...).

ამგვარად, საერთოქართული ლექსიკური ფონდის გამდიდრების ძირითად წყაროდ პელავაც რჩება, ერთი მხრივ, დიალექტები, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი, მივიწყებული ლექსიკა-ფრაზეოლოგის ამოქმედება; ამასთანავე – მწერლისეული სიტყვა-თშემოქმედება და, როგორც წესი, უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის შედეგად საერთაშორისო სიტყვების შემოსვლა-და-მკვიდრება (ზოგჯერ ძალმომრეობის გზითაც).

## **ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე ინფორმაციის გამომსატველი მნობრივი საშუალებები**

ინტენსივობა ენის სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება რაოდენობის გრადაციის გაგებას ფართო მნიშვნელობით. იგი თვისების განმსაზღვრელი რაოდენობრივი მახასიათებელია. ინტენსივობა ექსპრესიულობის, ემოციურობის, შემფასებლობის, ექსპლიკაციურობის საზომია, რომელიც გრადუალობაზე მიანიშნებს.

ინტენსივობის კატეგორიის რეალიზება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით ხდება:

- **ლექსიკური გამეორება** (მიშველეთ! მიშველეთ! / უფრო და უფრო);
  - **კომპოზიტები:** ა. რედუქციორებული სიტყვები, რომლებმიც ფუძის გამეორებით ამ ფუძესთან დაკავშირებული მნიშვნელობის გაძლიერება ხდება (ნედ-ნელა=ძალიან ნელა; ცხელ-ცხელი=ძალიან ცხელი); ბ. სინონიმური მნიშვნელობის მქონე ფუძეებით შედგენილი სიტყვები, რომლებიც უფრო ინტენსიურად გამოხატავენ შესაბამის მნიშვნელობას, ვიღრე მათი კომპონენტები ცალ-ცალკე(შიშველ-ტიტველი, დარიბ-დატაკი, უგზო-უკვლო);
  - **აფიქსაცია:** ა. ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმები (უ-ერთგულ-ეს-ი, უ-დიდ-ეს-ი, უ-მარტივ-ეს-ი); ბ. ზმინზედები (უ-კეთ-ეს-ად, უ-მეტ-ეს-ად, უ-სწრაფ-ეს-ად);
  - **ინტენსიფიკატორი ზმინზედებით შექმნილი შესიტყვებები** (ძალიან მაღალი, უფრო სწრაფად, უკიდურესად დარიბი, განსაკუთრებით საჭირო);
  - **გრადაციული ტიბის ლექსიკურ სინონიმთა რიგი** (დიდი, უზარმაზარი, გიგანტური);
  - **სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები** (ნოქავს=ჭამს ხარბად, ყლაბავს ბევრს; მოკურცხლავს=სწრაფად გაიქცევა);
  - **ორმაგი უარყოფა** (უარყოფითი ნაცვალსახელისა თუ უარყოფითი ზმინზედის შემცველ წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკის ხმარება აძლიერებს უარყოფას, შდრ.: არსად წახვიდე!
  - არსად არ წახვიდე!);
  - **ზმისწინები** (მოქმედების ინტენსივობა – და-დის, და-ცურავს, გა-იძა-ხის);
  - **მრავალგზისობა** (უწყვეტლისა და ხოლმეობითის ფორმები, აწმუნსა და მყოფადის „ხოლმე“-დართული ფორმები).
- ინტენსივობის კატეგორიის ფორმალური გამოხატულება არ შემოიფარგლება ზმინზედებითა და სახელური შესიტყვებებით, არამედ მოიცავს ზმნებს, ზმნურ სინგაგებს, მაინტენსიფიკორებელ ზედსართავ სახელთა ჯგუფს, ინტონაციურ საშუალებებს, მორფოლოგიურ ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს.

ინტენსივობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რაოდენობის ზოგადი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სუბკატეგორია.

## გარე გადასაშვილი

სახელთა პრუნების მორფონოლოგიურ ცვლილებათა  
გარიანტები და მათი გამომვვევი მიზანები შართულ  
სალიტერატურო ენასა და დიალექტებში

ბრუნების, როგორც მორფონოლოგიის შესწავლის ობიექტის განხილვა ბრუნების ნიშნის ალომორფთა არანუირებაზე დაყრდნობით მიზნად ისახავს იმ მექანიზმის გამოვლენას, რომელიც იწვევს ბრუნების სისტემასთან დაკავშირებულ მორფონოლოგიურ ცვლილებებს.

საკითხის სინქრონიულ ჭრილში შესწავლასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მის განხილვას დიაქრონიაშიც, რათა უკეთ დავინახოთ ის ცვლილებები, რომლებიც ხდება ენაში მისი განვითარების პარალელურად.

მასალის ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ დიალექტები ერთმანეთისაგან და ამავე დროს სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავდებიან იმით, თუ მათში მიმდინარე მორფონოლოგიური პროცესების მხრივ რომელი დონისაა პრიმატი – ფონოლოგიისა თუ მორფოლოგიის. მაგალითად:

ა) ხშირად მორფოლოგიური მოდელი ვერ ახერხებს თავის დაცვას და ქართული ენისათვის არაბუნებრივი თანხმოვანთმიმდევრობის შედეგად იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ანუ პრიმატი ეკუთვნის ფონოლოგიას: კაც-∅ დაუძახა (ქართლური, კახური), შდრ. სალიტერატურო ქართულის – კაც-ს დაუძახა.

ბ) ზოგჯერ პრიმატი ეკუთვნის მორფოლოგიას: მოვიდა და-ი (შდრ. სალიტერატურო ქართულის - მოვიდა და).

ადსანიშნავია, რომ ცვლილებათა შედეგების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოზიციასაც. კერძოდ, დიალექტთა უმრავლესობაში სახელობითი ბრუნვის /-∅/ ალომორფი თანხმოვანფუძიან სახელებთან დაჩნდება ზმნისწინიანი შემასმენლის წინ (ქალ წაიყვანეს, პაუზის წინ კი დიდია /-ი/-ს შენარჩუნების ალბათობა, ამ შემთხვევაში მორფოლოგიური მოდელი უცვლელადაა რეალიზებაული (წაიყვანეს ქალ-ი)).

საგულისხმოა ისიც, რომ ბრუნვის ნიშანთა ალომორფების განაწილებას ზოგ დიალექტში ფუნქციური დანიშნულება აქვს. მაგალითად:

1) **მესხურში** /-ი/ და /-ე/ გვხვდება ძირითადად საკუთარ ან მასთან გატოლებულ სახელებთან: შოთა-ი//შოთა-ო, დედა-ი//დედა-ო (დედაჩემი), (შორ. დედა-ო მოვიდა=დედაჩემი, მაგრამ, იმ გოგოს დედა მოვიდა). **აჭარულ** დიალექტში ღ-ს დართვა საკუთარ სახელზე ზოგჯერ განარჩევს ოფიციალურსა და კნიობით-ალერსობით ფორმებს. მაგ.: ესმე, ზექი, მაგრამ: ესმე-ო, ზექი-ო და სხვ.

2) მიცემითი ბრუნვის /-ს/ და /-ტ/ ალომორფთა განაწილება სპეციალურ ფონეტიკურ წესს მისდევს მთის დიალექტში (ხეგსურულში, თუშურში, ფშაურში). გარჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ სინტაქტურად რა ფუნქციით არის გამოყენებული სახელი. ადნიშნული ფუნქციური (სემანტიკური) სხვაობა გავლენას ახდენს ფორმების მორფოლოგიური ცვლილებათა სასიათზე. იმ შემთხვევაში, როცა მიცემითში დასმული სახელი აქტანტია, /-ს/ შენარჩუნებულია. მაგ., დაქსოვენ ტოლებს, მაგრამ, როცა გარემოება გამოიხატება /-ს/ იკარგება და გვაქვს /-ტ/. მაგ., თოანგო მიდის (ფშაური).

ალომორფთა რეალიზაციასთან დაკავშირებული მკაცრი დისტრიბუციული განსხვავება ზოგ შემთხვევაში და ზოგში კი გადამკვეთო პოზიცია გამოწვეულია ენაში დაშრევებული სხვადასხვა დროის ნორმათა თანაარსებობით.

ახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მორფონოლოგიური ცვლილებებისა და ბრუნვის ნიშანთა მორფონოლოგიური ვარიანტების განხილვის შედეგად ცხადი ხდება, რომ პროგნოზის გაკეთება შედარებით ადგილია სალიტერატურო ქართულისათვის, დიალექტების შემთხვევაში კი საქმე რთულდება, თუმცა, ზოგადი წესები მაინც იკვეთება და აერთიანებს როგორც სალიტერატურო ქართულს, ისე დიალექტებს. ის, რაც არაბუნებრივია სალიტერატურო ენისთვის, არაბუნებრივია დიალექტებისთვისაც. საერთო არის წინააღმდეგობა მორფოლოგიურსა და ფონოლოგიურ დონეებს შორის. განსხვავებულია ამ წინააღმდეგობის დაძლევის (სუპერაციის) გზები.

პაპატა ცხადაის  
ზოგი პოლური ტოკონიმის მართვაშლი  
განმარტოებისათვის, I

თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან 1969 წელს ტოპონიმიკური კალეგის რესპუბლიკური ცენტრის – ტოპონიმიკის დაბორატორიის დაარსებამ, ხოლო შემდეგ ამ დაბორატორიის მიერ უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, მასწავლებელთა შორის ჩატარებულმა ოთბირ-სემინარებმა წააქეზა და გააქტიურა საქართველოს რეგიონებში ტოპონიმიური მასალის მოპოვება და კალეგა-ძიება. სამაგალითოდ გამოდგება გეგმების (ამჟამად მარტვილის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ სამეცნიელოს ოთხი რაიონის ტოპონიმური მასალის შეკრება და გამოცემა, მაგრამ, სამწესაროდ ამ გამოცემებს აშკარად ეტყობა ენათ-მეცნიერული მიდგომის დეფიციტი. ნიმუშად გამოდგება "ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი" (თბ., 1985; ქვემოთ: "კატალოგი"), რომელიც დაუფარავად სცოდავს ავტორთა კოლექტივის "ეტიმოლოგიური ძიებებით".

1. **ლემოქაცარე** – ლელე ხოფ. თაიაში, ბებას მარჯვ. შენაკადი, "კატალოგში" განმარტებულია როგორც "საბატქნო" (გვ.73). ქაცარ სიტყვა მეგრულში მართლაც ნიშნავს თიკანს. მაგრამ მაშინ რადაა წინა კომპონენტები ლე- და მო? საქმე ისაა, რომ ამოსავალი ფუძეა გვარი მაქაცარია, რომელსაც მოეპოვება ვარიანტი მოქაცარია (შდრ.: მალაშხია//მოლაშხია, მარგოშია //მორგოშია). მაშასადამე, ლემოქაცარე ნიშნავს მოქაცარიების დასახლებას: ლე- ანთროპოლოგიის მაწარმოებელია, ხოლო მო- //მა-, ისევე როგორც ქართულში მე-, აწარმოებს ხელობის სახელებს: ქაცარი "თიკანი" → მა-ქაცარ-ე "შეთიქნე" → მაქაცარე-ა → მაქაცარია (გვარსახელი).

2. **ოძილე** მეგრულში პიდროლექსემაა: აღნიშნავს წყალქვეშა დარანს, სადაც ოვზი იბუდებს, განსაკუთრებით ზამთრობით. ფუძე **ძილ-** დაკავშირებულია ქართულ ჯილფ-სიან. სულხან-საბა განმარტავს: "ჯილე – წყალთაგან გამოვლატული" (ქართ. ჯილე → მეგრ. ძილე → ონძილე. გ. როგავა). "კატალოგში" კი (გვ. 86) ოძილე განმარტებულია როგორც "საძენი, თვეზესჭერი". ქართული ძებნა სიტყვა მეგრულში საერთოდ არაა გავრცელებული.

3. **ლები** მეგრულში ფართოდ გავრცელებულია როგორც ნიადაგმცოდნეობითი ლექსემა, შესულია ქართულ ენაშიც და ქსე-ში განმარტებულია როგორც "მომწვანო, მოცისფრო, მტრედისფერი ან უანგისფერი პორიზონტი სხვადასხვა სიღრმეზე". მარტივად რომ გოქვათ, ლები არის "ლია, ჭაობის მოლურჯო ფერის რბილი მიწა, რომელსაც იყენებენ შინ მოქსოვილი შალეულის დასარბილებლად და შესაღებად" (ო. ქაჯაია).

სამეგრელოს ტოპონიმიაში ხშირად გვხვდება ლები, ოლებე, ნალებუ... "კატალოგში" კი განმარტებულია: "ოლებე – ლების ხის, ლობიოს ხის ადგილი" (გვ. 51); "ლები – ადგილი, სადაც ლების ხე ხარობს" (გვ. 102). იბალება კითხვა: სად ლები "ლია, ჭაობის მიწა..." და სად ლობიოს ხე? (ეს ლობიოს ხე, იგივე ჯალებია, სინამდვილეში არის "ამერიკული კატალპა", რომელიც კოლხეთში გავრცელდა XX ს. დამდგინადა).

4. დამატებით დაგასახელებთ რამდენიმე მაგალითს: **ნუზმ-იგატახუ** "კატალოგში" განმარტებულია, როგორც "ნაძვის მოსატეხი" (ფვ. 87). სინამდვილეში ნუზმ-კატახაფუ (ასეთია სწორი ფორმა) ნიშნავს "ნაძვის (ნაძვთანა) მოსახვევებს" (მთის გზაზე ნაძვთან მკვეთრი მოსახვევია), ხოლო ოხვამეშ მართუ არის არა "ეკლესიის გადასახვევი" (გვ.52), არამედ "ეკლესიის (ეკლესიასთანა) წყალტრიალა მორევი"; **ჭუკიშ ნასილუ** (უნდა იყოს "ჭუკიშ ნასულუ") არის არა "თაგვის ნასილარი" (გვ. 78), არამედ – "ჭუკის ნასელარი" (ჭუკი, ჭუკია პირსახელია), ასევე ნასაჯუ ნიშნავს არა "განამიჯნს" (გვ. 77), არამედ – "საჯაიას ადგილყოფილს", ხოლო ხვარცამიაშ ნაჟღუ უნდა "ითარგმნოს" არა როგორც "მუნიანის ნასახლარი", არამედ როგორც "ხვარცამიას ნასახლი" (ხვარცამია ანთროპონიმია. ამოსავალი ფუძე ხვარცამი მართლაც ნიშნავს "მუნიანს") და სხვ. მრ.

დასკვინის სახით შეიძლება ითქვას; აღნიშნული და სხვა მრავალი ეტიმოლოგიური უზუსტობის (რბილად რომ ვთქვათ) მიზეზებია: ცრუხსალხურ ეტიმოლოგიაზე დაყრდნობა, სიტყვათა და მათი ამოსავალი ფუძეების მრავალსემანტიურობის გაუთვალისწინებლობა, საყველთაოდ გავრცელებულ ლექსემათა მნიშვნელობის დაუზუსტებლობა, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურაში ჩაუხედაობა და სხვ.

## გაია ლომია მებრული ზღაპრის როი ვერსიის ლინგვისტურ- სტრუქტურული ანალიზი

შესადარებლად ადგებულია მეგრული ზღაპრის ორი ვერსია: ერთი მოძიებულია მაკარ ხუბუას მიერ 1923 წლის 5 სექტემბერს ს. ფახულანში (წალენჯიხის რ-ნი) აკაკი შონიასგან (დაბეჭდილია წიგნში: მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ. 1937, გვ. 87-94). მეორე ვერსია ჩაწერილია ჩვენ მიერ 2007 წლის ზაფხულში სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპერიმენტის

მოხსენებაში ნაჩვენებია ორი ვერსიის მსგავსება-განსხვა-  
ვება ლინგვისტურ-სტრუქტურული თვალსაზრისით.

(სამეცნიერო პროექტი – „მონოგრაფიის – „მეგრულის ლინ-  
გვისტური ანალიზი“ – მომზადება გამოსაცემად“ ხორციელდება  
რესთავების ფონდის (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და  
სოციალური მეცნიერებების ფონდი) ფინანსური მსარდაჭერით).

### ნაირა გეკიეგი შემოწმებარისა და შემასმენლის შეთანხმების ზოგიერთი უსამაგრესო ღია შემთხვევა

ქართულ ენაში ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმე-  
ბის დროს განმსაზღვრელია ის, ქვემდებარე სულიერი საგნით  
არის გადმოცემული თუ უსულოთი, ოსურში კი მთავარი აქცენტი  
გადატანილია იმაზე, თუ რომელი მეტყველების ნაწილით არის  
გადმოცემული ქვემდებარე.

ქართულისაგან განსხვავებით, ოსურ ენაში ქვემდებარე, რო-  
მელსაც მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის აღმნიშვნელი სა-  
ხელი (რიცხვითი სახელი, ან ნაცვალსახელი) და დგას მოთ-  
ხრობით ბრუნვაში, შემასმენელს შეითანხმებს მრავლობით  
რიცხვში.

არააერთგვაროვანია ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება  
რიცხვში, როდესაც ერთგვარი ქვემდებარები შეერთებული  
არიან მაერთებელი კავშირებით. ასეთ შემთხვევაში შემასმენელი  
მას შეიძლება შეეწყოს მხოლობითშიც და მრავლობითშიც.  
საინტერესოა, რომ ოსურში ხშირად დარღვეულია მსაზღვრელ-  
საზღვრულის შეთანხმებაც.

ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმებასთან დაკავშირებით ოს-  
ურ ენაში აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი აღ-  
ნიშნავს, რომ ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება რიცხვში  
დასაშვებია მხოლობითშიც და მრავლობითშიც.

ჩვენი აზრით, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით და-  
კონკრეტდეს ერთი (უფრო მეტად მისაღები) წესი მართლწერის  
ხორმების შედარებით მარტივად დაცვის მიზნით. კერძოდ, თუ  
მივიღებთ მხედველობაში, რომ კრებითი სახელი ისედაც მრავლო-  
ბითობას აღნიშნავს, მისაღები იქნება მასთან შეთანხმებული  
შემასმენელი დაისვას მხოლობით რიცხვში (რიგ შემთხვევაში თა-  
ნამედროვე ოსურ ლიტერატურაში ეს ასეც არის).

**რეგაზ აპაშია  
ბბერათშვასატყვისობის პილევ ერთი რიგისათვის ქართველურ  
ენებში**

საერთოქართველური ლექსიკიდან ჯერ კიდევ ნ.მარის  
დაკვირვებით ცნობილია შესატყვისობის მაგალითი – ქართული  
**ანწლ-ი** : მეგრულ-ჭანური ინჭირ-ი : სვანური გ. ნჭ. - სადაც  
ბერათფარდობის კანონზომიერი წესია ასახული, თუმცა ამ  
კანონზომიერებას არღვევს სვანურ ფუძეში თავკიდური გ  
თანხმოვნის გამოჩენა, რომლის შესატყვისად ქართულსა და  
მეგრულ-ჭანურში არაფერია წარმოდგენილი. ამ ვითარების  
გამო გ თანხმოვნის ისტორიაშ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია  
ქართველოლოგიაში. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ თანხმოვნას  
ქართველური ფუძე-ენის \*ღ. უკანავნისმიერი თანხმოვნისაგან  
მომდინარედ მიიჩნევს, მეორე ნაწილი ასევე უკანავნისმიერ \*.  
თანხმოვნას უკავშირებს და სხვ. ეს ფონემები არა მხოლოდ  
თანამედროვე ქართულ ენასა და დიალექტებში (ისევე როგორც  
ზანურსა და სვანურში), არამედ ძველი ქართული ენის არცერთ  
მასალაში არაა დადასტურებული.

დაისმის კითხვა: ხომ არ უკავშირდება სვანური ფუძის გ  
თანხმოვნი საერთოქართველურ ფუძე-ენაში საგარაუდო გ  
ფარიგალურ მუდერ სპირანტს, რომელიც ზემოთხენებული  
თანხმოვნებისაგან განსხვავებით ძველ ქართულში  
დადასტურებულია, როგორც ანბანური სისტემის ერთ-ერთი  
წერო.

**ჭაზ** ბერათშესატყვისობის შესაძლებლობას ადასტურებს  
დადგესტნურ ენათა მონაცემები, სადაც ჭ სპირანტი დღესაც  
ცოცხალი ფონემაა და საერთო დადგესტნურ ფუძეებში მისი ერთ-  
ერთი შესატყვისი სწორედ გ თანხმოვნია. მაგალითად, ხუნძური  
ენის ჭ ფონემის ეკვივალენტად ხინალულურ და ბაგვალალურ  
ენებში გ თანხმოვნანი დაჩნდება:  
ხუნძური ჭაზ / ჭაზუ “თოვლი”: ხინალულური გ. ზა “თოვლი” ;  
ხუნძური მაჭუ “ცრემლი”: ბაგვალალური მაგვა “ცრემლი”.

დაღესტნის სხვა ენებში ხუნძური გ-ს ეკვივალენტად, როგორც ზანურსა და სვანურში, ძირითადად ნულოვანი რეფლექსია წარმოდგენილი. მაგალითად, ანდიური, კარატაული, ტინდიური ენების ანზი, ახვახური ენის ანჟი, პუნზიბური ზ, უდიური იუ “თოვლი”.

მაშასადამე, ვფიქრობთ, ძველ ქართულში გ ფონემის არსებობა და დაღესტნურ ენებში

გვა ბგერათფარდობის დდესაც ცოცხალი მაგალითები შესაძლებელს ხდის ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი სავარაუდო რიგის – ქართველური ფუძე-ენა \*გ : ქართული Ø (ნულოვანი რეფლექსი): მეგრულ-ჭანური Ø (ნულოვანი რეფლექსი): სვანური გ- დაშვებას და, შესაბამისად, საერთოქართველურ ფუძე-ენაში \*გ ფონემის რეკონსტრუქციას.

**მიხეილ ქურდიანი**  
**“უშრაპნის” არგუმენტი და სამრთო-დაზუსტური უთხოების  
პირველსაცხოვრისის პროგლემა უნიარიზი მონაცემების  
მიხედვით**

საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება ამ ენაზე მეტყველი ეთნოსის პირველსაცხოვრისის შემდეგი მახასიათებლები:

1. **ლანდშაფტი:** 1.1. “მთა”, 1.2. “ბორცვი”, 1. 2. “ტყე”, 1.3.1 “ხდვა”, 1.3.2. “მდინარე”, 1.3.3.“წყარო”, 1.3.4. “ჭაობი”, 1.4. “გამოქვაბული”; 1.5. “ჯავი”.
2. **კლიმატი:** 2.1.1. “სეტყვა”, 2.1.2. “თრთვილი”, 2.1.3. “თოვლი”, 2.1.4. “ყინული”, 2.1.5. “სიცივე”, 2.1.6. “ღრუბელი”, 2.2. “ღნობა”,2.3. “ქარი”;
3. **ფლორა:** 3.1.1. “ვაშლი”, 3.1.2. “მსხალი”; 3.2.1. “მუხა”;3.2.2. “ცაცხვი”; 3.3.1. “ბალახი”, 3.3.2. “ხორბალი”,3.3.3.”ქერი”, 3.3.4. “ქერშიშველი”, 3.3.5. “ჭინჭარი”, 3.3.6. “სელი”, 3.4. “ყურძენი”, 3.5. “ცერცვი”.
4. **ფაუნა:** 4.1.1. “მგელი”, 4.1.2. “მელია”, 4.1.3. “დათვი”, 4.2.1. “არწივი”, 4.2.2. “ყვავი”, 4.2.3. “გუბული”, 4.3. “ხვლიკი” 4.4. “თვეზე”; 4.5.1. “ფუტგარი”,  
4.5.2. “კალია”, 4.5.3. “კოდო”.

რეკონსტრუირებადი საერთო-დაღესტნური ლექსემები იძლევიან საფუძველს საერთო-დაღესტნური ეთნოსის პირველსაცხოვრისის ლოკალიზებისა დიდი კავშასითნის ჩრდილოეთ კალთებზე (სამხრეთი საზღვარი) და კასპიის ზღვის პირას (აღმოსავლეთი საზღვარი) ანუ დაღესტნურ ენებზე მეტყველთა დღევანდელი განსახლების ოდენ ქედგადაღმა ტერიტორიაზე. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავშასიაში სამხრეთ კავშასიასთან შედარებით უფრო გრილ ტერიტორიაზე.

ერთადერთი მონაცემი რომელიც, ერთი შეხედვით, არ იძლევა ასეთი კატეგორიული დასკვნის გაკეთების საშუალებას

არის საერთო-დადგესტნური ფუძე-ენის ქრონლოგიურ დონეზე  
რეკონსტრუირებად დაქვსიკაში ყურძნის აღმნიშვნელი სიტყვის პოვნიერება.

ხუნდ. • იბილ “ყურძნი”: ბოთლ. • ელი (<\* ეელი < \*  
• ებელი) “id”. :

ლეზგ. ცი. იშ (<\* წი. იშ<\* ტი. იშ) “id”. : რუთ. ტ. მ. ლ (<  
ლ. მ. ლ?) “id”:

შახ. ტუმულ (<\*დუმულ) “id”. : უდ. ჭიპალ “ვაზის ფოთოლი”  
(გიგინეიშვილი  
1977: 107)

დადგესტნურ ენებში ლექსემა წარმოდგენილია კანონზომიერი  
და რეგულარული ბგერათშესატყვისობებით, რომლებიც იძლევიან  
საშუალებას საერთო-დადგესტნური ფუძე-ენის ქრონლოგიური  
დონისათვის რეკონსტრუირებულ იქნეს \*

ფონემა (გიგინეიშვილი 1977: 106)  
სიტყვა მართლაც საერთო-დადგესტნური ფუძე-ენის  
კუთხით დაგრამ ის ფუძე-ენის ქრონლოგიური დონის  
ნასესხობაა ქართველური ენებიდან, რომელმაც ფუძე-ენის  
დიფერენციაციის პროცესში კანონზომიერი და რეგულარული  
ბგერათშესატყვისობები მოგვცა ისტორიულად დადასტურებულ  
დადგესტნურ ენებში.

შდრ. ს/ქართვ. \*წიპწა “ყურძნის კურკა (თესლი) :

ქართ. წიპწა “ყურძნის კურკა”:

ზან. [ჭიმჭა] < \* ჭიპჭა “id”. ( ჩუხუა 2003: 360)

ნასესხობის წყარო ქართული ენაა – წიპწა, რაზეც  
მეტყველებს ლეზგიური ცი. იშ (\*წი. იშ), რომელშიც მეორე წ-ც  
არის შენარჩუნებული.

ყურძნის აღმნიშვნელი სიტყვა რომ საერთო-იბერიულ  
კავკასიური ფუძე-ენიდან არ არის ნამემკვიდრევი საერთო-  
დადგესტნურში ამაზე მეტყველებს კანონზომიერი და  
რეგულარული ბგერათშესატყვისობების დარღვევა ქართველურ და  
დადგესტნურ ენებს შორის ს/ქართვ. \*წ/წ1 : ს/დაღ. წ ნაცვლად  
ს/ქართვ. \* წ/წ1/\*ჭ : ს/დაღ.\*ს:

ს/ქართვ. \* წ1ემ-ი : ს/დაღ. \*სამ//ს· ამ  
“ბალახი”, “თივა” “ჩალა”, “ჩამჯა”

\*წერი-o : \*სურ  
 „სითხე”, „დენა” “თრთვილი”

\*მიწა/\*მიწა-a : \*მისა  
 ხმელეთი “ადგილი”

\*წინ/\*წინ : \* სენ  
 „წინ”, „წინათ” “გუშინ”, „გასულს”, \*\*“წინ”

\*მე ჭედი : \* მესედ  
 ბეჭედი (ოქროსი) „ოქრო”  
 და სხვ.

სამი საერთო-ქართველური სიბილანტის \*წ/\*წ1/\*ჸ  
 შესატყვისად საერთო-დაღესტნურში ერთი ფონემის პოვნიერება ეწერება იან ბრაუნის ჰიპოთეზი, რომლის თანახმად საერთო-ბასკურ-ქართველურში (resp.პროტოქართველურში) სიბილანტურ აფრიკატო და სპირანტო მხოლოდ ერთი რიგი იყო პირობითად “სისინ-შიშინა” (ი.ბრაუნის ტერმინოლოგიით “სისინა”, ბრაუნი 1998:131), ქართველური და დაღესტნური ბერარატშესატყვისობებიდან გამომდინარე სიბილანტური აფრიკატო და სპირანტო ერთ რიგს ვვარაუდობ მე საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენისათვისაც.

ახლა რელატიური ქრონოლოგიის შესახებ:

საერთო-ქართველური ფუძე-ენა დროში უსწრებდა საერთო-დაღესტნურს, რომელსაც უკვე საქუთრივ ქართულიდან ნასესხები აღმოაჩნდა “უურძნის” აღმნიშვნელი სიტყვა. ამას გარდა საერთო-დაღესტნურში რეკონსტრუირდება არა მარტო “ცხენი”-ს აღმნიშვნელი სიტყვა არამედ “უნაგირი”-საც, ანუ საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ცხენის დომესტიკაცია უკვე მომხდარი იყო.

ვფიქრობ უურძნის (resp. ვაზის) კულტურა უურძნის აღმნიშვნელ სიტყვასთან ერთად საქართველოდან გავრცელდა დაღესტანში. რაკი უურძენს ოესლითაც ანუ კურკითაც ამრავლებდნენ – წიპწის სახელის უურძენზე გადასვლის (resp. სემანტიკური გადახრის) ახსნას არანაირი დაბრკოლება არ უნდა ახლდეს.

## **გერი ნიკოლაიშვილი ზმინისგან მართული თანდებულიანი სახელმაის სემანტიკური ნიუანსები**



ქართული ენის შესწავლისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ზმინისწინებისა და თანდებულების საკითხს. ცნობილია, რომ ზმნა მართავს სახელს გარკვეულ ბრუნვაში თანდებულის საშუალებით. როგორც ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, თანდებული დამატებითი მნიშვნელობით ავსებს ბრუნვის ფორმის შინაარსს და გარკვეულ მიმართებას ამყარებს ზმნასთან. თანდებული სინტაქსური წყვილის შემადგენელი ნაწილია. იგი არ შეიძლება იყოს გაბატონებული სიტყვა, ხოლო სახელი მასზე დაქვემდებარებული. წამყვანი სიტყვაა ზმნა, რომელიც მართავს სახელს თანდებულის მეშვეობით.

ეშირია შემთხვევა, როდესაც ზმნა მოითხოვს სახელისაგან ერთსა და იმავე ბრუნვას, მაგრამ განსხვავებული თანდებულებით. ამის მიზეზია სახელის სემანტიკა, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს იმას, თუ რომელი თანდებულით უნდა იქნეს წარმოდგენილი ესა თუ ის სახელი ერთი და იმავე ზმინის ფორმასთან.

ზმინისწინიანი ფორმები, რომლებიც მაშორებელ ორიგნტაციას გამოხატავენ, ანუ მიმართულებას I პირისაგან III პირისაკენ (მაგ.: მიდის, ჩადის, შედის და სხვ.), მოითხოვს სახელისაგან სხვადასხვა თანდებულიან ფორმას იმის მიხედვით, თუ რისკენ ან ვისკენ მიემართება მოქმედება. თუ არსებითი სახელი უსულო საგანია, მაშინ გამოიყოფა ორი ჯგუფი: ერთი დაირთავს –ში თანდებულს, მეორე კი – ზეს. –ში თანდებული გავაქვს იმ შემთხვევაში, თუ უნდა გამოიხატოს რისამე შიგნით მყოფადობა,


ხოლო -ზე თანდებული გამოიყენება მაშინ, თუ მითითებულია ადგილი, სადაც რაღაც ხდება. რაც შექება სულიერ არსებით სახელებს, ისინი -თან თანდებულიანი ფორმებით წარმოგვიდგება. მაგ.: მივიდა სკოლაში, ჩავიდა სოფელში და სხვ.; მივიდა გამოფენაზე, კონცერტზე და სხვ.; მივიდა ძმასთან, ნიკოსთან, ძალლთან და სხვ.

ზმისწინიანი ფორმები, რომლებიც მაახლოებელ ორიენტაციას გამოხატავენ, ანუ მიმართულებას III პირისაგან I პირისაკენ (მაგ.: მოდის, შემოდის, ჩამოდის და სხვ.), მოითხოვს სახელისაგან სხვადასხვა ბრუნვის ფორმას. კერძოდ, თუ არსებითი სახელი უსულო საგანია (აქ გამოიყოფა მხოლოდ ერთი ჯგუფი), ის გამოიხატება მოქმედებითი ბრუნვის -გან თანდებულიანი ფორმით, რომლის სახეცვლილება -იდან/-დან დაბოლოებას გვაძლევს; თუ არსებითი სახელი სულიერია, მაშინ ის იქნება ნათესაობით ბრუნვაში -გან თანდებულით. მაგ.: მოდის სკოლიდან, ლექციიდან და სხვ.; მოდის ძმისგან, ჩემგან, ძალლისგან და სხვ. ზემოთქმული სქემის სახით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ადსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. თუ ზმნისწინიანი ფორმა გამოხატავს მაახლოებელ ორიენტაციას, როდესაც მოქმედება მიმართულია II პირისაპერ, მაშინ მო- ზმნისწინიან ფორმებთან შეწყობილი სახელები წარმოგვიდგება -ში, -ზე და -თან თანდებულებით ისევე, როგორც ეს იყო აღნიშნული მი- ზმნისწინთან დაკავშირებით.

მე მოვდივარ  
 (შენთან ან შენთან ერთად)  
 ის მოდის  
 (შენთან ან შენთან ერთად)  
 ძალდთან



ამრიგად, ქართული ზმნა, რომელიც მრავალი გრამატიკული კატეგორიის შემცველია, განსაზღვრავს მასთან შეწყობილი სახელის თანდებულანი სახელის ფორმას, მაგრამ, ამავე დროს, სახელის სემანტიკაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს აღნიშნული სახელის ფორმაზე.

## ნინო შარაშენიაშ ენის ნორმალიზაციის საპითხები: ჩემს მებოპრად თუ ჩემ მებოპრად? საკითხის დასმისათვის

ენის ნორმალიზაცია ისეთივე მუდმივგანვითარებადი მოვლენა უნდა იყოს, როგორიც ენის ცვლილებაა. ენა ცოცხალია, იგი ვითარდება, იცვლება და მასთან ერთად უნდა ხდებოდეს ნორმათა გადახედვა, გადასინჯვა და ცვლილება – ეს კანონზომიერი მოვლენაა განვითარებულ საზოგადოებაში.

სამწუხაროდ, ბოლო კრებული (რომელიც პირველ კრებულად არის სახელდებული), 1985 წელს გამოვიდა და მას შემდეგ ეს პროცესი ადარ გაგრძელებულა. ბუნებრივია, არაერთი ნაშრომი დაიწერა თანამედროვე ქართული ენის განვითარების ან მასში არსებული პრობლემების შესახებ, მაგრამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არც ენის ნორმათა დამდგენ კომისიას უმუშავია

და არც ესოდენ მნიშვნელოვანი „ენის კანონი“ შექმნილა, რომელიც მეტნაკლებად მოაგვარებდა ქართული ენის წინაშე წამოჭრილ ახალ-ახალ პრობლემებს....

ენის ნორმალიზაციას თავისი მყარი პრინციპები აქვს. პარალელურ ფორმათაგან შეირჩევა ის, რომელიც „1. უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული ენის განვითარების ტენდენციას; 2. გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას; 3 სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და 4. სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.“ (ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ. 2005, გვ. 36); ხოლო „ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას საგალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა, რომელიც ა) უფრო გავრცელებულია სალიტერაცურო ქართულში; ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად; გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა ოვალსაზრისით.“ (იქვე, გვ. 37)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთგვაროვნება და ცალსახა ანალიზი არაა მოცემული ფორმის განხილვისას.

გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი:

1. ქართული ენის ბრუნების სისტემისათვის მნიშვნელოვანია ორი კრიტერიუმი: თითოეულ ბრუნვა აქვს განსხვავებული ფორმა და განსხვავებული ფუნქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფორმა და ფუნქცია მკეთრადაა ჩამოყალიბებული და გამიჯნული, არასოდეს არ ხდება მათი აღრევა.

2. „ჩემს მეგობრად“ შესიტყვების ნორმად დამკვიდრებას საფუძლად უდევს ფორმათა გარჩევის პრინციპი (პირისაა ნაცვალსახელი თუ კუთვნილებისა). არის თუ არა ეს პრინციპი იმდენად მნიშვნლოვანი, რომ ენაში მკეთრად გამოხატული კანონზომიერება შეიცვალოს – ერთ ფორმაში აისახოს სხვადასხვა ფუნქციის ფორმანტი (ვითარებით ბრუნვაში გაჩნდეს მიცემითის ნიშანი)?

3. მიცემით ბრუნვაში კუთვნილებითი ნაცვალსახელის არსებითთან ბრუნების დროს ნორმადაა მიწნეული კუთვნილებითი ნაცვალსახელის სრული გაფორმება (ჩემს მეგობარს), თუმცა ზეპირ მეტყველებაში უკვე დამკვიდრებულია შესიტყვება ს ბრუნვის ნიშის გარეშე (ჩემ მეგობარს) და ამით აღნიშნული შესიტყვების ბრუნება უთანაბრდება ზედსართავი სახელისა და არსებითის ერთად ბრუნებას. ე. ენის განვითარება გულისხმობს

**გათანაბრების ტენდენციას.** მაშინ რამდენად გამართლებულია ვითარებით ბრუნვაში მიცემითის ნიშნის დამკვიდრება?

4. იმ პრინციპით, რომ არ შეიძლება ნათესაობითის ფუძესთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის გაჩენა, ს იკრძალება ისეთ ფორმებთან, როგორებიცაა: ჩემს შსახებ, შენს მიერ, შენს გვერდით, თქვენს გარშემო... ოუმცა ამ შემთხვევაში საკითხი არც კი დგას ფორმათა გარჩევის ან აღრევის შესახებ.

5. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა ვასწავლოთ სასკოლო გრამატიკაში ის საკითხი, რომლის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა? როგორ უნდა აგხსნათ ვითარებით ბრუნვაში მიცემითი ბრუნვის ნიშნის გაჩენა?

ვფიქრობთ, ნორმად უნდა მიგილოთ „ჩემ მეგობრად“, რადგან პარადიგმა ისევე გასწორდება, როგორც ზედსართავსახლიან მსაზღვრელთანა.

1. ანალოგიური რამ არ ხდება სხვა შემთხვევაში.

2. ეს არღვევს ენის სისტემას, ენის კანონს.

3. ქართული ენისათვის არაა აუცილებელი პირის ნაცვალსახელის გამოყენება, ასე რომ ადრევის ალბათობა მეტად მცირდება (შენ მეგობრად მიგულე — მეგობრად მიგულე).

4. თუნდაც მოხდეს ამგვარი ადრევა, იგი არ იწვევს შინაარსის ბუნდოვანებას (მნიშვნელობას არ განასხვავებს ნაცვალსახელი პირისად გაიგება თუ კუთვნილებისად).

5. სასკოლო გრამატიკაში ა. შანიძემ სწორედ „ჩემ მეგობრად“ შესიტყვება შეიტანა, რადგან გაჭირდებოდა ასესნა იმისა, თუ რა არის ეს ს. სრულიად გასაგები და ადვილად ასახსნელია მისი გაჩენა მიცემით ბრუნვაში კუთვნილებით ნაცვალსახელთან, რასაც ვერ ვიტყვით ვითარებით ბრუნვაზე.

6. ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებულია სწორი ფორმა, რატომ უნდა მოვითხოვთ სხვა ფორმა ნორმის სახით?

7. კლასიკოსთა ნაწარმოებებშიც ამავე პრინციპით ნაწარმოები ფორმა დასტურდება: „დამშვიდდი, მამა. ჩემ ვალად მიმილია. შეგისრულებთ.“ (მ. ჯავახიშვილი „მიწის ყივილი“).

## 068 სანიტარიუმის სამსახური

ერთი ენობრივი პრინციპის სრავლების შესახებ შართულზე

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სანგრძლივი პროცესი ხშირ შემთხვევაში თვით იყო გარანტი ქართული სწორმეტყველებისა, რადგან ლიტერატორ-გადამწერები, ქვეყნის

მემატიანენი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ იმ უძველეს საგანძურს, რომელსაც ქართული ენა ეწოდებოდა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისში ქართული ლინგვისტური მეცნიერების განვითარებამ ენაში არსებული ბევრი სადაც საკითხის გადაჭრის საჭიროება წარმოშვა. ამ საკითხთა შორის კომპოზიტთა დაწერილობის პრობლემაც იყო.

ჩვენი ყურადღება და კავშირით შერწყმულმა ზმინზედებმა მიიპყო. ზმინისართული მნიშვნელობის სიტყვათა ნაწილი (იგულისხმება და-კავშირიანი ზმინზედები) ერთად, კ. შერწყმულად იწერება, ნაწილი კი – ცალ-ცალკე.

ისმის კითხვა: რა შეიძლება იყოს ერთი რიგის, მსგავსი შინაარსის, არსებითად ერთცნებიანი როგორი სიტყვების მნიშვნელოვნად განსხვავებული დაწერილობის საფუძველი? ვფიქრობთ, რომ ორგვარი დაწერილობის განმსაზღვრელი მათი ერთცნებიანობა და ორცნებიანობა კი არ არის, არამედ– თვით ამ სიტყვათა შედგენილობა, მათი მორფოლოგიური ფორმა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ და კავშირით თხზული, რედუქტიურებული ზმინზედების ის ნაწილი, რომელიც გარეკეცების შემთხვევაში არ იყენებს ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილ ფუძეს, მაშინ ერთად დაიწერება (ხანდახან, სხვადასხვა, წინდაწინ...) ; ხოლო და კავშირით ნაწარმოები როგორი ზმინზედები, რომელთა ცალკეული (ზმინზედური) ნაწილები ბრუნვის ნიშანს ან ნაწილაკს დაირთავს (ე. ბრუნვის ნიშნით არიან წარმოქმნილნი). ცალ-ცალკე დაიწერება (ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ და მხოლოდ, ისევ და ისევ, მაინც და მაინც...).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ენის განვითარების უძველეს ეტაპზე მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ სახეობად -ივ ნიშნიანი ბრუნვა უნდა გვქონდა (ა. შანიძე), რომელიც ძველსავე ქართულ ში უკეთ ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაშინ ცხადი ხდება, რომ -ივ ბრუნვის ნიშნის კვალი უნდა ამოვკითხოთ ისეთ ზმინზედებში, როგორებიცაა: ისე-ვ და ისე-ვ > ისე-ვ და ისე-ვ, პალა-ვ და პალა-ვ > პალა-ვ და პალა-ვ, კიდე-ვ და კიდე-ვ > კიდე-ვ და კიდე-ვ.

## გ ი უ ლ ი შ ა ბ ა შ ვ ი ლ ი

### შართული რეპლამის ენობრივი მახასიათებლები

ცხოვრება 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია რეპლამის გარეშე. თუმცა, რეკლამას საფუძველი, დასავლეთევროპული ქვეყნებისა და ამერიკისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოურ

საქართველოში, მხოლოდ 1990-იან წლებში კერძება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პარალელურად. შესბამისად, რეკლამაში ფართო გავრცელება პოვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამტკიცდა მოღვაწეობის ახალი სფერო - რეკლამა და ახალი ტიპის ტექსტი - სარეკლამო.

რეკლამის ენას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ფუნქციურ-სტილურ ერთეულებში, რომლებიც განეცუთვნება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს და გაერთიანებულია მასობრივი კომუნიკაციის მეშვეობით. რეკლამის ენის ეს განსაკუთრებულობა განპირობებულია საკუთრივ სარეკლამო საქმიანობის თავისებურებით. ერთი მხრივ, მას აქვს კომერციული დატვირთვა, მეორე მხრივ კი, წარმოადგენს მრავალდონიან ტექსტს, როგორც ლინგვოუდიოვიზუალურ მთლიანობას, რომელიც რეალიზდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ასეთი ტექსტის მიზანია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია, მოახდინოს გავლენა ადრესატის მოტივირებაზე.

სარეკლამო ტექსტის თავისებურებას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. იგი არ არის ცალსახა და მუდმივად უკავშრდება: 1. ვიზუალურ გამომსახველობით პლანს (ბეჭდური რეკლამა - გაზეთები, ბანერები, აფიშები, პლაკატები და ა. შ.); 2. აუდიო პლანს (რადიო რგოლები); 3. ორივეს ერთად: (სატელევიზიო რგოლები, კლიპები).

ეს ურთერთმიმართება ორგანულია, თუმცა სარეკლამო ტექსტისთვის მას კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვს. ზემოაღნიშნული ელემენტების გარეშე რეკლამა უბრალოდ არ არსებობს.

თუ გავითვალისწინებოთ რეკლამის თავისებურებებსა და მისი ზეგავლენის მოხდენის ხარისხს, ენობრივი ნორმების დაცვა აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სათუთია. რა ხდება ამ თვალსაზრისით ქართულ რეკლამაში? ენობრივი ნორმების დაცვა რეკლამაში დამოკიდებულია რეკლამის ხარისხზე, თუმცა მაღალხარისხიან რეკლამაშიც გვხვდება დარღვევები: ხაარ ბალი? თქვენს მიერ დახარჯული დრო.... ბისივი დეკლოფენ! 10 წლიანი განვადება; გარემოს შექმნის 18 წლიანი ტრადიცია.

რეკლამაში საერთოდ არ გამოიყენება მმმე და წერტილი.

რეკლამის ტექსტები დაკვირვებაში აჩვენა, რომ ტექსტში გამოყენებული ელემენტებიდან (აუდიო, ვიზუალური და ვერბალური) ყველაზე ეფექტურია და ყველაზე დიდი დატვირთვა მოღის სწორედ ვერბალურ მხარეზე, განსაკუთრებით ბეჭდურ რეკლამაში.

ვერბალურ ტექსტში გამოიყოფა საინფორმაციო, შინაარსობრივი და ექსპრესიულ-ემოციური დატვირთვის მქონე ჟემდევი კომპონენტები: 1) კტემატონი (ბერძნ. ქტემა ქონება + ონიმა სახელი) - სავაჭრო ნიშნის ვერბალური კომპონენტი; 2) სლოგანი - მოკლე ლოზუნები, სარეკლამო იდეის მოკლე, ნათელი, ადვილადადსაქმელი ფორმულირება; 3) კონენტარები, სადაც გავრცობილია კტემატონის, ბრენდის, სახელწოდების ძირითადი შინაარსი ლაპიდარული (შეკუმშული და გამომსახველობითი) მანერით: რამდენიმე დინამიკური ფრაზა.

მოხსენებაში განხილულია ქართულ რეკლამაში არსებული ენობრივი გამომსახველობითი საშუალებები: ფონეტიკური, გრაფიკული, ლექსიკური, მორფოლოგიური, სიტყვათწარმოქმნა და ა. შ. ნაჩვენებია, თუ რა მსგავსებასა და განსხვავებებს ავლენს იგი უცხოურ სარეკლამო ტექსტებთან. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული რეკლამა თანადათანობით განიცდის პროგრესს და ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი და განვითარებული სფერო.

### **რამაზ ძურდაძე ქართული ენის პურაში ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტრიტ-პრუბში**

2007-2008 სასწავლო წლის განმავლობაში ფულბრაიტის საერთაშორისო პროგრამის მიხედვით მიწვეული ვიყავი ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტრიტ-პრუბში, სადაც პროფესორ ალისა ჰარისთან ერთად წავიკითხე ორი კურსი: პირველ სემესტრში – LIN 650: "Fieldmethods and Structure of Georgian" ("სავალე მეთოდები და ქართულის სტრუქტურა"). ეს კურსი გათვალისწინებული იყო ასპირანტებისათვის; ხოლო მეორე სემესტრში – LIN 431: "Structure of an Uncommonly Taught Language: Structure of Georgian" ("არაზოგადადსწავლებადი ენები – ქართულის სტრუქტურა"), რომელიც გათვალისწინებული იყო სტუდენტებისათვის.

აღნიშნული კურსები ლექტორებთან ერთად მოითხოვს მუშაობას ინფორმაციონური (პირთან, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენას).

მოხსენებაში განხილულია ამ კურსების შედგენილობა, ამოცანები და ინფორმაციონური სტუდენტების მუშაობის თავისებურებანი.

### **ნამაზ შავთვალაძე ქართული ენის სავალება ინგლისურენოვანთათვის**

სერია „ბილიკი“, სახელმძღვანელოები „ქართული ენა ინგლისურენოგანთაოვის“ ენას, პირველ რიგში, ფუნქციური მნიშვნელობით იყენებს. სახლმძღვანელოებში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სტუდენტის წინაშე არსებული სიმნელე. ამიტომ ეტაპობრივად, მარტივიდან როგორისაკენაა მიმართული ყოველგვარი სახის სიახლე თითოეულ კარში. ყოველი ახალი ზმნა მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით მიეწოდება ახალ სიტყვებში მაგ.: მუშაობს; ფიქრობს; აწევს... მეორე წიგნში კი მესამე პირის მიწოდებისას მიენიშნება ზმნისწინი ფრჩხილებში მაგ.: ალაგებს (და-); რეგავს (და-)... ამ სახით მიწოდება სტუდენტს ეხმარება ზმნური წარმოების დამასხსოვრებაში. შეგნებულად არ ვაძლევთ თავიდან საწყისს ფორმას. თითოეულ კარში გააქტიურებულია ახალი ზმნა სხვადასხვა საშუალებითა და სერხით, როგორც სავარჯიშოებში, ასევე ტექსტსა და დიალოგებში.

პირველი წიგნი ისეა აგებული, რომ ყველა ზმნური ფორმა ნელ-ნელად მიწოდებული. ყველაზე ხშირად ხმარებადი ზმნებით იწყება. ამ სავალდებულო და აუცილებელი ზმნების (ყოფნა, ცოდნა, ნდომა, ქონება, ყოლა...) შესწავლის შემდეგ შემოდის სისტემის სახით -ობ თემისნიშნიანი ზმნები, მხოლოდ შემდეგ -ებ, უკვე წიგნის დასასრულისკენ -ავ, უთემისნიშნო და -ი თემისნიშნიანი ზმნები. ძირითადად მიცემულია -ობ თემისნიშნიან ზმნათა წარმოება, რადგან სისტემურია. მაგ.: თამაშობს – ითამაშებს. -ობ თემისნიშნიანი 1506 ზმნა იყენებს მომავლის წარმოების ამ ტიპს (ნ. შავთვალაძე, „ქართულში თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიის, კლასიფიკაციის, კონსტრუქციისა და სწავლების საკითხები,”გვ. 37, 1999). ამ ზემოაღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილია სერია „ბილიკი“ ზმნათა სწავლების ოთხი ტიპი (იხ. წიგნი I, გვ. 326).

<i>The conjugation of</i>	<i>verbs is diveded</i>	<i>into four types and</i>	<i>14 parts</i>
I ტიპი	II ტიპი	III ტიპი	IV ტიპი
Nº1 --stem-ობ	Nº7 ბ--stem-	Nº9 --stem-	Nº14
Nº2 --stem-ებ	გ--stem-	ები	irregulars
Nº3 --stem-ამ	ო, ჟ, ს--stem-	Nº10 -stem-	
Nº4 --stem-ავ	Nº8 ბი--stem-	დები	
Nº5 --stem-ი	გი--stem-	Nº11 ი--stem-	
Nº6 --stem-ე	უ--stem-	ები	
		Nº12 გ--stem-	
		ები	
		Nº13 --stem--	

	<b>თბ</b>	
--	-----------	--

ამ სისტემას ეყრდნობა ჩვენი სტუდენტიც ადგილად აღიქვამს მოცემულ მასალას.

აწმუოს შემდეგ აუცილებლად მიეწოდება უწყვეტელი, რადგან წარმოება ადგილია და სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა წარსულის ფორმის გამოყენებისა. შემდეგ შემოდის მომავალი დროის ფორმები ორ სახედ გამოყოფილი: 1) **-ობ** თემისნიშნიანები თებ წარმოებით. მაგ.: ცხოვრობს – იცხოვრებს; თამაშობს – ითამაშებს; ფიქრობს – იფიქრებს და ა.შ. 2) ზმინიშინიანი წარმოების. მაგ.: აკეთებს - გააკეთებს; პატიჟებს - დაპატიჟებს; ამზადებს – მოამზადებს და ა.შ.

მომავალ დროს მოსდევს ბრძანებითის ფორმები მაგ.: გააპეთვ; ითამაშე; მხოლოდ ამის შემდეგ ვაწვდით წყვეტილს. ბოლოს მიეწოდება უწყვეტელი. უწყვეტლის ფორმისთვის სამზადისი ჯერ კიდევ მე-7 კარიდან იწყება. იქ მზა ფორმაა მიწოდებული. მაგ.: მინდა ვიყიდო, გინდა იყიდო და ა.შ. ამ კონსტრუქციას კვლავ ვუბრუნდებით მე-10 კარში, სადაც ვევლა ნასწავლ ზმნასთან გააქტიურებთ ამ ფორმის გამოყენების სხვა ფუნქციასაც. მაგ.: მინდა ვიცხოვრო; უნდა ვიცხოვრო. უწყვეტელს პელავ ვუბრუნდებით სხვა ფუნქციით მე-16 კარში. მაგ.: **არ** იცხოვრო; დაბოლოს, 24-ე კარში უწყვეტელი ამ ექვსი ფუნქციით იშლება მათ თავალწინ მაგ.: მინდა/არ/შეიძლება/შემიძლია/შეიძლება/უნდა ვიცხოვრო.

- |                 |   |
|-----------------|---|
| 20. კარი        | to turn, to stop, to continue                             |
| 21. კარი        | to ask, to cut, to dye, to trim, to style, to be able     |
| <b>(Aorist)</b> |   |
| 22. კარი        | to drink, to eat, to set table, to toast, to congratulate |
| 23. კარი        | to punish, to change, to receive                          |
| 24. კარი        | to say, to see, to built, to let                          |

play                    თამაშობს      თამაშობდა      ითამაშებს      ითამაშა      ითამაშოს

play music      უკრავს      უკრავდა      დაუკრავს      დაუკრა      დაუკრას

prepare      ამზადებს      ამზადებდა      მოამზადებს      მოამზადა      მოამზადოს

პირველ წიგნში არ გვხვდება ვნებითი გვარის ფორმები, ეს პრინციპი სრულიად გამიზნულად და შეგნებულადაა გატარებული. აქ სულ ათასი სიტყვა მიწოდებული, სამოცდათორმეტი ზმნა, ხუთი მწერივი, შვიდივე ბრუნვა, ბუდობრივად გან-

ვითარებული დექსიგა შესაბამის 24 თემაზე. სტუდენტი მზადაა წარმართოს მარტივი დიალოგი და გაიკვლიოს გზა თავისი ენობრივი ბაზით.

ეს მოქლევა, რაც შეეხებოდა სერია „ბილიკის“ პირველი დონის სახელმძღვანელოს „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“ CD-ით.

## ლიტერატურისა და უოლკლორის სემინარი

### ლაურა გრიგორიაშვილი პგლაზ მცხვლი ქართული მომღერლების პრიორდებისა და მიჯნებისათვის

1. ქართული მწერლობა სამ უმთავრეს ეტაპადა დაყოფილი. ეს ეტაპებია: ძველი, ახალი, უახლესი. ადნიშნული კლასიფიკაცია ლიტერატურაომცოდნეთა შორის დღეს მრავალ კითხვას ბადებს: რამდენად მართებულია V–XVIII საუკუნეების ლიტერატურის მთლიანად ძველ ქართულ მწერლობად მიჩნევა, ან მისი გამიჯვნა ახალი და უახლესი მწერლობისგან? მიზანშეწონილია ძველ მწერლობაში სახულიერო და საერო სასიათის ნაკადთა ერთმნიერისგან გამოყოფა? ხომ არ უნდა დაგუბრუნოთ სასულიერო მწერლობას მისი ფუნქციური დატვირთვის გამომხატველი ტერმინი საეკლესიო/სამდგდელო? სადაცოდ იქცა თვით მწერლობის ცალკეულ პერიოდთა მიჯნებისა და მათი სახელდების საკითხიც. უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებთან ლიტერატურულ პროცესთა მისადაგების ტრადიცია. სამაგიეროდ გაჩნდა ლიტერატურულ პერიოდთა აღმნიშვნელი ახალი ტერმინები: ელინიზაციის ხანა, სახისმეტყველებითი (ერდეტური, ეკონური, საკუთრივ სახისმეტყველებითი ...) დეტერმინაციები და ა.შ.

მეტი კატეგორიულობით დაისმის ქართული მწერლობის პერიოდებისათვის ეკროპული კულტუროლოგიური პარადიგმების (რენესანსი, ბაროკო, მანერიზმი ...) მისადაგების საკითხი. ყველა ეს კითხვა განსჯისკენ გვიბიძგებს.

2. ძველი და ახალი/უახლესი მწერლობის ერთმანეთისგან გამიჯვნა (რაც სულაც არ ნიშნავს მათი ერთიანობის უარყოფას) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხატვრული სააზროვნო პროცესის

განვითარების ლოგიკას, თუ გავითვალისწინებთ იმ ფუნდამენტურ ლიტერატურულ-ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ძველ ქართულ მწერლობას, მეორე მხრივ კი, ახალ და უახლეს ქართულ მწერლობას. ახალისაგან განსხვავებით ძველი მწერლობისთვის დამახასიათებელია მსოფლმხედველობრივი სიმწყობრე და მთლიანობა, ამ წინამდგრებზე დაფუძნებული კონცეფცია ადამიანისა, ტრადიციის, ნიმუშის, რეგლამენტის ესთეტიკა, შემოქმედის, ავტორისა და მკითხველის მსოფლშეგრძნებითი და ესთეტიკური ხედვის სრული თანხვედრა, ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთმმართების სპეციფიკა, რეალიზმის თავისებური გაგება („შებრუნებული პერსპექტივა“), დროისა და სივრცის სრულად განსხვავებული კონცეპტი და სხვა. ადნიშნული პრინციპები ტრანსფორმაციას ძველი ქართული მწერლობის წიაღშივე განიცდის, რაც ნიადაგს ქმნის ახალი ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

3. V-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძველ მწერლობად მიჩნევა სრულადაც არ უშლის ხელს მასში გამოიყოს ევროპული ლიტერატურული პროცესების შესატყვისი ეტაპები ევროპული ტერმინებითვე (რენესანსი, მანერიზმი, ბაროკო...). სწორედ ამგვარად მოიაზრებენ რუსი მედიევისტები ძველი რუსული ლიტერატურის (IX-XVII ს.ს.) განვითარების პროცესს.

## ელისო გალანდარიშვილი ასპექტიზმის პრინციპები ქართულ აბიობრაზიაში

ასკეტიზმის ელემენტები ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში დასტურდება, თუმცა იგი საბოლოოდ IV საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეკლესია წარმოშობით უფრო ძველია, ვიდრე მონაზვნობა. ქრისტიანობის გავრცელების პირველ ათწლეულში სახარებისეული მოძღვრება მკვიდრდება ქრისტიანული ოემის წიაღმი, რომელიც ერთიანია და განუყოფელი. წუთისოფელი არ აღიქმება ცოდვისა და ცდუნების სადგურად. პირიქით, ეს ის სამყაროა, რომლის მკვიდრთაც სწამო, რომ ღვთის ნების გარეშე ბედურაც კი არ გვდება, ადამიანს თმის ბეწვიც არ ჩამოუვარდება. ზეცა და მიწა თითქმის ერთიანია და განუყოფელი. თუმცა II-III ათწლეულიდან ფეხს იკიდებს მიწიერი სამყაროს არასრულყოფილების, არასრულფასოვნების აღიარების ტენდენცია. ქრისტიანული ოემის წევრები უარს ამბობენ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე-

ქონებაზე, ქორწინებაზე, ოჯახზე. ასე ყალიბდება სასულიერო პირთა ორი ფენა-ე.წ. „თეთრი” და „შავი” სამღვდელოება.

ქართულ აგიოგრაფიაში სრულყოფილად არის ასახული ჩვენს ქვეყანაში ასკეტიზმის გავრცელებისა და დამკეიძრების გზა. აგიოგრაფია მოგვითხრობს მათზე, ვინც „დაუტევა ყოველივე ქრისტესთვის, აღიღო ჯვარი მისი” და გოლგოთის გზას დაადგა, ვინც დათმო ყველაფერი, რაც ძვირფასია მოკვდავთათვის.

სასულიერო პირთა იერარქიის სათავეში თვით მაცხოვარი დგას. მისი ეკლესიის წიაღში საფუძველი ეყრება მორწმუნეთა ერთობას.

ქართულ აგიოგრაფიაში ასკეტიზმის იდეალები მკეიძრდება ასურელი მამების მისიონერული მოღვაწეობის შედეგად. აგიოგრაფი მათ „ხორცის დამაუძლიურებელო” უწოდებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორანე ზედაზნელის, შიო მდვიმელისა და დავით გარეჯელის ასკეტური პრინციპები. ასკეტიზმისაკენ მათ სწრაფვას ისიც ადასტურებს, რომ ქართლში წამოსვლამდე ისინი მოინახულებენ დიდ მნათობს, სვიმეონ მესვეტეს, და მისგან ლოცვა-კურთხევას მიიღებენ. მათი სწავლანი და ქადაგებანი ბერმონაზგნური ყოფის თავისებური სახელმძღვანელოა.

ქართულ აგიოგრაფიაში აღწერილია როგორც მარტოდმყოფ ბერთა სახეები, ასევე მმობის, დიდი ლავრების ჩამოყალიბების ისტორია. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაო-კლარჯეთისა და ათონის სავანეებში მოღვაწე ბერთა ასკეტური იდეალები.

## მარტა ელგაძიებე

### „ვეზნისტყაოსნის“ ჟანრის ბანსაზღვრისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივ სკეციური გაზე მსჯელობისას, ფაქტორულ ყველა მკელევარი ეყრდნობა რუსთველის მიერ პროლოგის მე-17 სტროფში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს: “მოშაირე არა პქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად”, რომელიც შაირობის თეორიის ერთგვარ შემაჯამებელ დებულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ვინაიდან პროლოგში ლექსის (პოეტური ფორმის ტექსტის) შესახებ არის საუბარი, „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა მკელევარმა დაადასტურა რუსთველის მიერ “გრძელი ლექსის”, ანუ ეპიკური ჟანრის უპირატესობის აღიარება “ცოტა” თუ “მცირე” ლექსთან, ანუ ლირიკულ ჟანრთან მიმართებით. გასარევევია დიდ ეპიკურ ფორმათაგან (ეპოპეა, სიმღერა, რომანი, პოემა, ბალადა) რომელ გულისხმობს რუსთველი გრძელ ლექსში.

ეპოპელ-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა განარჩევს ორ განსხვავებულ ჟანრს, რომელთაგან პირველს შეესაბამება

სიტყვა **Romance**, მეორეს კი – **Novel** (ინგ.), **novella** (იტალ.), **novela** (ქართ.), **nouvelle** (ფრანგ.). ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, ამ უანრთაგან საკუთრივ რომელს მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსანი“.

სტატიაში გამოკვეთილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სტრუქტურულ-კომპოზიციური ორგანიზება, იდეურ-თემატური მოტივები და კომპოზიციური ელემენტები საქმაო მსგავსებას ამჟღავნებს უანრთან, რომელსაც ევროპული და ამერიკული ლიტერატურათ-მცოდნება Romance-ს სახელით იცნობს. მიუხედავად ამისა, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის შუასაუკუნეების რაინდული ორმანის (მით უფრო, პურტუაზული ლიტერატურის) ტიპური ნიმუში. თხზულებაში გვხვდება მთელი რიგი სცენიფიკური მხარეები, რომლებიც ჭანრის განვითარების გაცილებით მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. ესენია: ვეფხისტყაოსანის სტრუქტურული თავისებურება, პერსონაჟთა ხატვის რუსთველისეული მანერა, ალეგორიული პლანის რეალური პლანით შეცვლა და ა.შ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჭანრობრივი თვალსაზრისით არის შუასაუკუნეების რაინდული რომანი (Romance), რომელიც ეწ. „გარდამავალი დროში“ (გვიანდელი შუასაუკუნეები/რენესანსი) განახლებული კონსტრუქციის, გამომსახველობითი ფორმებისა (ნარატივის პლასტიკურობა და მრავალპლანიანობა) თუ კონცეპტუალური პრინციპების კვალიბაზე ჭანრის გრადაციის ახალ ეტაპად, მის მაღალგანვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

## ნანა ზრ ზიძე აპაბის „ოცნება“

აკაკი ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო. მას საგანგებოდ იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და დიდი აღტაცებითაც ხვდებოდნენ. კახეთს მგოსანი სამჯერ ესტუმრა. ბოლო სტუმრობა 1911 წლის 8 ივნისს შედგა და მთელი თვე გაგრძელდა. ვიზიტის მსვლელობას აშუქებდა „სახალხო გაზეოთ“. კახეთის შოთაბეჭდილებები აისახა ლექსში „ოცნება“, რომელიც ამავე 1911 წელს ცალკე წიგნაკად გამოსცა ქუთაისში მრეწველმა და ქველმოქმედმა რაედენ დათეშიძემ. მეორედ ლექსი თავად აქაქიმ დაბეჭდა 1913 წელს „ჩემი ნაწერების“ მეორე ტომში. ამის შემდეგ არც პოეტის სიცოცხლეში და არც მისი გადაცვალების შემდეგ „ოცნება“ აღარასოდეს დაბეჭდილა. მიზეზი ადგილი ასახსნელია. ლექსი მძაფრი პუბლიცისტური ქლერადობით გამოიჩინევა. მასში წამოჭრილია ქართული მიწების გასხვისების საკითხი. პოეტი მიუთითებს, რომ კახეთი წინა

საუკუნეებში, როცა უმძიმესი განსაცდელისთვის თავის გაროომევა უჭირდა, მტრის წინაშე, შესაძლოა, ქედს იხრიდა („...ხანაც ინით იღებავდნენ წვერს“), მაგრამ ეს კომპრომისი მხოლოდ დროებით სასიათს ატარებდა და მხოლოდ ფიზიკური გადარჩენის სურვილით არ იყო ნაკარნახევი. პრიორიტეტული მნიშვნელობა მამულის გადარჩენას ენიჭებოდა და ყველა დანარჩენი ამ უზენაესი მიზნის მიღწვას ეწირებოდა. ახალმა დრომ ახალი იარალი მისცა მტერს ხელში – ფული. პაკის აზრით, ეკონომიკურ ოში ჩასაბმელად ქართველი კაცი მოუმზადებელი აღმოჩნდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენი უმთავრესი ფასეულობა – ქართული მიწა – ერთბაშად ორი მტაცებლის, რუსისა და სომხის, საქართველო გახდა („ძე“ და „შვილი“ განახვრდა ვრჩებით „ოვებს“ და „იანცებსს,“).

შოთა რესტავრაციის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დამუშავა და დასათინანსებლად წარადგინა აქაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეტულის საგრანტო პროექტი. აღნიშნული გამოცემის მეოთხე ტომში ლექსი „ოცნება“, ისევე როგორც თავის დროზე ცენზურის მიერ დაწუნებული თუ კონიუქტურული მოსაზრების გამო უგულებელყოფილი მრავალი ნაწარმოები, სამართლიანად დაიკავებს კუთვნილ ადგილს.

## ესა გარდოშვილი

აკაკი ჭერეთლის მრთი ლექსის რაოდისათვის

ილია ჭავჭავაძის „განდევილს“ ხშირად ადარებენ ქ-ზოლას „აბატი მურეს შეცოდებას“, გ. ფლობერის „წმინდა ანგონის განსაცდელს“, ლერმონტოვის „მწირს“. ქართულ ლიტერატურაში მის ანალოგიად შეიძლება მივიჩნიოთ აკაკი წერეთლის ლექსი „განდევილია“, ლექსის ქვესათაური ასეთია: აპოკრიფული მბავი, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ როგორც ილიას „განდევილს“, აღნიშნულ ლექსისაც რელიგიური სიუჟეტი უდევს საფუძვლად, რომელიც როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაშიც არაერთხელაა მხატვრულად ხორცშესხმული. აპოკრიფებად მიხნეულია ბიბლიის არაკანონიკური წიგნები, რომელთა შექმნის მიზანია იმ ხარვეზების ამოვსება, რომლებიც ბიბლიური ისტორიის გადმოცემისას კანონიკურ წიგნებს აქვს.

აკ. წერეთლის ლექსის „განდევილიას“ სიუკეტი თოთქმის ემთხვევა იღ. ჭავჭავაძის „განდევილის“ სიუკეტს. ლექსის ფაზულური ქარგა ასეთია: უდაბნოში დაყუდებული ბერი საცუთარი სულისა და ქვეყნის გადარჩენისათვის ლოცულობს.

ეურადღება უნდა მივაქციოთ ორ რამეს: პირველი, განდეგილი ღმერთს ქვეყნის ხსნას ევედრება და შეორე, რომ საქართველო დათისმშობლის წილხედრია. უფალს ესმა ცოდვილის ხმა, შეიწირა ბერის სამსახური, შეისმინა მისაღმი აღვლენილი ლოცვა, რამაც ბოროტი ძალების დაპირისპირება გამოიწვია. აკაკი გვიხატავს ფარული ბრძოლის სურათს, რაც თვალით უხილავია და ადამიანი მხოლოდ შეიგრძნობს. განდეგილი უძლებს ყოველგვარ ცდუნებასა და გასაჭირს, თავისი რწმენის მორალისა და ზნების ერთგული რჩება, რადგან იქვე ახლოს უჩინრად დგას განდეგილის „მფარველ-მცველი“, „სხივმოსილი“ ქალი, რომელიც ჩვენ შეკიდია დათისმშობელთან გავაიგივოთ.

დვთისმშობლის ბიბლიური პირველსახე არის კიბე. კიბე, რომელიც იაკომა ძილში იხილა, მოასწავებდა ყოვლადწმინდა დათისმშობელს, რომლისგანაც იშვა ქრისტე. მან შეაერთა ცა და ქვეყანა, შეარიგა კაცი ღმერთთან. მეორე სიმბოლო დათისმშობლისა არის ცეცხლის სვეტი, რომელიც ეგვატიდან გამოსულ ებრაელებს ვითარცა ღრუბლის სვეტი დღისით სიცხისაგან იფარავდა, ხოლო დამით ცეცხლის სვეტად ენთო და უნათებდა მათ გზას. იდეა, რომლითაც დვთისმშობელი მკვიდრდება ქრისტოლოგიაში არის იდეა მფარველობისა და სხინისა.

ილიას „განდეგილში“ დვთისმშობელი გევლინება ვითარცა სულიერი მფარველი ბერისა. ნიშანდობლივია ისიც, რომ სასოწარკვეთილი ბერი ხსნას დვთისმშობლისაგან მოელის, მაგრამ კველგან მწყემსი გოგონას სახე ელანდება. განდეგილის წარმოდგენაში დათისმშობლის ხატის სახებას ჩაენაცვლა აწ უპვე მისთვის იდეალად ქცეული ხორციელი სილამაზე. გოგონას სილამაზეში მან ვერ დაინახა დვთისმშობლისეული საწყისი, ამ იდეალის დაკარგვამ გამოიწვია ილიას განდეგილის ტრაგედია.

აკ. წერეთლის ლექსში „განდეგილია“, ბერი არ მარცხდება, რადგან არ წყვეტს სულიერ კავშირს დათისმშობელთან, იდეალი მარად თან სდევს მას.

### მამუბა ჰანტურაია „შავი ნისლის“ („ჯანღის“) გაქა-ფშაველასეული გაგებისაიგის

გაუა-ფშაველასთან ბუნების ჩვეულებრივი წარმონაქმნი – ნისლი – განიხილება როგორც საკუთარი შინაარსის, თვითმყოფადობის მქონე მოვლენა, განიხილება როგორც

სამყაროში არსებული მყარი კანონის გამოვლინების აუცილებელი პირობა, როგორც გარეპეტული ფენომენი. მას პოეტის შემოქმედებაში არა მხოლოდ ლოგიკურ-ემოციური საფუძველი აქვს, არამედ მაგიური და მითოსური ძალაც.

ნისლეს ხშირად ვაჟა პირდაპირი, უზუალური მნიშვნელობით იყენებს, რაც, ცხადია, არ ქმნის მხატვრულ სახეს. ვაჟასთან „ნისლი“ გადატანითი მნიშვნელობითაცაა ნახმარი, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი უშუალო პოეტური წარმოსახვისაგან თავს იკავებს და ზომიერ ენიბრივ ხატებს გვთავაზობს.

მაგრამ არის მაგალითები, როცა საკითხი როულად დგას, რადგან ასეთ დროს სიტყვა „ნისლი“ ოკაზიონალური მნიშვნელობით წარმოგვიდგება და მასში ნაგულისხმევი აზრი, მიუხედავად ვაჟას რეალისტური ხედვისა, ზოგჯერ მნელად ამოსაცნობი ხდება. მაშასადამე, ვაჟას პოეზიაში ნისლის სიმბოლიკა არ არის ერთსახოვანი და მყარი, იგი წინააღმდეგობრივი ბუნებისაა.

ვაჟას პოეტურ ნაწერებში „შავი ნისლი“ („ჯანდი“) ის ძალაა, წერამწერლის (ბედისმწერლის) ნებით რომ მოქმედებს, შეურყნელია და ადამიანთა (ცოცხალთა და გარდაცვლილთა) ბედილდალს განაგებს. ასეა წარმოჩენილი „შავი ნისლი“, „სტუმარ-მასპინძელში“. პოემის ექსპოზიციურ ნაწილში სოფლის თავს მძინარე ნისლი შავია, დაფიქრებული სახისაა, ამ ქვეყნის ცოტა ხნის სტუმარია, ხვალ სხვაგან წავა, ხილულ ქვეყანას უხილავს გახდის, გარემოს დააბნელებს და ა.შ. ისმის კითხვა: რატომაა „შავი ნისლი“ ასეთი? პასუხი პოემის ფინალშია მოქცეული. აქ „შავი ნისლი“ ანუ „შავი ჯანდი“, სწორედ იმ ძალად გვევლინება, წერამწერლის ნებით რომ მოქმედებს და განსვენებულთა ბედილდალს განაგებს. მას ვერანაირი საფანელი ნირს ვერ შეუცვლის, უდრევი და შეუვალია.

ასეთია „შავი ნისლი“ („ჯანდი“) პოემებში: „მთათა ერთობა“, „ხის ბეჭი“, „უიღბლო იღბლიანი“, ლექსში: „ქქბათა-ქება“ („ჯანდა დაფარა ქვეყანა“) და სხვა. ამ ნაწარმოებებში „შავი ნისლი“, იგივე „შავი ჯანდი“ მითოსური ფუნქციის მატარებელია, მაგრამ ვაჟასთან მითოსური უნდა გავიგოთ არა როგორც რაღაც ლეგენდარული ჩვენება, არამედ როგორც ესთეტიკური შინაარსის, ესთეტიკური ფუნქციის მქონე სინამდვილე, როგორც პოეტური სახე.

„შავი ნისლი“ ზოგჯერ სიმბოლოდაც გვევლინება. პოემა „სვინდისში“ ნისლი საკაცობრიო უბედურების მანიშნებელია. იგი აბელის სისხლითაა გაუდენთილი, რომელიც ცად ასულა და ამ სისხლით რწყავს ქვეყნიერებას.

დაბოლოს, უნდა განვაცხადოთ, რომ ვაჟასთან „შავი ნისლი“ ანუ „შავი ჯანდი“, რადაც ზებუნებრივი ძალა კი არ არის, არამედ პოეტის დიდოსტატური ხატი-სიმბოლოა, რომელიც მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მომხდენია და არა ბუნდოვანი სულიერი აგზების გამომწვევი მისტიკური მოვლენა.

## 0 ა მ ზ ე გ ა გ უ კ ორფევსის მითი და მისი მხატვრული ასახვა ოპერის “მეტამორფოზობაში”

ლეგენდარული მოძღვრლის, ორფევსის სახელი, რომელიც თავისი ჯადოსნური ხმით ატვევებდა სულიერსა და უსულო არსებებს, უკავშირდება აპოლონს – მუსიკის, ხელოვნების, მედიცინის, სინათლის ღმერთს, რომლის ტაძარი კუნძულ დელფოზე მდგარეობდა. აქეე სცემდნენ თაყვანს დიონისეს, რომელიც მოიაზრება როგორც ბრძანა ექსტაზის ღვთაება.

სტრაბონის ცნობით, ბაკანალიერი და საფერხულო ცეკვები ორივე ღმერთის პატივსაცემად იმართებოდა. ფილოსოფიურ ლიტერატურაში არის მოსაზრება აპოლონისა და დიონისეს იგივეობაზე. შემდგომში ეს ორი ღმერთი (მათი გმირები) უპირისპირდება ერთმანეთს. ეს აღიქმება როგორც ბრძოლა ქაოსსა და კოსმოსს, წესრიგსა და უწესრიგობას, სინათლესა და სიბრელეს შორის.

ძელი ბერძენის წარმოლგენით, ქაოსიდან წარმოშობილი კოსმოსი, კვლავ შეიძლება ქაოსად იქცეს. ეს არის მუდმივი ბრძოლის პროცესი. აპოლონისა და დიონისეს ბრძოლა არის ამავე დროს მათი სინთეზი, გაერთიანება.

ორფევსის დაგლეჯა მენადების (დიონისეს მსახურ ქალთა) მიერ, რომელიც მოთხოვობილი აქვს ოვიდიუსს „მეტამორფოზებში“, არის დიონისეს შურისძიება აპოლონის მსახურზე, სტიქიური უწესრიგობის ორფევსის მიერ მოწესრიგებულ, პარმონიულ სამყაროში შეღწევა. ეს ნათლად არის მინიშნებული „მეტამორფოზებში“. ორფევსის წრეში გაერთიანებულ არსებებს ოვიდიუსი მოიხსენიებს ტერმინთ „attonitas“, რაც ზეაღმატებულ, ეგზალტირებულს ნიშნავს, ე.ი. ორფევსისაც აქვს ის ძალა, რაც დიონისეს, მაგრამ მისი მხლებლები ემორჩილებიან მუსიკის პარმონიას, წესრიგს. ამ სიმშვიდეს არღვევენ მენადები, რომელთაც შემდგომ დიონისე დასჯის და მცენარეებად გარდასახავს.

## ნანა ფონია ანტიბური მსოფლადშის გაბეჭისათვის

ბერძენთა მსოფლადქმა იყო არა მხოლოდ ოპტიმისტური, არამედ ტრაგიკულიც. უკიდურესად განზოგადებული და უნივერსალური სახეებით ბერძნული ესთეტიკური ცნობიერება ცდილობდა გაეაზრებინა სამყარო მთელი თავისი ურთიერთ-დაპირისაირებული მოლიანობით. დაძაბული წონასწორობა, რომელიც არსებობდა მოწესრიგებულ, ნათელ კოსმოსა (რომელიც თითქოს ორი განზომილებით იყო შექმნილი – ოლიმპიელი ღმერთებითა და ადამიანის გონებით) და მოწესრიგებულ, ქაოტურ მიწიერ სამყაროს შორის, განაპირობებდა ადამიანური აზროვნების ძირითად თავისებურებას – პეროიკული გამარჯვებისადმი სწრაფგას საკუთარი ბედის ტრაგიზმის შეგრძნებით. სწორედ ეს იყო საფუძველი იმ “ტრაგიკული ოპტიმიზმისა”, რომელიც ესოდენი უბრალოებით აისახა ძველი ბერძნული ხელოვნების დიდებულ ნიმუშებში, იქნება ეს არქიტექტურა, პლასტიკა თუ ლიტერატურა. ბერძნულ პლასტიკაში მაღალი ხელოვნებით წარმოჩნდილი შინაგანი პეროიკული დაძაბულობის, ფარული დრამატიზმის გასაგებად უნდა მივმართოთ ძველ ავტორთა იმ პოეტურ თუ ფილოსოფიურ თხზულებებს, რომლებშიც ჩანს არსი ანტიკური მსოფლადქმისა.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებ ისეთ უმთავრეს კატეგორიებზე, როგორებიც არის: ა) ტრაგიკული კათარსის; ბ) ჰუმანიზმი; გ) არქევანის თავისუფლება; დ) ზომიერების გრძნობა; ე) ბედინიერების განცდა; ვ) აგონისტური მისწრაფებები; ზ) სიყვარულის ფენომენი; თ) ფოლკლორული საწყისი.

ბერძნულ პოეზიაში ესოდენი უშუალობითა და უმაღლესი ხელოვნებით ასახული ელინითა მსოფლმხედველობრივი პრინციპების ეს ზოგადი ანალიზიც კი ჩვენ წინ შთამბეჭდავი ძალით წარმოაჩნეს ძველი ბერძენის გრძნობადი სამყაროს არსს, მისი განცდებისა და მისწრაფებების სულიერ-ზნეობრივ ფენომენებს. ეს საშუალებას გვაძლევს გავთავისუფლდეთ ანტიკურობის იდეალიზებული ინტერპეტაციისაგან, შევიგრძნოთ ის კონტექსტი, რომლის ფონზეც წარმოდგენილი არიან ანტიკური პლასტიკის უდიდესი შინაგანი სულიერებით აღჭურვილი სახეები, იქნებიან ესენი დახვეწილი, მშვიდი კორები; მკაცრი, ვაჟაცური კუროსები თუ კლასიკის პერიოდის სტატუარულ ჯგუფებსა ან ფრონტონებზე წარმოსახული, დაძაბული, უზარმაზარი ცხოვრებისეული ენერგიით აღსავსე ფიგურები.

**ეგთეგან ნაზარეთიშვილი**  
ეგრიპილს „იუგენია აგლისტი“ – ქალი საზოგადოების  
სამსახურში

1. ცნობილია, რომ კლასიკურ ათენში ძვ. წ. V-IV საუკუნეებში  
დემოკრატიული ათენის მიერ გატარებულმა იდეოლოგიურმა  
კურსები ქალების ლეგალური და კულტურული დაჭვებისარება  
გამოიწვია, რაც ათენური დემოკრატიის ერთ-ერთ უმთავრეს  
პარადოქსადაა მიჩნეული. სქესთა მიმართ გატარებულ  
რადიკალურ პოლიტიკას შედეგად სდევდა სქესთა უკიდურესი  
დიქტომიზაცია – მამრობითი სქესი უპირობოდ საზოგადოს,  
მდევრობითი კი – პრივატულ სივრცეს მიაკუთხნეს. ეს კი იმას  
ნიშნავდა, რომ ათენელი ქალი იყო საცხოვრის შეზღუდული  
სამოქალაქო უფლებების მქონე მოქალაქე. მას არ შეეძლო  
დასწრებოდა სახალხო კრებას, ანდა მონაწილეობა მიედო  
კენჭისყრაში, იგი ვერ დაიკავებდა რაიმე სამოქალაქო  
თანამდებობას. საჯარო სივრცეში მისი მონაწილეობა რელიგიური  
კულტმსახურების სფეროთი შემოიფარგლებოდა.

2. ამგვარი უუფლებობის პარალელურად ბერძნულ დრამაში, ქერძოდ ტრაგედიაში, ქალები ძლიერი პიროვნებები, დირსექსანიშნავი მხატვრული სახეები არიან, რომლებიც მეტწილად წარმართავენ კონფლიქტებს და რომლებიც სშირად იჭრებიან საზოგადო სივრცეში, თუმცა კანონმდებლობა, კულტურული იდეალი და ნორმა ყოველმხრივ აბრკოლებდა საზოგადო სივრცეში ქალთა აქტივობას.

რა შეიძლება ამ კონტექსტში ითქვას საზოგადო სივრცეში ტრაგედიის ქაღია გმირის მოქმედების თაობაზე?

საზოგადო სივრცეში ქალის შესვლას / შექრას (შექრა ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად გამოხატავს ამ ფენომენს) უმტკქსად უარყოფითი შედეგი სდეგს თან. საზოგადო სივრცეში ქალის შექრის ერთ კლასიკურ მაგალითში = „ორესტეა“ კლიტემნესტრას შემთხვევაში – ქალი ანადგურებს ოჯახს, ხელო იგდებს ხელისუფლებას, ამყარებს ტირანიას და ჩიხში შპჰყავს საზოგადოების განვითარება. მეორე ასევე კლასიკურ მაგალითში – ანტიგონეს შემთხვევაში – ქალი, რომელიც აღასრულებს ნათესავის წინაშე უმაღლეს ვალდებულებას და გამოიის ტირანის წინააღმდეგ, იძარჯვებს მორალურად, თუმცა მარცხედება ფიზიკურად (სამუდამო პატიმრობამისჯილი, იგი სიცოცხლეს თვითმკალებლობით ამთავრებს).

3. ეკრანიდებს ტრაგედიის „იფიგენია ავლისში“ გმირი ქალი – იფიგენია, შეიძლება თოქვას, ამ მხრივ გამოხაკლის წარმოადგენს. მისი პერსონაჟი ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორი

კეთილისმყოფელი შეიძლება იყოს ქალის მოქმედება საზოგადოების ინტერესებისათვის.

4. მოხსენებაში ეტაპობრივადაა განხილული იფიგენიას პერსონაჟის ცსიქოლოგიური სამყარო, მისი დამოკიდებულება საჯარო და საოჯახო სივრცეებისადმი, გაანალიზებულია იფიგენიაში მომხდარი ფასეულობათა ცვლილება და ამ ცვლილებების მოტივები. ქალისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კუთხით განხსაპუთრებით საყურადღებო იფიგენიას ბოლო სიტყვაა. ესქილეს იფიგენიასგან განსხვავებით, ეგრიპიდეს იფიგენია მარტვილი საკუთარი ნებით ხდება – იგი აუცილებლობას პიროვნულ სურვილად გარდაქმნის – რაც უნდა მოხდეს, იგი თავის ნებად აცხადებს. სიკვდილის წინ იფიგენია ჩამოთვლის თავის უმოთავრეს ფასეულობებს: ინდივიდუალურ სიცოცხლეზე წინ მოქალაქეთა ერთობის დაყენების აუცილებლობას, მამაკაცის სიცოცხლის უფრო მნიშვნელოვანებას ქალის სიცოცხლეზე; დმერთების ნების უპირატესობას ადამიანთა სურვილებზე; ელინების მიერ ბარბაროსების მართვის აუცილებლობას. ეს ლირებულებები – ერთობა, ელადა, სხვებზე ზრუნვა – ზრდასრული მამაკაცის ფასეულობებია. ამასთან, იფიგენია არის პიესის ერთადერთი პერსონაჟი, რომელსაც სულ ში პიროვნული წესრიგი აქვს – ის სიქველე, რომელსაც ტრაგედიის ქორო მამაკაცის სრულყოფილებისათვის აუცილებელ სიქველედ მიიჩნევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმის კითხვა – ხომ არ ხდება იფიგენიას პერსონაჟში მისი გენდერული როლის ინკვრისია, ანუ ხომ არ ხდება მისი ქ.წ. „გამამაკაცურება“?

ვიტქორობთ, ცალმხრივი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე სწორი არ უნდა იყოს. ერთი მხრივ, შეიძლება ვილაპარაკოთ გენდერული როლის გარკვეულ ინვერსიაზე, ოუმცა, მეორე მხრივ, იფიგენიას შეიძლება იდეალური ქალი ვუწოდოთ. იფიგენიას შემთხვევა განსაკუთრებული შემთხვევაა. იფიგენია არის ქალი, რომელიც საზოგადო სივრცეში რელიგიური ინსტიტუტის – მსხვერპლ შეწირვის ინსტიტუტის – მეშვეობით მოქმედებს. ქალი კი წვეული იყო ამ სივრცეში მოღვაწეობას. შესაბამისად, ქალი პერსონაჟის ქმედება, რომელიც საზოგადო სივრცეში რელიგიის კუთხით იღწვის, კეთილისმყოფელია საზოგადოებისთვის. იფიგენიას მართებული ქმედება ხორცს ასხამს ქალში არსებულ იმ პოტენციალს, რომელიც საზოგადოებაშ ზოგადად თავისი ინტერესებისთვის შეიძლება ერთობ წარმატებით გამოიყენოს.

## გარიბა გარუაძე თუშური „ხმით ნატირლების“ ლექსიკა

საქართველოს ისტორიულმა ყოფამ, პატარა ქვეყანაზე დიდი და მცირე ტომების გამუდმებულმა თავდასხმებმა განაპირობა გმირობის იდეალიზაცია. წარსულში საქართველოს მთაში ვაჟაცური გნერგიის გამოვლინებისათვის განსაკუთრებული პირობები იყო შექმნილი. მთიკე ვაჟთა მომხდურებთან გმირული შებრძოლების არა ერთი და ორი ფაქტი გამხდარა პოეტური შემოქმედების წყარო. მათში შექებული იყო გამორჩეული თავდადება, ბრძოლის ჟინი და უნარი. ერთი მხრივ, ვაჟების ამგვარმა ქმედებამ და, მეორე მხრივ, მთქმელთა ამბისადმი დამოკიდებულებამ არა მარტო საგმირო პოეზია შექმნა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ვაჟაცობის იდეილის კოდექსის ჩამოყალიბებას.

„კაი ქმის“ ფშავებესურული კოდექსის ძირითადი მოთხოვნები თანაბრად ვრცელდებოდა საქართველოს მთიანეთის უკლებლივ ყოველ კუთხეზე. თუშურ საგმირო პოეზიაშიც, სხვა რეგიონების მსგავსად, ვაჟების სახელით ის ადამიანები მოიხსენიებოდნენ, ვინც პირველი შედიოდა ომში და ბოლო ტოვებდა ბრძოლის გელს. თუშურ პოეზიაში ვაჟების მიმართ ნახმარი ეპითეტებიდან უნდა გამოვყოთ შემდეგი: ვეფხვი, მბელი, ქორი, შევარდენი და სხვ.

საქართველოს მთიანეთისა და, მათ შორის, თუშური ტრადიციის მიხედვით, ხმით დატირებას იმსახურებდნენ ისეთი ვაჟაცები, რომელთაც თავდაუზოგავად იცოდნენ მტერთან შებმა. ლექსება და ქისტებთან თუშთა ბრძოლის თემაზე შექმნილი საგმირო ლექსებისა და „ხმით ნატირლების“ შედარებითმა შესწავლამ გაარკვია, რომ სხვადასხვა მთქმელთა რეპერტუარში ცალკე საგმირო ლექსებისა და ცალკე „ხმით ნატირლების“ მთქმელები ერთი საერთო ლექსიკით სარგებლობდნენ:

„დაიძინეა, ხარო, დაიძინეა,

ვინ გაუძღვება მეყოპარს ქისტეთშია,

ვინ შეაჩოჩქოლებს საჯიხეებს,

ვინ გაუწეს ქვრივობლებს პატრონობას,

ვინ მოიტანს სხვა ადგილებში დამრჩალ მკვდრებს,

რომლებიც თავის მიწას მიაბარე.”

ამ ფაქტს ერთი ახსნა აქვს: ცოცხალი გმირის საქებრად მოძებნილი სიტყვები, მათი დირსებების წარმოსაჩენად ნაპოვნი ეპითეტები და შედარებები ვაჟის სიკვდილის შემდეგაც ძველებურად ამკობენ პიროვნებას.

საგავსი ლექსიკური ერთეულების გამოყენების მიუხედავად, საგმირო ლექსისა და „ხმით ნატირალის“ განსხვავებულობა ხელშესახებია. ეს, პირველ რიგში, მათი დანიშნულებითა და შესრულების წესითაა განპირობებული. მსგავსი ლექსიკური ერთეულები მაჟორულად ედერს. ქებით საგმირო ლექსებში, „ხმით ნატირლებში“ კი გვრინვთ შესრულების გამო, იგივე სიტყვები სხვა ტონითა და რიტმით წარმოითქმებიან და თითქოს ნაცნობნი, ახლებურ ედერადობას იძენენ.

### ხზისო გამისიგადიშვილი საპულტო ტექსტების შანრული და რიტუალური თაგისებრება

საკულტო ტექსტები არსებითად განსხვავდება ფოლკლორის სხვა ჟანრებისგან. ზეპირსიტყვიერ ფონდში საკულტო ტექსტებს, მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით, აქვთ თავისი კუთვნილი ადგილი.

საკულტო-რიტუალური ტექსტები აღევლინება ჯერის თითოეული ყმის ცხოვრების ყველა გარდამტებების მომენტში, დაბადებიდან სიკვდილამდე. ხუცობანი, დვოთისადმი განდობილი ეს ვერბალური ტექსტები, გაისმის ყმის, როგორც ტრადიციული საზოგადოების წევრის, ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდში.

საკულტო ტექსტების საციფიკური ნიშანია საკრალურობა, რაც მას არსებითად განასხვავებს ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებისგან. საკრალურობა სძენს ამ უნიკალურ ზეპირ ძეგლებს თვითმყოფადობასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საკულტო ტექსტები, როგორც წესი, სრულდება რელიგიურ დღესასწაულზე, ოჯახის ახალი წევრის დაბადების აღსანიშნავ ზემზე, გაერთიანდების ჯვარში გაყვანის, ანუ „ახალწელების“ სოციუმთან ზიარების რიტუალზე. ხუცობანი გაისმის ჯვარში დაფიცვის, დამნაშავის დარისხებისა და თემისგან მოკვეთის რიტუალზე, ნეფელებოფლის დალოცვისას. საკულტო ტექსტებს წარმოთქვამდნენ სალაშქროდ გამგზავრების წინ. სულის ხუცობა თან ახლავს დაკრძალვის რიტუალს და ა. შ.

საკულტო ტექსტების მასებოვარნი, მცოდნენი, შემნახველი და მატარებელი ხუცეს-ხევისბრები არიან. მართალია, საკულტო ტექსტების ცოდნას მხოლოდ საზოგადოების ვიწრო წრე ინახავს, მაგრამ ის მთლიანად გამოხატავს მთელი ტრადიციული თემის

მსოფლგანცდას, რწმენას, დამოკიდებულებას ჯვარ-ხატებთან. ამ გაგებით საქულტო ტექსტები კოლექტიური ცნობიერების გამომხსატებელია.

ზეპირსიტყვიერების სხვა უანრებისგან საკულტო ტექსტები განსხვავდება ენობრივი და ლექსიკური თავისებურებებით. კერძოდ, საკულტო ტექსტებში გამოყენებულია „ჯვართ ენის“ ლექსიკა.

საკულტო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, როგორც საკრალური ტექსტები, განსაკუთორებულ კანონიკურობას ამჟღავნებენ ფორმისა და სტრუქტურის თვალსაზრისით.

ისევე როგორც შელოცებებსა და ხმით ნატირლებში, საკულტო ტექსტებშიც გამოყენებულია მიმართვის ფორმა. მიმართვის ფორმა დამახასიათებელია ძირითადად ისეთი ტექსტებისთვის, რომლებიც რიტუალის თანხლებით სრულდება.

ის დღე, როდესაც სრულდება ჯვარ-ხატთა საკრალური რიტუალი, სრულიად განსხვავდება საყმოს ყოველდღიური ცხოვრებისგან. იმ დღეს კიდევ ერთხელ „ნამდვილდება“ საყმოს ანდრეზული ხანა. საყმო ეზირება ჯვარ-ხატთა შემოქმედებითი ნაყოფის გამეორებას, სრულდება ჯვარის „გამოხმობა“, დვთის-შვილი აწყობში ეცხადებათ და ჯვარის სადიდებლად მოსული ხალხი მისი თანამედროვე ხდება. ამდენად, საყმო რიტუალურად ამ დღეს ცხოვრობს არა ისტორიულ, არამედ არქეტიპულ დროში, როცა მოვლენები პირველად მოხდა, როცა ჯვარმა დაიკავა თავისი საბრძანისი და შექმნა თავისი საყმო-საზოგადოება. ჯვარ-ხატებისადმი აღვლენილ საკრალურ რიტუალში გამოხსჭვივის საყმოს სურვილი, დაშორდეს ყოველდღიურობას, კვლავ შეხვდეს თავის მფარველ დვთის-შვილს, კვლავ გააცოცხლოს ანდრეზული წარსული, რომელიც მათოვის ძვირფასი, სათავგანებელი და მნიშვნელოვანია. რიტუალის დროს მთელი საყმო განხლებულია. მ. ელიადეს სიტყვებით, „იგი კვლავ აგნებს თავის „სათავეებს“, ის კვლავ ცხოვრობს თავის „საწყისებში“. ამრიგად, რიტუალი, როგორც ძვირფას განძს, ისე იცავს საყმოს ანდრეზულ კულტურას.

### ტრისტან მახაშრი შართული ხალხური საბმირო ბალადა „პლოელ ბერდია და ნირჩლა“

ბალადა ორთაბრძოლის მოტივზეა აგებული, პოეტურ ტექსტთან დაპავშირებული გადმოცემების მიხედვით ირკვევა გმირთა ფინანბა: ერთია ბლოელი ბერდია მამაკაური და მეორე –

ხევსურეთში სახელგანთქმული გმირი ხირჩლა ბაბურაული. ისინი XVII საუკუნის რეალური გმირები არიან.

ბალადა გვაუწყებს, რომ სანქს ჯერის დღეობაზე, სადაც მთელი ხევსურეთი იყრიდა თავს, გმირებს შედლი ხამოვარდნიათ. ორიოდე სიტყვით არის ნათქვამი შედლის შესახებ:

„ჩამოვარდნია სიტყვით წინანდელს მტერობაზედა“.

გადმოცემების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება „წინანდელი მტრობის“ მიზეზიც – „ორივე კაი ბიჭები იყვნენ და ერთმანეთს სახელს ეცილებოდნენ“ (თელო რაზიკაშვილი).

ბალადაში ხართულია დიალოგები, რაც უფრო ამძაფრებს საომარ სიტუაციას.

ბერდია მამაკაური ორთაბრძოლაში გაიწვევს ხირჩლა ბაბურაულს და გამადიზიანებელი სიტყვებით მიმართავს:

„ვერცა შამოგხვდი გზაზედა,

ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვაპრიალე შენზედა.“

ხირჩლა მეტ სიმშევიდეს იჩენს და გამომწვევს ურჩევს, ამჯერად თავი შეიკავოს, რადგანაც იგი ხირჩლას სტუმარია და სტუმართან მასპინძლის შერკინება ხევსურული ადათის მიხედვით არ ეგების. ზეპირგადმოცემები იმის შესახებაც მოგვითხრობენ, თუ რატომ ითვლება ხირჩლა მასპინძლად, ხოლო ბერდია – სტუმრად.

ორივე გმირის შებრძოლება მაშინ იქნება სამართლიანი, როცა ისინი „სასწოროს გზაზე“, ე.ი. ნეიტრალურ ადგილას, თანაბარ პირობებში შეერკინებიან ერთურთს. ხირჩლას ერთი შეხედვით მშვიდ პასუხში გმირის თავმოყვარეობისა და სიამაყის გრძნობაც გამოსჭვივის:

„სხვას ვერვის უთამაშებავ ხმალი ხირჩლაის ტანზედა.“

ბალადის ფინალი იმას გვაუწყებს, რომ მოშედლარ ვაჟგაცებს შორის ჯვრის ყმანი ხადგნენ და მოქიშენი გააზავეს, საზიარო ტაბლა დაუდგეს და წინ „ილეთიანი მეფანდურენი“ დაუყენეს, რომლებიც, უქმედობია, გმირობისა და ვაჟკაცობისას უმდერებდნენ. აქ უთუოდ იგულისხმება, რომ ყმათა გამშველებლად ჯვარი ხადგა. ამგვარი მშვიდობიანი დასასრულიოთ „ბლოელ ბერდია და ხირჩლა“ მკვეთრად განსხვავდება ორთაბრძოლის მოტივზე შექმნილი ტრაგიული ბალადებისაგან.

**თეითურაზ ქურდობანიშვილი  
ხალხში ლექსის „ხეკორძულას წყალი მისგამს“  
არმომავლობისათვის**

საქართველოში პოპულარულ დექსის „ხეკორძულას წყალი მისგამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“ რეალურ ელფერს სძენს ტოპონიმი მცხეთა და პიდრონიმი ხეკორძულა. ეს მდინარე მართლაც მოედინება მცხეთის მახლობლად. რაც შეეხება მცხეთას, მთქმელი, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, არც მთლიანად დაბას გულისხმობს და არც მასში არსებულ სამთავროს, რომელიც სვეტიცხოველის პერიოდში (XI საუკ. I ნახევარი) არის აშენებული, რადგან ნახესენები ხელის მოჭრის მოტივი სვეტიცხოველთან არის დაკავშირებული. ამ მოტივსაც აქვს რეალური საფუძველი – სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კედელზე გამოქანდაკებულია კაცის მოჭრილი ხელი გონიოთი. ეს ლექსი გარკვეულწილად ეპიტაფიას გვაგონებს, რადგან ამ ქანრის კვალობაზე მასში გამოთქმულია ჯერ სინანული მშენებლის დვაწლის დაუფასებლობისა და მერე წუხილი „ჯილდოს“ – მარჯვენის მოჭრის – გამო. მსმენლის ყურადღებაც მათზეა ფოკუსირებული, რაც უფრო ნათლად სვეტიცხოველზე არსებულ პროზაულ გადმოცემაში იკითხება.

ლექსიც და ლეგენდაც სამეცნიერო ინტერესის საგნად XIX საუკუნის ბოლოს იქცა და მის შესახებ ცნობილი იყო შემდგეთი: „სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, – წერს თედო ქორდანია, – გამოქანდაკებულია მოჭრილი ხელი კაცისა, რომელსაც უჭირავს გ ო ნ ო (ე.ი. სწორის კუთხის საკალატოზო იარაღი), კალატოზ-არქიტექტორობის სიმბოლო, რომელსაც ორივ მხარეს წარწერა აქვს... „ხელი მონისა არს კოსტანტინესი, რათა შეუნდოთ“ (ქრონიკები..., I, 1892, გვ. 175).

თედო ქორდანია მართებულად ხსნის კედელზე გამოქანდაკებული კაცის მოჭრილი ხელის მნიშვნელობას თქმულების წარმოშობისათვის. უნდა გავიხსენოთ, რომ მითოლოგიასა და ფოლკლორისათვის უცხო არ იყო ზღვის (მდინარის) სანაპიროს სილაზე ან კლებებზე რაღაც კვალისა და ნაჩხანების, ცაზე ღრუბელთა მოძრაობაში ხილვით შექმნილი წარმოდგენის, ფანტაზიით საგნის მეორე საგნისთვის მიმსგავსების შედეგად მარტივი სიტყვიერი ტექსტის შექმნის მაგალითები. ჩანს, მსგავსი პრაქტიკა შემდგომაც გრძელდებოდა. თედო ქორდანია წერს: „ალბათ ამ მოჭრილ ხელის ქანდაკმან დაპბადა ხალხში თქმულება, ვითომ სამთავროს მაშენებელის ხუროთ-მოძღვრის მოწაფემ მცხეთა ააშენაო. ეს შეშურდაო მასწავლებელს, გავლენიან პირს და კადნიერს მოწაფეს ხელი

მოსჭრესო“ (იქვე). მეცნიერი ამ მოსაზრების მატერიალურ დადასტურებაზეც საუბრობს: „...ჩრდილო კედელზე სხვა ქანდაკიც იარვება, რომელიც ამასებ აფიქრებინებს ქაცსა: გამოქანდაკებულია ორი კაცი, ერთი მხიარული, ქართულ ჩოხაში, ხოლო მეორე უცხო ტანსაცმელში, მწუხარედ პირდაღებული, ცუდად ჩატული, პირისახით უფრო სპარს წააგავს. ნუ თუ ეს სიმბოლო არ არის იმისა, რომ უკანასკნელის (უცხოელ კაცის) ქართველს შეგირდს პირველისთვის უჯობნია“ (იქვე).

თევზო ქორდანიას მიერ სწორად არის დანახული ლეგენდის წარმოშობის გზა. ხალხური მთქმელი ხედავს იმას, რაც ზედამორზე დგეს. ორი სხვადასხვაგარად გამომზირალი მამაკაცისა და მოჭრილი მარჯვენის მხილველის გონებაში ბუნებრივად იბადება შურისძიების მოტივაცია და ლეგენდაც იქმნება. ძნელია იმის თქმა, როდინდელია ლექსი ან ლეგენდა, მაგრამ ძველი მოტივი (მკლავის მოჭრა) რომ გვიანდელ მოტივაციასთან თანაცხოვრობს ჩვენთვის ეს აშკარაა.

გავიხსენოთ, რომ ფოლკლორისტიკაში ცნობილია ძველი დროიდან მომდინარე რწმენა მშენებლობასთან დაკავშირებული ხელოვნების „საიდუმლოებების“ შესახებ.

## 2

ეს რწმენა განსაკუთრებით შეასაუკუნეებში აღორძინდა ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებით და „სამშენებლო მსხვერპლის“ სახელი ჰქია.

„სამშენებლო მსხვერპლის“ რიტუალი წარმართობის დროიდან მომდინარე ანიმისტურ რწმენაზე იყო დაფუძნებული და მშენებლობისათვის ტერიტორიის დაკავების უფლების მოსაპოვებლად „მიწის ბატონისათვის“ (ჩვენი „ადგილის დედა“) ადამიანის მსხვერპლად შეწირვას ითვალისწინებდა (მსხვერპლ-შეწირვის ზოგადი ფორმის მსგავსად, მოგვიანებით ამ რიტუალშიც ადამიანი ცხოველით შეიცვალა). უძველესი რწმენის დამცველებს სჯეროდათ, რომ შეწირული სული იმიერ ქვეყანაშიც შეწირვის ადგილზე განაგრძობდა ცხოვრებას და ნაგებობის მფარველი სული ხდებოდა. იგი უზრუნველყოფდა შენობის მუარად დგომას (გავიხსენოთ ლეგენდები „სურამის ციხის“, სიღნაღის კედლისა და სხვათა აგების შესახებ. ამ კონტექსტში ინტერესოკლებულად არ გვეჩვენება ისტორიულად ცნობილი ფაქტები: სვეტიცხოველის სახელით ცნობილი მირიანისული ხის ეპლესია და გორგასლისული ქვითკირის ეპლესია მელქისედეკ

პირველის მოღვაწეობის პერიოდში მესამედ აგებამდე (XI საუკ. I ნახევარი) ორჯერ იყო დანგრეული.

თავად მსხვერპლის შეწირვის ქველაზე გავრცელებული ფორმების (ადამიანის საძირკველში ჩაყოლება, მსხვერპლის სისხლით საძირკვლის კუთხის მორწყვა, კედელში ცოცხლად ჩაკირვა) პარალელურად დასაშვები იყო ვარიანტებიც (სხეულის ნაწილების მოკვეთა), რადგან მოქმედებდა პრინციპი: ნაწილი = მთელი.

არსებითი სვეტიცხოველისთვის მსხერპლად შეწირვა, ლექსისა და ლეგენდის მიხედვით, ტაძრის აშენების შემდეგ მომხდარი. „ბიბლიის“ აპოკრიფული წიგნების თანახმად, უძველესი რწმენის საფუძველზე ჩამოყალიბებული რიტუალი ასევე მშენებლობის დასრულებისას აღასრულებს და თავის აგებულიერუსალიმის ტაძარს შესწირებს ხირამი. ქართველი ხუროთმოძღვრისთვის მარჯვენის მოკვეთა მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესრულების ტოლფასად უნდა მივიჩნიოთ. იმავე რწმენაზე დაყრდნობით ჩვენი ძველები იტყოდნენ: სისხლი დაითხია და მიწის მფარველი სული დაშოშმინდაო.

ორივე დასახელებულ შემთხვევაში, ლეგენდების მიხედვით, ოსტატების მსხვერპლშეწირვის მოტივაცია სხვადასხვა შინაარსის შეურისძიებაა. ამასთან შედარებით, უდაოდ უფრო ძველია ამ რიტუალის წარმომშობი რწმენა – შეწირული ნაგებობის სიმყარის გარანტია ხდებოდა. ამ დროს პრიორიტეტული იყო კოლექტივის ინტერესის (საუკუნეთა გამძლე ტაძრის აგება) დაცვა და ის უთუოდ სრულდებოდა.

ჩვენი აზრით, ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს...“ უძველეს რწმენაზე დაფუძნებულ რიტუალს უნდა ასახავდეს. ნაგებობისთვის მსხვერპლშეწირვის რიტუალი (თუმცა ფორმაშეცვლილი), მაგრამ მაინც გამძლე გამოიდგა. რიტუალის ამსსხელი ამბავი კი ყოველ ახალ დროს, შესაძლოა, ახალი შინაარსით შეევსოთ. სვეტიცხოვლის ოსტატთან დაკავშირებული რიტუალი მოჭრილი მარჯვენის ქანდაკებამ შემოინახა, ხოლო ლეგენდის მოტივაციამ გააბუნდოვნა რიტუალის პირველსაფუძველი, რაც უცხო არ არის ფოლკლორის, როგორც ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისთვის.

## თამარ შარაბიძე ზღაპრულ აპრენდაზთა გამოხატვის ხერხები გაშა-შშაგვლას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში რეალურ პერსონაჟთა გვერდით თანაარსებობენ ზღაპრული არსებები. მათ ისეთივე ფუნქცია და მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც რეალურ პერსონაჟებს, მაგრამ მათი გამოხატვის ხერხები რამდენადმე განხსნავდება რეალურ არსებათა გამოხატვის ხერხებისაგან.

ზღაპრული პერსონაჟები ვაჟას შემოქმედებაში თავის მხრივ იყოფა მიწიერ და არამიწიერ არსებებად. მიწიერი არსებები არიან დევები, ჭინკები, ასევე მითოლოგიური პანთეონის გმირები – ამირანი, კოპალა. არამიწიერ არსებებად მოიაზრება ღვთისშვილები, ანგელოზები, უპე გარდაცვლილ ადამიანთა სულები. რა თქმა უნდა, სხვადასხვაგარია მათი გამოხატვის ხერხები. ზღაპრული, მაგრამ მიწიერი პერსონაჟები რეალურად არსებობენ მთიელთა წარმოსახვაში. მათი აღწერით პოეტი არ იტუვის ახალს, ამიტომ მირითადად ისინი მოიაზრებიან მხოლოდ სულიერი თვალსაზრისით და რომელიმე, ეპითეტად ქცეული, გარეგნული დეტალით. მაგ., დევი არის „შავნაბდიანი“. ის ბოროტების, ანტირელიგიურობის სიმბოლოა; არსებობს იმისთვის, რომ შეაცდინოს ადამიანი. დევის ეს ფუნქცია ყავლაზე მავეთრად გამოიხატა პოემა „ეთერში“, „სტუმარმასპინძელსა“ და ლექსში „დევების ქორწილი“. „სტუმარმასპინძელში“ დევის აღწერაც გვეძლევა, რომელსაც სპეციალური ფუნქცია აქვს და ამით პერსონაჟი ვითომდა აძლიერებს თავისი მონათხობის რეალურობას, სინამდვილეში კი ბადებს ეჭვს, ადასტურებს, რომ აღწერილი მონაგონია („დევის გარდა, სხვა რამ საქმეა კიდევა“, – არ აყოფნებს ქმრის პასუხიც). ვაჟა არ იძლევა ზღაპრულ არსებათა აღწერას, რადგან მათი სტერეოტიპი ერთნაირი უნდა იყოს. ისინი სიუჟეტური ხაზის განვითარებასა და ნაწარმოების არსის წარმოჩენას ემსახურებიან. დევი უშნოა, დიდი და ბოროტი, ალი ლამაზია, მაგრამ მაცდური. მითოლოგიური პანთეონის გმირებს დამახასიათებელი ნიშნითა და მოქმედებით ამოვიცნობთ. კოპალას ლახები უჭირავს და დევებს დასდევს, ამირანი კი კლდეზე მიჯაჭვული და ძალ-ღონებს იკრებს ჯაჭვის გასაწყვეტად.

ზღაპრულ არამიწიერ არსებებს ვაჟას შემოქმედებაში მზე ბურავთ ან ნისლი. ისინი „სანახავს“ ადგილად ეფარებიან და მათი დანახვა მხოლოდ გულის თვალით ხდება შესაძლებელი. კახეთის გადასარჩენად მიმავალი, ქვეწის სიყვრულით შეკრული ჯარი სხვადასხვა სახით ხედავს ლაშარის წმინდა გიორგის, რომელიც ლურჯაზეა ამხედრებული და გარეგნობა კი არ

წარმოაჩენს მას, არამედ – ლურჯა. ნისლი ეფარება უკვე გარდაცვლილ, მთაზე ამაღლებულ მეგობართა სულებს. რეალური ხედვა უძლურია მათ დასანახავად. არამიწიერი არსებაა პოეტის სატრფოც. მას ციური არსების სახე აქვს, აღავსებს პოეტს და შემოქმედებით უნარს ანიჭებს. სატრფო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მადლის სიმბოლოდ გვევლინება („ქებათა-ქება“, „ოცნება“, „მოჩვენება“).

არამიწიერ არსებათა გარეგნობის გარეშე წარმოდგენა უფრო მეტად უწყობს ხელს, რომ მკითხველმა ისინი განაზოგადოს, მათი მოქმედების გაანალიზება კი ნაწარმოების არსის გაგებას დაუპავშიროს.

### ოთარ გამანიძე ჩაშლილი იშბილე და უპრაინდების ადრესი

1897 წელს ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი და დაბადებიდან სამოცი წელი სრულდებოდა. საქართველოს საზოგადოებამ საიუბილეო დღესასწაულის მოწყობა განიზრახა.

ცარისტული ხელისუფლება შეშფოთებული ადევნებდა თვალს საიუბილეო სამზადისს. მეფის ხელისუფლების მესვეურები გრძნობდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება და იმ მიმართულებით ამოძრავება, რომელიც ხელისუფლებისათვის არ იქნებოდა კარგის მომასწავებელი. ხელისუფლება ყოველწარიად ცდილობდა, რომ არ დაეშვა იუბილეს გამართვა, ხალხის საზემო შეერება. ილია ჭავჭავაძის იუბილე ჩაშალეს მეფის მოხელეებმა.

ამგარი დაგნის კითარებაში ქართველ ხალხს, როგორც ყველთვის, გვერდში ამოუღგნენ უკრაინელი თანამოძმენი. მათ უკრაინელი ხალხის სახელით საქართველოში საგანგებო დელებაცია გამოაგზავნეს, რომელმაც საყვარელ მწერალს ილია ჭავჭავაძეს ადრესი მიართვა.

უკრაინელები მიესალმენ იმ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის.

ადრესში ნათქვამი იყო, რომ საქართველო იზიარებს უკრაინელების მწარე ხევდრს, რუსული ცარისტული რეჟიმის სისასტიკით იტანჯება, ეწამება ისე, როგორც პავპასიის მოქმედები მიჯაჭვული პრომეთე. მაგრამ შორეულ მომენტს ის ახარებთ, რომ როგორც პრომეთე არ შეუშინდა ტანჯვას, ისე არ შედრკა

ქართველი ხალხი, სულთამხუთავებმა ვერ შებორკეს მისი ცოცხალი სული, ცოცხალი სიტყვა.

უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები იღია ჭავჭავაძეს ერის სახელოვან შვილად თვლიან. მათი აზრით, იღია ჭავჭავაძეს საპატიო ადგილი უცაფია ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში, და არა მარტო მშობლიური ხალხისა. გამოჩენილმა უკრაინელმა მოღვაწეებმა აღნიშებს, რომ ქართველი მწერლის შემოქმედებამ, მისმა დიდებამ გადალახა კავკასიის მწერლები და უკრაინელი მკითხველი დაატყვევა.

ადრესის ერთ-ერთი ინიციატორი იყო უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოციუბინსკი და მასთან ერთად გამოჩენილი პოეტი ბორის გრინჩენკო, პოეტი-სატირიკოსი ვოლოდიმირ სამიილენკო, პროზაიკოსი და მთარგმნელი მარია ზაგირნა, მწერალი და პუბლიცისტი ა. რუსოვი და სხვ.

## 6 ანა გა ფრინდა შვილი

### „ახალი“ ტიპის მსოფლიო ლიტერატურა და გლობალიზაცია

მსოფლიო ლიტერატურა შედარებით ლიტერატურათ მცოდნეობაში ერთ-ერთი საკანძო ტერმინია, რომლის გარეშე შეუძლებელია იმ ურთულეს პრობლემებში გარკვევა, რომლებსაც ლიტერატურული კომპარატივისტია შეისწავლის. ტერმინს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. როგორც ცნობილია, მისი ავტორი გოეთე. იგი ამტკიცებდა, რომ ეროვნული ლიტერატურები გამოხატავენ ადამიანის არსებობის განსხვავებულ ფორმებს, მხატვრული წარმოდგენები უნდა აღქმულიყო გარკვეულ მთლიანობაში და მაშინ ლიტერატურა გამოსახავდა მთელ მსოფლიოს. XIX საუკუნიდან მოყოლებული მეცნიერები ტერმინ „მსოფლიო ლიტერატურაში“ განსხვავდებულ შინაარსს დაბდნენ.

დღევანდელმა ვითარებამ შედარებითი ლიტერატურათ-მცოდნეობა ერთხელ კიდევ დააფიქრა მსოფლიო ლოტერატურის ცნების არსებე, რაც დიდად არის განპირობებული გლობალიზაციითა და მასთან დაკავშირებული პრობლემებით.

გლობალიზაციამ, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ისტორიული ეპოქისათვის იყო დამასახიათებელი, დღეს არნახული მასშტაბები შეიძინა და ევროკენტრიზმისა და ამერიკაცენტრიზმის ნიშნით განვითარდა. გლობალიზაციის მასშტაბების ასეთ ზრდას დიდად შეუწყო ხელი ელექტრონული მედიის განითარებამ.

ახალმა მედიამ და გლობალიზაციამ დაახქარა ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის მხატვრული ინფორმაციის, გაცვლაც, ე. უფრო ინტენსიური გახადა ლიტერატურული ურთიერთობები. ახალი მედიასაშუალებებით ხდება მხატვრულ-ესთუტიკური

ფასეულობების არნახულად სწრაფად “ტირაჟირება”, რომელიც ზოგ შემთხვევაში წარმატებით ენაცვლება ტრადიციულ, ქადალ-დზე დაბეჭდილ და ყდაში მოქცეულ წიგნს. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მსოფლიო კულტურულ რეკას თუ გადავხედავთ, მრავლად აღმოვაჩენთ ისეთ რეგიონებს, სადაც ზეპირსიტყვიერი ტრადიციები ჯერ კიდევ ძლიერია. მედიას შეუძლია ამ რეგიონებს ლიტერატურული პროდუქცია მიაწოდოს არა ტრადიციული ფორმით (წიგნით), არამედ ტელევიზიით, რადიო გადაცემებით, ვებგვერდებით და ამით სულ უფრო მეტი რეგიონი და, შესაბამისად, ადამიანი ჩართონ ლიტერატურულ ურთიერთობებში.

გლობალიზაციამ შექმნა მსოფლიო ლიტერატურისა და ლიტერატურული კომუნიკაციის ახალი, მეტად პროდუქტიული და პერსპექტიული მოდელი. გლობალიზაციისა და ახალი მედიასაშუალებების პირობებში ლიტერატურა გახდა უფრო დემოკრატიული და ხელმისაწვდომი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის. იქმნება “ახალი ტიპის” მსოფლიო ლიტერატურა, რომელიც, ერთი მხრივ, კულტურება ცალკეული ეროვნული ლიტერატურების სოციო-კულტურულ ტრადიციებს და, მეორე მხრივ, ინტერნეტის მსოფლიო ქსელში ჩართული ეროვნული ლიტერატურის ძეგლები, თითქოს, უკვე აღარც ეპუთვნიან რომელიმე ერს და ახალ ცხოვრებასა და დაუსრულებელ “მოგზაურობას” იწყებენ ინტერნეტში. ინტერნეტი ხელს უწყობს, როგორც მხატვრული ტექსტების პოპულარიზაციასა და გავრცელებას, ასევე მათ მეცნიერულ შესწავლასაც. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ჩანს, ინტერნეტი ზრდის ლიტერატურის რიცხობრივ და არა ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

## 6060 ტერთული ლიტერატურულ-არტისტული კაფე „პროდიაჩაია სობაპას“ ისტორიისათვის

ბორის პრონინის ცნობილი ლიტერატურულ-არტისტული კაფე „პროდიაჩაია სობაპა“ პეტერბურგში, მიხეილის მოედანზე, ერთერთი სახლის სარდაფში მდებარეობდა. მას მცირე უართობი გავა და ამიტომ დუქანს უფრო წააგავდა. ჭერი მხატვარ სუდეიკინის მიერ იყო მოხატული, რომელმაც მოგვიანებით თბილისში ლ. გუდიაშვილთან და დ. აკაბაძესთან ერთად კაფე „ქიმერინი“ მოხატა. ამ ლიტერატურულ-არტისტულ კაფეს სათავეში ედგა ბორის პრონინი, მსახიობი, რომელმაც „პროდიაჩაია სობაპას“ დახურვის შემდეგ დააარსა ანალოგიური ხასიათის კაფე „პრივალ კომედიანტოვ“.

“ბროდიაჩაია სობაკაში” კარგად იცოდნენ ჰეშმარიტი ხელოვნების ფასი. აქ ხშირად სტუმრობდნენ ო. მანდელშტამი, გ. მაიაკოვსკი, ა. ახმატოვა, მ. კუზმინი და სხვები; მოსხენებებით გამოღილდნენ კულტურისა და ხელოვნების ისეთი მოღვაწები, რომელთა სახელების გარეშე XX საუკუნის 10-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრების წარმოდგენა შეუძლებელია (ს. გოროდუცკი, ი. ზდანევიჩი და სხვები). “ბროდიაჩაია სობაკას” ერთგვარ მეცენატებად და ორგანიზაციონებად გვევლინებიან ა. შერვაშიძე და გ. სიდამონ-ერისთავი. ახალობიური კაფე “ფანტასტიკური დუქანი” თბილისშიც დაარსდა. იგი 1917 წლის 25 ნოემბერს გაიხსნა და 1919 წლის II ნახევრამდე არსებობდა. “ბროდიაჩაია სობაკას” და “ფანტასტიკური დუქნის” არსებობა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია.

1913 წლის დეკემბერში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვიქტორ შელოვსკიმ “ბროდიაჩაია სობაკაში” წაიკითხა მოხსენება “ფუტურიზმის ადგილი ენის ისტორიაში”.

“ბროდიაჩაია სობაკაში” საინტერესო სადამო მოეწყო 1914 წლის 22 აპრილს, სადაც ნ. კულბინმა წაიკითხა ლექცია თემაზე “კავკასიის ხელოვნების შესახებ”. ამავე პერიოდში აქ ჩატარდა “კავკასიის კვირეული” და აღმოსავლური ხელოვნების გამოფენაც მოეწყო. 1914 წლის 17 მარტს თბილისის არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ნ. კულბინმა წაიკითხა მოხსენება “ფუტურიზმი და თანამედროვე საზოგადოებისა და კრიტიკის დამოკიდებულება მის მიმართ”. აგრეთვე, შემორჩენილია ვ. შელოვსკის მოხსენებების თეზისები და პროგრამა, რომელიც იუწყება, რომ “ბროდიაჩაია სობაკას” სარდაფში მან წაიკითხა მოხსენება “ფუტურიზმის ადგილი ენის ისტორიაში”. ამ მოხსენების საფუძველზე შელოვსკიმ 1914 წელს გამოსცა წიგნი “სიტყვის აღდგენა”, რომელიც იქცა ფორმალიზმის, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხმაურიანი და ცნობილი მიმართულების, დასაწყისად.

თავად ავტორი სტატიაში ”ოცდახუთი წელი”, რომელიც 1939 წლის 10 თებერვლის “ლიტერატურულ გაზეთში” დაიბეჭდა, აღნიშნავს: ”ოცდახუთი წლის წინ, 1014 წელს, ლენინგრადში გამოვეცი მცირე მოცულობის, თექსემეტგვერდიანი ბროშურა. ეს იყო სტუდენტ-ფილოლოგ-ფუტურისტის ბროშურა გამომწვევი ტონითა და აკადემიური ციტატებით.” ვ. შელოვსკი ეყრდნობა პოტებნიასა და ვესტელოვსკის მეცნიერულ შრომებს, თუმცა, აკეთებს თამამ დასკვნებს, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორიისათვის.

## 6060 პოლიტიკის ეთნიკური სტანდარტის მართვის პრინციპობრივია ლიტერატურაში

სტერეოტიპი, როგორც გარესამყაროს აღქმის მაგალითი ან ნიმუში, შაბლონად არის ქცეული და იმდენადაა დამკვიდრებული საზოგადოებაში, რომ ხშირად გვხვდება როგორც მასმედიაში, ისევე ლიტერატურაში.

ცნობილია, რომ სტერეოტიპი მანამდე ოწყებს აღმოცენებას, ვიდრე აზროვნება დაიწყება. სტერეოტიპები შეგრძნებებთან ერთად ჯერ კიდევ მაშინ აღწევს გონებაში, ვიდრე გონება მიიღებს ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც სტერეოტიპული აზროვნება ხშირად წარმმართველი ხდება. სტერეოტიპებს განსაკუთრებით რთული დამოკიდებულება აქვს კრიტიკისა და განსხვავებული აზრის მიმართ.

სტერეოტიპული აზროვნების დასაყრდენს ხშირად წარმოადგენს დაბეჭდილი ტექსტი, სტატია გაზეთსა თუ ჟურნალში, ხოლო განსაკუთრებით, წიგნი, სადაც მსგავსი აზრი თუ შეხედულება ფიქსირდება.

ეთნიკური სტერეოტიპები საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ბუნებრივია, ეს საკითხი ქართულ ლიტერატურაში გარკვეულ-წილად აისახა, თუმცა ცნობილია, რომ ეთნიკური სტერეოტიპები მანამდეც არსებობდა და თავის კალსაც ტოვებდა როგორც საზოგადოებრივ, ისე ენობრივ ცნობიერებაზე. ეთნიკური სტერეოტიპის მაგალითად მეცნიერებს მიაჩნიათ სიტყვა “წალეკვა” “წაილეკა”, რომელიც ლექციის შემოსვებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ეთნიკური სტერეოტიპების გაჩენას ხელს უწყობდა საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური ფონი, რაც პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში აშკარად იკვეთება. სხვა სტერეოტიპულ თემებს შორის: გაჭირვება, პატრიოტიზმი, სამართლიანობის სურვილი, პატიება, შეწყალება, დასჯა ეთნიკური სტერეოტიპებიც ხშირად გვხვდება.

საქართველოში განვითარებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთში ეთნიკური სტერეოტიპების ახალი ტალღა გააჩინა, რაც პოსტ-

საბჭოთა ქართული ლიტერატურისათვისაც არ აღმოჩნდა უცხო. „რუსის ჩემა”, „ჯაყო” (ოსების საერთო სახელწოდებად, თუმცა ჯაყო მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში” აგრესორის სიმბოლო უფროა, ვიდრე რომელიმე ეთნიკური ჯგუფის საერთო სახელი), აფხაზებისა და სხვა.

თუმცა, ნეგატიური სტერეოტიპების გვერდით გვხვდება პოზიტური სტერეოტიპების გამოყენებაც, რაც, ბუნებრივია, ცალკე აღნიშვნის დირსია.

ამასთან, ეთნიკურ სტერეოტიპებთან ერთად ქართულ პოსტ-საბჭოთა ლიტერატურაში კუთხური სტერეოტიპებიც ხშირია.

### 606 გინდია შვილი ძართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების მრთი მაბალითი

ქართველობა იმ უქვედეს ხალხთაგანია, რომლებიც ოდიოგანვე მეგობრობდნენ მეზობელ და შედარებით დაშორებულ ხალხებთან. ეს ნათლად ჩანს ჩვენი ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს - „ქართლის ცხოველების“ - ავტორების და უცხოელი მწერლების იმ აღწერა-დახასიათებებიდან, რომლებიც იძერის მეფის ფარნაგაზის (ძვ. წ. III ს.) ვახტანგ გორგასლის (ახ.წ. V ს.), ეგრის-ლაზიერის მეფების - წათესა და გუბაზის (VI ს. პირველი ნახევარი) და შემდეგ არსებულ მმართველთა ეპოქებს შეეხება.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით საყურადღებოა ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წ.) კანონით განამტკიცა „ხალხთა ძმობა განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა“. მის დროს მომხდარი ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანება კიდევ უფრო განვითარდა მომდევნო ხანებში. შოთა რუსთაველის ეპოქაში ამ გაერთიანებაში იყო არა მხოლოდ კავკასია, არამედ მის გარეთაც საქამაოდ დიდი ტერიტორია, - შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ტრაპიზონიდან ყაზვინ-რამტურამდე (ჩრდილოეთ სპარსეთი), ტერიტორია, დასახლებული სხვადასხვა მოდგმისა და რწმენის ხალხებითა და ტომებით (ივ. ჯავახიშვილი). ასეთი დიდი ქვეყანა ხალხთა მეგობრობის მტკიცებ დაცვის გარეშე ვერ იარსებებდა. ურთიერთისადმი მტრობა რომ თითოეული მათგანისთვის საზიანო იყო, ყოველ მათგანს ესმოდა, მაგრამ გნებათა დელგითა და სხვადასხვა ცლუნების გამო ზოგჯერ ასეც ვლინდებოდა.

ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ასკვნის: „ოსურში ჩვენ

საქმე გვაქვს კავკასიურის არა მარტო გავლენასთან, არამედ სუბსტრატთან... ოსების ეთნო-ლინგვისტური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც მხოლოდ გარეგანი, უცხოელი ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორიც“.

ვახტანგ გორგასლისა და ოს-ბადათარს შორის შეჯახების დროს ვახტანგმა გაიმარჯვა, ქართველებმა და ოსებმა ზავი დადგი „მიერითგან იქნეს მოყვარენი სომებისი და ქართულენი და ოვსნი და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“ - (ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტ. შესავალი). ე.ი. მაშინდელი საერთო მტრის - საარსელების წინააღმდეგო - ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა.

თუმცა, სამწუხაობა, რომ ოსმა და ქართველმა ხალხმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა ბოლომდე გაერთიანება და საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვეული შემართებით ბრძოლა.

ამ ავადსახსენებელი კონფლიქტის შედეგია მრავალსაუკუნო-ვანი ქართულ-ოსური ლიტერატურული ტრადიციების დეგრადირებაც. სამწუხაობა, რომ ამჟამად სამხრეთ ოსეთში მოღვაწეობს არაერთი საინტერესო მწერალი, ლიტერატორი, კრიტიკოსი, მათ შემოქმედებას კი ქართველი ხალხი არ ცნობს. მაგ.: აზა ხუდოვავა, ნიკოლაი რომანიული, ედუარდ გატიკოვა, გესრან კოდალევი და სხვები.

როგორია აუდელებებით წაიკითხო ალექსანდრე სანაკოვის ცნობილი ლექსი „გრუზინქე“ - სადაც პოეტი ნალვლიანად აღნიშნავს:

„Быть может дружба двух сердец  
Подобно дружба двух народов,  
во имя собственной свободы  
расторглось волею небес?“

თუმცა ამ წამიერ დაჭვებას პოეტი მაშინვე უპუაგდებს და ოპტიმისტურ დასკრნას გვთავაზობს...

ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა, ვფიქრობ, არცოუ სასიამონო ფაქტმა.

2006 წ. ქ. ვლადიკავკაზში გამომავალ ლიტერატურულ ჟურნალ „დარიალის“ № 3 ფურცლებზე დაიბეჭდა ამერიკელი პოეტის მიხეილ იუპის ლექსების ციკლი „Осетинские страницы“, „Абхазские страницы“ და ა.შ. ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ამერიკელი პოეტი ცდილობს ეთნოკონფლიქტის გადვივებას და ანტი ქართულ პროპაგანდას ეწევა ზემოთ სენეტული ლექსების ციკლის საშუალებით.

ყველასათვის ცნობილი მოვლენების გამო კი, არაერთი

ლიტერატურული მოვლენა რჩება შეუფასებელი.

იმედს ვიტოვებთ, რომ მდიდარი ლიტერატურული თუ კულტურული ურთიერთობების მატარებელი ორი ერი მართებულ დასკვნას გააქციებს და საერთო ენას მესამე ძალის ჩაურევლად გამონახავს.

### **რ უ ს უ დ ა ნ ჰ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი** **შეთებან ბ უ რ ჯ ა ნ ა მ ი ს პ რ ე ტ უ რ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი**

1. თარგმანის ისტორიისა და თეორიის დვაწლმოსილი მკვლევრის, ქნაგვან ბურჯანაძის პოეტური თარგმანები მთარგმენტისა და მეცნიერის მაღალი კულტურის, პროფესიონალიზმისა და პოეტური ნიჭის მაჩვენებელია.
2. ქეთევან ბურჯანაძის სამეცნიერო ნაშრომები, ძირითადად, პოეტურ თარგმანსა და მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხებს ეხება. მის მიერ სათარგმნელად შერჩეული რესი პოეტები, აგრეთვე, XIX საუკუნეს განვითარებიან.
3. ქეთევან ბურჯანაძემ თსუ-ს ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის თაოსნობით გამოცემულ ორენოვან კრებულში გამოაქვეყნა პუშკინისა და ლერმონტოვის მისეული თარგანები: ალ. პუშკინის – „მე განვიცადე ყველა სურვილი“, „დემონი“ (მაშინ, როდესაც იყო ახალი...), „ზამთრის საღამო“, „ჯილდოვ ამაო და შემთხვევითო...“, „მე თქვენ მიყვარდით“. მ. ლერმონტოვის – „ოერგის საჩუქარი“, „ღრუბლები“, „ტუსაღი“. ყველა დასახელებული თარგმანი პასუხობს ადეკვატური თარგმანისადმი წამოყენებულ დღევანდელ მოთხოვნებს.
4. თარგმანის პრობლემასთან ერთად, ქეთევან ბურჯანაძის ნაშრომები ლიტერატურული ტიპოლოგიის კვლევის საკითხებს მოიცავს. მეცნიერის ამ ხასიათის ნაშრომების ფონზე შეგვიძლია პარალელი გაგავლოთ მის პოეტურ თარგმანებსა და მისსავე საკუთარ ლექსებს შორის, რომლებიც თსუ-ს სლავისტიკის სასწავლო-სამეციერო ცენტრის აღმანას „ექო სახიერში“ იძებლებოდა 1999-2005 წწ.-ში, 2007 წელს კი ქ. რუსთავში ლ. ნემსაძის, მ. მათიაშვილისა და ნ. ჭუმბურიძის მიერ გამოცემულ სამეცნიერო-ლიტერატურული წერილების კრებულ „ადამიანში“ დაიბეჭდა.

### **გ ა რ ა ს უ დ ა ბ ე რ ი ძ ე** **ლ ე ო შ ი ა ჩ ე ლ ი ს „ თ ა გ ა დ ი ს გ ა ლ ი გ ა ი ა მ ა ი ა ”**

ლეო ქიანელი ერთ-ერთი უპირველესია იმ ქართველ მწერალთა შორის, ვინც ჩვენი პროზის შინაგანი, თვისებრივი

გარდაქმნისთვის, ეპოქის სულიერ ატმოსფეროსთან მისი მისადაგებისთვის იღწვოდა. ნოველისტის უერადღებას, უპირველესად, ფსიქიკური მოქმედები იქცევენ. ამასთან, მწერალი ნაკლებ ენდობა სინამდვილის ემპირიულ მოცემულობას.

არატიპური, სოციალურ განსაზღვრულობაზე ამაღლებული პერსონაჟია თავადის ქალი მაია ამავე სახელწოდების ნოველიდან. ეს სახე თითქოს განვითარება იმისა, რაც ჩანასახობრივად იყო მოცემული სხვა ნოველათა პერსონაჟ ქალთა სახეებში.

ნაწარმოებში მწერალი ერთმანეთს ორ რეალობას – ძველსა და ახალს უპირისპირებს. ნოველაში სიმძაფრეს ქმნის არა გარებანი ამბავი, არამედ სულიერი კოლიზია, რომელიც ბონდოს დალატმა მაიას პიროვნებაში წარმოქმნა. მასში, თითქოსდა, პერსონიფიცირებული შინაგანი სმები ცხარე პოლემიკას მიმართავენ და ერთ-ერთი მათგანი, აგრესიულ ინსტიქტთა განმასახიერებელი დანარჩენს ანადგურებს კიდეც. ამის შემდგომ წარმოიშობა უსაზღვრო შეურისხიერების გრძნობა. ლეო ქიაჩელმა მაიას ხასიათის ჩვენებით დასაღუპად განწირული სოციალური ფენის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი დაგვანახა.

ერთი შეხედვით, შეიძლება ბანალურადაც მივიჩნიოთ შეყვარებულის დალატით შეურაცხელით ქალის განცდები, მაგრამ გონების თვალით თუ დავაკვირდებით, დავინახვთ დრმა სოციალურ შინაარსსა და საკუთარ დიდებასთან ერთად დამსხვრეულ ადამიანურ ვნებებს.

მაიას ბეჭინიერება საკვარელ მამაკაცში, ბონდოშია, თავმოყრილი და მის სიკვდილს თვალის ქალის ბეჭინიერებაც თან მიაქსეს. უნიადაგო ოცნებათა მსხვერევა, გარდუგალობის უმქაცრესი განაჩენის აღსრულება, მაიას ურთულეს მხატვრულ სახეში იძენს სრულყოფილებას.

სუბიექტური წამოღვენებისა და ობიექტური რეალობის შეუთავესებლობა, კონფლიქტი ამ ნაწარმოების თემა-პრობლემაა. აქ კიდევ ერთი რამაა საინტერესო – ეპოქალურ მოვლენებს ლეო ქიაჩელი ხსნის ერთი ადამიანის ბეჭის, მის სულში გათამაშებული დრამის ფონზე. მაიას ცხოვრების აღწერით მწერალი დასაღუპად განწირულ კლასს წარმოაჩენს, რაზეც მოთხოვნების დასაწყისშივე მაიას გაცვეთილი სამკაულებისა და უმაწვილი ქალის ვარსკვლავებით ანთებული თვალების შედარებით მიანიშნებს კიდევ.

ბეჭისწერა და გარდუგალობა მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება ნაწარმოების ბოლოს. ადსარებასავით უდერს მაიას მონათხოვობი საკუთარი ცხოვრების შესახებ. აქ მოგონება განცდის ობიექტივიზაციას გულისხმობს, წარსულში მომხდარი მოვლენა

არსებობას, როგორც მომხდარი ფაქტი, ისე განაგრძობს. მას შემდეგ, რაც სამყაროსთან შემაერთებელი უკანასკნელი ხიდი ბონდოს დაღატით ინგრევა, მაისათვის აშეარა ხდება გარემოს სრული შეუცნობადობის, სამყაროსთან გაუცხოების მომენტის დადგრძა. ამ შემთხვევაში, სულიერი ტანჯვა და ტრაგიკული სიკვდილი უბრუნებს მას წართმეულ დირსებას. მთლიანად გათავისუფლდა მაია რეალური სივრცის, დროებისა და სხეულებრივი საზღვრებისგან.

„ადარსად იყო თავადის ქალი მაია...“

### **თამარ პაიშაძე ვალერიან გაფრინდაშვილის „მიწასთან დაბრუნება“— პომარომისი თუ მეტამორფოზა**

ვალერიან გაფრინდაშვილი არასდროს მდგარა პოეტურ შეხედულებათა გზაჯვარედინზე. იგი იმთავითვე უკანმოუხედავად დააღვა სიმბოლისტური პოეზიის გზასავალს, ამ მშვენიერი და გაბედული არჩევანისთვის მან ეკლის გვირგვინის სიმწარეც იგემა და მხრებზე დაგრძელდი უდლის სიმძიმეც. სიმბოლისტური ფიქრების ხანა ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნამდე გაგრძელდა. ამ დროიდან „ცისფერყანწელებმა“ მოწყალე პოეტური თვალით გახედეს საბჭოური ყოფის გზას და „მიწასთან დაბრუნება“ გადაწყვიტეს – ეს მათივე ინიციატივა იყო, თვით ლოზუნგი კი ვალერიან გაფრინდაშვილს ეპუთვნოდა. „ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენის დაშლის პროცესი ამ სიტყვებით დემონსტრაციულად გაცხადდა, აშკარავდებოდა, რომ ისინი უარს ამბობდნენ თავიანთი იდეურ-ესთეტიკურ მრწამსზე. რისი ძირითადი მიზეზიც, უდავოა, იყო ახალი დრო, ფორმაცია და აზრობრივი ატმოსფერო, რომელიც კარგა ხანია, პოეტს „შესაბამისად აზროვნების“ მოთხოვნას უყენებდა. ეს იყო ფრიად მტკიცნეული, ურთულესი ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც შემოქმედისაგან სულიერ ძალთა საოცარ დაძაბვას მოითხოვდა. ნელ-ნელა ქრებოდნენ ილუზიები, იმსხვერეოდნენ „ოცნებათა ცისფერი კოშკები“ და ყანწელებმაც სოციალისტურ რეალიზმს მოუსინჯეს ნიადაგი.

ვალერიან გაფრინდაშვილიც მათ შორის იყო; „პოეტები... ბრუნდებიან პოეზიის ელიზიუმებიდან... ეს არ ნიშნავს ჩვენი წარსულის მიღწევების უარყოფას, ეს არის დაბრუნება მიწასთან...“ სიმბოლიზმი უამე განვლილი ეტაპია ჩემთვის და ახლანდელ ჩემს

ლექსებში მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსულის მეოდებისაგან“ – წერდა იგი. ახალი შემოქმედებითი იმპულსები ახალ თემებში გამოჩნდა, მათ შორის კონცეპტურული რევერანსებიც იყო.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ ახალმა პოეტურმა საღებავებმა რიგ ლექსებში მშვენიერი ლირიკული პალიტრა შექმნა, გაფართოვდა რა მხატვრული აღქმის, თემატური რეგლამენტაციისა და ფორმალურ რეკვიზიტთა მასშტაბები.

1937 წლიდან ვალერიან გაფრინდაშვილის ყოფა ერთი შეხედვით ცხოვრებაზე რითმაწყობილი პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიას ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში, ფრთამოტებილი და მარტოდაშთენილი იყო. საწუთოს ერთმანეთის მიყოლებით გაეცალნენ მისი სიმბოლისტი თანამოაზრენი. ვალერიან გაფრინდაშვილის სტრიქონებს სევდა და დაეჭვება დაეუფლა, მარტოსული ახლა კი ნაძღვილად გაგმიჯნა ყოფიერებას და ყველაზე გვაინდელ ლექსებში ყმაწვილპაცური იდეების და პოეტური ფორმების ნოსტალგიამაც გაისულერა. პოეტმა საკუთარი თავი დამშრალ წყაროს შეადარა და პოეზიასთან გამოთხოვების ილუზიური სცენებიც კი წარმოადგინა. თუმცა ამ დიდი ტკივილისა და სევდის მიუხედავად პოეტის ჭეშმარიტი მისიისთვის არასოდეს უდალატია და არც შემოქმედებითი საქმიანობის იმ პრინციპებზე უთქამს უარი, ჯერ კიდევ ათიან წლებში რომ აღიარა: ესთეტიკური აზროვნებისა და მხატვრული დირქულების პოლოგები იგი ბოლომდე იყო.

## გაია ძიგ შა „ძგელი დაგა ახალ მერქში“ (ებნატე ნინოშვილის შემოქმედების ახლებური გააზრებისათვის)

1. იყო დორ (საქართველოში კომუნისტებური დიქტატიის ხანა), როდესაც სალიტერატურო კრიტიკა ეგნატე ნინოშვილის ბელებრისტებას დიდ ქართველ მწერალთა ნააზრევზე მაღლა აყენებდა. ამ ფაქტის ახსნა დროის ფაქტორის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. დროის, როდესაც ობიექტურ თვალსაზრისს ყოველოვის სჭარბობდა პარტიის იდეოლოგიის ფორმულებს მორგებული “სამეცნიერო ნაშრომები”, სადაც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება ისე შუდგებოდა, როგორც ამას მოცემული შაბლონი მოითხოვდა. შაბლონი კი, პირველ რიგში, მოითხოვდა მავანი და მავანი მწერალი წარმოჩნილიყო ბოლ შევიკური იდეოლოგიის მომხრედ და რევოლუციონერად, მთ უმეტეს, თუკი ამისათვის მცირე საბაბს თვით მწერლის ბიოგრაფიული მონაცემები და მისი

ნაწარმოებების სოციალური ქდერადობა იძლეოდა. ამგვარ შაბლონს იდეალურად მოერგო დაბალი სოციალური წრიდან გამოსული მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რომლის მოთხოვდების მთავარი გმირი ცხოვრების უსამართლობასთან შეჭიდებული გურული გლეხია. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, როთა ეგნატე ნინოშვილი რევოლუციონერად, სოციალ-დემოკრატად და მარქსისტად წარმოქმნინათ. ვფიქრობთ, ამგვარი შეფასება მეტად სუბიექტურია და, ჩვენი მხრივ, შევეცდებით წარმოვადგინოთ მწერლის შემოქმდების მიუკერძოებელი ანალიზი.

2. ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიის დეტალური ანალიზი არავითარ საბაბს არ იძლევა იმისათვის, რომ მწერალი “აქტიურ რევოლუციონერ” მოღაწედ შევრაცხოთ. იგი არც ერთი პარტიის წევრი ყოფილა ოდესმე და არც მკვეთრად ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა ჰქონია. უბრალოდ, როგორც ყველა ჭეშმარიტი მწერალი ისიც ოპოზიციონერი იყო და გაბეჭდულად ამხელდა იმდროინდებული სოციალური ინსტიტუტების მახინჯ მხარეებს. ამასთანავე მისი შემოქმედებისათვის არც ეროვნული პრობლემატიკა უცხო და არც ლიტერატური ლირებულებები, რაშიც ეგ. ნინოშვილის პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედების ანალიზი გვარწმუნებს.

3. აღსანიშნია ისიც, რომ, თუკი ეგნატე ნინოშვილი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და თემატიკით XIX საუკუნის დვიძლი შეილია, ეროვნული და სოციალური პრობლემატიკის მისეული გააზრება მკვეთრად განსხვავებულია ქართველ სამოციანელთა ხედვისაგან. ეგნატე ნინოშვილის გიორგისათვის (“ჯანყი გურიაში”), ილიას მგზავრისაგან განსხვავებით, უმთავრესია არა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, არამედ სიციალური უთანასწორობის მოსახლეობა. მართალია, გიორგი იმედოვნებს, რომ ბატონიქმობის გაუქმება რეფორმის გზით მოხდება, თუმცა, ილიას არჩილისაგან განსხვავებით, “ჩატეხილი ხიდის” გასამთელებლად არც შეიარაღებულ ბრძოლას გამორიცხავს.

სოციალური თუ ეროვნული პრობლემატიკის ამგვარი ხედვა სრულიად განსხვავდებოდა ქართველ “თერგდალეულთა” პროგრამისაგან, რამაც შექმნა კიდევ საფუძველი იმისათვის, რომ ჩვენში უახლესი ქართული ლიტერატურის კარი ხწორებდ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებით გახსნილიყო.

## განაბეჭდობული ანა გალანდაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის

ანა კალანდაძე ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ ანა პირველი მწერალი ქალია, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკიდრა ქართველ კლასიკოსთა უკვდავ თანავარსკვლავედში. ანა კალანდაძე მართლაც რომ მეტეორიფიო შემოიჭრა ქართული პოეზიის ცაზე და მსოფლიო ომის დანატოვარი ტკივილებით ჩამოწოდილი ტოტალური დამე ერთბაშად გააცისკროვნა უაღრესად ნათელი, სადა მოტივებითა და ინტონაციებით.

ანას პოეზია იმთავითვე აიტაცა მშობელმა ხალხმა და ქვეყანამ, მაგრამ პოეტს ოპონენტებიც მალე გამოუჩდნენ. ფენომენური შესაძლებლობების ხელოვანს ისინი უიდეობისა და არამოქალაქეობრივი პოზიციისათვის სოციალისტური რეალიზმის "სიმაღლეებიდან" აკრიტიკებდნენ. ანა კალანდაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ის ერთ-ერთი გამონაკლისთაგანი აღმოჩნდა, რომლის "აღზრდა" ან "მოთვინიერება" საბჭოთა პოლიტიკურმა რეჟიმმა ვერ შეძლო.

ფსევდოიდებალებისადმი მორჩილების ნაცვლად, ანა კალანდაძის პოეზია ჰქოშმარიტად უმაღლესი საზოგადოებრივი და ფილოსოფიური დირგულებების დამკვიდრების სამსახურში დგას. ადამიანური ურთიერთობების მარგალიტები, დედა-სამშობლო, ქრისტიანული რწმენა, ყოვლისმომცველი სიყვარული (მისი სხვადასხვა უფასიზები გამოვლინებით) ანა კალანდაძეს არასოდეს გაუცვლია ცრუპათეტიკასა თუ ცრუპჰორიკაზე. ანას პოეზიისათვის ასევე უაღრესად უცხოა თვითმიზნური არტისტიზმი და ფსევდოინტელექტუალიზმი. და ეს მაშინ, როცა ანას შემოქმედება ჰქოშმარიტად გვაოცებს რაფინირებული ესთეტიკური გემოვნებით, მხარგრული აზროვნების მასშტაბითა თუ სიღრმით.

ანა კალანდაძის პოეზიისთვის არც თვითმიზნური ვერსიფიკატორული ძიებებია დამახასიათებელი. მწერალი განსაციფრებელ ზომიერებას იცავს თითქმის ყველგან და ყველაფერში. ეს ეხება პოეტური ენის სტილიზაციასაც, არქაიზმებისა და დიალექტიზმების მიზანდასახულ და, ამავე დროს, უაღრესი შერჩევითი სიზუსტით გამოყენებას.

ანა კალანდაძის პოეზიას, სრულიად სამართლიანად, სიტყვით გამოხატულ ფრესკულ ხელოვნებას ადარებენ. ანას ხელოვნება თითქოს მართლაც რომ გადადის პოეზიის "წვეულებრივ" საზღვარს. ამავე დროს, გარეგნულად ზედმიწევნით უბრალოა ეს ხელოვნება; მაგრამ ეს ხომ ჰქოშმარიტად "ღვთაებრივი უბრალოება", რომელიც მკითხველში სულიერი განწმედის უქვეველ და სიღრმისექულ შეგრძნებას აღმრავს.

**თამარ ბლიაძე**  
**პოლიტიკურ-ზანრული მეცნიერობის გენეზისი ჰაბშა**  
**ამირავისის შემოქმედებაში**

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება თანამედროვე ლიტერატურის უაღრესად თვითმყობადი ნიშანსვეტია და იგი ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციული ქანრულ-პრობლემური სისტემის ოსტატური მომარჯვებით, ლიტერატურული გამოცდილების გაგრძელებით და, მეორე მხრივ, თანმიმდევრული, ორიგინალური ძიებებით როგორც პრობლემატურ, ისე ქანრულ სფეროში.

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება ქანრული მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მწერალმა ძირითადად სამ ტრადიციულ ქანრს უერთგულა: მოთხრობას, რომანს და ესეს. მოთხრობის ქანრული სახე მან ქართული პროზის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე დაამყნო. არც ფრანგული წარმოშობის ესეს ქანრულ კანონიკაში შეუტანია მნიშვნელოვანი სიახლე. რომანის ქანრულ სისტემაში კი ჭაბუა ამირეჯიბმა ისეთი ექსპერიმენტები განახორციელა, რომ ლიტერატურისმცოდნეს საშუალება მისცა, ესაუბრა ქართული ეპიკური ქანრის სრულიად ახალ ფორმაზე, რომელსაც „ჭაბუა ამირეჯიბის რომანი“ ჰქვია.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანები: „დათ თუთაშხია“, „გორა მბორგალი“ და „გიორგი ბრწყინვალე“ მწერალს სრულიად განსხვავებულ პრობლემურ-ქანრულ პრინციპებს აქვს აგებული და ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ მწერალი არც პრობლემა-თემატიკით და არც რომანის აგების ქანრული პრინციპით მის მიერ გაკვლეულ ბილიქს არ მიჰყვება და როგორც მაღალპროფესიონალს შეჰქვერის, მუდმივ ქანრულ ძიებაშია.

## ՃԱԾԱՑԱԲ ՃԵԲՑԱԼՈՅ

თავამედროვე ღრამას უზრიის პროცესუალები (თავა ჰილამის „არაპეტის სურველოვანი გადახევის“ მიხედვით)

თანამედროვე დრამატურგიის პრობლემათაგან ჯერაც აქტუალურია გარემო პირობების გამო, ტრაგიკულ სინამდვილეში აღმოჩენილი ადამიანის ყოფა, მისი ბრძოლა სულიერი ფასეულობების შესანარჩუნებლად და პიროვნების მიერ სიმარტოვისგან გაქცევის მცდელობა. თამაზ ჭილაძე თავის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პიესაში „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“ სწორედ ამ მოვლენებზე გვესაუბრება და გახსნება, რომ ცხოვრებაში ართმეტეული ადამიანისთვის სიკვდილი ნაკლებად საზიანოა, კიდევ უაზროვანია.

ჩეენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში დახასიათებულია პიესის პერსონაჟები. ვხედავთ ორ მარტოსულ ადამიანს: ანასტასიას და მარიამს. მათი ყოფა ციხის საკანზი იძულებით შეერილი ადამიანების ურთიერთობას უფრო ჰგავს, ვიდრე ოჯახის სურათს. ქალებს არ უყვართ ერთმანეთი, თუმცა, მოკვდავთა დაუწერელი კანონის თანახმად, მაინც ერთად ყოფნა ურჩევნიათ; მიუხედავად ურთიერთდაუნდობელი საუბრებისა, მაინც თავად გადაუწყვეტიათ ერთად ცხოვრება, რადგან სიმარტოვე ისეთი ურჩხულია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნებით მოგათვალისწინებს იქ, საიდანაც თითქოს ძალიან ადგილია თავის დაღწევა. სწორედ ამ დაუნდობელ სიმართლეზე მოგვითხრობს ავტორი და ჩვენც ამ თემას ვახებით.

მარიამი ანასტასიას ანტიოლია. ანასტასიამ მოახერხა ეცხოვრა საკუთარი ინტერესების შესაფერისად, ისე, როგორც სურდა; ამის გამო ის თავისუფალი და ლალი პიროვნებაა და ვერც ეგუება დაღუპვას და გადაგვარებას. მარიამი კი მუდამ სხვისი შემძრევი იყო, ამიტომაც თორმეზნავს მას ანასტასია.

პიესა საქმაოდ რთულია. ნაირგვარი ემცია ერთმანეთში ისეა გადაწყვლი, რომ ერთსა და იმავე აბზაცში შეიძლება ერთდროულად შეგხვდეს ტრაგედია, ირონია, ბრალდება, კომზების ნიშნებიც ამ ყოველივებს ფონზე აგრძორი იქმა

საოცარი ოსტატობით ხსნის ცხოვრებისეული სიბრძნის ზოგიერთ დეტალს და ეს ხდება ყოველგვარი დიდაქტიკისა და ჭერის დარიგების, მე ვიტყოდი, ანტიდიდაქტიკური საშუალებებითაც კი. ის გვესაუბრება ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზეც, რომელიც ხშირად ბოლომდე თუ არა, სანახვროდ მაინც გვანადგურებს. ეს არის ადამიანებს შორის განენილი გაუგებრობის უფსკრული. ნაშრომში კრცელი მსჯელობა ეთმობა ამ ფაქტსაც.

პიესაში საგრძნობია მწერლის მიერ დაწერილი კი არა, ისე ჩაფიქრებული, ნაგულისხმევი და დასმული კოხვა – ვინ მოგცაო უფლება წაართვათ ადამიანებს სიცოცხლის სურვილი?! ყველა ზემოთ ჩამოვლილი საკითხი ამ კოხვის გარშემო იყრის თავს და ჩვენც, პიესის მიხედვით, შეძლებისდაგვარად შევჩერდით თითოეულ მათგანზე.

## დაგირ წოწოლა ური

### მღვრლის პიობრაზია და მხატვრული ტარმოსახვა

მწერლის საარსებო და შემოქმედებითი გარემო განუყრელნი არიან. შემოქმედის თვითმყოფადი საქმიანობის საფუძველი მისი პიროვნული თვისებები და მხატვრული ნიჭია. ნიჭისა თუ მხატვრული აზროვნების ბუნება მხოლოდ სათანადო სამწერლო სარბიელზე გამოიკვეთება. სამოლგაწეო სარბიელი რთული სტრუქტურის ფენომენია. იქ მწერალი, სურს თუ არა მას ეს, ერთგარად გაორებული სახით წარმოდგება. იგი გვეველინება როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ყოველდღიური პრაქტიკული, ანუ ნაცრისფერი ცხოვრების თანაზიარია. ასევე, მან უნდა გამოხატოს თავისი მეორე „მე“, ანუ იდეალური პიროვნება.

დიდი მწერალი ზოგჯერ ცნობიერად, ხოლო ზოგჯერ არაცნობიერად ბუნების მოვლენების, ყოფითი გარემოსა და საკუთარი სულიერი შესაძლებელობების ბაზაზე ახდენს მხატვრულ ქმნილებებში ყოველივე ხილულის, განცდილისა თუ გააზრებულის პროეციონებას. მწერლის ბუნება, მისი არსების იდიალურ-პიროვნული ნიშნები არ არის ჩვეულებრივი ადამიანის თვისებების იდენტური, თუმცა ისინი არ ყრუ კედლით არიან განცალკევებულნი. ცხადია, ჩვეულებრივი, ყოფითი ნიშნები ადამიანის ხასიათისა და მისი პრეტური სწრაფვები მუდმივად ურთიერთქმედებენ. ამგვარი საყოველთაო წესის მოქმედების გარეშე მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების ძალა შემცირდებოდა. ხელოვანი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისაგან, რომ სულიერი უნარები მას უმაღლესი

სიწმინდეებისაკენ ეწევა, ათავისუფლებს მდაბალის, წვრილმანისა და შემთხვევითისაგან. იგი ცდილობს გაექცეს ან მაღლა დადგეს წვრილმანებზე, თუმცა ყოველთვის ეს არც ძალუმს.

ქართული მწერლობის ისტორიაში ვაჟა-ფშაველას ბედმა არ-გუნა ის, რომ ერთდროულად ეცხოვრა ორგვარ საზოგადოებრივ ფორმაციაში. მან საქართველოს მთის, კერძოდ, ფშავის გვაროვნულ-თემური და ბარის ფეოდალური წყობილების გარემოში იცხოვრა და თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც იქ ჩამოაყალიბა. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის გარემო რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი მხატვრული ქმნილებები ცხადყოფებ მწერლის უშუალო პაგშირს როგორც გვაროვნულ-თემურ ყოფასთან, ასევე საქართველოს ბარის ცხოვრებასთან. ორივე საზოგადოების სტრუქტურული თავისებურებები გამოიკვეთა მის მხატვრულ ნაწარმოებებში. პოეტის განსაცვიფრებელი ნიჭი, გრძნობათა მრავალფეროვანება, მხატვრული წარმოსახვის სიდიადე, მსოფლებელების მასშტაბურობა ნათელყოფს, თუ რა დირექტულებას იძენდა ის არქაული თემური ყოფა, რომელშიაც რეალურად და პოეტურადაც იცხოვრა. შემოქმედისათვის სხვადასხვა მნიშვნელობისა იყო უკლასო საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური, მითოლოგიურ-ზნეობრივი რეალიები და ფეოდალურ-კლასობრივი ურთიერთობის ფაქტები. ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებთა სიუკეტებში თავისუფლად მიმოიქცეოდა საქართველოს მთისა და ბარის ცხოვრების ერთომერისაგან განსხვავებული მოვლენები, თუმცა ორივენაირი მასალა უბადლო მხატვრული ძალით ემსახურებოდა ქვეყნისა და ადამიანის თავისუფლების უმაღლეს მიზნებს.

## რ უ ს უ დ ა ნ 60 უ ნ ი ა ნ ი დ ა

### პოეტური ობიექტი

**თარიღები.** საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი დღეები და წლები – ფართო დატვირთვით: დადებითი ან უარყოფითი მუხტით (სამახსოვრო წელი ან სავალდებულოდ გასასხვნებელი და აღსანიშნავი). ორი მათგანი მაინც გამორჩეული: საფლავის ქვაზეც ამოტვიფრული: დაბადების და გარდაცვალების. შ. ნუცუბიძის მიერ ერთხელ თქმულიდან: „დაბადება არაა ცხოვრების დასაწყისი, მაგრამ მე მაინც დავიბადე 1888 წელს.” რაა ეს – ირონიული ფრაზა თუ ინტელექტუალური ინტერესი... მეცნიერს განზოგადებული ხედვა აქვს, ფილოსოფიური განსჯის მასშტაბები. ბუნებრივია, ქვეყნის დამოუკიდებლობის დასასრული მისოვის საგანგაშო რომ გახდებოდა. ერთი ისტორიული ფაქტი: დრო -12 თებერვალი, დღის სამი საათი, 1921 წელი. მოქმედების

ადგილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომსვლელები: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი - გრიგოლ ლორთქიფანიძე, გრიგოლ რცხილაძე, ივანე ჯავახიშვილი, სტეფანე გორგი ნაკაშიძე... პროცესია მთავრობის სასახლესთან გადაინაცვლებს. იქ მათ მიესალმება დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე აღ. ლომთაოიძე და შალვა ნუცუბიძე. იქვე ყოფილ ოფიცერ სტეფანე გორგიძე მეთაურობით რაზმები შედგება... ეს დღე კიდევ სხვა ყურადღებას ითხოვს. ამჯერად, პოეტურ კრებულებზე ვისაუბრებ:

ლექსი გარკვეული განცდის თუ ფაქტის ტრანსფორმაციას წარმოადგენს. პოეტები იხსენებენ წარსულს, რათა უკეთ გაიაზრო (შეიცნო) აწყო და შესაბამისად, გაარკვიონ მომავალი. „მსხვილი პლანი” არაერთ დეტალს წამოსწევს წინ. უმთავრესი კი, მაინც მხატვრული შესრულების ხარისხია.

1924 წელს საქართველოში არაერთი პოეტური კრებული გამოიცა. წიგნის ყდებზე გამოტანილი სათაურები თვით ყველაზე უყურადღებო მკითხველსაც დააფიქრებდა. ამ ემოციას სხვა შემაშფოთებელი წინათვრმნობა ედო საფუძვლად. ეს წიგნებია: ლადო მაჭაგარიანის „სარკოფაგები”, ტერები გრანელის „Memento Mori,” ერთაწმინდელის „ეშაფოტი”, ერისთავ-ხოშტარიას „მიწა”, და სხვებიც: კ. ნადირაძის „ბალდახინი”, თარიშვილის „მზეში” (1926).

„საათის ისარს ხსნის ბალდახინი”, –დაწერს ლ. მაჭაგარიანი („აყალმაყალი მწვერვალის”) და მთავარ სათქმელსაც იგულისხმებს: ბალდახინს დრო ადარ სჭირდება, ისევე, როგორც ახლა საათს – ისარი. დრო ჩერდება! „რამეთუ სიკვდილი გარდაუვალია, ამიტომ მას ყოველ წამს უნდა ელოდე. ეს შეხედულება ზნეობის საფუძველია ყველა რელიგიაში... ამიტომ შენს სიცოცხლეში, შენს მოკლე სტემრობაში ამ ქავნად ყოველთვის სიკვდილი უნდა გახსოვდეს და კეთილ ზნეობად აღასრულებდე. ქრისტიანულმა მწერლობამ ეს შეხედულება XI საუკუნეში ლათინური მოკლე სიტყვით გამოსახა – Memento mori! - გახსოვდეს სიკვდილი! ასეთი იყო ის ლექსი, რომელიც გერმანიის ერთ-ერთ მონასტერში დაიწერა 1055წ. და იგი შემდგებ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში გავრცელდა,” –ამ სიტყვებს ვიკტორ ნოზაძე დაწერს და იმ სანტერესო და უჩვეულო რიტუალსაც აღწერს, რომელიც ბიზანტიის საკარისეაცო ცერემონიას ეპურვნოდა. ასევე დაასათაურებს ტერები გრანელი თავის წიგნს და ლათინური ასოებით ყდაზე წააწერს (1924წ. თბილისი, საქართველოს ხაზოგ. სტამბა)

ეს კრებულები სხვადასხვა ტირაჟით გამოვიდა საქართველოში. მათ განსხვავებული მკითხველიც ჰყავდათ. ლიტერატურის ისტორიისათვის თითოეულ მათგანს თავისი იდეური მნიშვნელობაც აქვს და ესთეტიკური ფუნქციაც გააჩნია. თემები, რომლებიც ამ წიგნებშია წარმოდგენელი მრავალფეროვანი განსჯის და მასშტაბური რემინისცენციების დაშვების შესაძლებლობას იძლევა.

## **ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხალხობრივი თაობის სახელმწიფო**

### **ადამიანის უმცველესი ნაგებალები თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მზოში**

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი არქეოლოგიური მეცნიერების მანამდე არნახული მასშტაბით განვითარების ხანაა. ამ პერიოდის ყოველი წელი აღინიშნება ახალი დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ძეგლების აღმოჩენით, რომლებიც აჩქარებს ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების შესწავლას დროსა და სივრცეში. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დმანისის 80-90-იანი წლების სენსაციური აღმოჩენები, რომლებმაც არსებითად შეცვალა და ბევრი რამ ახალი შესძინა ანტროპოგენეზისა და მასთან დაკავშირებული საკაცობრიო პრობლემების კვლევის საქმიანობას.

მილიონ შეიძახი-მილიონ რვაასი ათასი წინ აფრიკიდან აზიის გავლით დმანისში შემოსული და დასახლებული Homo ergaster-Homo georgicus-ის შესწავლის მეცნიერული სისტემისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მათი შემდგომი განვითარებისა და განსახლების მანიშნებელი ახალი მასალების აღმოჩენას.

დღეისათვის ერთ-ერთ ასეთ ჰუნებად შეიძლება ჩაითვალოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-კარმიდამო, რომელიც გეოლოგიური თვალსაზრისით მდ. მტკვრის 70-80 მეტრ სიმაღლის მესამე ტერასის ნაწილს წარმოადგენს და მდ. ვერესა და ვარაზის ხევს შორის მოქცეული ხეროვისის აღმოსავლეთი დაბოლოებაა.

2005-2007 წწ. პირველი ქართული უნივერსიტეტის ეზოში ზედაპირულად შეგროვდა მცირე, მაგრამ მეტყველი ქვის მასალა, რომელიც როგორც საერთო იქრით, ისე კეთების პრიმიტიული ხერხებით ახლო მსგავსებას ნახულობს დმანისის მასალებთან.

ესენია: ქვარგვალებზე გაფორმებული ე. წ. ჩოპერები, ჩოპინგები და უქეში საჩებ-სახოკი იარაღები. ამ ნაკეთობათა ზედაპირული წახნაგები გორების შედეგად გადალესილია და სქელი პატინით არის დაფარული, რაც მათ სოლიდურ ხანდაზმულობაზე მეტყველებს. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ბიუასური იერის მქონე იარაღი, რომლის ზედაპირი სუსტადაა პატინირებული და არც წახნაგები აქეს გადალესილი. ეს კი, შესაძლოა, იმის მანიშნებელი იყოს, რომ აქ სადღაც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ამ უმველესი პერიოდის შესატყვისი უძრავი კულტურული ფენაც უნდა არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უნივერსიტეტის I კორპუსის და მისი ეზოს საფუძვლიანი რეკონსტრუქციის დროს ყურადღება ამ მნიშვნელოვან მოვლენაზეც უნდა გამახვილდეს.

პირველი ქართული უნივერსიტეტის ხსენებული აღმოჩენების საფუძველზე უდაოა, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის, თბილისის, ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის გამოჩენის თარიღი 1,5 მილიონი წლით მაინც უნდა განისაზღვროს და არა 5-6 ათასი წლით, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, დიდუბეთელების აღმოჩენის საფუძველზე.

### პეტალ შარაშენიძე შუმერულ-ძართველური ლესიგური შენვედრები და წინარე ძართველური ეთნოსის განსახლების საპითხისათვის

გასული საუკუნის დასაწესში მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ქართველურ ენებში (ქართულ, კოლხურსა და სვანურში) არსებულ უცხო სიტყვების ერთ ჯგუფს, რომელიც განეცუვნება ერთ-ერთი უძველესი დამწერლობიანი ენის – შუმერულის ლექსიკურ ფონდს. დღისათვის დადგენილია, რომ შუმერული ენის სამასზე მეტი ერთული სტრუქტურულად და სემანტიკურად დამაჯერებელ მსგავსებას ავლენს ქართველური ენების ამდენივე ერთულობან.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში თავშემონახულია შუმერული ენის კუთვნილი არა მარტო კულტურული ტერმინები, რომლებიც შედარებით ადვილად გადადინ ერთი ენიდან მეორეში, არამედ საზიარო ლექსემათა გარევეული რაოდენობა ასახავს ყოველდღიური ურთიერთობისა თუ სამეურნეო და საოჯახო ყოფისათვის დამასასიათებელი საქმიანობის შინაარსს; მაგალითად, შუმ. g/kana<sub>2</sub> "სათესი

მინდორი, დათესილი მინდორი", ქართ. ყანა; შუმ. apin-du<sub>8</sub>-a "გუთნის გაშლის (თვე)", ქვ. ქართ. აპ(ა)ნ-ის-ი "იანგრის (თვე)"; შუმ. mar "ბარი, ნიჩაბი", ქართ. ბარ-ი, მეგრ. ბარ-ი; შუმ. mar-gid<sub>2</sub>-da "საზიდარი, ოთხთვალა, ფორანი", ქართ. მარხილ-ი; შუმ. ხარ<sub>2</sub> "ხარი", მეგრ. ხოჯ-ი, სვან. ხან; შუმ. sisı "ცხენი", ქართ. (ქვემო იმერული) სის, სისი – ცხენის მოსახმობი, გასაჩერებელი შეძახილი; შუმ. kaš "ლუდი", ქართ. ქაშქ-ი "ნადუდარი ქერის წუენი" (საბა); შუმ. ხა "თევზი", ქართ. ფხა "თევზის ძვალი", მეგრ. ხა "გველის ძვალი", ლაზ. მხა "თევზის ძვალი", სვან. ფხა "თევზის ძვალი; გველის წიწილი"; შუმ. duruna<sub>2</sub>, ti-nu-ur "(პურის) საცხობი (ღუმელი)", ქართ. თო(რ)ნე, მეგრ. თორნც; შუმ. ხა-ra "(თიხისაგან დამზადებული) დიდი ჭურჭელი, საცავი", ქართ. ხარო – პურის საცავი თრმო და სხვა მისო.

საერთოდ ენებში, კერძოდ კი ქართველურ და შუმერულ ენებში, საზიარო ლექსიკის არსებობა შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით: პირველი, შუმერულ და ქართველურ ენებს შორის, მოსალოდნელია, არსებობდეს შორეული განეტიკური კავშირები და, მეორე, შუმერულსა და ქართველურ (წინარექართველურ) ენებს შორის ადგილი ჰქონდა გარკვეული დონის კონტაქტებს; ეს კონტაქტები შეიძლება წარმოებდა რომელიმე საშუალებო ენის ან ენების მეოხებით, ანდა წინარექართველურენოვან სამყაროს პირდაპირი ურთიერთობა და შეხების საშუალება ჰქონდა შუმერულ სამყაროსთან.

ჩატარებულმა კვლევამ არ დაადასტურა შუმერული და წინარექართველური ენების განეტიკური კავშირი; ვერც ის საშუალებო ენა იქნა გამოვლენილი, რომლის გავლითაც შეიძლებოდა შუმერული ლექსიკური ერთეულების წინარე ქართველურ ენაში მოხვედრა. დაგვრჩნია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ლექსები წინარე ქართველურ ენაში მოხვდა შუმერულ სამყაროსთან ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართველური ეთნოსის უშუალო, მეზობლური კონტაქტების შედეგად.

ეს კონტაქტები უნდა განხორციელებულიყო ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს 33-ე პარალელის განედზე, რომელიც დღვენდელი ბალდადის ოდნავ სამხრეთით გადის. შუმერული და ქართველური ეთნოსების უშუალო კონტაქტები, სავარაუდებელია, გაწყდა ძვ-წ. 26-25-ე საუკუნეების ახლო ხანებში სამხრეთ შუამდინარეთში ძლიერი ხურიტული ეთნოსის შექრის შედეგად.

ქართველურ ენებში დადასტურებული ძველაღმოსავლური ენების – ხურიტულის, ხათურის, ხეთურის ანდა სხვა ინდოევროპულის ლექსიკური ერთეულები წინარე ქართველურ ენაში უნდა მოხვედრილიყო ძვ.წ. 25-15 საუკუნეების განმავლობაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ქართველურენოვანი ეთნოსის თანდათანობითი მოძრაობისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიასა თუ აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიებზე მისი განსახლების პერიოდში.

### განტანგ ლიჩელი

#### პოლიტური პულტურის დინამიკა – დასაბლური მიმართულება

კოლხური კულტურა, რომელიც ძვ.წ. III-II ათასწლეულებს განეკუთვნება, სამოსახლოების სახით ძირითადად კონცენტრირებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ეს ტენდენცია მომდევნო ხანაში რამდენადმე შენარჩუნებული ჩანს, თუმცა ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კულტურა უკვე იმდენად განვითარებულია, რომ მისი ინფილტრაციის არეალი სცდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და მოცავს მის მომიჯნავე ტერიტორიებს. მიუხედავად ამისა, სანაპირო ზოლში დადასტურებული სამოსახლოები და სამაროვნები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

როგორც ცნობილია, პრაქტიკულად კოლხეთის თითქმის მთელი ზღვისპირა ზოლი ხომალდებისათვის გამოუსადეგარი იყო, როგორც ნავთსაყუდელი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გაგრიდან მდ. ჭოროხამდე მხოლოდ მეტ-ნაკლებად დაცული სამი ყურეა: ბიჭვინთის (რომელიც შედარებით უკეთად დაცული ქარებისაგან), აგრეთვე სოხუმისა და ბათუმის. სამივე ყურე ოდითგანვე გამოიყენებოდა ნავსაღგურებად, მაგრამ არა მთელი წლის განმავლობაში.

თავშესაფრის ფუნქციას ხომალდთათვის მდინარეთა შესართავები “ითავსებდა”. შესაძლოა, ამ ფაქტან იყოს დაკავშირებული ის, რომ კოლხეთის დასავლეთ ნაწილში კონცენტრირებულია უაღრესად სპეციფიკური ძეგლები, პირველ რიგში, კოლხური კოლექტიური სამარხები. ამ სამარხებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებს შორის საყურადღებოა მხედარი ქალების ქანდაკებები, რომელთა ანალოგი აღმოჩნდა კ. სამოსზე და საბერძნეთში.

თუ გავითვალისწინებთ კ. სამოსზე აღმოჩნილი არქეოლოგიური მასალის კონტექსტს, უნდა დავასკვნათ, რომ

კოლხური კულტურის წრის ქანდაკების აღმოჩნდა კოლხურ-ბერძნული ურთიერთობის თვალსაზრისით შემთხვევითა, ხოლო პერაიონის ფუნქციის თვალსაზრისით კი - სრულიად ლოგიკური. თუმცა, ამ შემთხვევაში, გამოსაკვლევია ამგვარი ქანდაკებების იდენტურობის (ერთიანი კონცეფციის) საკითხი გეოგრაფიულად ისეთ დაშორებულ ორ სამყაროს შორის როგორებიც კოლხური და ეგვისურია.

### თედო დუდუა

#### მითოდატული მიები ქართველი ისტორიკოსთა

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს - მართლაც, პირველად ისტორიაში, კოლხეთმა და იძერიამ მონაწილეობა მიიღო ფართომასშტაბიან საერთო-ევროპულ ომში.

მითოდატე ეპატორმა აღნიშნულ ქვეყნებს განსხვავებული პოლიტიკური სტატუსი მიანიჭა - კოლხეთი სატრაპიაა, იბერია კი - სიმახიის წევრი.

ძვ. წ. 85 წ. მითოდატეს ადარც ფლოტი ჰყავს და ადარც არმია. ისინი რომაელებმა გაანადგურება. კოლხები კი მას მათი სამეფოს რესტავრაციას და აქ ეპატორის შვილის, მითოდატე ფილოპატორ ფილადელფოსის, გამეფებას თხოვდნენ. სხვა გზა არ იყო, ეპატორი დათანხმდა (App. Mithr. 64).

მაშასადამე, კოლხეთის მეფე ძვ. წ. 85 წ. მითოდატე ფილოპატორ ფილადელფოსია. ძალზედ ცოტა რამ ვიცით მის შესახებ. როცა ეპატორი დასავლეთ ანატოლიაშია და რომაელებს უპირისპირდება, ფილოპატორი მამისეულ სამეფოს, პონტის, ბოსფორს და კოლხეთს, განაგებს. შემდგომ ისიც დასავლეთ ანატოლიაშია, და მამაცურად, მაგრამ საოცრად წარუმატებლად ებრძგის ფიმბრიას დაგიონებს. კოლხეთში მითოდატე უმცროსი ჭრის ვერცხლის და სპოლენის მონეტებს პონტიელი მითოდატიდების დინასტიური რგაქიმიანი გარსეკვლავის გამოსახულებით ზურგის მხარეზე, შუბლის მხარის ტიპი - ლოტოსი - კი ქვეყნისთვის თითქოს ცოტა უცხო უნდა ყოფილიყო. მონეტები ანეპიგრაფიკულია - მეფის სახელი არსად ჩანს, ე. ი. რეგალიის ფორმალური მანიფესტაცია იგნორირებულია. რატომ? ნუთუ ფილოპატორს მამის ეშინოდა?! მაშინ, კიდევ ერთხელ, რატომ?! იმიტომ ხომ არა, რომ კოლხებთან იყო დაკავშირებული?! ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ისე კი, მითოდატე კვლავაც საშიში იყო, იმის გათვალისწინებით, რომ

რომში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ბერძნებს კი, საბოლოოდ, ჯერაც ვერ გადაეწყვიტათ, ვინ უნდა ყოფილიყო ელინური სამყაროს პეტერი - რომი თუ პონტო. კოდხეთი სრულ იზოლაციაში მოქმდა, მითრიდატე უმცროსი კი მამამ შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა (ძვ. წ. 84 წ.). ცოტა ადრე კი ფილოპატორმა სცადა უსაფრთხოების გარანტიები მიეღო რომის რესპუბლიკის-გან, მაგრამ ამაოდ.

ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, კერძოდ, კაპიტოლიუმის სტელა, თითქოს სწორედ ამაზე მეტყველებს: „მეფე მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსი, მეფე მითრიდატეს ძე, თავის მეგობარ და მოკავშირე რომაელ ხალხს, იმ კეთილგანწყობისა და ძველმოქმედების სანაცვლოდ, რასაც ის მისდამი (ე.ი. მეფისადმი – თ. დ.) იჩენს, თავისი ელჩების, ნაიმანის, ნაიმანის ძის, და მაოსის, მაოსის ძის, ხელით [უძღვნის].

კინკრეტული ზედწოდების – ფილოპატორ-ფილადელფოსი – მატარებელი ორი პონტოელი მითრიდატეა ცნობილი. მითრიდატე III-ის ძე და ფარნაკე I-ის ძმა, მითრიდატე, ამ უკანასკნელის შემდგომ მართავდა ქვეყნას. მამამისს ზედწოდება არ პქონია, ისევე როგორც წარწერაში მოხსენიებულ მითრიდატეს. მითრიდატე IV მეფობის ხანგრძლივობა მისი ატიკური სისტემის ტეტრადრაქმებზეა ასახული ლეგენდით – **BASILEWS MIJRADATOУ FILOPATOROS KAI FILADELFOU** –

ნატურალისტური თავი თანდათან ასაკში შედის. ის ხომ არ არის მოხსენიებული მოყვანილ ეპიგრაფიკულ ძეგლში; შემდეგი ფილოპატორ-ფილადელფოსის მამა ხომ ევპატორია?! მაგრამ ტექსტის ნაწილის – „მეფე მითრიდატეს ძე“ – ადდგენა პიპოტეტურია. ტიტული „ბასილევსი“, შესაძლოა, არც კი ყოფილიყო. ახლა კი, ამ კუთხით, უფრო თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ მითრიდატე უმცროსზე, ევპატორის ძეზე. მითრიდატე უმცროსმა კოლხეთი მიიღო; კოლხეთის სამეფო კი ევპატორამდე მითრიდატიდების დინასტიის არასდროს ყოფილა, ანუ მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსს თავისი ძალაუფლების მემკვიდრეობითი ხასიათის პოლიტიკური მანიფესტაცია არაფერში სჭირდებოდა, და მას არც რაიმე სერიოზული საფუძველი პქონდა ყოველივეს სამტკიცებლად. მითრიდატე უმცროსი სრულიად ახალ სამეფოს დაეპატორნა. შესაბამისად, ის მითრიდატეს ძეა და არა მეფე მითრიდატესი. რაც შეეხება ელჩებს, ზოგიერთმა მკვლევარმა ისინი გააიგივა ევპატორისდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან (App. Mithr. 19).

## ԹԱՇՈՐՃԱ ԹՑՑՈՂՋԱՃՅ

ՏԱՑՐԱՑՑԵՏՈՒՆ ԵԱՑՈՐԿԱԼՇՐ ՑՈՑՈՐՈՒՊՈՎԱՑՈ ՀԱՅՇԱԼՈ ԿՐԱԽԵՏՈՒՆ  
ՑՈՐՈՒՊՐՈՒԱԿՈ ՀՖՄԱՆՑԵՑՈԼՈ ԵՐԾՈ ՑԱՑՈՍ ՑԵՍՑԱՑԼՈՒՆԱՏՑՈՆ

1998-1999 վ. Տայրանցյատուն նացուոնալյան ծոծուություն մոնեցին, մյացլյածին և սուսպելյուա ցանցոցուություն մյառանձնունաս հցեն ցշրացլյած մույլուա մյացերամյեց Տայցյան դաշտարմա, րոմյալնուց ցարարյեցլյած ոյտ ամոյրացանուն Ծյրուցուուրուանց ագմոհեցնուու րամցենմյ ցյմա, Շյմյնուու ծարոն ծարոն և ծյուսացան (ցրանց արմյէ կշին 58). ցլուուցուուրու ցյցլյած դաշտարման ցարարյեցլյած 1900 վլուն 25 մասուու. Իսուոնատցանու մոուցազ 9147 - 9154 նոմրյած. Տայարուցյալուն և սումեյտուն Ծյրուցուուրուանց ագմոհեցնուու մասալա, ցաշրացըցլյած մուցեցին ցամու մուեցա հցեն մոյր դասաեցլյեցլյած Աորուցնուն եցլյն, եռու Շյմցց, Տայրանցյատուն նացուոնալյան ծոծուություն մոնեցին, մյացլյածին և ասուսպելյուա ցանցոցուություն Տայցացն.

Վոնամցցարյ նամրումնու հցեն ցանցուուլացտ Խվորյա յրյանցո ագմոհեցնուու ցյման, րոմյալնուց Խյմուաճնումնու ցաշրնալնու 9153 նոմրուու արու ցարարյեցլյած.

(օնչ. №9153) Տայրանցյատուն նացուոնալյան ծոծուություն մոնեցին, մյացլյածին և սուսպելյուա ցյպարիմյենքի. ոցալյարու ցորմուն կրուու կցա Տարժունուն. յարցագ ցամրուությեցլյած. ագմոհեցնու ագցուու յրյանու (սումեյտու). Շյմուշլուն 1900 վլուն 25 մասուե.

Աորնոյ ցամուսաեցլյած որյմու, րոմյալնուց Խցի პրոցուություն մարչցնուու. ցամուսաեցլյած սայմառ յարցու նամշմցարու. ացյուա Տայուառու դրմա. ցամուսաեցլյած մուունաճ ացյեց օնբալուն Աորն. մեցացն ցամուսաեցլյած օնուություն: Կիբաչիչ Տ.Վ., Յոխո-Ռյսկի Գեմմա, 1910, №12,13. Geschnittene steine der Antike, Sonderlistek Münzen und Medaillen A.G.Basel Derenber, 1968, №110. Sasanian Stamp Seals in The Metropolitan Museum of art. Christopher J.Brunner, Philipp Gignaux , Cataloge des sceaux, gemmées et bulles Sasanides, Paris, 1978, №17, 9a ; №3,11.

Հացյալուն: օնբալուու յարցագ արու Շյմունաեցլյած.

Նոմրյած: 10x8 մմ.

Ցյմա յրյանուու ցորիա կյմաթյան նամշմցարու, րաց Տայրուու դամեսասուուցյեցլյած ագնումնու պյրուունուն Տասանցյան ցյմյածին մասունքու պրոցյէցուուտցուն. օնյուու ցյմյած, րոցուուց օրմուսամուսաեցլյած օնբալուու, յրյանուու ցամրուություն Աորն. մեռլու րոցուու Աորաճու Տաձկցացյած, արամյա, յմյէցյաս, րոցուու մորուություն Տացնյած.

ქვის ფორმის (ოვალური, ზედაპირი ოდნავ ამობურცული), გამოხატულების სტილისა (კონკრეტულად ცხოველის ტანი და თავი) და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო შეიძლება ახ.წ. IV-Vსს. დათარიღდეს.

მასალის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირმისგამოსახულებიანი გემა ერევნიდან სავსებით ჯდება იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული სასანურ გემებთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ სასანიანთა ირანის გემები ამიერკავკასიაში ვრცელდება ახ.წ. IIIს. ბოლოდან, ირმისდამოსახულებიანი ინტალიოს აღმოჩნდას ერევანში ჩეგნ გარევაჭრობას ვუპავშირებთ და აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის შედეგად მივიჩნევთ.

## ნანი გელოგანი არაბული ტყაროვას ცხოველი ხალიზა ალ-მჟაბთადირის მრჩეველი ქალუბის შესახვა

1. ისლამის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მყოფი ქმრების ან ვაჟების საშუალებით აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. თუმცა, აბასიანი ხალიფა ალ-მუკადირის მმართველობა (908-932) გამოირჩევა ქალთა ძალაუფლების აღზევებით სასახლის ქარზე. ალ-მუკადირი მეტად ახალგაზრდა ავიდა ტახტზე და სუსტი მმართველი აღმოჩნდა. ვაზირები, მაღალი რანგის მოხელეები, პროვინციული ელიტა, სამხედრო ლიდერები და სასახლის მომსახურე პერსონალი აქტიურად მონაწილეობდნენ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.

2. არაბი ისტორიკოსები – ათ-თანაუპი (გარდ.384/994წ.), იბნ მისქავაიპი (გარდ. 421/1030წ.) და პილალ ას-საბი' (გარდ.448/1056წ.) გვაწვდიან ცხობებს ხალიფა ალ-მუკადირის და მისი მრჩეველი ქალების შესახებ.

3. ხალიფა ალ-მუკადირის ქარზე ყველაზე გავლენიანი ქალები იყვნენ: შადაბი – ხალიფას დედა და მრჩეველი. ცხობილი ვაზირი – ‘ალი იბნ ‘ისა ანგარიშს აბარებდა მას სახალიფოს ფინანსებსა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წყაროებში ის მოხსენიებულია როგორც ას-საღვიდა (ქალბატონი); ხატიფი – ხალიფას დედა, რომელსაც მდივნების ბიურო პქონდა და დასთანბუვაიპი – ხალიფა ალ-მუკადირის (892-902) მხევალი (უმმ ალ-ვალად). არაბული წყაროები არაფერს ამბობენ ხალიფას

კანონიერ ცოლებზე, მის ქალიშვილებზე და დებზე. ხალიფას კარზე დიდი გავლენა ჰქონდათ აგრეთვე მნე ქალებს (არაბ. კაპრამანა). ისინი იყვნენ ხალიფას მენეჯერები. მხოლოდ ოთხი მათგანი არის მოხსენიებული სახელით: ფატიმა, უმმ მუსა ალ-კაშიმიია, სუმალი – საჩივრების სახელმწიფო დივანის (დივან ალ-მაზალიმ) უფროსი (ქალის დანიშვნა ამ თანამდებობაზე ძალიან იშვიათი იყო) და ზაფდანი, რომელსაც ევალებოდა პოლიტიკური პატიმრების (მაგ., აჯანყებულთა მეთაურების, განთავისუფლებული ვაზირების) მეთვალყურეობა. ზაიდანი მედიატორის როლს ასრულებდა ხალიფასთან. კაპრამანები აქტიურად მონაწილეობდნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დანიშვნაში და სახელმწიფო შემოსავლების განაწილებაში. თუმცა არის ცნობები მათი განთავისუფლებისა და დაპატიმრების შესახებაც. მაგ., უმმ მუსა დააპატიმრეს სახელმწიფო საიდუმლოების გამჭდავნების და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობის ბრალებით და ქონება ჩამოართვეს. უფრო დაბალი სოციალური ფენის შესახებ წყაროებში ცნობები არა გვაქს.

4. ხალიფა ალ-მუკათადირის 25 წლიანი მმართველობა დასრულდა მისი მკვლელობით. ხალიფას დედა – აშ-შადაბი დააპატიმრეს და ქონება ჩამოართვეს. ხალიფას კაპრამანების ბედი უცნობია.

5. ხალიფას სასახლის კარის ქალები წყაროებში მოხსენიებული არიან როგორც მრჩევლები და, ძირითადად, დახასიათებულია დადგებითად. მაგ., მათ მიეწერებათ ქველმოქმედება და არმის დაფინანსება, პატიმრების დაცვა, კანონიერების აღსრულება, ბრძოლა ძალაუფლების მონოპოლიზაციის წინააღმდეგ და სხვა.

## გეგარ ჯავახია

### V ჯვაროსნული ლაშქრობა და საძართველო პილიტრიმულ ლიტერატურაში

საქართველო შესაუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა პერმანენტული ომების ასპარეზს, რამაც შეიწირა წერილობითი და ნივთიერი ძეგლების დიდი ნაწილი. ამდენად, ყველა წყაროს,

რომელიც მოიპოვება საქართველოს გარეთ, უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. ამ მასალთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც უცხოეური ქრონიკები, ასევე ქვეყნებს შორის ოფიციალური მიმოწერის დოკუმენტები, მისონერთა, დიპლომატთა, პილიგრიმთა და სხვა თვითმხილველთა ჩანაწერები, მათი მოგზაურობების აღწერები და ცენტრალური წარმომადგენლობისათვის გაგზავნილი ანგარიშები.

დღემდე საკმარისად არ არის გამოვლენილი და შესწავლილი დიდი ნაწილი იმ წეაროებისა და დოკუმენტებისა, რომლებიც შეეხება საქართველოს ისტორიას და ინახება უცხოეთის ქვეყნების არქივებსა და წიგნთაცავებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ამ მიმართულებით, დღესაც რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზი.

ფრიად საინტერესო ცნობები არის მიმობნეული საქართველოს ისტორიისა და ქართველთა მოღვაწეობის შესახებ წმიდა მიწაზე XIII საუკუნის პილიგრიმული ლიტერატურაში. XIII საუკუნის პილიგრიმთა ნაშრომებში მოცემული ცნობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის მკლევართათვის, რაღგან მათი ავტორები არიან თვითმხილველები და, ამდენად, მათ მიერ გადმოცემული აღწერები ქართველ ბერ- მონაზონთა მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში და მათი ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებთან და ჯვაროსნებთან არის პირველწეარო მსგავსი კალეგიებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს მეტად საყურადღებო წეაროს იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ, არის კიოლნელი სქოლასტიკოსის პადერბორნის გაისკოპოსის ოლივერის ნაშრომებში, რომელიც შეეხება V ჯვაროსნულ ლაშქრობას და დამიეტის აღებას ჯვაროსანთა მიერ. ეს ნაშრომები დაწერილი უნდა იყოს 1217-1222 წლებში. (*Descripcio Terre Sancte; Historia de Ortu Jerusalem et Eius Variis Eventibus, Historia Regnum Terre Sancte, Historia Damiatine*).

ოლივერ პადებორნელი, რომელიც თვითონ იყო მონაწილე დამიეტას ალფისა, იძლევა ჩვენთვის მეტად დირებულ ცნობებს ქართველთა მონაწილეობის შესახებ ამ ბრძოლებში. ფრიად მნიშვნელოვანია მისი ცნობები ქართველ ბერთა მოღვაწეობის შესახებ წმინდა მიწაზე, რომელთაც იგი თვითონ შეხვდა და ესაუბრა სიმონ მესტილეს მთაზე არსებულ ქართულ კალეგიისაში.

ოლივერ პადერბორნელის ნაშრომი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წეარო ამ პერიოდის სხვა პილიგრიმულ ლიტ-

რატურასთან ერთად, როგორც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ წმიდა მიწაზე, ასევე ქართველთა ურთიერთობების შესახებ ჯაროსნებთან და ქართულ-დასავლური ურთიერთობების კვლევისათვის. ოლივერ პადებორნების ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის ის, რომ ის წარმოადგენდა იმ ეპოქის კათოლიკური ეკლესიაში გავლენიან პირს, რომელიც თავის დროზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა V ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებაში და მოგვიანებით გახდა ქარდინალიც. ოლივერის ნაშრომში მოცემული ცნობების შედარება ამ პერიოდის სხვა საისტორიო წყაროებს გაძლევს საშუალებას, ახლებურად განვიხილოთ რამდენიმე ისტორიული მოვლენა. დაგაზუსტოთ ისტორიული ფაქტები, როგორც შესახებ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს.

### ზოგიერთი განახლება ჯაჭვების ურთიერთობა საქართველოს სამეფო პართან 1266-1346 წლებში

ჩვენი აზრით, ურთიერთობა ბაგრატიონებსა და ჯაჭვებს შორის, 1266-1346 წლებში, რამდენიმე პერიოდად უნდა დაიყოს.

პირველი – 1266 წლიდან სარგის I-ის მმართველობის ბოლომდე, მესხეთი საქართველოს სამეფო კარისაგან მთლიანად დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება უნდა ყოფილიყო.

მეორე – XIII საუკუნის 80-იანი წლები, ბექასა და დემეტრე II-ის ურთიერთობა. ბექა ალბათ გარკვეული სახით ცნობდა თბილისში მჯდომი მეფის უზენაესობას. გასათვალისწინებელია, რომ მესხეთის მთავარი მანდატურთუხეცესის „კელს“ ფლობდა. ჩვენი აზრით, მას რეალურად უნდა შეესრულებინა მანდატურთუხეცესის მოვალეობები, რაც თავისთვად გულისხმობდა დემეტრე II-ის უზენაესობის აღიარებას. თუმცა ბექა, ალბათ, სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა მესხეთის მართვის საკითხებში და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებსაც დგამდა.

მესამე – 1308-1314 წლებში სარგის II ალბათ იმავე პოლიტიკას ატარებდა სამეფო კართან ურთიერთობაში რასაც ბექა I.

მეოთხე – 1314-1334 წლებში სარგის II-ს გარკვეული სახის დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა მესხეთის მმართველობის საკითხებში. თუმცა ალბათ გაიზარდა მისი მორჩილება მეფისადმი.

მებუთე – 1334-1346 წლები. 1334 წელს გარდაიცვალა სარგის II ჯაყელი. გიორგი V მესხეთში გადავიდა და მესხეთის გამგებლად თავისი ბიძაშვილი, ყვარყვარე II, დანიშნა. მასვე მიუბოძა ათაბაგის „ჯელი“. ამავე დროს მეფემ მესხეთში ახალი ერისთავები დანიშნა და მათი უმეტესობა ჯაყელოთა საგვარეულოს წევრი იყო. ცხადია, ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო განამტკიცა მესხეთში ჯაყელთა მფლობელობა. ოთქმა უნდა, თავის მხრივ, ყვარყვარე II-მ თავი საქართველოს მეფის ხელქვეითად აღიარა. მართალია, საქართველოს სამეფო კარმა, იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც, მესხეთზე თავისი მფლობელობა აღადგინა, მაგრამ ჯაყელებმა მთელი მესხეთის მართველობის უფლება შეინარჩუნეს.

## ბორგი მთხვევაზე

తొకిపణ్ణిలో ఉత్సవాల వ్యాపకమైన ప్రశ్నలు కూడా ఉన్నాయి.

1. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამონასტრო წესდებებს - ტიპიკონებს. ტიპიკონი აწესრიგებდა მონასტრის „მობის“ რელიგიურ ცხოვრებას და საყოფაცხოვრებო საკითხებს, განსაზღვრავდა დისციპლინარულ წესებს მონაზონთათვის. ტიპიკონებში, რომლებიც დაფუძნებული იყო მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღებულ ზოგად წესებზე, მუხლობრივად იყო ჩამოთვლილი ყველა ის ვალდებულება, რაც მონასტრის სამმოს წევრს ევალებოდა და აგრეთვე ის სასჯელიც, რაც ქანონმდებლობის დარღვევას მოჰყენდოდა.

2. საისტორიო წეროებმა ორი ქართული ქტიორული ტიპიკონი შემოგვინახა - გრიგოლ ბაქურიანის-ძის შედგენილი პეტრიწონის მონასტრისათვის და **მხარგრძელ** ომოგველის „ვაჟანის ქვაბთა განგება“. ორივე მათგანში დაცულია მუხლები, რომლებიც არეგულირებენ მონასტერში სტუმრის მიღებისა და მასპინძლობის წესებს. განსაზღვრულია, სქესისა და ასაკის მიხედვით, ვის რამდენი ხანი აქვს მონასტერში ყოფნის უფლება და ვის სართოდ ეკრძალება მონასტერში შესვლა. ერთ-ერთი მუხლი მკაცრად კრძალავს მონასტერში „უწვერული“, ახალ-გაზრდა ყრმის შეშვებას. მცირეწლოვანი (უასაკო) ნათესავის, მმის და შეინის შეკვანასაც კი. ამ კანონის დამრღვევის მიზართ სამონასტრო წესდება ყველაზე მკაცრ საჯელს - „მოკვეთას“, ანუ მონასტრიდან განდევნას ითვალისწინებს.

3. ახალგორის მხარეშოცოდნეობის მუზეუმში დაცულია ახორციელებული კვანძები და მათ მიზნები.

გორის რ-ნი). შინაარსის მიხედვით წარწერა ეპიგრაფიკული საბუთია. მასში ასახულია სამონასტრო ტიპიკონის სწორედ ის მუხლი, რომელიც მონასტერში „უწერული ყმის“ შეშვებას კრძალავს. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XV ს-ით თარიღდება.

### ალექსანდრე ბოჭიშვილი სოლადაშვილების საბგარეულოს წარმომავლობა

ქემო ქართლში გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში წამყვანი ძალა ბარათაშვილები იყვნენ. ბარათაშვილებთან და მათ შოთ-გვარებთან ერთად ქვემო ქართლში არსებობდა სოლოდაშვილების საგვარეულო. რომელიც, როგორც წყაროებიდან ჩანს ერთ-ერთია, რომელიც ბარათაშვილებთან ერთად წნდება ქვემო ქართლში და ბარათაანთ განშტოება არ იყო. ისინი რაზეთ მცირე თავადები იყვნენ.

სასოლოდაშვილო, ძირითადად, ალგეთში, ვერეს ხევში, ქალაქის პირის სოფლებში და ნაწილობრივ სომხითში ვრცელდებოდა. სათავადოს მთავარი ციხეები კოჯირის და ჭაპალის ციხეები იყო, მოგვიანებით ციხეს ააშენეს ბორბალოშიც; საძვალე კი კაბენის მონასტერია.

სოლოდაშვილებს ქართლის სამეფო კარზე ეპაზათ მეფის სახლთუხუცესის, დედოფლის სახლთუხუცესის, ბოქაულის, ყენის მუდარიბისა და მუსაიბის და სხვ. თანამდებობები. სოლადაანთ სამკვიდრო სახელო დედოფლის სახლთუხუცესის თანამდებობა ყოფილა.

საინტერესოა, თუ საიდან წამოვიდა გვარი და როდის, ან რა პირობებში დაწინაურდა ქართლში? სოლოდაშვილების წარმომავლობას პირველად ვახუშტი შეეხო. როგორც იგი აღნიშნავს – „სოლოდაშვილს იტყვან არა ბარათაანობასა, არამედ მამული და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა“. ამასვე იმეორებს 6. დადიანი, მხოლოდ იმ განსხვავებით (შეცდომით), რომ „იტყვან ბარათაანობასაო“.

სოლოდაშვილების წარმომავლობაზე საუბრობს იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“. იოანე ბაგრატიონი ნაშრომში აღწერს ისე, როგორც ამა-თუ იმ საგვარეულოში როგორაა მიღებული წარმომავლობის საკითხი. ბევრი საგვარეულოს წარმომავლობა დეგენდებითა და დაუჯერებელი ისტორიებითა სავსე. სოლადაშვილებზე კი ამბობს, რომ ისინი „არიან ძელადვე ახალციხეელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი“, იქვე ამბობს, რომ „ამათი

წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულადად, ხოლო ამის შთამომავლობისანი, რომელთაც მიიღეს მამადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატისასა (გულისხმობს ბაგრატ V-ს, 1360–1393 წწ. ა.ძ.) წელს 1375-სა და მეფებან მიიღო თავადობისა ხარისხითა და უბოძა გვარადცა სოლოდაშვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრები სომხითსა“.

პროფ. კ. ოუმანოვი სოლოდაშვილებს – ჯამბაკურიაორბელიანებთან, ბარათაშვილებთან, კახაბერიძეებთან, (შესაძლებლად მიაჩნია აბაშიძეებიც) ერთად ლიპარიტიდორბელიანების განშტოებებად მიიჩნევს. ხოლო ლიპარიტიდორბელიანები – მეცნიერის აზრით – მამიკონიანთა განშტოებას წარმოადგენს და იძერიაში 876 წელს მოსულან.

გვიანდელი ქართული წყაროებით დასტურდება, რომ სოლოდაშვილები წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან არიან, (იოანე ბატონიშვილი და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი) – თავდი სოლადაშვილიცა სწორედ ჩვენი გვარეულობისა არის. თუმცა სოლადაშვილები ამბობენ. „ოსმალეთიდგან მოვსულევართო“. დიახ, ოსმალეთიდან მოსულან, მაგრამ გარემოების გამო აქედგან გადასული ისევ აქეთკენ გადმოსულა იმისი მომავალი და თავის მამა-პაპის მამულზევე დამდგარა – აღნიშნავს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.

ქართული წარჩინებული გვარები ხაწარმოებია ან სახელოდან (ამილახვარი, ამირეჯიბი, მელიქ-მელიქიშვილი...), ან იმ პიროვნების სახელიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საგვარეულოს (ბარათაშვილები – ბარათასაგან, ყაფლანიშვილები – ყაფლანისაგან, ზურაბიშვილები – ზურაბისაგან, ციციშვილები – ციცისაგან...), უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევასთან გვაძვს საქმე სოლადაშვილებთან მიმართებაში. სოლადა უნდა ყოფილიყო საგვარეულოს ფუძემდებელი, სოლადაშვილთა წინაპარად სოლადას ასახელებს იოანე ბატონიშვილიც.

იბადება კითხვა – ვინ უნდა ყოფილიყო ეს სოლოდა/სოლადა?

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ეს უნდა იყოს კალმახის ერისთავების საგვარეულოდან.

საგვარეულო საკუთარი სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. შესაძლებელია ეს სახელი ყოფილიყო „სულა“, „ო“ და „უ“ ნიშანთა მონაცემებია ქართულში ხშირია (რუსი-მროველი). საგვარაუდოდ საკუთარ სახელ სულას ისლამიზირებული ვარიანტია „სულა“ „აღა“ ანუ სულადა/სოლადა. იოანე ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ „ამათი (სოლოდაშვილების) წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულადად“.

როგორც ცნობილია, არსებობდა საგვარეულო სახელები, (შვილს არქმევდნენ პაპის, ბიძის ან სახლიკაცის ა.შ. სახელებს, ამის მიხედვითაც თუ ნამდვილად სამხრეთ საქართველოდან არის საგვარეულო, მაშინ აქ მსგავსი სახელი მხოლოდ კალმახელებში ფიქსირდება.

XVI საუკუნის დასაწყისში სამცხის თავადთა ნუსხაში „კალმახელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა უზნასძეთა აქუს“. მეორე ნუსხის მიხედვით, „კალმახელი სასაფლაოთა [და] მონასტრითა უზუნისშვილსა აქუს“.

სულადას შვილები კალმახიდან ქართლში აღმა 15 საუკუნეში გადმოდიან. რადგან ქართლის მეფე დავით X-ის (1505-1525 წწ.) 1523 წლის განჩინებაში, ბარათაანთ გაყრის საქმეზე, ბარათაშვილების ერთ-ერთ მომრიგებლად, სხვა თავადებთან ერთად, შალვა სოლადაშვილიც მონაწილეობს. შალვას ძე ივანე დავით X-ის სახლოუცესი და მწიგნობართუეცესია. 1837 წლის ერთ-ერთ საბუთში, 1480 წლის ამბებთან დაკავშირებით, თავად სოლადაშვილის მოხსენიება.

## დერი თავადე

### ჯვარ შაჟის შმორსევა საქართველოში (1440 წელი)

საქართველოს 1412 წლის შემდეგ ახალი მონარქი, ალექსანდრე დიდი, მართავს. ქვეყნის გაერთიანების საქმეში ალექსანდრემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: დაიმორჩილა სამცხე, განამტკიცა ცენტრის კონტროლი დასავლეთ საქართველოში, შემოიერთა ლორე და სომხითი (სომხური ტერიტორიები, მათ შორის, სივნიერის, აირარაბის და მათი მიმდებარე მიწები). საქართველო კვლავინდებურად აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს. მხოლოდ დადგესტანის აღმოსავლეთი და შიორგანი დროდადრო გამოდიოდა საქართველოს კონტროლიდან. რაც შეეხება არანს, მასზე „პანკავჭასიურ იმპერიას“ დიდი სანია, რაც ადარ მიუწვდებოდა ხელი.

ქვეყნის ერთიანობისა სტაბილურობის განმტკიცებაში, დიდი ადგილი ეკავა დედაქალაქს – თბილისს. თბილისის ბედი, საქართველოსა და კავკასიის ერთიანობის ყოფნა-არყოფნასთან იყო პირდაპირ კავშირში. ამდენად, მის ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ალექსანდრე I დიდის მოღვაწეობას მკვლევრები განსხვავებულ შეფასებას აძლევენ. ერთინი მიუთითებენ იმას, თითქოს ალექსანდრემ თავის ვაჟებს გაუყო ერთიანი საქართველო, ხოლო

მეორენი კი უარყოფებ ამ მოვლენას. როგორც ისტორიოგრაფიაში არის გარკვეული, ამ მხრივ მეცეს ქვეყნის წინაშე დანაშაული არ მიუძღვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ალექსანდრე I დიდის დროს მოხდა, იყო თბილისის დაცემა, რომელიც ყარაყინლუს (შავბატქინიანები) ფადიშაპის გარა იუსტიციის ძის, ჯვან შაპის, შემოსევას უკავშირდება. თოვგმა მეწოფეცის მიხედვით ჯვან შაპი საქართველოში შემოიჭრა, ჯერ სამშვილდე აიღო და ხალხი გაწყვიტა, ხოლო შემდეგ დაიკავა ქალაქი თბილისი და მოთხარა ყველა – ძველი და ახალი ეკლესია.

ძირითადად, სწორედ ამ ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრეს „დიდის“ წოდება, არა იმდენად მისი პოლიტიკური აქტივობიდან, არამედ მისი მშენებლობითი მოღვაწეობიდან გამომდინარე უნდა დარქმეოდათ.

მიუხედავად თოვგმა მეწოფეცის ინფორმაციისა, ვინც აღწერილი ამბების თანამედროვეა, სხვა ავთენტური სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე (ძირითადად სომხური ანდერძმინაწერები და XV ს. მცირე ქრონიკები) ქალაქ თბილისის დაცემა არ დასტურდება. ანალოგიური შეიძლება ითქვას აღმოსავლური და ქართული წყაროების შესახებ, რომლებიც ასევე არ ადასტურებენ ჯვან შაპის მიერ თბილისის დაპავებას.

თოვგმა მეწოფეცი, მისი ნაწარმოებში, ხშირად უარყოფით კონტექსტში იხსენიებს ქართველებს, რაც იმ რელიგიური წინააღმდეგობის შედეგია, რასაც ადგილი აქვს სომეხ-მონოგიზოგებსა და ქართველ-მართლმადიდებლებს შორის. შუა საუკუნეებში რელიგიური კუთხინილება განსაზღვრავდა კავკასიაში მოსახლე ხალხის ეროვნულ რაობას, ამდენად, თოვგმასა და მისი მომხრეების ანტიქროტული პოზიცია, სომხებში ქართული მრწამსის გავრცელების ფონზე, მათი ეროვნული ინტერესების დაცვად აღიქმებოდა.

თოვგმა მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ალექსანდრე დიდის მიმართ, რომელიც სომხებში ქართულ-მართლმადიდებლური მრწამსის გავრცელების ხელშემწყობია.

ამგვარად, თოვგმას საქმაო საბაბი პქონდა იმისთვის, რომ ქართველებისა და მათი მეცის დისკრედიტაცია მოხედინა სომხების თვალში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც როგორც ის თავად წერს, სომხები ყოველთვის ქართველებზე ვამყარებთ იმედს და ამას შეცდომად უთვლის თანამემამულეებს. თოვგმას სურს, ქართველების დისკრედიტაცია მოახდინოს სომხების თვალში, რის გამოც ის ყალბად აღნიშნავს იმ ფაქტს, თითქოს

როდესაც ჯპან შაჰმა თბილისი აიღო, ქართველებმა ერთი კაცის მოკვდაც ვერ მოახერხეს და ქალაქი მათივე შეიძლებოან ერთად მტერს შეატოვეს ხელშიო. რეალურად, ჯპან შაჰს 1440 წელს არც თბილისი აუდია და არც იქ მდგბარე ეპლესიები მოუთხრია ძირფესვიანად.

ჯპან შაჰის შემოსევის შედეგად, შაგბატენიანებმა, მხოლოდ სამშეილდე აიდეს და ისიც დაახლოებით ოთხთვიანი მძიმე ალყის შემდეგ, რომელიც დაახ. 1440 წლის მარტიდან იგნისამდე გრძელდებოდა. შედეგად, ალექსანდრე მეფემ ტყვეებისა და შესაძლოა თავად ქალაქის გამოსახსნელად, გადაიხადა 400 000 დინარი (ცნობა თანხის შესახებ დაცულია ალ. მაზანდარანთან), თუმცა ეს არ ყოფილა ყოველწლიური ხარაჯა, რასაც შაჰი ითხოვდა შემოსევამდე. ჯპან შაჰის მორიგი დაშქრობა 1444 წელზე მოდის, რაც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით უშედეგოდ დასრულდა.

### მიზანი მახარაძე ხოგიერთი მოსახურება ტრაპიზონის გოლო უფლისწულის შესახებ

1473 წელს თერჯანში ერთმანეთს დაუპირისპირდა უზუნ ჰასანის თეორბატენინთა და ოსმალეთის მძლავრი იმპერიები. თერჯანის ბრძოლაში ქართველები და სხვა ქრისტიანებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა ურჯულო ისაკი, რომელიც უზუნ ჰასანის შვილ ზეინალ მირზასთან ერთად თერჯანის ბრძოლაში დაიღუპა. ამ პიროვნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა მკვდევართა შორის. მინორსკის აზრით, რადგანაც ამ პიროვნებას „ურჯულო ისაკი“ ეწოდება, იგი ბერძენად მიაჩნია. თურქი მკვდევარი ისმაილ ჰაქი უზუნჩარშილი კი მას ქართველ სარდალს უწოდებს.

ქართველი მკვდევრებიდან ამ საკითხს შეეხენენ ვჩოჩიევი და ვკინაძე. ორივე ავტორი ვ.მინორსკის მოყვანილ მუნეჯიმ ბაშის ცნობას ეყრდნობა. ვ. ჩხრიევი გამოოქამს ვარაუდს, რომ „ურჯულო ისაკი“ შესაძლებელია სამცხე-საათაბაგოს წარმომადგენელია, რაც მიუთითებს აღნიშნული ტერიტორიის წარმომადგენლის ბრძოლაზე ოსმალთა წინააღმდეგ. თუმცა, მკვდევარი აქვე აღნიშნავს, რომ გადაჭრით ამის მტკიცება შეუძლებელიათ. ურჯულო ისაკის ბრძოლაში დაღუპვის შესახებ მოგვითხრობს მეორე ოსმალო ისტორიკოსიც მეტედ ნეშრი.

ვინ შეიძლება ყოფილიყო ურჯულო ისაკი?

ხომ არ არის შესაძლებელი იგი მართლაც ბერძნი, ან სულაც ტრაპიზონის სამეფო კარის წარმომადგენელი ყოფილიყო?

მიუვეთ ტრაპიზონის დაცემის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

1461 წელს სინოპის დამორჩილებისა და უზუნ ჰასანის დამარცხების შემდეგ ოსმალეთის სულთანმა ალყა ტრაპიზონის იმპერიას შემოარტყა. მექად II-ს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამ ტერიტორიის თავის სამფლობელოში შევვანა. მიუხედავად უზუნ ჰასანის დედის, სარა ხათუნის, დიდი მცდელობისა გადაეფიქრებინა მექადისათვის ტრაპიზონის აღება, უშედეგოდ დამთავრდა. სარა ხათუნის წინაშე დადგა საკითხი რამწაირად გადაერჩინა კომნენტოსთა საგვარეულო, რომელიც შემდგომში ოსმალების წინააღმდეგ დასაყრდენი ძალა გახდებოდა. თეორბატენიანთა წარგზავნილმა წერილით მოუწოდა, ტრაპიზონის მეფე დავითს, რომ სულტანს დანებებოდა. თავის მხრივ, სულტანი პირობას დებდა, რომ ანატოლიაში უბოძებდა გარკვეულ ტერიტორიას საბართავად. მეფეს სულტანთან დანებებას ურჩევდა ამირიციუსი, ფლორენციის უნიისმომხსრე, რომელსაც დავითი ენდობოდა. რანსიმენის გადმოცემით, დავითს მოუთხოვია ისეთივე ტერიტორიული სივართოვის გამგებლობა, როგორიც ტრაპიზონის სამეფოს ფართი იყო. მექად II განარისხა, იმპერატორის მეუღლის, ელენეს საქართველოში გაქცევამ, ამიტომ სულთანმა დაუყოვნებლივ მოითხოვა ქალაქის ჩაბარება. 1461 წლის 15 აგვისტოს ოსმალეთის სულტანი უბრძოლველად შევიდა ტრაპიზონში.

1463 წელს უზუნ ჰასანის მეუღლე და დავითის მმიშვილი დესპინე წერილს უგზავნის ტრაპიზონის მეფეს, რომ მისი ძმა ალექსი ან რომელიმე მისი შვილი გამოგზავნოს მასთან. ამის უმთავრესი მიზეზი კი ტრაპიზონის სამეფოს მემკვიდრის გაზრდა იყო. დავითის ერთგულმა გიორგი ამირიუცუსმა თავისი პატრონი მექად II-სთან დააბეჭდა. განრისხებულმა სულტანმა ბრძანება გასცა, კომნენტოსთა გვარი სიკვდილით დაესაჯათ. 1463 წლის 1 ნოემბერს დავითის ექვსი ვაჟი და მთიშვილი ალექსი სიკვდილით დასაჯეს.

დავით კომნენტს დარჩა ორი შვილი, ანა და გიორგი. ანა სულტანის ჰარემში იმყოფებოდა. შემდეგ იგი მიათხოვეს მაკედონიის მმართველს, ზარაგოს-ფაშას. მას ძალდატანებით მიაღებინეს ისლამი. მაგრამ ანამ შეძლო, რომ დაბრუნებულიყო ტრაპიზონში, სადაც დააარსა დასახლება, რომელსაც ეწოდა მისი სახელი – კირ-ანა და ააშენა ექლესია.

დავით კომნენის მეორე შვილი გიორგი სამი წლისა იყო, როდესაც მეპმედ II-მ დაიმორჩილა ტრაპიზონი. გიორგი თავიდანვე მუსლიმურ რჯულზე მოაქციეს და იანიჩართა კორპუსში ჩარიცხეს. როგორც ლაონიკ ხაკოკონდილი გადმოგცემს, „რელიგიის შეცვლამ ის სიკვდილს გადაარჩინა“.

რანსიმენის გადმოცემით, ბოლოს გიორგის დართეს ნება უზუნ ჰასანთან წასულიყო, საიდანაც ის გაიქცა თავის დასთან საქართველოში, კვლავ ქრისტიანობაზე მოექცა და ცოლად მოიყვანა ერთ-ერთი თავადიშვილი. ამის შემდეგ წყაროები გიორგის შესახებ იკარგება.

მიუხედავად იმისა, რომ იქარგება გიორგი კომნენოსის ისტორია, იორგას მოეპოვება ცნობა, რომლის მიხედვითაც ის იბრძვის ოსმალების წინააღმდეგ, იორგა გადმოგვცემს, რომ დავით კომნენის შვილი, რომელიც ოსმალეთიდან წამოსვლის შემდეგ უზუნ ჰასანს შეეფარა, თერჯანის ბრძოლაში ქართველების ჯარს მეთაურობს. სწორედ აქ შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო „ურჯულო ისაკი“. შესაძლებელია იგი დავით კომნენის გადარჩენილი ვაჟი გიორგია, რომელიც უზუნ ჰასანისაგან საქართველოში დაბრუნდა თავის დასთან. აქ მან ცოლი შერირთო, ხოლო თერჯანის ბრძოლაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტრაპიზონის სამეფო ტახტის აღდგენა იყო, იგი ქართული ჯარის მეთაურად გვევლინება.

## ნანა გელაშვილი საარსული საისტორიო თხზულებები შაჲ-თამაზ I-ის ანდერძის შესახებ

სეფიანთა ირანის შაჲის თამაზ I-ის (1524-1576) ანდერძის შესახებ წერილობით წყაროებში აზრთა სხვადასხვაობაა. შესაბამისად, არც სამეცნიერო ლიტერატურაშია დაფიქსირებული გამოკვეთილი თვალსაზრისი ამის თაობაზე. საკითხი განსაკუთრებით იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ის დედით ქართველი უფლისწულის – პედარ მირზას სახელს უკავშირდება.

შაჲ თამაზ I-ის ნახევარსაუკუნოვანი ზეობის ბოლო პერიოდში სამეფო ტახტის პრეტენდენტთა ორი დაჯგუფება

გამოიკვეთა: 1. უფლისწულ ისმაილის მომხრეები, რომდებიც წარმოდგენილი იყვნენ ყიზილბაშური ტომებით და ირანში აღზევებული ჩერქეზებით, 2. ჰეიდარის მომხრეთა დაჯგუფება, რომელსაც სათავეში ედგნენ ირანში დამკვიდრებული გამუსლიმებული ქართველი დიდებულები, უპირველეს უოვლისა, ჰეიდარის ნათესავები დედის მხრიდან. ისმაილი იმ ჰეიროდში, შაჰის ბრძანებით, საპყრობილები იყო გამოკეტილი, შაჰ თამაზის უფროსი ვაჟი მჟამადი კი სამეფო ტახტის პრეტენდენტად არ აღიქმებოდა, ვინაიდან ის უსინათლო იყო. ასე რომ, არსებულ ვითარებაში ირანის სამეფო ტახტის ერთადერთ რეალურ კანდიდატად ჰეიდარი ჩანდა.

სპარსული, ქართული, ვეროპული წყაროები ცალსახად აღნიშნავენ, რომ შაჰ თამაზის, თავის შვილებს შორის, ჰეიდარი გამორჩეულად უყვარდა. ამის საილუსტრაციოდ მათ არაერთი მაგალითი მოჰყავთ. თუმცა, ზოგიერთი ევროპული წყაროს (თომაზო მინადოის, დალესანდრის) ცნობით, შაჰ თამაზი ტახტის მემკვიდრედ ისმაილს თვლიდა. განსხვავებული აზრისაა ადამ ოლეარიუსი, რომლის ინფორმაციით, შაჰ თამაზის ანდერძის თანახმად, ირანის მომავალ შაჰად ჰეიდარი იყო გამოცხადებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო XVI საუკუნის სპარსულ საისტორიო წყაროთა მონაცემები, რომელთა ავტორები მათ მიერ აღწერილ მოვლენათა თანადამხმარენი და ზოგ შემთხვევაში თვითმხილველიც იყვნენ; ჰასან რუმლუს და ბუდა ყაზვინის ცნობით, ანდერძი, რომელიც შაჰის სიკვდილის შემდეგ აღმოაჩინეს, ჰეიდარის და მისი ქართველი დედის მიერ იყო შედგენილი. შერეფ-ხან ბითლისი კი აღნიშნავს, რომ შაჰ თამაზის ტახტის მემკვიდრე ჰეიდარი იყო. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, რომელიც განსაკუთრებით ვრცლად ეხება ჩემთვის საინტერესო მოვლენებს, შაჰ თამაზმა ნამდვილად შეადგინა ანდერძი, რომელშიც მის მემკვიდრედ ჰეიდარი იყო დაფიქსირებული. მაგრამ შაჰ თამაზის გარდაცვალების დამეს (1576 წლის 14 მაისი) სასახლეში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შედეგად ჰეიდარი ვერაგულად იქნა მოკლული ისმაილის მომხრეთა მიერ. ამის შემდეგ მათ ციხეში მყოფი ისმაილი გაათავისუფლეს და ამ უკანასკნელმა ირანის სამეფო ტახტი დაიკავა.

სხვადასხვა წერილობითი წყაროს მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის, ასევე ირანში იმხანად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სარწმუნოდ ჩანს, რომ შაჰ თამაზმა თავის ანდერძში სწორედ ჰეიდარი დასახელა თავის მემკვიდრედ. გარდა იმისა, რომ მას

გამორჩეულად უკვარდა პეიდარი და მისი დედა – ქართველი სულთან ზადე სანუში, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შაჲ თამაზის ზეობის ბოლო პერიოდისათვის ირანში საქართველო მტკიცე პოზიციები და გავლენა პქონდა მოპოვებული კავკასიურ ეთნიკურ ელემენტს, განსაკუთრებით ქართველებსა და ჩერქეზებს. შაჲ თამაზი ამას უთუოდ გრძნობდა და ითვალისწინებდა კიდეც თავისი მემკვიდრის შერჩევის დროს. ზემოხსენებული წეროები ხაზს უსვამს, რომ სწორედ კავკასიელები (ჩერქეზები და ქართველები) ედგნენ სათავეში სეფიანთა სამეფო კარზე გამართულ ბრძოლას ერთმანეთის პირისპირ. აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებულობა შაჲის პარემშიც არსებობდა ქართველ და ჩერქეზ ქალებს შორის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დინასტიურ ბრძოლაში. მართალია, ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ზემოხსენებული პოლიტიკური ბატალიებით დიად გაცხადდა, რომ მათ უკვე პქონდათ საიმისო გავლენა და ძალა, რომ თავიანთი შესაძლებლობები ისეთ მაღალ დონეზე მოესინჯათ, როგორიც სეფიანთა ირანის უზენაესი ხელისუფლება იყო.

## თუა ძარჩაზა, თუა ფითლანაძე მგროპა – ოფომანების ურთიმრთობის ზოგიერთი ასპექტი

მრავალწახნაგოვანი სულიერი რევოლუცია, გაჯერებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-ეთიკური ფაქტორებით – რეფორმაცია ქრისტიანულ სამყაროში ატენილ დავად მიიჩნევა. ევროპულმა ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა იომეს და დადეს რელიგიური ზავები მისი სახელით, რის შედეგადაც ევროპის რელიგიური და პოლიტიკური რეგია საკმაოდ შეიცვალა. თუმცადა, რიგმა ფაქტორებმა განაპირობებს ოტომანთა იმპერიის სიახლოეს პროტესტანტულ სამყაროსთან.

ლუთერი, ცნობილი თავისი გამოხატულად მწვავე დამოკიდებულებით პაპისადმი, გლეხებისადმი, ებრაელებისადმი, შედარებით ზომიერად მოიხსენიებს თორმანებს თავის თხზულებაში - ”თურქებთან ომის შესახებ”. ტექსტში ცველგან ჩანს უხალისო პატივისცემა მმართველისადმი, რომელიც იყო დაუძინებელი მტერი მისი დაუძინებელი მტრებისა – პაპის და იმპერატორ კარლ V-ის, მათი, ვინც პირობა დადეს, რომ აღმოფხვრიდნენ სქიზმას კათოლიკურ ეკლესიაში. შემდგომა რეფორმატორებმაც გამიეორეს ეს ორაზროვანი პოზიცია ოტომანებთან დაკავშირებით, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ

თურქები წარმოადგენდნენ საშინელ საფრთხეს ქრისტიანული სამყაროსათვის, ეს მაინც იყო კათოლიკური სამყარო პაპით სათავეში. მთავარი პარადოქსი რეფორმაციული ხანის და ოტომანებთან ურთიერთობის განსხვავებული დამოკიდებულებისა, ამაში მდგომარეობდა.

ბევრ პროტესტანტი მიიჩნევდა, რომ ოტომანებზე ყურადღების გადატანამ გადაარჩინა ისინი აღგვისგან პირისაგან მიწისა. ეჭვებარეშეა, რომ ოტომანთა საფრთხემ, ისევე როგორც დინასტიურმა პრეტენზიებმა და პოლიტიკურმა ამბიციებმა, რაც გამოჩნდა იტალიური ომების ხანაში, ჩამოაშორა კარლ V მისი გაცხადებული სურვილისაგან - პროტესტანტული ამბოხის სამუდამოდ აღაგმვისგან.

თუ იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების აღზევება ევროპული ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ დაქუცმაცებას წინასწარმეტყველებდა, მარტინ ლუთერის 99 თეზისის გამოქვეყნებამ 1517 წელს გამოავლინა და სიმბოლიზირება გაუკეთა მის იდეოლოგიურ ფრაგმენტაციას, რითაც შეუძლვა დასავლეთ ევროპას რელიგიური ომების ეპოქაში.

კარგად ინფორმირებული სულთნის კარი იყენებდა ქრისტიანულ სამყაროში დაწყებულ სქიზმას. მისი ექსპედიციები უნგრეთსა და ტრანსილვანიაში აშკარად დადასტურებაა ოტომანების ჩართვისა რელიგიურ წინააღმდეგობაში. ამაზე მეტყველებს, სულეიმან II წერილიც გერმანელი პროტესტანტი მთავრებისადმი, რომელშიც მოუწოდებდა მათ, ეთანამშრომლათ საფრანგეთის სამეფოსთან კარლ V-ის წინააღმდეგ.

მართალია, XVI საუკუნეში ევროპისთვის ისლამური საფრთხე იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ოტომანთა იმპერია აღიქმებოდა ქრისტიანთა მდევნელად, თუმცა, მეორე მხრივ, ის იქცა თავშესაფრად დევნილთათვის რელიგიური ომებით გახლეჩილი და, შესაბამისად, არატოლერანტული ევროპიდან. არსებობდა უფსკრული იდეოლოგიურ და სოციალურზე საფუძველზე. არ არსებობდა მდგრადი კავშირები ქრისტიანულსა და მუსლიმურ მსოფლმხედველობას შორის. თუმცადა, ადრეული ახალი დროისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური და პოლიტიკური კონიუქტურით ნაკარნახევი რიგი საერთო ინტერესებისა ყოველთვის აწონასწორებდა ამ უფსკრულს.

## მდგრადი თევზორე და ივან სუსანინი: მითი თუ რეალობა?

„ახალი ქართლის ცხოვრება” მოგვითხრობს მდგრად თევზორეს გმირობის ამბავს, ომელმაც ქართლის მეფე ლუარსაბ II (1605-1615) ყირიმელი თათრების

მოულოდნელი თავდასხმისაგან გადაარჩინა.

მოხსენებაში გაანალიზებულია როგორც ამ ცნობის დეტალები, ასევე მისი მსგავსი ამბავი, რომელიც, თითქოსდა იმავე პერიოდის რუსეთის ისტორიაშიც მოხდა. რუსული ვერსიის თანახმად, კოსტრომელმა გლეხმა ივანე სუსანინმა პოლონელთა და ლიტველთა მოთარეშე რაზმის თავდასხმისგან იხსნა რომანოვთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი მიხეილ თევზორეს ძე (1613-1645). როგორც კვლევამ გვაჩვენა, ივანე სუსანინის შესახებ საუბარია ერთადევრთ წერილობით წყაროში, კერძოდ კი, მიხეილ თევზორეს ძის 1619 წლის სიგელში, სადაც ეს უკანასკნელი, წინა წლების ამბებს ზოგადად უკვება და გაპვრით ახენებს ივანე სუსანინის თავდადებას მისი პერსონისათვის.

როგორც აღმოჩნდა, მეფის ეს სიგელი მხოლოდ ზოგად და დაუზუსტებელ ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ, მიხეილ თევზორეს ძე არსად არ ახენებს გმირობის ზუსტ ადგილს, ან იმას, სად იმყოფებოდა თვითონ ის ამ დროს, რატომ გახდა საჭირო მისი გადარჩენა, მერის რა ძალასთან პქონდა შეხება სუსანინს და ა.შ. (მით უფრო, რომ ამ პერიოდში ე. 1613 წლიდან, ლიტველთა და პოლონელთა სერიოზულ შემოჭრას რუსეთის ტერიტორიაზე ადგილი ადარ პქონია).

მართლაც, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსები ნიკოლოზ კოსტრომაროვი და ვასილი კლუჩევსკი ეჭვით ეკიდებოდნენ რუსეთის მეფის ამ ზოგად ცნობას. რაც შეეხება ეპისკოპოს კირიონს, (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი), მას მიაჩნია, რომ ივანე სუსანინის ამბავი რუსეთში გავრცელდა „ახალი ქართლის ცხოვრების” გავლენით და მიბაძვით.

წვენი კვლევის თანახმად, გამორიცხული არ არის მიხეილ თევზორეს ძეს მართლაც გაეგო ქართლში მოარული ამბავი თევზორე მდგდლის გმირობის შესახებ (გახშირებული ელჩობების მეშვეობით) და სიამოვნებით გამოეყენებინა ეს ისტორია საკუთარი მიზნებისათვის. მით უმეტეს, რომ ახლად გამეფებულ რომანოვებს მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება სჭირდებოდათ. გამოკვლევაში ვაჩვენებთ, რომ ივანე სუსანინის გმირობის ისტორია მრავალი შეუსაბამობის შემცველია, რომელთა გასწორება და შეეხება მე-19 ს. რუსმა „პატრიოტმა” ისტორიკო-

სებმა სცადეს და მიხეილ თევდორეს ძეს „მიეხმარნენ“ ტექსტის დაზუსტებაში.

### დალი კანდელაპი, გრატერინგ რაისნერი არინც მრავლას ცხოვრება და დღივანდელი საჩართველოს მოკლე ისტორია

1793 წელს ფლენსბერგსა და ლაიპციგში გამოქვეყნდა ნაშრომი „პრინც ერეკლეს ცხოვრება და დღევანდელი საქართველოს მოკლე ისტორია“. ნაშრომის ავტორი უცხობია. წიგნის შესავალ ნაწილში გამომცემელი აღნიშნავს, რომ „მიმოხილვა გრაფ იეკას (თუ ჯეპას? – დ.კ.; ე.რ.) მიერ შეგროვილი წეაროვებიდანაა წარმოდგენილი, რომელიც ელიას ჰაბერგის სახელით ფრანგულ ენაზე დაწერილი სხვადასხვა ნაშრომით გახდა ცნობილი. ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეჭვი შევიტაროთ ამ ცნობების ავთენტურობაში, რადგანაც გრაფი გარკვეული დროის მანძილზე რუსეთის, თურქეთის, საარსეთისა და თავად საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდა, მრავალი ამბის თვითმხილველი გახლდათ და, სავარაუდოდ, საშუალება პქონდა, ისეთ მოვლენებში გარკვეულიყო, რომლებიც ალბათ ნაკლებად მნიშვნელოვანი პირისათვის უცხობი დარჩებოდა. რადგან ჩვენ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ასე მცირე ინფორმაციას ვფლობთ, ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი დამატებებისა და ზედმეტი შელამაზების გარეშე დაწერილი ეს მცირე ნაწარმოები გერმანული საზოგადოებისათვის არც თუ ისე უინტერესო უნდა იყოს.“

1930 წელს ქურნალში „Caucasica“ გამოქვეყნდა ფრიდრიხ ბაუმპაუერის სტატია „ანონიმური თხზულება ქართველ პრინც ერეკლეზე“. გერმანელი მეცნიერი ნაშრომის ანალიზისას აკეთებს დასკვნას, რომ ავტორი იაკობ რაინგებია. ამის საფუძველს წიგნში მოყვანილი ფაქტებისა და იაკობ რაინგების ბიოგრაფიული მასალების შედარება აძლევს.

ნაშრომში მეტად საინტერესო ცნობებია ერეკლე II-ის მეფობის პერიოდის საქართველოს შესახებ.

## ელითი გოგია შვილი

მოგზაურთა ძრონიპები როგორც მედიუმი ეპორაასა და “უცხო შვებანას” შორის („პრინც პერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მარტივობის მოკლე ისტორია“ 1793)

1793 წელს ლაიპციგში გამოცემული 54-გვერდიანი წიგნი “პრინც პერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის მოკლე ისტორია” ისტორიული ქრონიკაა, რომელიც გრაფ იეკას, იმავე ელიას პაბესკის (ლიას აბესცი) დოკუმენტური მასალების საფუძველზეა დაწერილი. წიგნის ავტორად მიჩნეულია პერმან პერინისი, რომელიც, სავარაუდო, ინფანტერიის ოფიცერი იყო და, გარდა ამ ნაშრომისა, გამოქვეყნებული აქვს “ტაქტიკური სახელმძღვანელო მსუბუქი ინფანტერიისათვის” (1795).

აგვიტის განმარტებით, გრაფი იეკა ანუ ელიას პაბესკი გარევული დროით იმყოფებოდა რუსეთის, ოსმალეთის, ირანისა და საქართველოს სამეფო კარზე და მრავალი ფაქტის თვითმხილველი იყო.

იმდროინდელი ევროპელი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო ცნობები ქართველი მეფისა და საქართველოს შესახებ, რადგან ავტორი შეეცადა, მრავალმხრივი ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისთვის.

წიგნი იწყება მე-18 საუკუნის საქართველოს მდგომარეობის აღწერით, რომელშიც შედის: ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა, ირანისა და ოსმალეთის შორის საქართველოზე გავლენის სფეროების განაწილება, უფლისწულებს შორის უთანხმოება, მოსახლეობის რაოდენობრივი კლება ომებისა და ავადმყოფობების გამო, ტყვეთა სყიდვის პრობლემა და სხვა. ამის შემდეგ მოდის საკუთრივ ერეკლე მეორის მეფობის აღწერა: მისი ტახტზე ასვლის შემდეგ უფლისწულ აღექსანდრეს წინააღმდეგობა და მისი თავგადასავალი, ერეკლე მეორის სამხედრო ინტერესები, ქვეყნის გაძლიერება და ევროპული ორიენტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ძირითადად პოლიტიკურ ამბებს ეხება, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყნის ეთნოგრაფიულ აღწერასა და მოსახლეობის ხასიათისა და წეს-ჩვეულებების გადმოცემას.

დღეგანხდელ ევროპულ მეცნიერებაში სადათ არ არის, რომ ევროცენტრული თვალსაზრისით სხვა სამყარო ეგზოტიკურად არის აღქმული.

ახალი ეპოქის სამოგზაურო ლიტერატურა კვლევის ფართო სპეციალის შლის პუმანიტარული მეცნიერებებისთვის. ის წარმოადგენს, ერთი მხრივ, წყაროს მოგზაურობის ისტორიის

შესასწავლად, მეორე მხრივ, სამყაროს სურათის აღქმის ქრონიკას სხვადასხვა ეპოქაში. ეს წიგნები როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალება მედიუმის როლს ასრულებდა, რადგან განსაზღვრულ პერსპექტივებს სთავაზობდა მკითხველს და გარკვეულწილად მოძვრავდა კიდევ მას – რას უნდა დაკვირვებოდა მოგზაურობისას.

“პრინც პერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის მოკლე ისტორია” არის ერთ-ერთი ოვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორია ევროპელთა დამოკიდებულება „უცხოს“ მიმართ. მასში ჩამოყალიბებულია ავტორის ტიპური ევროცენტრისტული პოზიცია – პოზიტიური დამოკიდებულება ერეკლე მეორის მიმართ მისი ევროპული ორიენტაციის გამო.

## გთხვილ ძურდიანი

ლინგვო-ქვეყანათმცოდნეობითი ეტიუდები I. კაპპასია:  
ჩერხეთ-დაღუსტნის იმამატი, როგორც ნაზგადიათა სუჟიური  
ორდენი

ჩეჩნეთ-დაღუსტნის იმამატი სპეციალურ და საცნობარო  
ლიტერატურაში დახასიათებულია, როგორც თეოპრატიული  
ტიპის ისლამური სახელმწიფო. ეს დახასიათება პრინციპულ  
დაზუსტებას საჭიროებს.

დაღუსტნისა და ჩეჩნეთის პირველი იმამი (1828-1832) იყო  
დაზი-მაკომედი (1795-1832), მეორე (1832-1834) – ჰამზათ-ბეგი (1789-  
1834), მესამე და უკანასკნელი (1834-1859) – შამილი (1797-1871).  
მეცნიერთა ერთი ნაწილი სწორებ მას მიაწერს იმამატის შექმნას  
(1841). ეს დებულებაც საჭიროებს დაზუსტებას.

ლინგვო-ქვეყანათმცოდნეობითი მიღომა იძლევა ორივე ამ  
პრობლემის ცალსახა გადაწყვეტის საშუალებას

ჩეჩნეთ-დაღუსტნის იმამატის (ხუნდ. იმამ· ი) როგორც თავად  
სოციალური სტრუქტურა, ასევე მისი აღმნიშვნელი მთელი  
ტერიტორიულობიაც სუფიური, კერძოდ სუნიტთა ნაყშბანდიური  
ორდენის რეპროდუქციას წარმოადგენდა:

1. იმამატის სათავეში იდგა **იმამი** – ამ ტერმინის  
ნაყშბანდიური მნიშვნელობით (სუნიტებთან იმაში საერთო  
ლოცვის ხელმძღვანელია, შიიტებთან ორდენის უცოომელი  
სულიერი მეთაური, მარლომორწმუნებთა მბრძანებელი, რომლის  
ტიტულიც მემკვიდრეობით გადაეცემა) – ნაყშბანდიებთან ის  
ორდენის მეთაურია, მარლომორწმუნებთა მბრძანებელი (შიიტური  
გაგება), მაგრამ მისი ტიტული (resp. თანამდებობა) არჩევითია და  
მემკვიდრეობით არ გადაეცემა (სუნიტური მიღომა). ამ  
მნიშვნელობით დამკვიდრდა ეს ტერმინი ნახურ-დაღუსტნურ  
ენებშიც: დაღუსტნური (resp. ხუნდური) იმამ „id.”; ჩეჩნური იმ· ზ  
„id.”. იმამი შამილი კისიტოლებებში თავს სწორებ  
“მართლმორწმუნებთა მბრძანებლად” მოხსენებდა.

2. ნაიბ-ი სუფიური ორდენის მეთაურის (იმამის) მოადგილეა,  
მისი წარმომადგენელია რეგიონში. მანამდე სახანოებად  
არსებული ჩეჩნეთ- დაღუსტნი შამილმა სანაიბოებად დაჰყო:  
ანდალალის სანაიბო, არადერხის სანაიბო და ა. შ. მათში მან,  
როგორც ორდენის მეთაურმა, თავისი მოადგილეები – ნაიბები  
დასვა და ადგილობრივ, ძირძველ არისტოკრატიას დაუპირისპირა.  
დაღუსტნური (resp. ხუნდური) ნაიბ „id.”; ჩეჩნური ნაიბ „id.”.

3. მურიდ-ი სუფიური ორდენის მეთაურის მოწაფეა,  
“მორჩილია”, რომელიც თავისი მოძღვის – იმამის (შეიხის,

მურშიდის) მიმდევარია. ძირითადად ამ მნიშვნელობითვე დამკვიდრდა ეს ტერმინი ნახურ-დაღესტნურ ენებშიც, მაგრამ დამატებით შეიძინა რჯულისთვის მეომრის დატვირთვაც : დაღესტნური (resp. ხუნძური) მურიდ “იმამის, შეიხის მიმდევარი, მეომარი”; ჩეჩნური მურდ “id.”.

**4. თაიფა** ამ არაბული სიტყვის მნიშვნელობაა “ნაწილი”, “წილი”, მაგრამ სუფიურ ტერმინოლოგიაში ის ნიშნავს “სუფიურ ორდენს” (resp. “სუფიურ საძმოს”, “სუფიურ თემს”). ამ სუფიური ტერმინის მნიშვნელობა ნახურ-დაღესტნურ ენებში ასე აისახა დაღესტნური (resp. ხუნძური) თაღფა “ჯიში, ტომი, გვარი,”; ჩეჩნური თაღფა “id.”. შესაბამისად ხუნდ. თაღფადულ და ჩეჩნ. თაღფანაზ ნიშნავს: “გვარისა”, “ტომისა”, “ჯიშისა”. იმამატის დროიდან მოყვლებული, ჩეჩნური დასახლებები თაიფურ უბნებს (საძმოებს, შდრ. სვან. სამხურ. სიტყვიდან მუხბე “მმის ძმა”) წარმოადგენდნენ, XIX საუკუნის ჩეჩნეთში 135 თაიფი ანუ საძმო იყო. თაიფა რომ სწორედ სუფიური და არა რაიმე სხვა მნიშვნელობით იყო გაგებული ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამატში, ამაზე ცალსახად მეტყველებს ჩეჩნური გამოთქმა: “თაიფა—ადათის ციხე-სიმაგრეა”.

**5. სილსილა** ამ არაბული სიტყვის მნიშვნელობაა “ჯაჭვი”, მაგრამ სუფიურ ტერმინოლოგიაში ის ნიშნავს “სულიერი მეტკვიდრეობითობის ჯაჭვს”, “სულიერ გენეალოგიას”. ამ სუფიური ტერმინის მნიშვნელობა ნახურ-დაღესტნურ ენებში ასე აისახა დაღესტნური (resp. ხუნძური) სილსილა “გენეალოგიური ხე”, “წარმომავლობა”; ჩეჩნური სილსილა “id.”. ქისტურად ეს ტერმინი, ისევე, ქართულის მსგავსად, გამოითქმის როგორც სინსილა. მაგ.: შე მოდლ სინსილ “თქვენ გაგიწყდეთ სინსილა”. ნაყშბანდიათა სუფიურ ორდენში თრი სილსილაა, ერთი — სილსილათ აზ-ზაჰაზ (“ოქროს ჯაჭვი”) ეს არ ორდენის დამაარსებლიდან მუპამადამდე (ნაყშბანდიათა შიიტურ მაჟაბში ალიმდე) აღმავალი ხაზი და სილსილათ ათ-თარბია (“აღზრდის ჯაჭვი”) ორდენის დანაარსებლიდან მოქმედ შეიხამდე (იმამამდე) დაღმავალი ხაზი. თაიფას წევრებმა ზეპირად იციან ეს გენეალოგიები, მათი ყოველდღიური გამეორება წარმოადგენს სუფიური ორდენის წევრთა (resp. საძმოს) რელიგიურ რიტუალთა ნაწილს. და სხვ.

შამილის ეპისტოლეთა შემონახული ნიმუშები (1846-1851) მოწმობენ, რომ იმამი შამილი თავის წერილებს ნაიბებისადმი, როგორც წესი იწყებს უმნიშვნელოდ ვარირებადი ფორმულით, რომელშიც ის მათ, მასავით ნაყშბანდიათა სუფიური ორდენის

წევრებს, ურდვევი სუფიური ტრადიციის თანახმადვე ყოველთვის და უგამონაკლისოდ მოიხსენებს მმებად: “ძართლმორწმუნება მმრძანებელ შამილისგან მის ძმას ნაიბ N-ს – მშვიდობა თქვენდა.” (შამილის ასი წერილი, 1997).

ამილის, როგორც სუფიური ორდენის წევრის, სულიერი მოძღვარი იყო ჯამალუდინ ყაზიუმუჟებელი (გარდ. სტამბოლში 1886 წ.) ნაქშბანდიელთა ორდენის შეიხი, მან არაბულად დაწერა წიგნი “ალ-ადაბ ალ-მარდინა” (1847), მურშიდისა (სუფიური ორდენის მეთაურის ან ხანაგის წინამდღვრის) და მურიდის (მოწაფის ან მორჩილის) ურთიერთობის ზნეობრივ-ეთიკური საფულებისა და რეგლამენტირების შესახებ, რომელიც სამჯერ იქნა გამოცემული ორიგინალის ენაზე (პეტროვსკი 1905; თემირ-ხან-შურა 1908; ოქსფორდი 1986), ორჯერ გამოიცა მისი არაადგევატური რუსული თარგმანი (თბილისი 1869; ოქსფორდი 1986).

ლინგვო-ქვეყანათმცოდნეობითი ანალიზი იძლევა შემდეგი დსაკვნების გაკეთების საფუძველს:

1. ჩეჩნეთ-დალესტნის იმამატი წარმოადგენდა თავისი იერარქიული სტრუქტურითა და არსებობის ფორმით სუნიტური კონფესიის ნაქშბანდიათა სუფიურ ორდენს (თაიფა).

2. ჩეჩნეთ-დალესტნის იმამატი შეიქმნა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ცალკეულ ნაქშბანდიურ თემთა ერთ სუფიურ ორდენად კონსოლიდაციის გზით და მის თანადროულად ანუ 1828 წელს.

ნაქშბანდიათა სუფიური ორდენი, თავისი სახელწოდებით მუჰამად ბინ მუჰამად ბაჰაადდინ ან-ნაფშბანდის (1318-1389) უკავშირდება, თუმცა ჯონ სპენსერ თრიმინგემი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაქშბანდიური ტრადიცია (არც სუნიტური და არც შიიტური) არ მიიჩნევს ბაჰაადდინ ან-ნაფშბანდის ამ თარიქას (“გზის”) შემქმნელად, მაგრამ ნაქშბანდიურის ორდენის, რომელსაც ეპუთვნოდნენ გენიალური პოეტები – სპარსი ნურადინ აბდურამან ჯამი (1414-1492) და უზბეკი მირ ალიშერ ნავო (1441-1501) და არაერთი სხვა გამოჩენილი პიროვნება. ისტორია (ვალკე ექსკურსის თემაა, აქ მხოლოდ იმას გავუსგამ ხაზს, რომ ამ სუფიური ორდენის გათვალისწინების გარეშე საქართველოსა და კავკასიის შუა საუკუნეთა თუ ახალ ისტორიაზე აღეკვატური წარმოდგენის შექნა შეუძლებელია (თბილისში ჯერ კიდვე დავით აღმაშენებელმა ააშენა ხანაგა – სასტუმრო სახლს სუფიებისთვის, ხოლო XIX-XX საუკუნეების თბილისში ფუნქციონირებდნენ ნაქშბანდიათა როგორც სუნიტური ასევე შიიტური თაიფები).

**გირობი პარტაშვილი  
რელიგიისა და ეკლესიის სეპულარიზაცია. ღროის სული და  
XIX საშუალების დასავლური ცივილიზაცია**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფენ, რომ კაცობრიობა სულ უფრო და უფრო შორდება დმერთს. დღვენდელი “ცივილიზებული” ადამიანის მსოფლმხედველობა გამოიჩივა დვოისშემეცნებისადმი ზერელე მიღომით და ფსევდომეცნიერული ზღაპრებისადმი გადაჭარბებული ინტერესით.ასეთ ადამიანებს, წარმავალ, მიწიერ ღირებულებებს მიჯაჭვულთ, ყველაფერი აღელვებთ, გარდა ჰემარიტებისა და ცხონების გზის შემეცნებისა. ამგვარი სიტუაცია შექმნა ჰემარიტების ცნების ფარდობითობის თეორიის ფარგლებში მოქცევამჟღანისტურ-ლიტერალურმა ცნობიერებაშ ყველა ადამიანს საკუთარი ჰემარიტების ქონის უფლება მისცა, რამაც პრაქტიკულად მოშალა ზღვარი სიცრუესა და ჰემარიტებას შორის.ასე აენა თავგზა “ცივილიზებულ” ადამიანს,რომელსაც ყველაფრის დაჯერება შეუძლია, გარდა ჰემარიტი ღმერთის ერთადერთობისა. ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნეს, საუკუნეს, როდესაც რაციონალიზმისა და პიკერტროფიორგებული ანთროპოცენტრიზმის ბატონობაშ უზრუნველყო სულიერებისაგან დაცლილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესიეს. ყოველივე კი აძლიერებდა და აღრმავებდა დაწყებული სეკულარიზაციის პროცესს – რელიგიის გავლენის დაცემას საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში.ის კარგავდა პოზიციებს აღზრდისა და, განსაკუთრებით განათლების სფეროში,სადაც თანდათანობით წამყან ადგილს ათეისტური სწავლება იყავებდა. დასავლური ცივილიზაცია XIX საუკუნეში შევიდა დგომისაგან საყოველთაო განვითარების ფაზაში,დროის წარმავალი სულისკვეთების ტყვეობაში.სამყაროს ცენტრად ღმერთის განჭვრების მართებულ ცნობიერებას ჩაენაცვლა სამყაროს ცენტრად ადამიანის მიჩნევის ფსევდოანთროპოცენტრული, აბსურდული ფსევდომჟღანისტური ცნობიერება, რომლისთვისაც “ღმერთი მოკვდა”, “არ არსებობს ჰემარიტი სარწმუნოება”, ”არ არსებობს უკვდავება და ყველაფერი ნებადართულია”. ამ ცნობიერებაშ უგულებელყო ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგად მემკვიდრეობით მიღებული კაცობრივი არსის გარევნილება და ცოდვისაკენ მიღრეკილება, რაც მისთვის წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში აჩლუნგებს და კლაგს ადამიანის სულს. ზნეობრივი პრინციპებისათვის, მორალური ნორმებისათვის, სინდისის ხმისათვის

ზურგშექცეულმა ადამიანმა განმხრწნელი ვნებებისა და სურვილების ამსრულებელი მხეცის სახე მიიღო და სულ უფრო და უფრო საშიში გახდა. ჩვენს პლანეტაზე მრავალი დვოთება გაუდერთებიათ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერაც არ არსებულა ისეთი ულმობელი და ჭეშმარიტებას დაცილებული, უზნეო და დაცემული დვთაება, როგორიცაა დროის სულიXIX საუკუნიდან მოყოლებული დასავლურმა ცივილიზაციამ მასში განათავსა თავისი უკელა სნეულება, ყველა ვნება და ცოდვა და გახდა ამ კერპის ყველაზე წარმართი კერპომსახური. დროის სული ადამიანს აღმერთებს და არა უფალს. დროის სულის მიერშემოთავაზებულ იქნა ყალბი პროგრესი, განათლება და კულტურა. მან დაამკიდრა საზოგადოებაში ე.წ.” კულტურული კაციჭამიობის” პრინციპი, რომლის აქსიომატური მოთხოვნაა “ბრძოლა თვითშენარჩუნებისათვის”, რომლის მიხედვით ადამიანი მეორე ადამიანისათვის არის მხოლოდ საშუალება საკუთარი მიზნის მიღწევის გზაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: XIX საუკუნეში დასავლური ცივილიზაცია ცალმხრივად გაემიჯნა უფალს, რამაც შედეგად მოგვცა ღმერთკაცობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების უგულებელყოფა, რომელშიც ადამიანი მარადიული ქრისტესმიერი ძმა უნდა იყოს მეორე ადამიანისათვის.

### ძვითგან ნადირაძე ფიაროთმცოდნეობითი კვლევა XIX საშუალის II ნახმარის საქართველოში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინების შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტია. სწორედ ამიტომ აუცილებელია ყოველი სამეცნიერო დისციპლინის ისტორიოგრაფიის შესწავლა. ამ მხრივ, გამონაკლისს არც წყაროთმცოდნეობა წარმოადგენს.

1. XIX ს. II ნახვარი და XX ს. დასაწყისი არის ქართული ისტორიოგრაფიის ის სანა, როდესაც თითქმის ყველა გამოჩენილი

- ისტორიკოსი ამავე დროს წყაროსმცოდნე იყო. საკმარისია დაგასახელოს მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, ს. ქორდანია, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვა. მათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა მიაჩნდათ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ საისტორიო მეცნიერების ძირითად დასაყრდენს წყაროდან ამოკრეფილი ფაქტები წარმოადგენს. მას ამ კუსხის დიდი შრომა გასწიეს და დღევანდელი სინამდვილისთვისაც მნიშვნელოვანი ნაშრომები დატოვეს.
2. ადნიშნული ეპოქის ისტორიკოსთა წყაროსმცოდნეობითი კალება – ძეგლის სანდობის, ცნობების სიუხვისა და მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა – მჭიდრო კავშირშია მათ არქეოგრაფიულ მოღვაწეობასთან – ხელნაწერის დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონის, რაოდენობის აღწერა და სხვა. ეს უკანასკნელი მკვლევარების მიერ ძეგლების მოპოვება-გამომზეურებასთან. ვფიქრობ, სწორედ ამ მიმართულების უნდა მოხდეს მათი წყაროსმცოდნეობითი მემკვიდრეობის წარმოჩენა.
3. მართალია XIX ს. მკვლევარები არ ახდენენ წერილობითი წყაროების საგანგებო დიფირენციაციას, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის – მაგ. ს. ქორდანიას – ნაშრომებში მაინც შეიძლება შევამნიოთ წყაროების ერთმანეთისგან განსხვავების მცდელობა. ისინი წერილობით წყაროებს აქვეყნებენ აღგილ-მდებარეობის გათვალისწინებით და მათ შემდეგი სახელწოდების ისენიზებენ: სიგელი, გუჯარი, საბუთი. ხოლო ფორმის მიხედვის გამოყოფება: „საკითხავს“, „მატიანებ“, „საგვარეულო ისტორიას“ და მათ განმარტებებს იძლევიან. აგრეთვე ყურადღებას ამახვილებენ ძეგლის ჟანრობრივ ხასიათზეც და სხვა.
4. XIX ს. II ნახევრის მკვლევარები დიდ ყურადღებას უთმობენ ყველა სახის და შინაარსის მასალებს: მოსახსენებელ ჩანაწერებს, წერილებს, რეესტრებს, საკანონმდებლო ძეგლებს, აქვეყნებენ „ნატყუარ“ საბუთებს, გარიგების წიგნებს, სისხლის სიგელებს. ზოგჯერ პუბლიკაციები არასრულია, ზოგჯერ შესაძლებელია მნიშვნელოვან ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენენ. მაგრამ ამგვარ მიღვომას ერთი მიზანი ჰქონდა: დიდი რაოდენობის მასალების შეგროვება მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად, რომელიც იმ დროისათვის არ არსებობდა.
5. განსახილველი ეპოქის ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობით მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი აღვილი უკავია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლას. ამ ძეგლისადმი მიძღვნილი მათი შრომების განხილვა საუკეთესო საიულებაა წარმოვაჩინოს მათი

წეაროსადმი მიღებომა, წეაროზე მუშაობის მეთოდიკა, წეაროს შესახებ შეხედულებები და სხვა.

6. დასკვნის სახის შეიძლება ითქვას: XIX ს. II ნახევრის ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება აუცილებელია თანამედროვე წყაროთმცოდნეობითი მეთოდიების სრულყოფისათვის.

**გეთეგან კავლი გვილი  
გორგას მონაცემების მიზანის მიზანის მიზანის მიზანის**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკონებია ავტოკეფალიის გაუქმებამდე დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონგბის მფლობელი და სახელმწიფო საგან ეკონომიკურად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. რესეტის იმპერიის მიერ გატარებულმა საეკლესიო ეკონომიკურმა რეფორმამ ქართულ ეკლესიას მატერიალური საფუძველი გამოაცალა და განადგურების წინაშე დააყენა.

საქართველოს კადენტის ავტოკეფალიის აღდგენისთანავე (1917 წ. 12.III) ქართველმა სამდვდელოებამ ეროვნული საეკლესიო ქონების დაბრუნების საკითხი დააყენა, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული კადენტის ისევ რუსეთის კადენტის კოონომიკაზე იქნებოდა დამოკიდებული და მის ავტოკეფალიასაც ფორმალური ხასიათი ექნებოდა. რუსეთის ხელისუფლებას ადარ შესწევდა ძალა, წინააღმდეგობა გაეწია ქართველი სასულიერო იერარქების მოთხოვნისათვის, მაგრამ კავკასიის დროებითი ხელისუფლების მეშვეობით ცდილობდა საეკლესიო ქონების მაქსიმალურად შენარჩუნებას, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გარსება კავკასიის ახალ საეკლესიო უჯრედს - კავკასიის საეგზარქოს სახელწოდებით. აღნიშნულის გამო, ორ კადენტის შორის ქონებრივი გაყოფის დავამა ჟიდურებად მწვავე ხასიათი შეიძინა და 1917-1919 წლები გასტანა, მანამ, სანამ საქართველოში რუსეთის საეკლესიო ორგანიზაცია ქართულმა დემოკრატიულმა მთავრობამ არ გააუქმდა.

1917 წლის მარტიდან ქართველმა იერარქებმა აქტიურად დაიწყეს ეკლესია-მონასტრებისა და მათი მეტოქების ნაციონალიზაციის პროცესი. აღნიშვნული განსაკუთრებით იმ მონასტრებზე ვრცელდებოდა, რომლებიც ისტორიულად ქართველი ეკლესიის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს წარმოადგენდა. მათ შორის იყო წმ. ნინოს ბოდებს დედათა მონასტრი, რომელიც საქართველოს რუსიფიკაციის პერიოდ აქცია თვითმპურობელობაში.

აქ დავანებული რუსი მონაზვნები ერთდღოულად ახორციელებდნენ ქართველთა გადაგვარებისა და რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შექვების მიმართულებით საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივი იყო ქართველი სამდგრელოებისა და მთავრობის განსაკუთრებული უურადღება ბოდებს მონასტრისადმი. მისი ქონებისა და მეტოქების ნაციონალიზაცია იმ პერიოდის ერთ-ერთ საშუალება იქცა. მონასტრის იღუმენის – ანასტასიას (ვისოცკი) მხრიდან შეუპოვარ წინააღმდეგობასაც გასაგები ახესნა მოექცება.

წმ. ნინოს მონასტრისათვის დაგამ განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი შეიძინა მას შემდგომ, რაც რუსეთის სამდგრელოების წინაშე დაღგა საკითხი თბილისის მეტოქების ნაციონალიზაციაზე.

ბოდებს მონასტრის თბილისის მეტოქებს ორივე მხარისათვის სარწმუნოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა. პავკასიის საეგზარქოს ხელისუფლებისათვის მეტოქები რუსი სამდგრელოების საბინადრო და რუსიული კაციულ-საგანმანათლებლო უჯრედები უნდა ყოფილიყო კავკასიის მასშტაბით, ხოლო ქართველი სამდგრელოებისათვის კი საკათალიკოსო მეტოქები ქართული მართლმადიდებლობის საქადაგებლად.

ბოდებს თბილისის მეტოქების ისტორიას XIX საუკუნის უკიდურესი მიწურულიდან იწყება. მეტოქების აგება და მათი ბოდებს მონასტერზე დაქვემდებარება ქართველი მრევლის სახელს უკავშირდება. 1898 წელს თბილისში, ანასტასიას ქუჩაზე (ცარიზმის ეპოქაში ხოვო-ყორდანოვის, დღეს ლ. ქიანელის ქუჩა) მდებარე მიწა გენერალ-მაიორის გრიგოლ გაბრიელის ძე ყორდანოვის (ყორდანაშვილი) მიერ ნასყიდობის წიგნით გადაეცა ბოდებს მონასტერს საცუთრებაში, რასაც დაემატა გენერლის მიერ მონასტრისათვის შეწირული 3000 მანეთი ვერცხლით. 1912 წელს გენერალმა მეტოქი კეთილმოაწყო რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან დაკავშირებით.

1895 წელს ბოდებს მონასტრისთვის თბილისის მეტოქთა შორის სიდიდით გამოირჩეოდა აზნაურ ვასილ გაბაევის (გაბაშვილი) წენეთის ქუჩაზე კუთვნილი 1800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ავჭალის ქუჩაზე ტრიფონ ჯამასპიშვილი (ჯამასპიშვილი) 178 კვ.მ. მიწის ფართი. 1896 წელს ბოდებს მონასტრის განკარგულებაში გადავიდა სანაბიროს ქუჩაზე ყულიჯანოვის 732 კვ.მ. მიწა, მალაქების ქუჩაზე ზურაბოვის (ზურაბიშვილი) 1008 კვ.მ. მიწა და ფარსადანოვის (ფარსადანიშვილი) მიწის ნაკვეთი ელისაბედის ქუჩაზე. ყველა ზემოხსენებულ ნაკვეთზე აგებულ იქნა მეტოქები და სამრეკვლოები.

1917 წლიდან მეტოქების ნაციონალიზაციის საკითხი სამოქალაქო სასამართლოს სამსჯელო საგანი გახდა. პროცესზე წარდგენილი დოკუმენტაცია საქართველოს ეკლესიის კუთვნილების ფაქტს ადასტურებდა, მაგრამ ოზაკომის ხელისუფლებამ მეტოქები საკათალიკოსო არ გადასცა. აღნიშნული მხოლოდ დემოკრატიული მთავრობის მმართველობის დროს განხორციელდა. საბჭოთა წყობილების ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად კი უფუნქციოდ დარჩა თავად ბოდებს მონასტერი. მისი მეტოქი ეკლესიებიდან დანგრევას გადაურჩა მხოლოდ ლ. ქიანელის ქუჩაზე მდებარე სამრეკვლო, რომლის ფასადის შეცვლის შემდგომ, ის საცხოვრებელ სახლად გადაეკვდა.

### განთანა გურული

#### როგორ მოვიკოვეთ დამოუკიდებლობა (1918 წლის 26 მაისი)

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს განაპირობა სამმა ფაქტორმა: ა) ქართული ეროვნული მოძრაობის მონაპოვარმა; ბ) რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ; გ) პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წლები).

ქართულ ეროვნულ მოძრაობას თავისი ხასიათით ანტირუსულს, 1917 წლის თებერვალ-მარტამდე სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დაუკენებია. მხოლოდ ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ წამოაყენა სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხმა შემდეგი ეტაპები გაიარა: საქართველოს ავტონომია რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში – კონფედერაციული კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

პირველმა მსოფლიო ომმა დააჩქარა დიდი (რუსეთის, გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის) აღსასრული, ხოლო დიდი იმპერიების კრიზისმა და ნერვევამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ცალკეული ერების ბრძოლას სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის. პირველი მსოფლიო ომის გარეშე მსოფლიოს პოლიტიკური რუსა არ გადაისინჯებოდა და დაპყრობილი ერების ბრძოლას სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის პერსპექტივა არ ექნებოდა.

რუსეთის 1918 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გარეშე ქართული ეროვნული მოძრაობა სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის

დებლობის აღდგენის საკითხს ვერ დააყენებდა, პირველ მსოფლიო ომში მარცხის მიუხედავად რუსეთის იმპერია ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას შეძლებდა.

ზემოთ ხსენებულმა სამხა ფაქტორმა განსაზღვრა 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შინაარსი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

## ვაჭი შეზღაშვილი ბერძანები ბანაკის და კონცერნების როლი ნაციონალ- სოციალისტების მარნომისამართ აღლიტიკაში

ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის ხელმძღვანელობა თავისი უქსანსიონისტური მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსხვილ ფინანსურ და სამხედრო-სამრეწველო წრეებთან მჭიდრო კავშირს. ეკონომიკური ფაქტორების საგარეო პოლიტიკურ მექანიზმად გამოყენება უცხო არ იყო გერმანული საგარეო პოლიტიკისათვის და რიგ ქვეყნებთან მიმართებით ძალზე წარმატებულიც.

თავის მხრივ, ფინანსური და სამრეწველო მაგნატები ნაციონალ-სოციალისტების დახმარებით იმედოვნებდნენ, გაედლიერებინათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ახალი აგრესიისათვის. ცხადია, ასეთი ვითარება ნოუიერ ნიადაგს ქმნიდა მათი დაახლოებისათვის. მონოპოლისტოა ფინანსური მსარდაჭერა ფაშისტებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. შესაბამისად გერმანიის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებდნენ ფინანსური და სამრეწველო ოლიგარქიის მაგნატები კრუპი, ტისენი, კლეპტორი, ფიშერი, მანქესმანი და სხვა. უმსხვილესი ბანკები – „დოიჩე ბანკი“, „დრეზენერ ბანკი“, „ინდუსტრი ბანკი“, დლიერი კონცერნები – „იგ ფარბენი“, „ფერინგთე შთალგერქი“, „კრუპის იარაღის ქარხნები“, „სიმენსი“, „ბმვ“, „დაიმლერ ბენცი“, „მესსერშმიდტი“, და სხვა. ასევე სპეციალიზირებული სააქციო საზოგადოებები – „შუა ეკროპული ეკონომიკური კომიტეტი“, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკროპის საზოგადოება“, „დიდიერის ქარხნების სააქციო საზოგადოება“ და მრავალი სხვა.

მათი გავლენა იყო უძლიერესი გერმანიის მრეწველობაზე, ნაციისტურ პარტიასა და ხელისუფლებაზე. ეს უკანასკნელი ხშირად კონსულტაციებს იღებდა მათგან ნებისმიერ სამეურნეო და ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემაზე.

მსხვილი ბანკები და კონცერნები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ მეორე ხელისუფლებას და გადაწყვეტილებების მიღებისას ძალზე ხშირად მათ ეკუთვნოდათ ბოლო სიტყვა. ისინი არა მარტო ეხმარებოდნენ პიტლერს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში ქვეყნის შიგნით, არამედ იქცნენ მთავარ საყრდენად ნაციონალ-სოციალისტური ხელისუფლების მიერ დაპყრობილი ქვეყნების ძარცვისა და საერთოდ ნაცისტური ექსპლუატაციული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

### თემურაზ კაკას შირი მოლოტოვის ვიზიტი ბერლინში და ბულგარეთის საპითხი ბერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში 1940 წლის შემოწმებაზე

1940წ. 12 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, ვიაჩესლავ მოლოტოვის ოფიციალური ვიზიტი ბერლინში. მოლაპარაკებების მთავარი საკითხი, ერთი შეხედვით, იყო საბჭოთა კავშირის შეერთება სამმხრივ პაქტთან, მაგრამ, სტალინის მიერ მოლოტოვისათვის მიცემული დირექტივების შესაბამისად, მირთადი ადგილი საუბრებისას დაიკავა ბულგარეთმა.

ბულგარეთის საკითხი პირველად წამოიჭრა სრუტეების პრობლემასთან კონტექსტში. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ აპირებდა ბულგარეთისათვის ისეთივე გარანტიების მიცემას, როგორი გარანტიებიც მისცეს გერმანიამ და იტალიამ რუმინეთს. პიტლერმა და რიბენტორმა სცადეს ყურადღების გადატანა ბულგარეთის საკითხიდან, მაგრამ მოლოტოვმა გაიმეორა თავისი ნათქვამი და იქვე გამოოქვეთ უკმაყოფილება გერმანიის და იტალიის მიერ რუმინეთისათვის მიცემული გარანტიებით. პასუხად პიტლერმა განაცხადა, რომ გერმანიისა და იტალიის მიერ რუმინეთისათვის მიცემული გარანტია იყო ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელს დაეთმო ბესარაბია საბჭოთა კავშირისათვის და დაადასტურა, რომ ომის დამთავრებისთანავე ყველა სამსედრო შენაერთი გამოყვანილი იქნებოდა რუმინეთიდან. როდესაც მოლოტოვი კვლავ მიუბრუნდა ბულგარეთის თემას, პიტლერი მეტად გადიზიანდა ამით და მოლოტოვს განუცხადა, რომ ბულგარეთს მსგავსი გარანტია არ მოუთხოვია. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მუსოლინის გარეშე ის ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა. ამით საკითხის განხილვა შეწყდა და ის განახლდა მოგვიანებით, უკვე მოლოტოვისა და რიბენტორპის ბოლო საუბრისას, თუმცა საკითხის გადაწყვეტა ვერც მაშინ მოხერხდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირ უთხრა საბჭოთა ვიზავის, რომ ბულგარეთის გარანტიების საკითხის განხილვისას იტალიის პოზიცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და იქვე სოხოვა განემარტა, თუ როგორ უზრუნველყოფდა ბულგარეთისათვის მიცემული გარანტიები სსრკ-ს უსაფრთხოებას. როგორც ჩანს, რიბენტროპის ეს რეპლიკა მოულოდნებლი აღმოჩნდა მოლოტოვისთვის, რომელმაც თავი აარიდა პასუხს და აღნიშა, რომ საბჭოთა მხარეს სურდა უბრალოდ გერმანიის მთავრობის თვალსაზრისის გაგება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამით ბულგარეთის საკითხის განხილვა თითქოს დასრულდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მხოლოდ დროებით. უკანასკნელი შეხვედრისას რიბენტროპმა მოლოტოვს გადასცა ოთხმხრივი შეთანხმების პროექტი, სადაც გაცხადებული იყო, რომ მხარეები პატივს სცემდნენ ერთმანეთის ტერიტორიულ შენაძენებს და პირობას დებდნენ, რომ 10 წლის განმავლობაში არ შევიდოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ რამდე ბლოკში და დაეხმარებოდნენ ერთმანეთს ეკონომიკურ საკითხებში. ამ თითქოსდა უკნებელ პროექტს თან უნდა ხლებოდა ორი საიდუმლო ოქმი. პირველით, რომელიც ოთხი მუხლისაგან შედგებოდა განსაზღვრული იყო გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესების სფეროები, მეორე საიდუმლო ოქმი ხებოდა მონტრეს კონფენციების რევიზიას. ის შედგებოდა სამი მუხლისაგან, გამოხატვდა გერმანიისა და იტალიის სრულ მხარდაჭერას საბჭოთა მოთხოვნებისადმი და მასში ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები ბულგარეთი. 26 ნოემბერს მოსკოვიდან მოვიდა პასუხი, რომლითაც საბჭოთა მხარემ წამოაყენა თავისი მოთხოვნები ითხმხრივი შეთანხმების ხელმოსაწერად. მეორე პუნქტად ამ მოთხოვნებში შედიოდა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების განმტკიცება სრუტებში სსრკ-ბულგარეთის პაქტით და საბჭოთა ქვეითი და საზღვაო ძალების ბაზის შექმნით ბოსფორისა და დარდანელის მისადგომებთან (როგორც ჩანს, ბულგარეთში). აღნიშნული საკითხი აშკარად ამოვარდნილი იყო სსრკ-გერმანიის ურთიერთობების კონტექსტიდან. სსრკ-ს დანარჩენი სამი მოთხოვნა პიტლერისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ მისთვის ძნელი მისახვდრი არ იყო, რომ სამხედრო ბაზა ბულგარეთში სტალინს ამ შემთხვევაში იმდენად არა თურქეთის, რამდენიმეაც რუმინეთის წინააღმდეგ სჭირდებოდა. რუმინეთს კი, საიდანაც გერმანია იღებდა თავისი ნავთობის უდიდეს ნაწილს, მისთვის ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნდა. სავარაუდოდ, პიტლერი მიხვდა სტალინის თამაშს და შემთხვევითი არ არის,

რომ ერთი თვის თავზე ხელი მოაწერა სსრკ-ზე თავდასხმის გეგმას. ჩვენი აზრით, მის ამ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქნია სწორედ 1940წ. შემოდგომაზე წამოჭრილმა საკითხმა ბულგარეთის შესახებ.

## ელენი გეგმარია შვილი

გეგმი ზრიდანის ფიგნი „ძალის საიდუმლო“ და მისი როლი აშშ-ში ქალთა მომრაობის მეორე ჰალდის დაწყებაში

მოხსენებაში განალიზებულია ბეტი ფრიდანის წიგნის „ქალის საიდუმლოს“ მნიშვნელობა ამერიკელ ქალთა მომრაობის კ.წ. „მეორე ტალღის“ აგორებაში და გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ითვლება თვით ფრიდანი თანამედროვე ფემინიზმის ფუძემდებლად. აგტორის მტკიცებით, „ქალის საიდუმლოში“ ფრიდანმა განსაზღვრა ამერიკელი ქალებისათვის იმ კატეგორიაში აქტუალური პრობლემები და დაიწყო „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მათ მოსაგვარებლად. მან, ასევე, განსაზღვრა ქალის ჩაგვრის იდეოლოგიური ფენომენი, მიაწერა იგი კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ პერიოდს და განმარტა, რატომ და როგორ განმტკიცდა საზოგადოებაში ქალისადმი ამგვარი დამოკიდებულება. მისმა ანალიზმა დაარწმუნა მკითხველები იმაში, რომ მათი დაუქმაყოფილებელი სურვილების და იმედგაცრუების გამომწვევი მიზეზები საზოგადოების მანკიურებაში უნდა ექცეონ და არა პირად არაკომპეტენტურობასა, თუ ნაკლოვანებებში, რამაც მკითხველებს არსებული სიტუაციის გამოსწორების იმედი გაუდეიბა. მოხსენებაში დასაბუთებულია, თუ რატომ იქცა „ქალის საიდუმლო“ იმთავითვე ბესტსელერად და რატომ დაუდო დასაბამი მოძრაობას, რომელმაც, ფაქტობრივად, შეცვალა ქალის როლი ამერიკულ საზოგადოებაში.

## გიორგი გეგმა შვილი

რუსული მართლადიდებლური ეკლესიის  
გეორგიული მიგრაციის სტრატგიის საპილევი

1. 1811 წელს რუსეთის შემადგენლობაში ჩართულ ქართულ ტერიტორიტორიებზე დაიწყო კ.წ. „საეკლესიო რეფორმების“ გატარება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის საქმეთა გამოსწორება და საერთო აღმინისტრაციულ სისტემაში უნიფიცირება. ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა და

თქმულა, არაერთი დოკუმენტი გამოქვეყნებულა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე რუსეთში ქვეყნდება „სამცნიერო ნაშრომები“, სადაც საქართველოს ეკლესიის როლი და მნიშვნელობა არათუ მიჩქმალულია, არამედ უტრირებული და, უფრო მეტიც, ნიველირებულია. ამას გარდა, რუსული ადმინისტრაციის (საერო თუ საეკლესიო) მოქმედებები დადგებითად არის შეფასებული. არსად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ 1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის, 1810 წლის აქტებით რამდენჯერმე უკვე დარღვეული საერთაშორისო შეთანხმებები კიდევ ერთხელ დაირღვა, მაგრამ ამჯერად სასულიერო სფეროში. ამასთან დაკავშირებით შეგნიშვნათ, რომ თუ საერო სფეროში იმ მომენტისათვის საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებები მკაცრად გაწერილი კანონები არ არსებობდა და უფრო ტრადიციებით ან მიღებული პრაქტიკით სარგებლობდნენ, საეკლესიო ურთიერთობებში ეს საქმე დიდი ხნის წინათ იყო მოგვარებული.

2. რუსეთის ეკლესიის ქმედებების შესაფასებლად შორს არ წავალთ და 2008 წლის დასაწყისში ჩინეთში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ გატარებული დონისძიებების პასუხად თავად ამ ეკლესის მესკეურთა განცხადებას დავიმოწმებოთ და მის საფუძველზე მიმოვისილავთ ორი - უკრაინისა და საქართველოს ეკლესიების წინააღმდეგ მოქმედებების სამართლიანობას.

## თლისაბედ გაჩიტიდა

### 1997 წლის პოლიტიკური პრიზისი თურქეთში და პრმია

თურქეთი საერო სახელმწიფოა, რაც იშვიათი გამონაკლიისა მუსლიმურ სამყაროში. თუმცა უნდა ადინიშნოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება პროისლამური ძალების გაძლიერება, რაც უკავშირდება ისლამისტური, კეთილდღეობის პარტიის და მისი ლიდერის ნ. ერბაქანის სახელს.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კეთილდღეობის პარტიამ ხმების უველაზე მეტი რაოდენობა (21,8%) მოიპოვა, ხოლო 1996 წ. იგნისში კი ჰემარიტი გზის პარტიასთან ერთად შექმნა კოალიციური მთავრობა და ნ. ერბაქანი გახდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი. ეს პირველი შემთხვევა როდესაც ისლამისტური პარტიის ლიდერი იყო ხელისუფლების სათავეში. იგი გამოილა “ისლამისტური ფასეულობების დაცვის” მოწოდებებით. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა ერბაქანის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც ძირითადად

ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული. არც საშინაო პოლიტიკაში შეიმჩნეოდა სასიკეთო ძვრები. ისლამისტების ღონისძიებები მიუღებელი იყო თურქეთის სეკულარული ძალებისათვისაც.

ქვეყნაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის კვლავ არმიის ჩარევა გახდა საჭირო. 1997წ. 27 თებერვალს ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშავა მემორანდუმი, რომელსაც უდიტიმატუმის ხასიათი პქონდა. მთავრობა იმულებული იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ აღესრულებინა ეს მოთხოვნები.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით აკრძალულია რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის, ამიტომ 1997 წლის მაისში თურქეთის საკასაციო სასამართლოს გენერალურმა პროკურორმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში კეთილდღეობის პარტიის წინააღმდეგ, სდებდა რა მას ბრალს ლაიციზმის წინააღმდეგ საქმიანობაში.

1997წ. ივნისში გენშტაბის წარმომადგენლები გამოვიდნენ განცხადებით, რომ “რეაქციული ძალები ცდილობენ მოშალონ სახელმწიფოს საერო საფუძვლები”, გენერლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აგრეთვე, პროისლამური ძალების გააქტიურების გამო.

1997წ. ივნისში 6. ერბაქანმა ველარ გაუძლო ფსიქოლოგიურ ზეწოლას და გადადგა პრემიერ მინისტრის პოსტიდან, მისი მთავრობა კი დაიშალა. ეს მოვლენა შეიძლება შეფასდეს როგორც სამხედროთა მორიგი, ამჯერად უხმო გადატრიალება.

1998 წ. იანვარში საკონსტიტუციო სასამართლომ დახურა კეთილდღეობის პარტია, მის ლიდერებს კი აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა.

როგორც ვხედავთ თურქეთის არმია კვლავ ჩაერია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა ამჯერად მისი საქმიანობა არ გამოსულა კონსტიტუციის ჩარჩოებიდან, იგი “რეაქციის წინააღმდეგ” სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოქმედებდა.

თურქი ავტორების აზრით, ეს გადატრიალება, როგორც ფორმით ასევე წინაარსითაც განსხვავდებოდა წინა გადატრიალებებისაგან (1960, 1971, 1980), ამ ორიგინალურობისა და განსხვავებულობის გამო, მას “პოსტმოდერნული გადატრიალება” უწოდეს.

ამრიგად, თურქეთის არმიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის არის ლაიციზმისა და ქემალიზმის პრინციპების გარანტი და

საჭიროების შემთხვევაში მზად არის შეასრულოს მასზე დაკისრებული მისია.

### გოგი ცხოვრებაძე

საქართველოს დემოკრატიული რესაუნდიების მთავრობის დიალოგაზიური მისიაზე და ყარმომაღენცლობაზი უბრობაში

ევროპაში ქართული საკითხის გააქტიურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების დაარსებას. ამ მხრივ, ნაბიჯები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის პირველსავე თვეებში გადაიდგა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები იყვნენ: იტალიაში – გიორგი მაჩაბელი, ბელგიაში – ანტონ უორულიანი, შვეიცარიაში – ხარიბონ შავიშვილი, გერმანიაში – ვლადიმერ ახმეტელი, მოსკოვში – გაბრიელ ხუნდაძე, გერასიმე მახარაძე, ინგლისში დაგით დამბაშიე, ოსმალეთში – სვიმონ მდივანი, ხოლო დამოუკიდებლობის ბოლო თვეს საფრანგეთში ელჩად დაინიშნა აკაკი ჩხერიელი. სწორედ ეს საელჩო ადმონისტრაციული უკელახე ხანგრძლივი. მან 1933 წლამდე იარსება. სხვა ევროპულ ქვეყნებში, კერძოდ, ვარშავასა და პრაღაში არსებობდა ქართული გამგეობები. რაც შეეხება ამერიკას, არგენტინაში ელჩად იყო ანდრო დეგანოზიშვილი, ხოლო აშშ-ში 1925 წელს იქ დაარსებულ საკონსულოში დაინიშნა ბარონ კოლიე. საქართველოს საელჩოებისა და წარმომადგენლობების, ასევე გამგეობების მუშაობას ევროპაში 1921 წლიდან ჰქონდა “განსაკუთრებული მხარე”. თუ რაში გამოიხატა ყოველივე ეს, უშუალოდ ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში გავცემთ აასუხს.

### როდენდ თოვზეიშვილი

„სიმსუალური თამაშების“ გმირებისის საპიონეისათვის  
ალმოსავლეთი საქართველოს მთიანეთში

საქართველოს მთიანეთი ყოფისა და ტრადიციების მრავალფეროვნებითა და ორიგინალურობით გამოირჩეოდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ფშავი და ხევსურეთი, ანუ ისტორიული ფხოვი. ერთ-ერთი სხვათაგან განსხვავებული ყოფის

ელემენტი ხევსურული სწორფრობა და ფშაური წაწლობა იყო, რომლებმაც XX საუკუნის თითქმის 20-იან წლებამდე მოაღწიეს.

ხევსურულ სწორფრობასა და ფშაურ წაწლობას ჩვენ „სექსუალურ თამაშებს“ უუწოდებთ. შეა საუკუნეების ეროტიკული ურთიერთობები დასავლეთ კვროპულ მეცნიერებაში სწორედ ამ სახელითაა ცნობილი.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართველ მთიელთა „სექსუალურ თამაშებს“ არა ერთი მკვლევარი შეეხო, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: ს. მაკალათია, გ. თევდორაძე, ზ. კიძნაძე, გ. ცოცანიძე, მ. კანდელაკი. ეთნოლოგმა მარინა კანდელაკმა, უაქტობრივად, ავლენის ახალი ასპექტი, წმინდად ეთნოლოგიური ასპექტი შემოგვთავაზა და ორი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა - ქალისა და კაცის ეროტიკული ურთიერთობები საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის ჭრილში განიხილა და მნიშვნელოვანი დასკვნებიც შემოგვთავაზა, რომ მთის ტრადიციულ საზოგადოებაში „ინდივიდის დრმად პირადული შრე სოციუმის (საზოგადოების) ფარვატერში იყო გაფილტრული“. მთის საზოგადოებამ ოდესაც დაუშვა გოგონებსა და ვაჟებს შორის ეროტიკული ურთიერთობები, მაგრამ სოციუმი მკაცრადვე არეგულირებდა, აკონტროლებდა ახალგაზრდების ქმედებებს და ოდნავ გადაცდომასაც კი საზოგადოება არავის არ აპატიუბდა - დამრღვევი ჩვეულებითი სამართლით მკაცრად დაისჯებოდა. ამიტომაც იყო, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში დიდხანს შემოინახა თავი.

მთიელთა „სექსუალური თამაშების“ შესახებ ყველა მკვლევარს, ფაქტობრივად, არასრულყოფილი მასალა ჰქონდა ხელო, რადგან პრობლემის ინტიმურობის გამო, ისინი მასალის ერთგვარ დეფიციტს განიცდიდნენ. საკითხი უფრო ხელშესახები გახდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს ნათელა ბალიაურის სრულყოფილი აღწერილობა გამოქვეყნდა. მის წიგნში სწორფრობის ყველა ნიუანსის შესახებ დაწვრილებითი მონაცემებია თავმოყრილი.

ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდებოდა, ერთი რიგის მოვლენა იყო - ახალგაზრდებს დაოჯახებამდე ერთგვარი თავისუფლება ეძლეოდათ, თუმცა ეს თავისუფლება გარევეულ ჩარჩოებში იყო მოქვეული და ის ეროტიკულ ურთიერთობებს არ ცდებოდა; სექსუალური ურთიერთობა გამორიცხული იყო.

ფშაური წაწლობა თავისუფლების ელემენტებით უფრო იყო „დამშვენებული“. ასე რომ, ის ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, დროთა განმავლობაში, ერთგვარ ტრანფორმაციას განი-

ცდიდა, ოუმცა საზოგადოების (თემის) კონტროლიდან გამოსული არ იყო. ხევსურული სწორფრობა კი, ისევე როგორც არა ერთი ეთნოგრაფიული რეალია, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის თავისი თავდაპირველი ფორმით იყო მოღწეული. ეს ერთი რიგის მოვლენა ეროგვარად განსხვავებული სახით იყო შემორჩენილი. ვერ ვიტყვით, რომ მთიელთა „სექსუალური თამაშები“ გადორნაშოთი იყო, როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებდა. წესჩეულება, რომელიც საზოგადოებისათვის მისაღები იყო და რომელიც ფუნქციონირებდა, ტრადიციად უნდა განვიხილოთ.

როდის და რა ვითარებაში უნდა წარმოქმნილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „სექსუალური თამაშები“? მკვლევართა ერთი ნაწილი მას ძალიან ძველ მოვლენად განიხილავდა – უკავშირებდნენ მატრიარქატის და თავისუფალ სქესობრივ ურთიერთობათა პროჭას. ეთნოლოგის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თითქმის ყველა აუხსნელ მოვლენას პირველყოფილობას უკავშირებდნენ. ასე დაუკავშირეს ეს ინსტიტუტიც პირველყოფილობას. საქართველოს მთიანეთში პირველყოფილი გვაროვნები საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არც ერთი მოვლენა არ არსებობდა და ვერც წაწლობასა და სწორფრობას დავუკავშირებო მას. ჩვენი ვარაუდით, მთიელთა „სექსუალური თამაშები“ შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია და ის დაკავშირებული უნდა იყოს მთის დემოგრაფიულ პრობლემებთან. ცნობილია, რომ მთას, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, შეეძლო მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოკვება. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ მთიელები შედარებით ნაკლებ ბავშვებს აჩენდნენ, ვიდრე ბარელები. ეს იყო მიზეზი იმისაც, რომ მთაში (კერძოდ ხევსურეთში) არ არსებობდა დიდი ოჯახები. ასე რომ, მთიელი არეგულირებდა დემოგრაფიულ ვითარებას. დემოგრაფიულ ვითარების დარეგულირება კი გვიანდელი ქორწინებებით ხდებოდა. XIX საუკუნის შუა სანებისათვის ხევსურეთსა და ფშავში მამაკაცების საქორწინო ასაკი ძირითადად 25-35 წლით განისაზღვრებოდა, ქალისა კი – 20-30 წლით. ამრიგად, ფერტილური ასაკის თითქმის ნახევარს ახალგაზრდები საქორწინო პარგნიორის გარეშე ატარებდნენ. ბუნებრივი მოთხოვნილების – ორი სხვადასხვა სქესის ადამიანის ერთმანეთისაკენ სწრაფვის დამამუხრუსტებელი ფაქტორები კი არ არსებობდა. ამ დროს მთურმა საზოგადოებამ კი ერთგვარი ნოვაცია დანერგა და ეს ნოვაცია მაღევე ტრადიციად იქცა – სქესობრივად მომწიფებულ ადამიანებს ეროტიული ურთიერთობის ნება დაერთოთ, რომელსაც ტრადიციული საზოგადოება მკაცრად არეგულირებდა, რომ ურთირთობები დაშვებულ ფარგლებს არ

გასცდენიყო. დასავლეთ ევროპელ მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ XVI საუკუნეში გვიანდებელმა ქორწინებებმა სოფლებში ქორწინებამდელ ფორმალიზებულ სექსუალურ ურთიერთობებს ჩაუყარა საფუტებელი, ქალაქერი ცხოვრების პირობებში კი – პროსტიტუციასა და ძალადობას (ჟან-ლუ ფლანდრენი, ფრენსის და ჟოზეფ გისები).

ჩვენი მიზანი არაა ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა. ფხოვის საზოგადოებაში ის მაშინ უნდა წარმოქმნილიყო, როდესაც ის ბარის საზოგადოებისაგან განსხე დგებოდა, როდესაც მთას არ სურდა ბართან ინტეგრაცია. ერთგვარი დაპირისპირება მაშინ უნდა წარმოქმნილიყო, როდესაც ბარში ფეოდალური ურთიერთობები განვითარდა და, ბოლოს, როდესაც ბარში ქრისტიანობა გავრცელდა, მთა კი მას არ იღებდა.

ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს საკითხი – როდის შეიძინა ახალი, განსხვავებული ნიშნები ფშაურმა წესმა? რამ განაპირობა ფშავის ტრადიციულ საზოგადოებაში განსხვავებული წესების წარმოქმნა? პასუხი ასეთია: ფხოვის შემდეგდორინდელი ფშავის ნაწილზე ბართან სიახლოებები ითამაშა გარკვეული გავლენა. თავის მხრივ, ზოგიერთი ტრადიციის და მათ შორის „სექსუალური თამაშების“ ტრადიციაში ცვლილებებმაც განაპირობა ერთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ფხოვის ორ ნაწილად, ხევსურეთად და ფშავად, გაყოფა.

## თეა ქამუშავე

### სტუმარმასაინძლობა და ეპონომიკური გაცდლა სტუმარ-მასაინძლობა – ურთიერთობის უნივერსალური

სტუმარმასპინძლობა ურთიერთობის ის ფორმაა, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ ვლინდება საზოგადოების არჩევანი, შეინარჩუნოს საკუთარი თავი და განვითარდეს. ნებისმიერ საზოგადოებაში სტუმარმასპინძლობის წესი ტრადიციითაა განსაზღვრული და გაწერილი, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას ემყარება. სტუმარმასპინძლობა უნივერსალური დირქბულებაა და მსოფლიოს ყველა საზოგადოებაში გვხვდება, თუმცა ზოგიერთი ხალხისათვის ურთიერთობის ამ ფორმამ საკრალური ნიშნებიც შეიძინა და ადამიანის დირსებას დაუკავშირდა. “სტუმარი ღვთისაა” – ეს თეზა ყველაზე მეტად გავრცელებული და აქტუალურია კავკასიის ხალხებისათვის. მოელი კავკასიის მასშტაბით სტუმრის მიღება და

მისი გამასპინძლება პირდაპირ უკავშირდებოდა მასპინძლის სტატუსს საზოგადოებაში. საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, პირველ რიგში, ღირსეული მასპინძელი უნდა ყოფილიყო. მასპინძლობა ბუნებრივია ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ვინც მასპინძლობას გაურბოდა მას არცხვენდნენ და “პურძვირს” ეძახდნენ, აკრიტიკებდნენ, როგორც ასოციალურს, “ხალხში არ გაქსვლებაო”, იტყოდნენ. აქვე ვხვდებით დალოცვის ასეთ საინტერესო ფორმას: “დმურთმა ნუ მოგიშალოს სტუმარი და სტუმრის გასასტუმრებელი ბარაქაო”. ამდენად ქართველებისათვის სტუმრის მიღება, როგორც ქართველის, ასევე უცხო ტომელის ცხოვრების სტილს ქმნიდა და მის ნაწილად იქცეოდა. სტუმრის სათანადოდ დახვედრა და მისი დაცვა ყველა მასპინძლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა. გარდა მორალური მხარისა სტუმრის ღირსეულად დახვედრაში პრაგმატული მოსაზრებებიც იდო უსაფრთხოების, და სხვა საქმიანი კავშირების აუცილებლობიდან გამომდინარე ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების. “სტუმარმასპინძლობის სახით არსებული ზნეობრივი ნორმები, დაცული შთამომავლობით, გადაცემული ტრადიციებით, ხელს უწყობდა ხალხთა დაახლოებას, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, ერთმანეთთან ტერიტორიულად დაცილებული ხალხების უსაფრთხო ურთიერთობას და საქმიანი კავშირების განმტკიცებას” (მ. მოწერელია, 1987).

სტუმარ-მასპინძლობის პროცესში ყალიბდებოდა  
ურთიერთობის ახალი ფორმები როგორც ნათესავებს, ისე არანათესავებს შორის, რაც თავისებური ეკონომიკური გაცვლის ფორმად შეიძლება განვიხილოთ. ამ შემთხვევაში განვიხილავ ზემო რაჭაში გავრცელებულ სტუმარმასპინძლობის ორ ფორმას: მცნაურს და კერძმოკეთებას.

“რაჭაში არსებობდა სტუმრის მიღება-გასტუმრების წესი – სამი აღმნიშვნელი ტერმინით: სტუმარი, მცნაური, კერძი” (ს. რეხვიაშვილი, გვ. 58).

ზემო რაჭას სოფლებში ფართოდ გავრცელებული მცანაური, სტუმრის ერთ-ერთი პატეგორია, რომელიც განსაკუთრებულ ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში ჩამოყალიბდა. ზამთრობით მთის რაჭას ჩრდილოეთის მიმართულებით ეზღუდებოდა მოძრაობა და დაკავშირება მხოლოდ რაჭა-იმერეთის გზით იყო შესაძლებელი. მთიელები სწორედ ამ გზით ახერხებდნენ საქართველოს ბართან ურთიერთობას, სადაც გასაყიდად მაჟონდათ სხვადასხვა პროდუქტი: ხორცი, რძის პროდუქტი, შინ დამზადებული შალის ქსოვილები და სხვა.

სანაცვლოდ კი ქალაქიდან მიპქოდათ მარცვლეული, მარილი, ასანთი, ღვინო, არაყი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი და სხვა.

გზაზე, რომელზედაც უნდა გაევლო ყველას, ჰყავდა ნაცნობი ოჯახი, სადაც მოსვენებასა და გასტრებას შეძლებდნენ. სწორედ ასეთ ადამიანებს ეძახდნენ მცნაურებს. ხოლო მცნაურებად ადამიანები ხდებიან, პირადი გამოცდილების საფუძველზე. “მგზავრობისას შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს თუ ერთმანეთი მოეწონებათ, მმობას და მეგობრუბას შეპიცავდნენ და ამ დღიდან მათ შორის მეგობრული კავშირი მყარდებოდა”. მცნაურის ოჯახები ერთმანეთში სტუმარმასპინძლობის პარალელურად ცვლიდნენ ურთიერთისათვის საჭირო პროცესებს.

კერძომოკეთეობის ტრადიციაც საინტერესო მაგალითია, სადაც სტუმარმასპინძლობის წესი ასევე გადაჯაჭველია ეკონომიკურ საკითხებთან, მხოლოდ ამ შემთხვევაში მასშტაბები განსხვავებული იყო და ქვეუნის ფარგლებს სცილდება. რაჭელი მამაკაცები კერძოკეთეები ხდებოდნენ ჩრდილო კავპასიელი ოჯახებისათვის და პირიქით. ინტენსიური სტუმარმასპინძლობა დაკავშირებული იყო მათ საქმიანობასთან, რასაც მეზობელ ქვეყანაში ეწეოდნენ.

ამდენად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუმარმასპინძლობის ტრადიციული ფორმების, ჩამოყალიბაში განსაკუთრებული მნიშვნელობა, სოციალურ და მორალურ ფაქტორებთან ერთად, სერიოზული ეკონომიკურ მნიშვნელობა პქონდა.

## გეთეგან ხუციშვილი სიცრეატიზმის პოლიტიკა რელიგიის ანთროპოლოგიაში

რელიგია, როგორც აულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, პირველი ეთნოგრაფიული სკოლების გაჩენისთანავე მოექცა მკვლევართა ინტერესების სფეროში. ტერმინის განსაზღვრებას, რელიგიის არსის, მისი საფუძვლებისა და ელემენტების გარკვევას, საზოგადოებაზე მისი გავლენის ანალიზს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. თითოეული კონკრეტული მკვლევარისა და სკოლის განსხვავებული მიდგომა ამ საკითხებისადმი განაპირობებდა შესაბამისი კვლევის მეთოდის შემცირებას. რელიგიის ანთროპოლოგიურმა კვლევამ მთელი რიგი საფეხურები გაიარა XVIII საუკუნიდან დღემდე. სხვადასხვა დროს საკითხი უკავშირდებოდა ისეთი ცნებებისა და კტეგორიების განხილვას, როგორიცაა ანიმიზმი, მაგია, ტაბუ, მანა და სხვ. არსებითი გახდა რელიგიური რწმენის ან ასეთად მიჩნეულის გამოვლინებათა და

ფაქტების აქტუალური კონტექსტის ანალიზი. თეორიული თვალსაზრისით, დღესაც ყოველი ახალი ნაშრომი ძირითადად დიურქებითის, ვებერის, ფროიდისა და მალინოვსკის იდეებს ექრდნობა. უმნიშვნელოვანეს საკითხად პლავ ტერმინთა (ისეთების როგორიცაა სიმბოლო, წარმოდგენა, მნიშვნელობა და სხვ) განსაზღვრა რჩება.

XX საუკუნის 90-იან წლებში დისკუსიის საგნად იქცა ცნება – სინკრეტიზმი. კამათი გამოიწვია ამ ტერმინის დევინიციის მრავალგვარობამ. რის გამოც მკვლევართა ნაწილი საერთოდ გამორიცხავს ობიექტური პასუხის შესაძლებლობას იმაზე თუ რა არის სინკრეტული რელიგიასა და ტრადიციასთან მიმართებაში (მაგ. დ. გელნერი). სხვები მიზანშეწონილად მიიჩნევენ სინთეზის პროცესებზე ეურადღების გამახვილებას (მაგ. რ. შოუ).

სინკრეტიზმი (ბერძნული სიტყვიდან – *synkretismus* – შეერთება) შერევას, დაუნაწევრებლობას, ყველაზე ხშირად კი სხვადასხვაგვაროვანი ლემენტების ერთ მოვლენაში ორგანულ შენივთებას ნიშნავს. სულიერ კულტურასთან მიმართებით ტერმინ სინკრეტიზმით აღინიშნება ერთიანი ტრადიციის შიგნით განცალკევებით მდგარი ელემენტების არასისტემატიზირებული კომბინაცია. მელგილ პერსკოვიცის მიხედვით, სინკრეტიზმი განსხვავებული კულტურების ინტეგრაციის ხარისხის მახასიათებელია. რიგ შემთხვევებში სინკრეტიზმის ცნებას აპულტურაციასა და ინტეგრაციას უკავშირებენ ასიმილაციის მნიშვნელობით. ამასთან, სხვადასხვა რეგიონალური სკოლა ტერმინ სინკრეტიზმი დადგებით ან უარყოფით კონტრაციას დებს. სინკრეტიზმის პრობლემა ჭიდროდად დაკავშირებული ეპლესიისა და სახელმწიფოს მიმართების, ინსტიტუციონალური ცვლილებების, სტაბილურობის საკითხებთან, რაც ასევე უაღრესად აქტუალური სამეცნიერო საკითხებია. ა. დოროხერსი სინკრეტიზმს, როგორც კულტურულ ფენომენს რელიგიის კონტექსტში მოიაზრებს და ხაზს უსვამს მისი შესწავლის აუცილებლობას შიდა, გარეშე და ბუნებრივი განხომილებების კუთხით. საკითხის გადაჭრას ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ შეუთანხმებლობასთან ერთად ართულებს კონკრეტულ რელიგიებში სხვაგვაროვანი ელემენტების გამოვლენა-კვლევის პრობლემაც, რაც საერთო კონტექსტის გაანაზღაული სტუდების გარეშე წარმოუდგენელია. რელიგია როგორც ერთიანი სისტემა ვერ გაიაზრება საერთო კონტექსტიდან მოწყვეტით. ამდენად, მისი დაკავშირება საკითხთა ერთობ მრავალფეროვან სპექტროთან სიმბოლოთა სემანტიკიდან დაწყებული რელიგიის ეკოლოგიით დამთავრებული, სავსებით ბუნებრივი და აუცილებელი ხდება.

თბილის დუდუშეა ური  
ნონის მოსახლეობის სკოლა  
ათონის მოსახლეობისა და კლიფონის გირდი

კლიფორდ გირცი – ამერიკელი ანთროპოლოგია, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული კულტურანთოპოლოგიის განვითარებაზე. მან საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას-ინტერეტაციულ ანთროპოლოგიას, რომელმაც შეითვისა ტრადიციული ამერიკული კულტურანთოპოლოგიის, პერმენევტიკის, სოციოლოგიური კონცეფციის და ანალიტიკური ფილოსოფიის იდეები. მისი თეორიის საფუძველს წარმოადგენს კ. წ. „სიღრმისეული ან გაჯერებული აღწერილობა“. გირცმა წამოაყენა კულტურის სემიოტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კულტურა ესაა სიმბოლოთა ბადე, რომელიც ადამიანმა მოქსოვა, მაგრამ ამ მნიშვნელობების გაგება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული ექსპერიმენტების მეშვეობით და ობიექტური კანონების ძიების გზით. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ინტერაციების, რომლისთვისაც კეცელაზე მთავარია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის აზრი, მნიშვნელობა. სერიოზული ადგილი მის მეცნიერულ შემოქმედებაში ეთმობა შეამავლის როლის მეთოდოლოგიურ ანალიზს. ეს შეამავლებია (განწყობა, მოტივაცია, მეცნიერის ინტერესი), რომლებიც აუცილებლად აღმოჩნდებიან ფაქტებსა და ამ ფაქტების მეცნიერულ ინტერაციებაციას შორის. მან იერარქიულად დაალაგა კულტურის ყველა არტეფაქტი – ნათესაური სისტემები, რელიგია, პოლიტიკური სისტემები, ეკონომიკა და მოახდინა მნიშვნელობის გაანალიზება და დეკოდირება, ამასთან ასაბუთებდა, რომ მათი რეალიზება ხდება ორ სიბრტყეში: ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე. ქვეცნობიერის კვლევამ იგი, ბუნებრივია, დაახლოვა ფსიქოანალიზთან და სტრუქტურალიზმთან, მაგრამ თავის ნაშრომებში, რომლებიც შეევანილია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გამოქვეყნებულ საუკეთესო ნაშრომების სიაში, გირცი მკვეთრ ზღვარს აკლებდა კულტურასა და სოციალურ სტრუქტურას შორის და ამით გაემიჯნებოდა ლევოსტრონის მოსაზრებებს, რომლის აზრითაც რიტუალები, ინსტიტუციები და კულტურის სხვა ასპექტები შეიძლება კარგად გაანალიზდეს იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომელთაც ისინი ემსახურებიან. მისი მეცნიერული შეხედულებები განზოგადებულად ასე გამოიყენება:

• კულტურა წარმოადგენს “სიმბოლოებით გამოხატულ მნიშვნელობათა ერთობლიობას“, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს “კორდინატთა სისტემით“ რეალობის აღსაქმელად. სხვაგვარად ეს არის არის ადამიანის მიერ სამყაროს ინტერპრეტაციის მცდელობა, ხოლო კულტურანოროპოლოგიური კვლევები სამყაროს მეორადი (ანუ მეცნიერული) ინტერპრეტაციაა

• კვოლუცია ნიშნავს არა იმდენად ადაპტაციას გარემო პირობებთან და არსებობის შენარჩუნებას, არამედ ადაპტაციას საზოგადოებასთან. სწორედ ადაპტაციის ამ ტიპმა ანუ დანარჩენ ადამიანებთან შეგუების აუცილებლობამ მოითხოვა ადამიანისგან სრულიად გასწავდებული, სპეციფიკური უნარების გამომუშავება.

• კულტურული ფენომენების შესაცნობად მთავარია არა ის რას “აკეთებენ“ ისინი, არამედ რას “ნიშავენ“ ისინი.

• შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ანთროპოლოგიის მიზანია კულტურათა დრმა და საფუძვლიანი შესწავლის გზით ადამიანური დიალოგის დისკურსის გაფართოება.

## დაგით სართანია ეთნოეთიკები და მთავარებები

1. ეთნოებიკები არის ეთნოსის არსებობის ხანგრძლივ პერიოდში ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმების (ქცევის ნორმების) სისტემა, რომლითაც რეგულირდება მოცემული ეთნოსის წევრთაშორისი ურთიერთობები.

2. ეთნოებიკების თითოეულ ნორმას საფუძვლად უდევს მოცემული ეთნოსის ფასეულობათა სისტემა და ეთნოებიკები მისი გამოხატვის, რეალიზაციისა და არსებობის საშუალება.

3. ამა თუ იმ ეთნოსის ფასეულობის დაცვა ან გადაფასება ფიქსირდება (გამოვლინდება) ეტიკების ნორმების გამოყენებით ან უგულებელყოფით.

4. საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ მხარის მენტალური გადაფასება იწვევს ეტიკების ნორმების უგულებელყოფას და სანაცვლოდ სხვა ახალი ნორმების დამკვიდრებას. მენტალური მდგრადობა კი ეტიკების ნორმების დაცვას განაპირობებს.

5. მენტალური მდგრადობა ან ცვალებადობა საზოგადოების ცხოვრების განვითარების ტენდენციებზეა დამოკიდებული და თაობათა ურთიერთობაში აისახება, როცა უფროსი თაობა ყოველთვის კონსერვატიზმს ამჟღავნებს, ახალი თაობა კი პირიქით – არსებული ნორმების გადასინჯვის მომხრეა. ეს პროცესი ბუნებრივი განვითარების პირობებში ლოგიკური

თანდათანობით მიმდინარეობს, ხოლო გარედან იძულებითი („წამლეკავი“ - ივ. ჯავახიშვილი) გავლენის შემთხვევაში ეთნოსის განვითარებაზე ნებატიურად აისახება.

## **მარიამ ჩხარტიშვილი ქართული იდენტობის ფრთხოების პროცესი და სომხური გამოყვავა**

1. მტკიცება იმის შესახებ, თუ ვინ ვართ “ჩვენ”, უკვე წარმოადგენს მტკიცებას იმისა, თუ ვინ არა ვართ “ჩვენ” ანუ “ჩვენ” თავის თავში შეიცავს “სხვას”. სწორედ “სხვა” გარკვეულ-წილად განაპირობებს “ჩვენს” ანუ “ჩვენ” არის პასუხი იმ გამოწვევაზე, რომელსაც ქმნის “სხვა”. აღნიშნული მართებულია ყველა ტიპის ერთობისათვის, მათ შორის, ეთნიკურისა და ნაციონალურის, რომლებიც კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზეა აღმოცენებული და რომლებიც კაცობრიობის შემადგენელი უმთავრესი ასოციაციებია.

2. ეთნიკურისა და ნაციონალურის “სხვა” არის მშობლიური ჩვენ-ჯგუფის მიღმა არსებული მთელი მსოფლიო, რომელიც კონკრეტულება მეზობელი ხალხის სახეში. სწორედ მეზობელი, “კონტაქტური” იდენტობა აძლევს რეალურ შინაარსს “სხვის” აბსტრაქტულ კონცეპტს. ამიტომ ამა თუ იმ ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების თავისებურებების გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გაცნობიერება, რომელსაც მას უყენებს მეზობელი ხალხი.

3. თავისი არსებობის მანძილზე ნაციონალურ ერთობას, რომელსაც ეწოდება ქართული და რომლის ეთნიკური ფესვები შორეულ წარსულში იკარგება, ისტორიულად ჰყოლია და ჰყავს არაერთი მეზობელი. თითოეული მათგანი წარმოადგენდა ან წარმოადგენს ქართული იდენტობისათვის გამოწვევას, მაგრამ უპირველესი “სხვა” ქართველებისათვის არის სომხობა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ესაა უდიდესი შინაგანი რესურსის მქონე იდენტობა მეორეც, იმიტომ, რომ სომხობა ქართველობისათვის არის პერმანენტული გამოწვევა უძველესი დროიდან დღემდე.

4. ქართულ-სომხური ურთიერთობები ყოველთვის იწვევდა და იწვევს სპეციალისტთა დიდ ინტერესს და, შესაბამისად, ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაერთი გამოკვლევა არსებობს. მოპოვებულია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა და გამოთქმულია არაერთი კომენტარი და შეფასება. მაგრამ სამეცნიერო პრაქტიკა ამ სფეროში კონკრეტული რეკონსტრუქციებით შემთიფარგლებოდა და სოციოლოგიურად ორიენტირებული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ საკითხებს არ აყენებდა. მაგალითად,

ქართული იდენტობის წრთობის პროცესზე სომხური გამოწვევის იმპულსის მნიშვნელობა დღემდე განხილვის საგანი არ ყოფილა. მოხსენების მიზანი სწორედ ამ ხარვეზის შევსებაა. შესავალი დაეთმობა ქართული იდენტობის ისტორიის მოქლე გადმოცემას ნაციის ეთნო-სიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში, ძირითადი ნაწილში კი წარმოდგენილი იქნება ქართულ და სომხურ იდენტობათა ურთიერთჭიდილის (შეჯიბრის, დაპირისპირების, მტრობის) თუ მშვიდობიანი თანაარსებობის შემაჯამებელი სურათი.

### თრიალეთური პულტურის ძირიზან დითონის ჰურპლის შესწავლისათვის

მხატვრული ხელოსნობის იმ მრავალფეროვნებიდან, რომელიც უკა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტურებიდან მხოლოდ თრიალეთური კულტურისთვისაა სპეციფიკური, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს ძვირფასი ლითონის ჭურჭელი. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმთავითვე იყორობდა მკვლევართა უურადღებას, მთელი რიგი არსებითი ხასიათის საკითხები, როგორებიცაა: ამ კატეგორიის არტეფაქტებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის ზოგადი პრინციპები, ლითონის ჭურჭლის მრავალფეროვანი პროფუქციის ანალიზის საფუძველზე შექმნილი საერთო ტიპოლოგიური სქემა, ორნამენტული დეკორის შედარებითი იკონოგრაფიული კვლევა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის და მკვლევართა საგანგებო უურადღებას ელის.

დღეისათვის ამ პრიბლებატიკასთან დაკავშირებული ვითარებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ცალკეული კონკრეტული არტეფაქტების შესწავლიდან აუცილებელია გადავიდეთ მხატვრული ლითონის ჭურჭლის სტილისტურ-მხატვრულ და ტიპოლოგიურ ანალიზე. ამ თვალთახედვით დანახული ძვირფასი ლითონის ჭურჭლი, როგორც ერთი მიმართულება მხატვრულ ხელოსნობაში, უაღრესად მნიშვნელოვანია თრიალეთური კულტურის მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან კავშირ-ურთიერთობის სურათის რეკონსტრუქციისათვის, და უფრო ფართო პრობლემის, საკუთრივ ამ კულტურის განეზისის დადგენის თვალსაზრისითაც.

ნაშრომში ძვირფასი ლითონის ჭურჭლი შესწავლილი გვაქვს რამდენიმე მიმართულებით: 1. ფორმათა დიფერენცირების და ამის საფუძველზე ამ კატეგორიის მასალებისათვის ზოგადი ტიპოლოგიური სქემის შემუშავების თვალსაზრისით; 2. მეორე მიმა-

როუდება, საითაც უნდა წარიმართოს საგანგებო კვლევა – ესაა ორნამენტული დეკორის იკონოგრაფიული კვლევა.

ამჯერად საგანგებო ყურადღება მივაქციეთ ამ უკანასკნელ პრობლემას, რომლის შესწავლამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო სულ მცირე ოთხი მხატვრული სტილი: ა) სრულიად სადა; ბ) ლიმიტირებულად ორნამენტირებული, ისიც მხოლოდ მარტივი გეომეტრიული სახეებით; გ) მხოლოდ საფისადო მხარეს ორნამენტირებულია და დ) უაღრესად მდიდრულად ორნამენტირებული როუდსახოვანი სიუჟეტით.

აღმოჩნდა, რომ ოთხივე ეს სტილი ერთნაირად ახასიათებს როგორც გერცხლის, ასევე ოქროსაგან დამზადებულ ნიმუშებს და მხოლოდ რომელიმე მათგანის სპეციფიკა არ არის. გარდა ამისა, გაირკვა, რომ ორნამენტული სახეების მხრივაც, ჭურჭლის იკონოგრაფიაში საქმაო მრავალფეროვნებაა. კერძოდ, დიფერენცირდება გეომეტრიული, კომბინირებული (გეომეტრიული, საკულტო საგნები, ზომორფული და ადამიანის გამოსახულებანი) და “წმინდა” ზორმორფული სტილი. ნაშრომში ყურადღება აქცენტირებული თითოული მათგანის ძირითად მახასიათებელ ნიშნებსა და მათ კომპარატიულ კვლევაზე.

## ზ ა ზ ა ს ხ ი რ ტ ლ ა ბ ე

### გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერის ფრესკა მეზეთა მეზის გამოსახულებით

იმ ოთხ ათეულამდე საქტიტორო პირტეტს შორის, რომლებიც გელათის მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის შობის ტაძრის კედლებს შემორჩა, უთუოდ ყველაზე საინტერესო, ამასთან უამრავ პასუხაუცემელ კითხვასთან დაკავშირებული, სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის მოხატულობაში წარმოდგენილი გამოსახულებაა. სწორედ ამ გამოსახულებას მიემართება საკითხთა რიგი, რომლებიც მკვლევართა არაერთი თაობის პოლემიკისა და განსჯის საგანი გამხდარა. მათ შორის უმთავრესია მეფეთ მეფე თამარის გარდაცვალების თარიღი და დაკრძალვის ადგილი.

მოზრდილი ეკვდერი, რომელიც ტაძრის სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთითაა განთავსებული, XII საუკუნის მეორე ნახევარში აიგო. იგი წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობისაა. ივარაუდება, რომ ეკვდერს ეს სახელდება XVIII საუკუნიდან უნდა

დამკვიდრებოდა. ქველთაგანვე არსებობს სხვა სახელდებაც – იგი წმ. მეფე თამარს უკავშირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში სამლოცველო მეფე დავით ნარინის საძვალედაა მიჩნეული და შესაბამისად, მისი ეკვდერის სახელითაა ცნობილი. მართლაც, ამ ეკვდერშია დაკრძალული თამარის შვილიშვილი და რუსულანის ძე – მეფე დავით VI (1246-1293). მისი საფლავი სამლოცველოს დარბაზის სამხრეთ კედელთან მდებარეობს. ეკვდერში არის მეორე სამართიც – დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში; მასში დაკრძალულთა გრიაბია დღემდე სადაოდ რჩება.

ეკვდერი ორჯერ მოუხატავთ. ფერწერის პირველი ფენა მისი აგების ახლო ხანებში (კი. XII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ) უნდა იყოს შესრულებული. მეორე ფენა, რომელიც ახალ ბათქაშზეა შესრულებული, 1292-1293 წლებით თარიღდება.

ფრესკულ სახეთა შორის მოხატულობაში წარმოდგენილია სამი საქტიტორო გამოსახულება. მათგან ორი დავით VI-ისაა, ხოლო მესამე, ასევე გვირგვინოსნისა, თანმდევი წარწერით: **მეფე მეფე – საერო პირთაოვის სრულიად უჩვეულო ადგილზე, ზეციურ ზონაში**, კამარის ჩრდილოეთ ფერდზე განთავსებული.

კამარის ფერდზე წარმოდგენილი გამოსახულების თაობაზე სხვადასხვა დროს განსხვავებული მოსახრებია გამოთქმული. მიჩნეულია, რომ ეს უნდა იყოს დავით VI-ის ვაჟი, 1279 წლიდან მისი თანამოსაყდრე, ვახტანგ II, რომელიც 1292 წელს, სრულიად ახალგაზრდა, მოულოდნელად გარდაიცვალა (თ. ვირსალაძე, ქ. მიქელაძე), ან თავად დავით VI (თ. ვირსალაძე). ამასთანავე, ივარაუდება, რომ ფრესკაზე თამარ მეფე უნდა იყოს გამოსახული (გ. გოგაძე, ბ. ლომინაძე, ი. ლოლაშვილი).

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის მიერ გელათის მონასტერში 2005-2006 წლებში მოწყობილი ორი ექსპერიციის პროცესში, გამოსახულების გრაფიკული ასლის გადმოღებისას და მისი კვლევისას, მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ერთობლივი მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ:

1. ეკვდერის ჩრდილოეთი ქანობის ფრესკული კომპოზიცია მხატვრობის პირველ ფენას ეკუთვნის. ბათქაშისა და ფერწერის ფენათა მონაცემებთან ერთად, ამაზე მეტყველებს ეკვდერში შემორჩენილ ფრესკულ სახეთა, მათ შორის – დავით VI-ისა და მეფეთა მეფის გამოსახულებების თანმხლები წარწერების განსხვავებული პალეოგრაფია.

შესაბამისად, მეფეთა მეფის გამოსახულების შექმნის სავარაუდო პერიოდი განისაზღვრება მონაცევით XII საუკუნის მე-

ორე ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე XIII საუკუნის მიწურულამდე.

2. ფრესკაზე სამეფო შესამოსელით წარმოდგენილი გვირგვინოსანი ქალია. ამას მოწმობს მისი თავსაბურავისა და სამკაულისაგან – კუბასტისა და მასიური საფურისაგან შემორჩენილი ფრაგმენტები.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XIII საუკუნის მიწურულამდე საქართველოს ისტორიაში ასეთი ორია – მეფეთმეფე თამარი (1184-1210) და რუსულანი (1222-1245).

3. გვირგვინოსნის გამოსახვა ზეციური სფეროში სავარაუდოს ხდის, რომ პორტრეტის შექმნისას იგი ან უკეთ გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, ანდა ამგვარი გადაწყვეტით საგანგებოდ იქნა წარმოჩენილ-გაცხადებული ფრესკაზე წარმოდგენილი მეფეთა მეფის გამორჩეულობა.

ყოველივე აღნიშნული გასათვალისწინებელი ჩანს ფრესკული გამოსახულების გაიგივებისას.

**გაია ციციშვილი**  
**გუბრ-ჟუტურისტული მხატვრობის თავისებური**  
**ინტერარტაცია ირაპლი გამრეპლის შემოქმედების**  
**მაბალითზე**

ქართული დაზგური ფერწერის წარმოშობიდან, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად XX საუკუნის ბოლომდე, ქართული მხატვრობა ყველაზე თავისუფლად და თამაბად 1910-1920-იან წლებში ვითარდებოდა. საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით ეს პროცესი 1930-იან წლებში მხოლოდ თეატრში გაგრძელდა. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი სწორედ XX საუკუნის პირველი მესამედის ქართული კულტურისა და განსაკუთრებით კი მხატვრობისადმი. 1910-20-იან წლებში თბილისის ქართული აგანგარდული ხელოვნების მნიშვნელოვანი ცენტრად ჩამოყალიბებაზე რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა: XIX საუკუნიდან მოყოლებული თბილისის წამყვანმა როლმა პავკასიის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, თბილისში მცხოვრებ თუ საგანგებოდ ჩამოსულმა აგანგარდისტ ხელოვანთა ინტერნაციონალურმა გარემომ და, რაც მთავარია, ქართული მხატვრობის განვითარების თვითმყოფადმა გზამ.

ქართული აგანგარდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, ირაკლი გამრეკელის, შემოქმედებაში მკეთრად და ნათლად გამოვლინდა დროისმიერი თვალთახედვა, განწყობა და საერთოდ ამ პერიოდის ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ის იმ ქართველ მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც მოასწეს თავიანთი შემოქმედების ჩამოყალიბება საკუთარი შეხედულებების, სურვილებისა და წარმოდგენების შესაბამისად, შეუზღუდვად, თანადროული ეპროექტი მხატვრობის აგანგარდულ მიმდინარეობათა გათვალისწინებითა და გაზიარებით და ასევე, ადგილობრივ, ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებთან შეთანხმებით.

ირაკლი გამრეკელის ათი ფურცლისაგან შემდგარი გრაფიკული სერია „ცირკი“ განკუთხილი იყო ჟურნალ „H2SO4“-ის მეორე ნომრისათვის, რომლის გამოცემა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. სულ ცოტა ხნის წინათ ადმოქენილი ეს ნაწარმოებები ახალი კუთხით წარმოვიდგენს ამ უაღრესად ნიჭიერ და მუდმივ ძიებაში მყოფ ხელოვანს, რომელიც შემოქმედებითად არახვეულებრივად ზუსტად გრძნობდა XX საუკუნის პირველი მესამედის ავანგარდული ხელოვნების ხასიათს. ადსანიშნავია, რომ ი. გამრეკელმა ხატვა საქმაოდ გვიან დაიწყო და მისი თანამედროვე სხვა ქართველი მხატვრებისგან განსხვავებით განათლება ევროპაში არ მიუღია. ირაკლი გამრეკელის

უადრესად მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობა, იქნება ეს ფერწერული ტილოები, წიგნის ილუსტრაცია, თეატრისა თუ კინოს მხატვრობა, ამ ერთ-ერთი ყველაზე თამამი ავანგარდისტის თავისებურ აზროვნებასა და ხელწერაზე მეტყველებს. 1924 წელს შესრულებული „ცირკის“ სერია ძირითადად კუბო-ფუტურისტული მხატვრობის არსებითი მახასიათებლების გაზიარებით შექმნილი თავისებური ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომამდე წარმოქმნილი ფუტურისტული მიმდინარეობა 1924 წლისათვის ეპროპაში ნაკლებად აქტუალური იყო, რუსეთში ის არსებობას ჯერ კიდევ განაგრძობდა. ირაკლი გამრეკელის სერიაში „ცირკი“ არსებითი და წარმმართველი უდაოდ კუბო-ფუტურისტული ნიშნებია, თუმცა ის აგრეთვე თანადროული, ავანგარდული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სხვა თვისებებსაც მოიცავს.

## 0 რ 0 ნ ე მ 0 რ 0 ჯ ა ნ ა შ ვ 0 ლ ი ა ზ ხ ა ზ ე თ შ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი ბ ა ნ ი ა ღ ი ს ბ ა ზ ი ლ ი პ ი ს შ მ ს ა ხ ა მ ა ბ

აფხაზეთში უამრავი ნაშთი თუ ძველი ნაგებობაა შემორჩენილი. ყველაფერი, რაც აფხაზეთში შემოგვინახა, ერთ რამეს გვიცხადებს, მეზობელი ხალხების მიღწევათა გაზიარებით, საკუთარი თაოსნობითა და მხატვრული განცდით, აქაური მკვიდრნი, განურჩევლად გვარ-ტომისა, შინაგანად მრავალფეროვანი, მაგრამ მთლიანი ქართული კულტურის თანაშემოქმედნი იყვნენ მაშინაც კი, როდესაც მრავალ მიზეზთა გამო ჩვენი საერთო, ააგრარა სამშობლო დანაშილებულ-დაყოფილი ყოფილა.

დღევანდები პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ უურადღება გავამახვილოთ კულტურული მემკვიდრეობის ისეთ ძეგლზე, როგორიცაა განთიაღის ტაძრი. იგი მდებარეობს ქ. გაგრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ეს არჩევანი განაპირობა ამ ტაძრის საგმაოდ რთულმა არქიტექტურულმა სახემ. ფუნქციურ-არქიტექტურული ოვალსახრისით განთიაღის ბაზილიკის პარალელები მოიპოვება ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა კუთხეში. ძეგლის ეს თავისებურება საგმაოდ ართულებს კვლევას. კერძოდ, პარალელების მიუხედავად მიუკერძოებლად და ობიექტურად უნდა შეფასდეს ამ ძეგლის ადგილი და კავშირი დასაგლეთ საქართველოსა და საერთო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ხაზში.

ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან გარკვეული მეცნიერები (ხრუშჩოვა, ლექვინაძე), რომლებმაც სხვადასხვა

დროს მიაქციეს ფურადღება განთიადის ბაზილიკას, ძეგლს წარმოაჩენენ, როგორც მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეულ არქიტექტურულ ნაგებობას და შემოაქვთ ცნება „აფხაზური არქიტექტურისა“, რომელიც აბსოლუტურად ამოვარდნილია დასაფლეთ საქართველოს საკულტო არქიტექტურის განვითარების საერთო ხაზიდან.

მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე შევვიდე განმესაზღვრა განთიადის ბაზილიკის რეალური ადგილი და კავშირი დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ ადრეული შეუსაუკუნების ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების საერთო ხაზში.

## თ ე პ უ შ ა რ

### ბანახლებული ფერწერული დეპორაციული სისტემა ქართულ სცენაზე (ი. სამართაშვილის ნამუშევრების მაგალითზე)

ქართული თეატრლურ-დეკორაციული სელოვნება განვითარების პროცესში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ამ პროცესში მთელი რიგი მხატვრები იყვნენ ჩართულნი და ნაყოფიერად ავლენდნენ თავიანთ შემოქმედებით პოტენციალს. 1930-იანი წლების შუახანიდან ქართულ დეკორაციულ სელოვნებაში მკვეთრი გარდატეხა შეიმჩნევა, რომელიც საბჭოთა სელოვნებაში და, კერძოდ, თეატრში განვითარებული საერთო ტენდენციებით იყო განპირობებული. 1940-იან წლებში ქართულ დეკორაციულ სელოვნებაში ახალი ტენდენციები წნდება. სცენას განახლებული ფერწერული დეკორაციული სისტემის გაფორმება უბრუნდება. (ი. შარლეგმანი, ირ. გამრეკელი, დ. თავაძე და სხვ.) მხატვართა შორის ვინც სცენაზე განსხვავებული მხატვრული მიდგომებით ფერწერული დეკორაცია დაამკვიდრა იყო იოსებ სუმბათაშვილი. განსხვავებული დრამატურგიული მასალა და რეჟისორული კონცეფციები მხატვარს საშუალებას უქმნიდა სცენაზე მრავალსახოვანი ფერწერული დეკორაციები წარმოედგინა. გაფორმების თითოეულ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი უკანა დეკორაციის ოპტიმალურად გამოყენების პრინციპზე იყო აგებული, როგორც მისი განლაგების, ასევე ფერწერულობის თვალსაზრისით. ი. სუმბათაშვილი აქტიურად გვერდით დეკორაციებს იყენებს, ხოლო სასცენო სივრცეში თითქმის ყოველთვის აუცილებელი საგნების განლაგებით იფარგლება, რომდებიც მიზანდასახულად გაფორმების საერთო კომპოზიციაში ერთვებოდნენ. სხვადასხვა შემთხვევაში მიმდინარეობს ფარდების აქ-

ტიურად ჩართვა, ფარდებზე მეტყველი კლემენტების გამოყენება, მათი ვარირება, ღრაპირება, განათების ოსტატურად ჩართვა დადგმაში მონუმენტალურობამდე იყო აყვანილი. კოსტიუმები ყოველთვის ლაპონურია და ეპოქის სტილის გამომსატველი, პერსონაჟთა ტიპაჟებში, მათ პოზებში და ქესტიკუ ლიაციაში, ჩაცმულობაში დადგმის ხასიათია აღბეჭდილი. სუმბათაშეკილი რო გორც დეკორაციებში, ასევე კოსტიუმებში ოსტატურად მთელ სასცენო სივრცეში ანაწილებს ფერადოვანი გამის საერთო ქდერადიბას. მხატვარი თავისუფლად ფლობს და იყენებს დეკორაციულ ხელოვნებაში არსებულ ყველა ხერხს. მხატვრული გადაწყვების ფართო დიაპაზონი მას ყოველთვის საშუალებას აძლევდა ყოფილიყო თვითმყოფადი. ფართო ერუდიცია, დახვეწილი გემოვნება კოლორიტის შერჩევაში, ეპოქის ცოდნა ვლინდება არა მარტო მუდმივ ძიებათა პროცესში, არამედ მის ინდივიდუალობაში, შექმნას უფასებური და ემოციური თეატრალური სანახაობა. ი. სუმბათაშვილის შემოქმედება ორგანულადაა დაკაფშირებული ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებასთან და მის მიღწევებთან.

## შილოსოფის, გულტურის მეცნიერებისა და პედაგოგიკის სემინარი

### გიორგი ბარაზოეგი კონფრანტის პრაგმატიკული საშუალების შესახებ (კონფრანტის ლეგიტიმაციის პროცესი)

ნაშრომის მიზანია იმის ჩვენება, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა არ ამოიწურება მათ შორის კონტრაქტული ურთიერთობებით. ნაშრომი მოძრაობს პეგელის ხამართლის ფილოსოფიით განსაზღვრულ სააზროვნო სიბრტყეზე; – ქმედების კომუნიკაციური თეორიის (პაბერმასი) პრინციპებით, ე. წ. პოსტმოდერნული ნაკადის სააზროვნო პარადიგმებითა და პოსტსეკულარული აზროვნების მახაიათებლებით მონიშნულ სააზროვნო სივრცეში.

პეგელის მიხედვით კონტრაქტში მთავარია ჩემი ნება, რომელიც სხვისი ნების იდენტურია. მას საფუძვლად უდევს საერთო ნება (Gemeinsame Wille) და არა საყოველთაო ნება (Allgemeine Wille).

ამრიგად, კონტრაქტი წანამძღვრად გულისხმობს თვითნებობასა და შემთხვევითობას, რაც განაპირობებსმის მის უმდგრა-

დობას. მაგრამ კონტრაქტის თვითნებობასა და შემთხვევითობაში მდგრადობის ელემენტი შეაქვს ნდობას (Zutrauen) მოკონტრაქტე მხარეებს შორის. ნდობა არის კონტრაქტის წინარეკონტრაქტული საფუძველი.

მაგრამ ნდობა მოკონტრაქტე მხარეებს შორის არ არის მყარი, რაკი იგი გრძნობად – ემოციური და რწმენითი წარმომავლობისაა და არაა უზრუნველყოფილი მისი უნივერსალური ხასიათი.

ამრიგად, ადამიანების ერთმანეთთან დამაკავშირებელი არის კონტრაქტი, რომელსაც აქვს წინარეკონტრაქტული საფუძველი – ნდობა.

მაგრამ ნდობა, თავის მხრივ, ეყვარება წმიდას, ხოლო წმიდა ეყვარება წმიდათაწმიდას, რასაც ჰეგელი უწოდებს: Substantielles Band.

ამრიგად, ნდობას (Zutrauen), თვითნებობას (Willkur), შემთხვევითობას (Zufälligkeit), რანიც აკონსტიტუირებენ სოციალურ კონტრაქტს დასაფუძვლებული აქვს Heilige (წმიდა) და Heiligste (წმიდათა წმიდა).

ამრიგად, ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური თანაცხოვრებას აწესრიგებს კონტრაქტი, რაც, საბოლოო ჯამში, ეყვარება ღმერთის მიერ ადამიანებთან დადებულ ხელშეკრულებას, კავშირს, ადოქმას. ადამიანთა შორის ჭეშმარიტი ხელშეკრულება ღოთივებურთხეული კავშირია, რაც მისი ურლვეობის საწინდრად გვევლინება.

თანამედროვე აზროვნების ერთმა ნაკადმა მონიშნა ის, რომ წარიხოვა და დესტრუქცია თუ დეკონსტრუქცია განიცადა სამოქალაქო თანაცხოვრების სიწმინდის ელემენტმა.

მაგრამ ამგვარი რამ უკვე ჰეგელი შენიშნა. სამართლის ფილოსოფიის §75 – ის შენიშვნაში ჰეგელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ახალ დროში შეიცვალა ხელშეკრულების არსი. ჰეგელი გვაფრთხილებს იმ საფრთხის თაობაზე, რომ იკარგება კონტრაქტის არაკონტრაქტული საფუძველი. ამის გამო კი კონტრაქტში დადგინდებული საერთო ნება ცალმხრივდება და ძალადობად იქცევა კ. ი. ერთერთი მოკონტრაქტე მხარე თავის ნებას თავს ახვევს მეორე მხარეს. ადამიანთა შორის კერძო ურთიერთობათა დონეზე საფუძველი ეცვლება ამგვარი ურთიერთობის გულწრფელობის წანამდგარს, რის გამოც მათ შორის კომუნიკაციური მიმართებების ნაცვლად სტრატეგიული (გაცურების, მოტყუების, თვალის ახვევის, საბოლოო ჯამში კი, ბატონობის) ურთიერთობანი ისადგურებენ. ხოლო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა დონეზე ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებში დადგინდებული საერთო ნების ქცევა ერთი რომელიმე

სახელმწიფოს ანდა სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის ნებად. ამას შედეგად მოხდევს ის, რომ იშლება მათ შორის (ისე როგორც ადამიანთა შორის კერძო ურთიერთობათა დონეზე) კონსენსუსის ფონი.

ჰეგელი ყურადღებას ამახვილებს ორ ძირები ფენომენზე: ძველები ანდა წინაპრები (Alter) და შთამომავლობა ანდა მომავალი თაობა (Nachkomme). ახალ დროში მოშლილია მათ შორის კავშირი, რაკი მას გამოსცლია საკრალური საფუძველი, რაკი გაქიდებულია ე.წ. Substantielles Band.

**სიწმინდის ელემენტი** შემონახული არის ე. წ. წეს-ჩვეულებითს აზროვნებაში. ჰეგელის მიხედვით სწორედ ის არის იმ თავისუფლების გასაქანი, რომელიც ადამიანს თავისი გან-საკუთრებულობის საფუძველზე ახასიათებს. ძველი ბერძნული ყოფის ჰეგელისეული ანალიზიდან ირკვევა, რომ ძველ ბერძნულ კომენზებში აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს კანონი და ჩვეულება, მოვალეობა და ზნე. ჰეგელის ზოგი მიმდევარი (მაგ. ბოსენქვითი) თვლის, რომ შემდგომში მან მოდიფიკაცია უყო თავის შეხედულებებს თავისუფლების თანამდეროვე ცნების შესაბამისად. რის შედეგადაც ჰეგელის სიტემაში ადგილი დაიმკვიდრა თავისუფალი არჩევნის, ინიციატივისა და საკუთრების ცნებებმა as necessary to the complete communion of intelligent beings. იმავე ავტორს მიაჩნია, რომ კანონის, ჩვეულების, ზნეობის, თავისუფალი არჩევნის, ინიციატივისა და საკუთრების ერთობლიობა მთლიანად ამოწურავს the ful nature of mind.

**საყოველთაო** კი შემონახულია ე. წ. რაციონალურ აზროვნებაში. ჩვენი ეპოქის ნიშნად კი, როგორც კონსერვატიული ყაიდის მოაზროვნები მიუთითებენ, კვლავაც რჩება ძალაში ჰეგელისეულ ფორმულირებაში გამოხატული ეპოქალური მოთხოვნა:” dass Allgemeine verbunden sei mit der Freiheit der Besonderheit” (§ 260 დამატება); “რომ საყოველთაო შეერწყას განსაკუთრებულის სრულ თავისუფლებას“.

## 0 რა ძლი გრაზ უდი ალეთერლობია და ხელოვნების ფილოსოფია

შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური გამოკვლევების პრობლემატიკა სამ ძირითად პრიორიტეტად შეიძლება დავაჯგუფოთ: ჰეშმარიტება და ფილოსოფიის არსის პრობლემა, ხელოვნებისა და მხატვრული ნაწარმოების არსის პრობლემა, ადამიანების ყოფიერებისა საზრისისა და კულტურის ისოტორიის პრობლემა. თითოეული მათგანი ფოკუსირებულია შალვა ნუცუბიძის მიერ შემუშავებული

ტერმინოლოგიური აპარატით გამოხატულ ვითარებებზე. აღნიშნული ტერმინოლოგიური აპარატის ძირითადი კატეგორიებია “არსებულზე წარმატებული” და “წინარე ლოგიკური”. ქეშმარიტება როგორც ა-ლეგეა – დაფარულის განცხადება (დაფარვისა და დიარბის, ნათელისა და ბნელის, საიდუმლოსა და განცხადებულის არსობრივი დიალექტიკა) არის მთელი ამ ფილოსოფიური დისკურსის კონცეპტუალური კარქასის ბირთვი. შემეცნების ორდიმენსიონალური სტრუქტურა, არეოპაგეტული ნეგატიური თეოლოგიის მეთოდოლოგია, კუზელისეული “განსწავლული არცოდნა”, რომელიც ნუცუბიძის მიერ რენცსანსური ფილოსოფიისა და კულტურქმნადობის არსებით ფაქტორად არის მიჩნეული, აგრეთვე ესტეტიკური პრობლემატიკის დაფუძნების ალეთოლოგიური ვარიანტი ქმნის გაგების საერთო პორიზონტს, ამ პორიზონტის შიგნით ფილოსოფია არის გზა სიბრძნისაკენ, სწორედ ამ გზაზე შეიძლება გაშუქდეს როგორც კულტურის, ასევე შემეცნების, ყოფიერების საზრისის, მხატვრული ქმნადობის და სხვა არსებითი ფილოსოფიური პრობლემები. სწორედ აღნიშნული პორიზონტის შიგნით იქნება შესაძლებლობა შინაგან კაგშირში იქნეს განხილული შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური მოდვაწეობის სხვადასხვა სფეროები და პრიორიტეტები. ამავე ნიადაგზე შეიძლება განხორციელდეს შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური გამოყვლებების ინტერპრეტაცია და თანამედროვე კონტექსტში გააზრება.

## ლერი მჟავადლიშვილი დიალექტიკური ლოგიკა: წარსული თუ მომავალი?

გასულ საუკუნეში საბჭოთა კავშირში მრავალი წლის მანიფესტები მიმდინარეობდა მწვავე დისკუსია ფორმალურ ლოგიკისა (ფლ) და დიალექტიკური ლოგიკის (დლ) ურთიერთ-მიმართვებაზე; დლ-ს იდეა სათავეს იღებდა პეგელის ფილოსოფიდან. საქართველოში დისკუსიის მხარეებს წარმოადგენდნენ დიდი მოაზროვნები კ. ბაქრაძე და ს. წერეთელი. დლ-ს ერთ-ერთი საპროგრამო დებულების თანახმად ყოველი საგანი წინააღმდეგობრივია თავის თავში (პეგელი) და ამიტომ სინამდვილის ადგვატური აღწერა უნდა შეიცავდეს წინააღმდეგობას (ამასვე ამტკიცებდა ს. წერეთელი). ეს დებულება, ტერმინოლოგიურად მაინც, შეუთავსებელია ფლ-ის კანონებთან და ამიტომ დისკუსიის უმთავრეს საკითხად იქცა წინააღმდეგობისა და უარყოფის გაგება დიალექტიკაში. ორივე შერიდან ბევრი არგუმენტი იქნა წამოყენებული და, მიუხედავად ამისა, დისკუსია მაინც დაუმთავრებელი დარჩა. დლ-ს ერთ-ერთი საფუძველი იყო

ტრადიციული ფლ-ს უკმარობა, მაგრამ როგორც კი (საბჭოთა კავშირში) გაცნობიერებული იქნა, რომ მისი მემკვიდრე დღეს არის მათემატიკური ლოგიკა, რომელშიც დაძლეულია ტრადიციული ფლ-ის ბევრი სარგებები, და ამავე დროს (ცხადია, სხვა მიზეზებით) შეირყა მარქსიზმის დომინანტური მდგომარეობაც, მოხდა დღე-ს მიმართ ინტერესის რედუქცია; თუმცა, თუ უფრო დიდ მასშტაბს ავიდებთ, დღე-ს იდეა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა – მან არსებობა სხვა სახით გააგრძელა. მართლაც, 60-იანი წლებიდან ლოგიკის “მსოფლიო რეგაზე” წნდება ახალი მიმართულება პარათავსებადი ლოგიკა, რომელიც წინადაღებათა წინააღმდეგობრივ სისტემებზე მათი ტრიგიალიზაციის გარეშე ბჭობის ლოგიკად იყო ჩაფიქრებული და რომელშიც ირლევვა პრინციპი წინააღმდეგობიდან ყველაფერი გამომდინარებოს. პარათავსებადი ლოგიკის განვითარებას შედეგად მოჰყვა დღე-ის სხვა სახით აღორძინება; ეს არის გ. პრისტისა და სხვების დიალექტიზმი, რომლის უმთავრესი დებულებაა ჭეშმარიტი წინააღმდეგობის არსებობის მტკიცება. ბუნებრივია, რომ ჩვენში მიმდინარე დისკუსია გაგრძელდა, ოღონდ სხვა სიბრტყეში – დიალეთებიზმი უკვე ცორმალიზაციის წინააღმდეგი არ არის. კ. პოპერიც, კ. ბაქრაძეც და სხვა კრიტიკოსებიც ვარაუდობენ, რომ დიალექტიკური წინააღმდეგობის არც ერთი, დიალექტიკოსების შრომებიდან ცნობილი მაგალითი არ არის წინააღმდეგობა ფლ-ის ოვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მათ შორის იქნება ისეთებიც, რომლებიც დიალექტიკოსი მოაზროვნისათვის იყო ინტუიციური განათება თავისი კონცეფციისკენ სვლის პროცესში. სხვაგან ჩვენ ვუჩვენეთ, როგორ უნდა გავიგოთ ფლ-ური წინააღმდეგობის გარეშე თრი ასეთი მაგალითი პეგელიდან, ახლა კი უკვე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ წინადაღებათა შემდეგი წევილების 1) ერთეული არის ზოგადი, ერთეული არ არის ზოგადი და 2) წარმოება არის მოხმარება, წარმოება არ არის მოხმარება, ჭეშმარიტების მტკიცებას ს. წერეთლის მიერ თავის “დიალექტიკურ ლოგიკაში” საფუძვლად უდევს სიტყვების პოლისემიური გამოყენება.

## ზაზა ვირალიშვილი სეპულარიზმი და პოსტსეპულარიზმი

ჩვენს ეპოქას რელიგიური და სეკულარული კულტურების კონფლიქტის ეპოქას უწოდებენ ხოლმე. ერთისმხრივ, არსებობს მთელი ინტელექტუალური გარემო, რომელიც უზენაესი საზრისისა და სულის სხნის კატეგორიებით აზროვნებს და ჭეშმარიტების ტოტალობის ფლობაზე აქვთ პრეტენზია, ხოლო,

მეორეს მხრივ, არსებობს პოსტკულტურული და პოსტისტორიული კატეგორიებით მოაზროვნე ინტელექტუალური ტრადიცია, ე.წ. პოსტლიბერალური სამყარო, რომლისთვისაც რელიგიური ინტელექტუალური ტოტალიტარიზმი, უპირატესად, რისკის ფაქტორის შემცველი და, როგორც იურგენ ჰაბერმასი ამბობს ამას მონითეისტური რელიგიების შესახებ, დასტრუქტიული პოტენციალის მატარებელია.

ამ პოზიციებთან შესაბამისობაში, მეტაფიზიკურ კომპეტენციასთან მიმართებაში საქმე გვაქვს ორგანო რედუქციონიზმთან. ერთ შემთხვევაში, ურჩხილებს გარეთ გადის ყველაფერი, რაც ბეჭისწერისა და სულის სხინის პრობლემებს უპავშირდება და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სეკულარულ მსოფლმხედვებლობასთან. ამ დროს სულის სხინის იდეას სოციეტალურ პლანში უზრნქციონალურად ენაცვლება ადამიანის უფლებების იდეა, რელიგიურ ესქატოლოგიას – საყოველთაო მიწიერი თანხმობისა და მშვიდობის იდეები. საზრისებითა და მნიშვნელობათა ინტენსივობებით აღსაგვს სამყარო ჩაანაცვლა ონტოლოგიურმა ეგალიტარიზმმა, როდესაც რელიგიური გამოცდილების ადგილს ექსპერიმენტი იკავებს. ამგვარი მეტაფიზიკა რელიგიისათვის სხვა, უფრო უნივერსალური ნარატივის, კერძოდ სექულარული ნარატივის ნაწილად ქცევას და საკუთარი უნივერსალობის დათმობას ნიშნავს. რელიგიური კულტურის შემთხვევაში კი თავად ეგალიტარიზმი გადის ურჩხილებს გარეთ.

რედუქციონიზმის ეს ორი სახე განსაზღვრავს ორი პარალელური და ურთიერთგამომრიცხავი საკომუნიკაციო სივრცისა და ლინგვისტიკის არსებობას. ხოლო როდესაც ერთ სამყაროში ორი ექსკლუზივისტური ლინგვისტიკა იწყებს არსებობას, კონფლიქტი, ერთი შეხედვით, გარდავალია.

## ମାନ୍ୟରୀ ପରିଷକାଳୀଙ୍କାଳୀଙ୍କ

„**ტრანსფარენციალური**“ – გამოთქმული, გამოუთხმებული, გამოსახული

1. ლუდვიგ ვიტბენშტეინის “ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” გასული საუკუნის საეგაპო მნიშვნელობის ნაწარმოებია, რომელმაც ერთი მხრივ შეაჯამა გარკვეული მიმართულებით წარმოებული კვლევები და შეორე მხრივ კი მნიშვნელოვანი პერსაექტივები დასახა ენის პრაგმატისტული ანალიზის კუთხით. პრაგმატიკის პრიმატი, რომელიც ასე აშ-კარაა გვიანდება.

ვიტგეტშტეინისათვის, უპვე მონიშნულია “ტრაქტატის” ერთ ცნობილ თეზისში, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია რეფლექსიას კი არა, უფრო საქმიანობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია უფრო მეტი ვილაპარაკოთ ვიტგენშტეინის ერთიან ფილოსოფიურ ხაზზე, ვიდრე ეს მიღებულია.

2. ”ტრაქტატის” სტანდარტული ინტერპრეტაცია მას აფასებს როგორც ასახვის თეორიას. თავისთავად საგმაოდ კორექტული ამგვარი შეფასების საფუძველს თვით ნაწარმოები იძლევა, რომელშიაც ვიტგენშტეინი ლაპარაკობს ენის მიერ არსებულის “სურათებრივ” ასახვაზე რამდენადაც ავტორმა საკუთარი ლოგიკა და ეპისტემოლოგია ამ მიმართულებით წაიყვანა, მას მოუწია იმის აღწერაც რაც აისახება ენაში, ანუ მას მოუწია გადმოეცა სამყაროს ონტოლოგიური სტრუქტურა შესაბამისი კონფიგურაციებით.

3.”ტრაქტატში” რიგი, მისი ფილოსოფიისათვის სპეციფიური ტერმინების გარდა, გადმოცემული ონტოლოგია სრულად ინარჩუნებს კლასიკურ ტერმინოლოგიას. “ფორმა” და “შინაარსი”, “შესაძლებლობა” და “სინამდვილე”, “სუბსტანცია” და “ფაქტების” ან “საგნების სტრუქტურა” იმ ბაზისურ ენობრივ საშუალებებს ქმნიან, რომელშიაც ვიტგენშტეინი ფიქრობს წარმოადგინოს სამყაროს საკუთარი ხედვა. სამყარის სტრუქტურა მარტივი არ არის და დაზუსტებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას ტოვებს. ეს კითხვები ძირითად შეეხება შესაძლებელის და ნამდვილის ურთიერთობას ასახვის კონტექსტში.

4. ონტოლოგიის გადმოცემას მოხსევს შესაბამისი ენობრივი სტრუქტურების აღწერა, რომლებიც იმეორებენ ონტოლოგიურ ერთულებს და ამზადებენ ნიადაგს ასახვის თეორიისათვის. მარტივი წინადადებებიდან ლოგიკური ოპერატორების გამოყენებით ვიტგენშტეინი გადადის უფრო რთულ გაერთიანებებზე, აყალიბებს ჭეშმარიტების ფასების განაწილების პირობებს. გაწეული სამუშაო მას იმედს აძლევს, რომ იქმნება იდეალური ენის მოდელი, რომელიც ტრიხოტომიაში – წინადადებები, წინააღმდეგობები, ტავტოლოგიები – წინადადებებისაგან შედგება და ჩანაფიქრის მიხედვით, ძირითადად ბუნებისმეტყველებაში უნდა გამოიყენებოდეს.

5. ”ტრაქტატში” პრობლემები პირველად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ავტორი აკრძალვებზე გადადის და მიუთითებს, რომ სრულყოფილად გაანალიზებულ ენაში არ შეიძლება ყველაფერი გამოითქვას და რომ გამოთქმული, “ლეგიტიმური” ენობრივი გამოსახულებების გარდა, არსებობს რაღაც გამოუთქმელი,

რომელიც, როგორც ასეთი, მისტიკურია. ეს გამოუთქმედი მაინც ავლენს თავს მაგრამ ის გამოისახება ენობრივი სტრუქტურების გავლით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნებლივედ. ვიტგენშტეინის ამ მტკიცებას კიდევ უფრო ამბიმებს მისი მეორე განცხადება იმის შესახებ, რომ მისთვის ენის საზღვრები სამყაროს საზღვრებს ემთხვევა.

6. თუ დავინტერესდებით იმით, თუ მაინც რა სახის ფენო-მენები იგულისხმება გამოუთქმელში, აღმოგაჩენთ, რომ აქ თავს იყრის სიცოცხლის და ცხოვრების საზრისის, ადამიანის მორალური წესრიგის განმსაზღვრელი და სხვა სახის შეჯასებითი მსჯელობები და რაც მთავარია სამყაროს ის სტრუქტურული ერთეულები, რომლის აღწერითად დაიწყო “ტრაქტატი”. აქედან აშკარა წინააღმდეგობაც: იდეალური ენის კონსტრუირებას ჰირდება ონტოლოგიური აღწერები, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვევა ენის ძირითადი მოდელი, ირკვევა, რომ სამყარო მისი საზღვრების გარეთაა.

7. ეს სირთულე შეუმჩნეველი არ დარჩენია ვიტგენშტეინის, რომელიც ნაშრომის ბოლოს თავადვე ლაპარაკობს “ტრაქტატის” წინააღმდეგობრივ ხასიათზე და რომ მან ძალზე ბევრი რამ თქვა იმის შესახებ, რისი თქმის უფლებაც არ პქონდა. ამიტომ ავტორი “ტრაქტატის” კიბეს ადარებს, რომლის საშუალებითაც ჩვენ სიმაღლეები დავძლიერ და ახლა ის შეგვიძლია თავიდან მოვიკილოთ როგორც სრულიად უსარგებლო ნივთი. ეს პოზიცია, რომელიც პიუმის თვალსაზრისს მოგვაგონებს, თავისთავად ვერ სხის წინააღმდეგობას და მის დასაძლევად სხვა ორიენტირების ძიებაა საჭირო.

8. არსებობს კიდევ ერთი მსგავსება “ტრაქტატის” აღნიშნულ პრობლემას და კანტის თავისთავადი ნივთის პრობლემას შორის. შეიძლებოდა ვიტგენშტეინის ონტოლოგიის თავისთავად ნივთად ინტერაქტაცია და თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიებზე განსხვავების შენარჩუნებით, და კანტის კვალად გვეჩრუნა დეჯურე და დეფაცტო ონტოლოგიებზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში იოლად აღმოგაჩენდით, რომ ჩვენ საქმე გვაქს მხოლოდ მსგავსებასთან და არა იგივებრივ ვითარებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კანტის თავისთავად ნივთს საქმაოდ მძიმე დატვირთვა აქვს მის ფილოსოფიაში, ფუნქციონალურად მისი ვიტგენშტეინის ონტოლოგიასთან შედარება არ შეიძლება; კანტს თეორიულ ფილოსოფიაში არ აღუწერია თავისთავადი ნივთის სტრუქტურა და “ტრაქტატისაგან” განსხვავებით მისი ფილოსოფია არც საჭიროებს ამგვარ არწერებს.

9. ერთ ერთი ნაყოფიერი გზა, რომელიც შეიძლება მოინიშნოს ვიტგენშტეინის თეორიაში აღწერილი წინააღმდეგობის დასაძლევად, ჩვენი აზრით, “ფილოსოფიურ გამოკლევებში” დამუშავებულ ენობრივ აპარატზე და ენობრივი თამაშების თეორიაზე გადის. აქ ვიტგენშტეინის მტკიცებით, არსებობს ენობრივი თამაშების უსასრულო რაოდენობა და თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ შეგვიძლია ონტოლოგიაც თამაშის ერთ სუვერენულ ფორმად ჩავთვალოთ, რომელის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესებით მოქმედებს?

10. უთუოდ მხედველობაშია მისაღები გვიანდელი ვიტგენშტეინის მტკიცება, რომლის მიხედვითაც სამყაროს სტრუქტურას გამოავლენს არა ენობრივი თამაშების სემანტიკა, არამედ მათი გრამატიკა. ეს თეზისი შესაბამისი ინტერპრეტაციის შემთხვევაში ქმნის პერსპექტივას არა მხოლოდ წინააღმდეგობის დაძლევისა, არამედ ინარჩუნებს “ტრაქტატის” მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ყველაფერი არ გამოითქმება ენაში, არამედ მხოლოდ გამოისახება. თავის მხრივ ასეთი ერთიანობის შენარჩუნება მსჯელობებში, მეტ საფუძველს მოგვცემდა გვესაუბრა ვიტგენშტეინის ერთიან ფილოსოფიაზე, ვიდრე მის მიერ პოზიციის რადიკალურ ცვლილებებზე შეხედულებათა განვითარების მეორე პერიოდში.

## თავარ ცხადადე

### რელატივიზმის საპითი პოზიციის ეპისტემოლოგიაში

ფემინისტური თეორიების მრავალფეროვნებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადია პოზიციის (standpoint) ეპისტემოლოგია. მის თეორიულ სათავეებს ჰყაველისა და მრქსის ნააზრევში ხედავენ, ხოლო მისი პირველი ფემინისტური არტიკულაცია, თუმცა არა ამ სახელით, მოგვცა დოროთი სმიტმა (1974).<sup>2</sup> პოზიციის ეპისტემოლოგია ამ სახელით პირველად ნენსი პარտსოკმა ჩამოაყალიბა 1983 წელს.<sup>3</sup> მარქსის იდეებზე დაყრდნობით ის ამტკიცებს, რომ ქალების სოციალური პოზიცია, სახელდობრ, სკეციფიკური შრომა, რომელსაც ისინი ასრულებენ

<sup>2</sup> Smith, Dorothy, “Women's Perspective as a Radical Critique of Sociology”, *Sociological Inquiry* 44, 1974: 7-13.

<sup>3</sup> Hartsock, Nancy, “The Feminist Standpoint: Developing the Ground for a Specifically Feminist Historical Materialism”, in Harding, Sandra, and Hintikka, Merrill B., (eds.),

საზოგადოებაში, არის ხედვის წერტილი, რომლიდანაც უნიკალურად დაინახება სოციალური წესრიგის გარკვეული არსებოთი ასპექტები; ამ ასპექტების დანახვა შეუძლებელია პაციენტის პოზიციებიდან.

პოზიციის ეპისტემოლოგიის არსეს ხშირად წარმოადგენენ როგორც მტკიცებას, რომ ქალებს (ასევე სხვა არაპრივილეგირებულ ჯგუფებს სოციალური იერარქიაში) ეპისტემოლოგიური უპირატესობა აქვთ. ასეთ გაგებას მართლა უქმნის საფუძვლს პოზიციის თეორეტიკოსების აღრეული ტექსტები (პაროსოფის, პარდინგის, სხვების). ამ ინტერპრეტაციას ემყარება ამ თეორიის ყველაზე სერიოზული კრიტიკა: საზოგადოებები მრავალი ნიშნის მიხედვით არის სტრატიფიცირებული (რასა, კლასი, გენდერი...); ამდენად არ არსებობს არაპრივილეგირებულთა ერთი პოზიცია; მეტიც, პრობლემურია ლაპარაკი ქალებზე, როგორც ერთ ჯგუფზე. ამიტომ რელატივიზმის ასაცილებლად პოზიციის თეორიას სჭირდება ეპისტემოლოგიური უპირატესობის მქონე პოზიციის კრიტერიუმები, რაც არ გააჩნია.<sup>4</sup> მსგავს კრიტიკას საფუძვლს უმაგრებს რელატივიზმის ბრალდების გასაბათილებლად პოზიციის თეორეტიკოსთა მიერ იმის ხაზგასმა, რომ მათი თეორიის თანახმად ყველა სოციალური სიტუაცია ერთნაირად ხელსაყრელი არ არის ცოდნის შექმნისთვის, ამ თვალსაზრისით ზოგიერთი პოზიცია სხვებზე უპეტესია.<sup>5</sup>

პოზიციის თეორიას უფრო ადგევატურად შეუძლია უპასუხოს რელატივიზმის ბრალდებას. ამის რესურსებს პარდინგის მითითებული ტექსტიც შეიცავს. თუ დავაზუსტებთ, რა იგულისხმება მარგინალური სოციალური სიტუაციების ეპისტემოლოგიურ უპირატესობაში, ვნახავთ, რომ ეს არ არის ცოდნის მისადებობის უკეთესი სტანდარტები. ეს არის უპირატესობა სინამდვილის გარევული ასპექტების დანახვაში. პარდინგი თავად უსვამს ხაზს, რომ პოზიციის თეორია “აღმოჩენის ლოგიკის” სფეროს ეკუთვნის. ეს თეორია არ ამტკიცებს, რომ ის, რაც დაინახება ჩაგრულის პოზიციიდან, შეუძლებელია გაიგოს და გაითვალისწინოს დომინანტური ჯგუფის წარმომადგენელმა. მისი მთავარი მტკიცებაა, რომ მაქსიმალური ობიექტურობა მიიღწევა ცოდნის შექმნის

Discovering Reality: Feminist Perspectives on Epistemology, Metaphysics, Methodology, and Philosophy of Science, Dordrecht, Holland: D. Reidel Publishing Co., 1983.

<sup>4</sup> Longino, Helen, “Subjects, Power, and Knowledge: Description and Prescription in Feminist Philosophy of Science”, in Alcoff, Linda, and Elizabeth Potter, (eds.), *Feminist Epistemologies*, New York: Routledge, 1993.

<sup>5</sup> Harding, Sandra, “Rethinking Standpoint Epistemology: ‘What is Strong Objectivity?’”, in Alcoff and Potter.

პროცესში სხვადასხვა, განსაკუთრებით, მარგინალიზებული ჯგუფების გამოცდილებიდან ამოსვლით. ოქორიის ასეთი ინტერეტაციისთვის მდიდარ რესურსებს შეიცავს დონა პარაუეის ადგილის მქონე ცოდნების (*situated knowledges*) კონცეფცია<sup>6</sup>, რომელიც მან სწორედ პოზიციაზე არასწორი მახვილის რელატივისტური შედეგებიდან დისტანცირებისთვის განავითარა. მისი ცენტრალური იდეაა ყველა პერსპექტივის გარდაუვალი არასრულობა და კარგი ცოდნის სტანდარტების შესაბამისად გადასინჯვის მოთხოვნა.

## აგაპი გულიჯანაშვილი მთელიძე ნიშანია სისტემა

ხელოვნების ენის არსებითი მახასიათებელია კომუნიკაციურობა და დიალოგურობა. ხელოვნების ენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს თავის ფუნქციას, როცა არსებობს ამ ენის გამგები. წინააღმდეგ შემთხვევაში სიმბოლოები, ფორმები, ნიშნები, ტექსტები შეიძლება ფიზიკურად არსებობდნენ, როგორც რეალურ დროსა და სივრცეში არსებული საგნები, მაგრამ ისინი მოკლებულნი იქნებიან იმ თავდაპირველ საზრისს, რაც მათ გააჩნდათ და ამდენად ვეღარ შეასრულებენ ენისათვის დამახასიათებელ ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში ხელოვნების ენა დუმს, მისი არ ესმით და ამდენად ის ადარ არსებობს როგორც ენა. ხელოვნების ყოველ სახეს თავისი ენა გააჩნია, ის ქმნის სამყაროსა და ადამიანის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სურათს, იმისათვის, რომ ხელოვნების ენამ შეასრულოს თავის ფუნქცია, აუცილებელი არსებობდეს ამ ენის გამგები. ამდენად ხელოვნების ენის არსებითი მომენტი გაგებაა, ხელოვნების ქმნილება ერთი მხრივ შედგება რეალურ – ფიზიკური მასალისაგან, მეორეს მხრივ არის საზრისის, ირეალური განხომილების მატარებელი. იმისათვის, რომ ადამიანი შეძლოს ხელოვნების ქმნილებასთან, როგორც ასეთთან ურთიერთობა, მას უნდა ესმოდეს მისი საზრისი. საზრისის გაგება კი გულისხმობს ამ ენის, ნიშნების, სიმბოლოების, ფორმების ცოდნას, რაშიც დაშიფრულია საზრისი.

ხელოვნება ნიშნებსა და სიმბოლოებში არსებობს ამდენად ის თავისებური ენაა, ამ აზრით ხელოვნება ენაა, რომლის ცოდნა

---

<sup>6</sup> Haraway, Donna, "Situated Knowledges: The Science Question in Feminism and the Priviledge of Partial Perspective", *Feminist Studies*, 14, 1988: 575-599.

აუცილებელი პირობაა რათა გავიგოთ ამ ენაზე განხორციელებული შინაარსი.

ხელოვნების კომუნიკაციური ფუნქცია მოითხოვს ფორმას კონსტრუქციულ - ესთეტიკურთან ერთად ნიშნური სასიათიც ჰქონდეს. რომელიც თავის თავში ატარებს მხატვრული ინფორმაციას, რომელიც ინფორმაციის სხვა სახეებისაგან განსხვავებით იმით გამოირჩევა, რომ შეუძლებელია სხვა ნიშნური სისტემით მისი “თარგმნა” სხვა კოდზე მისი გადატანა, მხატვრული ინფორმაცია განუყოფელია მისი განმახორციელებელი ნიშანთა სისტემიდან ეს იმიტომ, რომ ამ ნიშნის სტრუქტურა ყოველთვის მნიშვნელობის სტრუქტურით არის განსაზღვრული, რომლის გადასაცემადაა იგი მოწოდებული,, სიტყვიერი ენა და ყველა ხელოვნური კოდი შექმნილია აბსტრაქტული მნიშვნელობის გადასაცემად. სიტყვა სწორედ აამიტომ იქცა აზრის განივთების მთავარ საშუალებად, რომ მას შეუძლია ადეკვატურად მოგვცეს აზროვნების რეზულტატი, ხელოვნებაში კი მხატვრულად დამუშავებული სიტყვა მხატვრული შინაარსის განხორციელების მრავალთაგან ერთ ერთი საშუალებაა, ვინაიდან სამყაროს მხატვრული ათვისება უფრო მდიდარი, მრავალეროვანი და რთულია ვიდრე თეორიული შემეცნება, მთელი ამ მრავალუროვნების გამოსახიავად დასჭირდა ხელოვნებას სხვადასხვა და განსხვავებული “ენები” პლასტიკური, ფერწერული, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და ა.შ.

ესთეტიკურ ნიშანთა სისტემა ორმაგ სუბიექტურ -ობიექტურ საზრისს ფლობს, ასევე რაციონალურ და ემოციურ მნიშვნელობების შემცველია.

ესთეტიკური ნიშანი განუყოფელ კაგშირშია გამოხატულ მნიშვნელობასთან, რომლის გამო ნიშნის შეცვლა მნიშვნელობის შეცვლას იწვევს და პირუეჟ მნიშვნელობის შეცვლა ნიშნის შეცვლას.

შეუძლებელია არსებობდეს ესთეტიკურ ნიშანთა რაიმე საყოველთაოდ აღიარებული წესი, რომელსაც დაექვემდებარება ნიშანთა ცალკეული სისტემები, რადგანაც მხატვრული ნიშანი ყოველთვის სუბიექტურ მხარის, ხელოვანის ინდივიდუალური ბეჭდით არის დაღდასმული

მხატვრულ ენას შეუზღუდავი ვარიანტულობა ახსიათებს, რადგანაც სახოვან ნიშანთა სისტემა ხელოვნების სხვადასხვა სახეში მრავალგვარად მოდიფიცირდება და ტრანსფორმირდება, მხატვრულ შემოქმედებითი მეთოდის შესატვისად და საგრძნობლად იცვლის სახეს ყოველი ხელოვანის შემოქმედებაში.

აქედან გამომდინარე ხელოვნების ფორმა ერთდროულად არის სახოვანი მოდელი და ნიშანთა სისტემაც, მატერიალური კონსტრუქცია და სპეციალური ენა, ესთეტიკური და კომუნიკაციური ღირებულებების ერთდროულად მატარებელი.

### **დემურ ჯაჭაღობია და პოძალური ღრო**

ნაბიჯი „ფილოსოფიისაკენ“ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. „ფილოსოფოსობას,“ როგორც სამყაროს ათვისების გზას ადამიანი შეიმუშავებს. დამიანმა საკუთარი გრინითო ძალების აქტივობით უნდა დაძლიოს უველა სიძნელე, მუდმივად უნდა ძერწოს თავისი თავი და შექმნას მსოფლმხედველობა. „მსოფლმხედველობა იქნება ის სათვალეები, რომლითაც ადამიანი ხედავს სამყაროს, აფასებს მას და მოქმედებს მასში.“ მსოფლმხედველობრივი სათვალე ყოველთვის ეპოქლური დროის მატარებელია, ადამიანი ამ „სათვალეს“ კი არ იხსნის, უბრალოდ იცვლის. ცვალებადობა, ბუნებრივია, ადამიანურ პრობლემებს ვერ აგვარებს. გება უმთავრესი პრობლემა: ადამიანი თავისუფალია თუ არა თავის ქმედებაში. ღმერთმა თავის ქმნილებას მიანიჭა მოქმედების თავისუფლება, რომლის წყალობითაც მას შეუძლია მოიქცეს დოთისაკენ ან შეიქცეს მისგან, იმოქმედოს მისთვის ან მის წინააღმდეგ.

ნამდვილი ფილოსოფიური აზრი ყოველთვის ესწრაფვოდა მსოფლმხედველობაში ყველაფერ „ადამიანისეულის“ გადაალახებას, არა მარტო ფსიქოლოგიზმის, არამედ ფართო ანთროპოლოგიზმის დაძლევას. სოკრატებან მოყოლებული დღემდე ხდება იმის გარევევა, თუ როგორ უნდა განთავისუფლდეს ფილოსოფია ადამიანურისაგან, ანუ როგორაა შესაძლებელი ყველა საგანს თავისი სახელი ეწოდოს. შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის ცენტრში დგას ადამიანი, არა როგორც მიზანი, არამედ როგორც ტვირთი და ცოდვა, შეცდომის მუდმივი შესაძლებლობის აზრით. ჰეშმარიტებასთან მიახლოვება ნიშნავს ამ შესაძლებლობების თანდათანობით შემცირებას და ადამიანურისაგან დაშორებას. მიზანი ნათელია – ჰეშმარიტებასთან მიახლოვება დაბ ადამიანურისაგან დაშორება. ფილოსოფია იცვლება, როგორც იცვლება ადამიანი. დამიანი არის „ექტატური“ არსება, რომელიც საგნებშია და თან თავის თავში, რომელიც იმავე დროს ტრანსცენდენტურია, შინაგანისა და გარეგანის მიმართ ფილოსოფია აღარ კმაყოფილდება ცნებებში ჩაღრმავებით, ის აღარ ამოდის მხოლოდ იდეებიდან, ეხლა იგი მოვლენებზეც შინაგანსა და გარეგანზე ფიქრობს. ასევე

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მცდელობამ, თანხმობა მოეხდინა ცხოვრებასა და გონებას შორის. შეიძლება ისტორიაში არაფერი იცვლებოდეს ან არ ჩანდეს რომ იცვლება, მაგრამ ყველაფერი იცვლება მოვლენებში და ჩვენც ვიცვლებით მოვლენებში.

დღესაც როდესაც ისმება კითხვა რა არის ფილოსოფია? ჟიულ დელიუზის და ფელიქს გატარის თანახმად შეკითხვა ისმის შეადამისას, მარტობისას, როცა შესაკითხავი სხვა არაფერი ამ ეს კითხვები ყოველთვის ისმოდა, ფილოსოფოსობა ყოველთვის უნდოდათ, მაგრამ ჩვეულებრივ არ კითხულობდენ რა არის ის?

როდელის მიხედვით ფილოსოფია არის გეოფილოსოფია, როგორც ისტორია არის ერისტორია, რატომ შეიქმნა ფილოსოფია საბერძნეთში-მოცემულ კონტექსტში? კაპიტალიზმი მოცემულ ადგილებში და მოცემულ მომენტში და რატომ არაა ჩინეთში? ჩვენს დროში ფილოსოფია ბევრ კონკურენტს გადააწყდა. ფილოსოფიმ არსებულ ზე კონკრეტულ ზე „დაკვირვებით“ სცადა ზოგადის გამოვლენა და ცნების შემუშავებაზე მოხდა სოციოლოგიისა და ფილოსოფიის დაკავშირება.

მიშელ ფუკო კანტითაა აღტაცებული, იმიტომ, რომ მან დასვა ფილოსოფიის პრობლემა „ეხლასთან“, მიმართებით ფილოსოფიის საგანი მარადიულის ჭვრება ან ისტორიის მოაზრება კი არ არის, არამედ ჩვენი აქტუალური დამდეგის დიაგნოზირება. დიაგნოზირება ყოველ აწმყო მოვლენაში ეს ის არის, რასაც ნიცვე მიაწერდა ფილოსოფიას როგორც „ცივილიზაციის ექიმს“. მომავალ ზი ფილოსოფიის ამოცანა კი არ შესუსტდება, არამედ შემეცნებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება. ფილოსოფიის არსება ჭეშმარიტების ძიებაშია და არა მის ქონაში, ფილოსოფია არის გზად ყოფნა. მასში მთავარია კითხვის დასმა, ასე რომ თავის მხრივ ყოველი პასუხი უნდა იქცეს კითხვად. ეს იქნება ფილოსოფიის პროცესუალობა და დაუსრულებლობა.

## ნაკო გგარაცხვლია

### ლეთოლოგიური რეალიზმის მირითადი წანამდლობრები

1. შალვა ნუცუბიძის მიერ ალეთოლოგიური რეალიზმი ჩაფიქრებული იყო როგორც “პირველი ფილოსოფია”, რომელსაც შემეცნებისა და ჭეშმარიტების სრულიად ახლებური დაფუძნება უნდა მოეცა. ამ მხრივ იგი იმდროინდელი დასავლური აზროვნების გენერალურ ხაზზე დგას და უაღრესად თვითმყოფ და ორიგინალურ მოაზროვნედ გვევლინება.

2. შემეცნება არ არის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა: იგი უნდა გაიშალოს მიმართებაში „ჰეშმარიტებისა თავისთავად“ „ჰეშმარიტებასთან ჩვენთვის“. „შემეცნება არსის თავისთავად გამომედავნებაა და არა ჩვენს

„მე“-სა და არსის შეკა ურთიერთობის გამორკვევა”.

3. შემეცნება უნდა დაემყაროს ანტიკურობიდანვე მომდინარე პრინციპს: დაგვარი შეიცნობს დაგვარს. ალეთოლოგია, როგორც თავისთავად ჰეშმარიტებაზე მოძღვრება, წინ უსწრებს შემეცნების თეორიას. შემეცნების საგანი მეტია, ვიდრე ფაქტი ანუ მოვლენა. ყოველი ფენომენი შეიცავს არსებობაზე მეტს და ეს მეტი არის მისი გარემოულობა, მისი ამგვარად ყოფნა როგორც სხვაგარად ყოფნის შესაძლებლობა. სწორედ ეს გარემოულობა არის ჰეშმარიტება თავისთავად, რომელიც გარს აკრავს სინამდვილეს და ხდება შემეცნების საგანი როგორც ჩვენი გონების დაგვარი მომენტი. არსის აქ გარემოულობის ანუ თავისთავადი ჰეშმარიტების გადაქცევა ჰეშმარიტებად ჩვენთვის შეადგენს ადამიანური შემეცნების მოელ შინაარსს.

## გამოკ ს ურმაგა

### ჰაიდენრი და ისტორიზმის პრიზმი

მარტინ ჰაიდენრის მიერ 1939 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ზაფხულის სემესტრში წაკითხული სალექციო კურსი, რომელიც მოდერნითის „უკანასკნელ მეტაფიზიკოსეს“ – ნიცშეს მიეძღვნა და „ახალი დასაწყისის“ აუცილებლობაზე აპელირებდა, სხვა მნიშვნელოვან შედეგებთან ერთად, ეპოქალური მნიშვნელობის ძვრას გულისხმობდა, აგრეთვე, ისტორიის პოსტმეტაფიზიკური გაზრებისათვის. კერძოდ, იგი (ისეთი „მოტივების“ ფონზე, როგორიცაა ისტორიის მეტაფიზიკური ბუნების ხაზგასმა, ისტორიზმის XIX საუკუნის ეპოდული ცნობიერების „მკვდარ მსოფლედვად“, ჰელტანსცპაუუნგსაპილოსოპიუს გადმონაშთად შეფასება, დიდი ნარატივის ტრადიციის კრიტიკა, მისი დეკონსტრუქციის მცდელობა და სხვ.) ისტორიის, და კიდევ უფრო ზუსტად, „ისტორიის დასასრულის“ პოსტმოდერნული გაზრების ინაუგურაციად მოგვევლინა.

ჰაიდეგერის კრიტიკაში ისტორიზმის კოლაფსი უმჯიდროესად დაუკავშირდა „მეტაფიზიკის ფინალურ ეპოქას“. სალექციო კურსი ისტორიზმის „უკანასკნელ სიტყვას“ გვაცნობს, რომელიც იმაში მდგრადებობს, რომ „ისტორიზმი მეტაფიზიკის ბოლო სიტყვაა“. გერმანელი მოაზროვნე ისტორიზმს ლინგარული ნარატივის, დიაქტონული უწყვეტობის ლოგიკას უკავშირებს, რაც თავის

საფუძვლად ტრანსცენდენტალური (ე. ი. კარტეზიანული მეტაფიზიკის ავტონომიური) სუბიექტის პოზიციებიდან ისტორიის „კითხვას“ გულისხმობს. გერმანელი მოაზროვნის აზრით, ისტორიზმის კრიზისში ვლინდება არა, უბრალოდ, სკეპსიის ისტორიოგრაფიული ტრადიციის მიმართ, არამედ სიღატაკე მთელი მეტაფიზიკური ეპოქისა, რომელიც ისტორიცისტული ანთროპოლოგიის უნივერსალურ-რაციონალურ პრინციპებზე არის დაფუძნებული.

პაიდეგერისეული კრიტიკა, რომელიც თავის თავში ე. წ. „კრიზისის ცნობიერების“ მატარებელია, არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ინტელექტუალური ტემპერამენტის ავტოქტონიური გამოხატულება. იგი ევროპული ცნობიერების განვითარების ეპოქალური ლოგიკით არის ნასაზრდოები. ამას მოწმობს გერმანელი მოაზროვნის ძალისხმევისათვის ორგანული ფილოსოფიური (და ინტელექტუალური) კონტექსტი, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე პაიდეგერის თამედროვე ეპოქამდე, თავადაც ტოტალურად იყო გამსჭვალული „კრიზისის ცნობიერებით“. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ იგივე ნეოკანტიზმი ისტორიზმი, თავად მისი აღგატების მიხედვით, სხვა არაფერი იყო, თუ არა „მეცნიერების კრიზისზე“ ფილოსოფიური რეაქცია.

პაიდეგერის ნოვაცია შორს დაცილდა საკითხის მიმართ ფილოსოფიური რაკურსის, ამოსავალი პარადიგმის იმგვარ ცვლას, რაც 1880-1930-იან წლებში ფართოდ იყო გავრცელებული ევროპული აზროვნების (საკმაოდ ჭრელ) ინტელექტუალურ ძიებებში. იგი მოგვევლინა არა, უბრალოდ, ეპისტემოლოგიურ სუბიექტზე უარის თქმად და ონტოლოგიური განზომილების შემოტანად, არამედ, საერთოდ, მოდერნითის პროექტის ფილოსოფიურ განაჩენად. მეტაფიზიკური ისტორიზმის კრიტიკაში ნათლად გამოვლინდა კრიზისის ცნობიერების და, კიდევ უფრო კონკრეტულად, პოსტმეტაფიზიკური (პოსტმოდერნისტული) აზროვნების პროდუქტიული შესაძლებლობები (რაც ანათესავებს პაიდეგერს დილთაისთან).

პაიდეგერის აზრები საგულისხმოა დღესაც, და არა, „უბრალოდ“, იმიტომ, რომ ლიტერატურულ კრიტიკასა თუ ფილოსოფიაში კვლავ აქტუალური რჩება მოდერნითის, აგრეთვა ისტორიისა და ფილოსოფიის დასასრულის შესახებ საკითხები, არამედ იმიტომ, — და ეს გამოსჭვივის დასახელებული თემებიდანაც, — ადამიანის წინაშე კვლავაც მთელი სიმძაფრით დაისმის აუთენტური ყოფნის საკითხი. როგორც თავად პაიდეგერი გვასწავლის, „დიდი ფილოსოფია“ (კონკრეტულ შემთხვევაში,

პაიდეგერის ნააზრევი) ისე, როგორც „დიდი ხელოვნება“, რელიგიური მოძღვრება, დროისა და გარემოებების ცვლის მიუხედავად, საკუთარი არსებიდან გამომდინარე, ყოველთვის საგულისყვროს მთქმელი რჩება მარადიულად „დაფარულობას“ და „დიაობასთან“ წილნაყარი ასეინ-თვის.

### გალური რაზიშვილი

#### ადამიანი, ღრმ და სახეზემყოფობის პრობლემა

1. სახეზემყოფისა და არასახეზემყოფის მიმართების პრობლემა ევროპული მეტაფიზიკის ერთ ერთი ძირითადი პრობლემა. თანამედროვეობაში ხდება სახეზემყოფობის ძველი პარადიგმის დესტრუქცია და დეკონსტრუქცია, რაც ამ პრობლემის ახლებურად დაყენების აუცილებლობას განაპირობებს

2. გამოკვეთილია დასწრებულობიოსა და სახეზემყოფობის ფენომენების განსხვავება და მიმართება. შეიცვალა ადამიანის დასწრებულობის ორი ძირითადი მახასიათებელის-დროისა და სივრცის მიმართება. ადამიანის ყოფიერების დახასიათება დამოკიდებული გახდა დროის ბუნებასა და არსებობის წესის ცვლილებაზე. შეიცვალა დასწრებულობის სტრუქტურა.

3. გაანგილიზებულია დასწრებულობის სახეების: ვიზუალურობა. რეპრეზენტაცია, მასმედიური დასწრებულობა.

4. ადამიანის დასწრებულობის ბუნების, როგორც ადამიანის ყოფიერების ძირითადი მახასიათებელის, შეცვლა გამოწვეულია ადამიანის ყოფიერების დროითი პორიზონტისა და გლობალური ყოველდღიურობის რეალური დროითობის დაპირისპირებით.

5. პანოპტიკუმი, გამჭვირვალეობა როგორც პოლიტიკური და მეტაფიზიკური არასახეზემყოფობის დაძლევის სუროგატი. მე არ ვარ, არამედ მე ვარ წარმოდგენილი.

6. ადამიანის ყოფიერების დროითი მოდელების მიმართება. რეალური დრო როგორც ადამიანური ყოფიერების დროითი პორიზონტის დეკონსტრუქცია. ონტოცენტრიზმი დოგოცენტრიზმის ნაცვლად

## პრატესტიაზმი უნივერსალური ბანათლების ამერიკული მოდელი – ჯონ დიუის გარიანტი

ჯინ დიუი, ფილოსოფიის ტრადიციული სქემის რეკონსტრუქცია-დემონტაჟის ავტორი, იდეის სტრატეგიულ ხაზს განათლების სისტემის რეორგანიზაციისაკენ მიმართავს. იგი განათლების ფილოსოფიის ნოვატორად გვევლინება და პრაქტიკულად მთელი ცხოვრების მანძილზე ამჟავებსა და ხვეწს განათლების სისტემის ახალ პარადიგმას. განათლების პროცესი ადუქვატურად უნდა რეაგირებდეს იმ სიახლეებზე, რომელსაც უყენებს ადამიანს მუდმივ ცვლადი გარემო. დიუის კონცეპციის სამიზნეა დემოკრატული საზოგადოების სკოლის მოდელის აგება, განსაკუთრებითი ინტერესის საგანი - ამ ტიპის საზოგადოებაში განათლების სოციალური როლის განსაზღვრა. იგი ექცევსა და პოულობს განათლების ახალ საზრისსა და დანიშნულებას. კერძოდ, განათლება განმარტებულ უნდა იქნეს, როგორც ადაპტაციური უნარების დახვეწის პროცესი. ესაა ავტონომიური ველი, სადაც განათლების პროცესს მიზანი საკუთარ თავში აქვს, მას არ სჭირდება გარეთ გასვლა საკუთარი დირექტულებების მოსაპოვებლად. ეს პროცესი გულისხმობს მუდმივ რეორგანიზაციაში, რეკონსტრუქციაში, ტრანსფორმაციაში მყოფობას.

დიუის შემოაქვს ცნება „უნივერსალური განათლება“. ცნება ფართო საზრისის მატარებელია და მხოლოდ შესაძლებლობათა დემოკრატიის ტერმინებში ვერ ეტევა. იგი შინაგანად დაკავშირებულია ამერიკის კონსტიტუციის მთავარ ამოსავალ პრონციპთან „უველა ადამიანის თანასწორობის შესახებ“, კონცეპტი „უნივერსალური განათლება“ მოიცავს საყოველთაობას, და გლობალურად მთელი ხალხის, ერის, საბოლოო ჯამში ეპოქის განათლებას გულისხმობს, მისი საზრისი ორიენტაციის შეცვლისენაა მიმართული, ელემენტარული დონიდან დაწყებული, მთელი კულტურით დამთავრებული. მოსახლეობის საყოველთაო ჩართვა განათლების პროცესში სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებას უფრო მეტ შანსს აძლევს ბაზისური სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შეცვლისაკენ მიმართულ გზაზე.

პრაგმატისტუკლად ორიენტირებული დიუსეული განათლების სისტემის პარადიგმა უპირველეს მიზნად ისახავს მოქალაქეთა ახალი თაობის მომზადებას იმგვარად, რომ ისინი მაქსიმალურად წარმატებულად იყვნენ ინტეგრირებულნი თანამედროვეობის მოთხოვნებზე, განათლების ვექტორი მიმართული უნდა იყოს შიგნიდან გარეთ, ორიენტაციით აწყობასა და მომავალზე,

აქცენტები უნდა გადანაწილებულ იქნეს აზრობრივი პოტენციალის გასწინაშე, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე იმ მიმართულები, რომ მოსწავლემ მომავალში შესძლოს წარმატებით გაართვას თავი ურთულეს ამოცანებს, რომლის წინაშეც იგი უცილობლად აღმოჩნდება. დიუი რეალურად აფასებს აწყოსაცა და მომავალს, და მთავარ საფრთხეს ხედავს იმაში, რომ სწრაფადცვლადი სამყაროს გამოწვევების წინაშე მდგომი ახალგაზრდა, თუკი ის ტრადიციული კლასიკური განათლების დისკურსის ველზე დარჩება, სადაც მთავარი სამიზნე წინა თაობებით დაგროვილი ცოდნისა და პრინციპებით მოზარდის გონიერის საგარეულო გაეუშის მოიგუძბა, დაითრგუნება გარემოში მიმდინარე ცვლილებების მდინარებით, ვერას გაუგებს მის კავშირებსა და მნიშვნელობებს, ჩაიკარგება დილემათა ლაბირინთებში.

მისაღებია დიუს თვალსაზრისი, რომ განათლების პარადიგმაში ინტელექტუალური და მორალური ასპექტების მოწყვეტა დაუშვებელია. კვლევის უნარების გამომუშავება საჭიროა ორივე მიმართულებით. მაგალითად, ზნეობრივად სწორი ქცევის განსაზღვრისათვის “ აბსოლუტური სიკეთისაკენ” და “ საყოველთაო დირექტულებებისაკენ” აპელირება შედეგს ვერ გამოიდებს, რადგანაც ყოველი სიტუაცია კონკრეტული და უნიკალურია და შესაბამის პასუხს მოედის და არა მზამზარეულ რეცეპტებს. აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს მსჯელობის უნარის მქონე ინტელექტის განვითარებაზე, რომელიც კვლევას მიმართავს სიტუაციის მაკონსტრუირებელი ფაქტორების კონტექსტუალურ ანალიზზე.

ფაქტორივად ესაა მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ლიბერალური განათლების პარადიგმას. რიგი მოსაზრებებისა მასში გასათვალისწინებელი და მისაღებია, მაგალითად გასაზიარებელია მოსაზრება სკოლის როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიუი ამუშავებს სკოლის, როგორც კომუნალური თანაცხოვრების მოდელის სქემას. იკვეთება სკოლის მთავარი ფუნქციაც: მოზარდის შემოქმედებითი პოტენციალის გამოთვალისუფლება, დამოუკიდებელი აზროვნების უნარების განვითარება, კოლექტიურ ცდაში მოზარდის ჩართვის მოსამზადებელი საფეხური. ამაშია სკოლის ძირითადი მისია დიუს მიხედვით. ასევე მისაღებია მოსაზრება, რომ განათლება მთავარი იარაღია საზოგადოების სრულყოფის გზაზე, დემოკრატიზაციისათვის პროცესის, მოქალაქეთა თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით. აქ ისახება სოციალური ინიციატივების ყველაზე ფართო ასპარეზი. ასევე

დადგბითია დიუის იდეა უნივერსალური, უწყვეტი განათლების თაობაზე. განათლების პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა ასაკობრივ კატეგორიას. მთელი საზოგადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი სწავლებისა და გადამზადების უწყვეტ რეჟიმში.

მაგრამ წინაარმდგეგობრივად გვეჩვენება ტრადიციული განათლების სისტემის მთლიანად უგულვებელყოფა, პოზიტიური ელემენტები ამ ვარიანტიდან ვფიქრობთ შენარჩუნებულ უნდა იქნება.

## 6060 ჩიქოგანი

### პულტურის კოლიტიდა: მიმართება პულტურის პლავებთან

დღეს კულტურის ფენომენი თეორიული და პრაქტიკული ინტერესის ობიექტია; მას იკვლევენ, სწავლობენ, აგრეთვე “იუქნებენ” სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, პოლიტიკურ მისწრაფებათა ლეგიტიმაციისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შექმნილმა რეალობამ (კოლონიური სისტემის დაშლა, მოდერნიზაცია/ვესტერნიზაცია, საკუთარი კულტურული ფესტებისაგან გაუცხოების ტენდენცია, ელექტრონული მედიის ფართო გავრცელება) წარმოშვა კულტურის პოლიტიკის, როგორც სოციოკულტურული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეობის, იდეა. ევროკავშირის მაასტრიხტის შეთანხმებამ, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წელს, ლეგიტიმური საფუძველი შეუქმნა კულტურის პოლიტიკას.

ჩვეულებრივ, კულტურის პოლიტიკა განისაზღვრება როგორც კულტურის ოოლზე საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ შეხედულებათა შორის ბალანსის ძიება. უნდა იქცეს თუ არა კულტურის პოლიტიკის კვლევა კულტურის მეცნიერებათა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად? კულტურის მეცნიერებები ტრადიციული თეორიული შინაარსით უნდა შემოიფარგლოს, თუ მას თანდათან შეავიწროებს კულტურულ პროცესთა პრაქტიკაზე ორიენტირებული ანალიზი? მიუხედავად ამ კითხვებზე გაცემული ურთიერთსაპირისპირო პასუხებისა, დღეს, როგორც პ. კოტაკი აღნიშნავს, კულტურის კვლევები აღარ წამოადგენს სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტილი მეცნიერების ეგზოტიკურ გატაცებას, არამედ ეს არის ცოდნის პოლისტური, კომპარატივისტული სფერო, რომელსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი საზოგადოებისათვის.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებამდე პოლიტიკის კვლევებს იშვიათად თუ კინძე უკავშირებდა კულტურის მეცნიერებებს. ამ უკანასნელ სფეროში ჩამოყალიბებული ტრადიცია გაფორმდებოდა მიჯნავდა მათ ერთმანეთისაგან. ასეთი დამოკიდებულება ემყარებოდა, ერთი მხრივ, წარმოდგენას, რომ ყოველგვარი პოლიტიკა დაკავშირებულია და ასახავს მმართველი ფენისა და ხელისუფლების ინტერესს; მეორე მხრივ, თავის როლს ასრულებდა მარქსისტული მემკიდრეობა, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა პრიმატისა და განმსაზღვრელი როლის აღიარებით. ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი კვლევები კულტურის მეცნიერებათ სფეროში საერთოდ არ არსებოდა, ამ მხრივ მხოლოდ რაიმონდ უილიამსის სახელის გახსნებაც იკმარებდა, მაგრამ ეს მაინც უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე ტენდენცია. ძირითადად კი, მათი შრომა, ვანც კულტურის პოლიტიკის საკითხებს იკვლევდა, მიჩნეული იყო თეორიულ ინტერესსა და კონტექსტს მოკლებულ ვიწრო პრაგმატულ საქმიანობად, უფრო მეტიც – უსიამოვნო კომპრომისად ხელისუფლებასთან. 80-იანი წლებიდან კი კულტურის პოლიტიკამ თანდათანობით დაიმკიდრა ადგილი კულტურული რასიზმის, კორპორაციული კულტურის, გენდერის პრობლემების, მულტიკულტურალიზმის და სხვა საკითხების შესწავლის სფეროში. კულტურის ფენომენისადმი ინტერესი გაჩნდა პოლიტიკის მეცნიერებაში. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების მანილზე მსოფლიოს ხედვა სულ უფრო “კულტურაცენტრული” ხდება. შესაბამისად, კულტურის პოლიტიკის პრობლემებიც სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძნეს.

### შეთებან კაპიტელაშვილი სტარეოტიაზმებული სხვა კულტურული იდენტობის პრეცესებში

რუთ მელინკოვის მიერ შემოთავაზებული იდეის თანახმად, საზოგადოების არსის, მისი მენტალობის გაგებისა და შესწავლის ერთ-ერთი საშუალება იმის გამოვლენაა, თუ სად და როგორ დააწესა ამ საზოგადოებამ საზღვარი ჩვენსა და სხვას შორის, თუ ვინ მოექცა ამ საზღვრის ფაგლებში და ვინ – მის გარეთ.

კულტურის ისტორიკოსები სულ ახლახან დაინტერესდნენ სხვას იდეით. ბუნებრივია, უფრო დოგიტური იქნებოდა, საკუთარი თავისაგან განსხვავებული ხალხები და საზოგადოებები მრავლობითი რიცხვით – სხვები – ყოფილიყო აღნიშნული, ვიდრე

არადიფერენცირებული ცნებით სხვა. მაგრამ პომოგენიზაციის პროცესის ყოვლისმომცველობის გამო ისინი, ვინც ვერ მოექცა საზღვრის შიგნით, იქცა ერთგაროვან, განსხვავებულ და უცხო სხვად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქო განსხვავების საზღასმა საზღვრის შიგნითა და მის მიღმა მყოფთა შორის, და არა ის მრავალფეროვნება, რომლითაც ამ საზღვრის გარეთ არსებობდა.

ამა თუ იმ საზოგადოების მიერ სხვას სტერეოტიპის კვლევა კულტურული იდენტობის პრობლემებით დაინტერესების პარალელურად განვითარდა.

როდესაც ჯგუფები სხვა კულტურას პირისპირ ხვდებიან, ორი განსხვავებული რეაქცია ვლინდება.

1) პირველ შემთხვევაში ხდება კულტურული განსხვავების უარყოფა და იგნორირება. ანალოგიის გამოყენებით სხვის ასიმილირება და მიმსგავსება საკუთარი თავისადმი ან მეზობლებისადმი. ეს ხერხი შეიძლება გამოიყენებოდეს ცნობიერად ან არაცნობიერად. სხვა განიხილება როგორც საკუთარის ანარეკლი (მაგალითად, ზოგიერთი ჯგაროსნის მიერ სალადინი აღიქმებოდა როგორც რაინდი, ვასკო და გამამ ბრაჟმას, ვიშნუსა და შივას ქანდაკებები აღიქვა როგორც წმინდა სამების განსახიერება და ა.შ.) ასეთი ანალოგიის საშუალებით უცხო გარდაიქმნება ნაცნობად და გასაგებად, ხდება მისი “მოშინაურება”.

2) მეორე შემთხვევა პირველის საპირისპიროა. ამ შემთხვევაში, ცნობიერად თუ არაცნობიერად, უცხო კულტურა საკუთარის საპირისპიროდ წარმოიდგინება. ხდება ინვერსია.

მოსალოდნებლია, რომ კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში თითოეული კულტურის სახე სტერეოტიპიზებული იქნება. არ არის აუცილებელი, რომ სტერეოტიპი სრულიად ყალბი იყოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ის აზვიადებს ზოგიერთ მახასიათებელს, ხოლო ზოგიერთს – უცულებელყოფს. ნებისმიერ შემთხვევაში სტერეოტიპი მოკლებულია ნიუანსებს, რადგან ერთი და იგივე მოდელი მისადაგებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული კულტურული სიტუაციების მიმართ.

თუ სხვის ხედვა გაშუალებულია სტერეოტიპებით, საკუთარი თავის ხედვა ასევე არაპირდაპირია. სტერეოტიპების კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მათი შემქმნელი საზოგადოების შესასწავლად. ამა თუ იმ საზოგადოების სახე, თვით სტერეოტიპები და თვითაღქმა ხშირად სწორედ იმაში ვლინდება, თუ როგორ ხედავს ის განსხვავებას საკუთარ თავსა

და სხვას შორის, თუ რა თვისებებს ანიჭებს მას და როგორ ხედავს მის როლს საზოგადოების ისტორიაში.

## გალენაზ თორია ტარსულის ნარატივები და მათი გამოყენება პოლიტიკური მომსახურების პროცესში

წარსული ადამიანების მესიურებაში გარკვეული მოთხოვდების, ანუ ნარატივების სახით ყალიბდება. ამ ნარატივების, როგორც ტიპიური მოდელების, მეშვეობით ადამიანები აღიქვამენ წარსულის მოვლენებს და ახდენენ მათ ინტერპრეტაციას. ხშირად ეს ნარატივები ეთნოსთა შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება. ასე მოხდა მაგალითად პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში. შეიძლოა მონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დიდწილად კონფლიქტში მონაწილე მხარეთი მიერ ერთმანეთზე შექმნილი კონფლიქტური ნარატივების და საერთოდ წარსულის ნეგატიური ინტერპრეტაციით იქმნება განპირობებული. დაპირისპირებული მხარეები საკუთარი პრეტენზიებისა და მოთხოვნების ლეგიტიმაციის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად წარსულსა და ისტორიას იყენებდნენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს რომ წარსულის შესახებ შექმნილი ნარატივები არა მარტო აღვივებენ კონფლიქტებს, არამედ შეიძლება ამ კონფლიქტების მოგვარების პროცესში იქნას გამოყენებული.

კონფლიქტების მოგვარების პროცესში ნარატივების გამოყენების პრაქტიკა ბოლო ათწლეულებში დამკვიდრდა მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ რეგიონებში. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში მოქმედებს სიმართლისა და შერიცების კომისია (*TRC-Truth and Reconciliation Commission*), რომელიც მიზნად ისახავს აპარტეიდიზმის შედეგების აღმოფრხვას. მაგალითად, ეწყობოდა “საჯარო თხრობა” აპარტეიდის რეჟიმის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, მათი წარმოშობის მიზეზებზე და სხვ.

ებრაულ-პალესტინური არასამთავრობო ორგანიზაციაა მშენდობის კვლევის ინსტიტუტი ახლო აღმოსავლეთში (*PRIME – the Peace Research Institute in the Middle East*) ახორციელებს სოციალურ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ფსიქო-სოციალური და საგანმანათლებლო ასპექტების შესწავლას. ორგანიზაციის გარკვეული პროექტები სწორედ ნარატივების და ზეპირი თხრობას გამოყენებას ითვალისწინებს.

იგივე ორგანიზაცია მუშაობს პროექტზე, რომელიც ორივე მხარისთვის საერთო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას ითვალისწინებს. პროექტში უმაღლესი სახწავლებლების პალებინგლი და ებრაელი მასწავლებლები მონაწილეობენ. ისინი არაბულ და ებრაულ ენებზე ამზადებენ სახელმძღვანელოს, რომელიც წარმოაჩენს ორივე მხარის ნარატივს ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების შესახებ (მაგ., 1948 წლის ომი, პირველი ინტიფადა და ა. შ.). წიგნში თითოეული მხარის ვერსია თარგმნილია მოწინააღმდევებები მხარის ენაზე, დატოვებულია ცარიელი ფურცელი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებები ჩაწერონ (Chaitin 2003); ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ წარსულის შესახებ შექმნილი ნარატივები დიდ როლს თამაშობენ როგორც კონფლიქტების ესკალაციაში ასევე მათ დაქსკალაციაში.

### **გურამ ლორთმიშანიძე**

#### **თერაზიმები პიბლიაში და ქართული პარალელები**

ბიბლიაში, ძველი აღთქმის პირველ ნაწილში (ებრ. ონახი; ვაიცე, 21:19) აღწერილია იაკობისა და რახელის გამოპარვის სცენა ხარანიდან შეხმში. აქედან ვგებულობთ – „რახელმა მოპარა თვის მამის თერაფიმი“ ეს გახდა სიძე-დისტულ, ბიძა-სიმამრის სერიოზული კომფლიკტის მიზეზი (დაბ. 31:19) ეპტუგინტას ქარტულ თარგმანში ვკითხულობთ: „ლაბანი ცხვრის გასაპარსად იყო წასული და რახელმა მოიპარა კერპები მამამისს რამ ჰქონდა“. ამით „იაკობმა გული მოპარა ლაბან არამევლს“ (დაბ. 31:20) რახელს კერპის მოპარვისას აღელვებდა პრობლემა – ჰქონდა თუ არა მას „კიდევ სხვა წილი და სამკვიდრო მამის სახლიდან“. კომენტატორების თანახმად თერაფიმები ანტროპომორფული კერპებია ნაყოფიერების შინაური საოჯახო დვთავებები. ვინც მექავიდრეობით მიიღებდა მათ ქონებაც მას ერგებოდა. სიტუაციის დრამატიზმი იმაშია, რომ „არ იცოდა იაკობმა, რომ რახელს მოპარული ჰქონდა კერპები“ (დაბ. 31:32). იაკობისთვის მძიმეა ლიბანის ბრალდება „წასვლით კი მიდიხარ. . . მაგრამ დმერთები რად მოიპარეო?“ (დაბ. 31:50). გამოდის რა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან ის მყისიერად დებულობს ასეთ გადაწყვეტილებას: „გისაც შენ დნერთებს უპოვი ცაცხალი არ გადარჩება“ (დაბ. 31:32) ასეთი იყო ჰამორაბი კანონის მოხსოვნა. რახელს კი იმდენად სურდა ამ კერპების დანარჩუნება, რომ კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა. მან აქლემის უნაგირის ქვეშ გადამალა თერფიმი და ზემოდან დააჯდა. ის ფეხზე არ წამოუდგა საკუთარ მამას საიდუმლოს გამჟღავნების შიშით „ეძება და ვერ იპოვა ლაბანმა

კერპები“ და ბიბლიური ინციდენტი ამით ამოიწურა. საინტერესოა რახელის მიერ მოპარული კერპის შემდგომი ბედი. შემში ჩსელისთანავე იაკობმა თვის სახლეულს უბრძანა: „გაეყარათ უცხო დმერთები“, მიეტანათ თავისი თერაფიმები „იაკობმა დაფლა ისინი შექებთა მდგარი მუხის ქვეშ“. (დაბ. 35:2). მათ შორის უნდა ყოფილიყო რახელის მიერ მოპარული თერაფიმებიც. ამ აქტით „აღინიშნა მოშე რაბინუს მეორე მიცვა (მცნება): „არ გააპოო კერპები, არც რამე ხატი იმისა რაც არის მაღლა ცაში. . . არ სცე თყვანი მათ და არ ემსახურო (გამოს. 20:4.5)

არსებული არქეოლოგიური მასალა ადასტურებს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში (სირია, პალესტინა, ფინიკია, ქანაანი და სხვ.) ტერაფიმების ფართო გავრცელების ფაქტს ძვ. წ. II – I ათასწლეულებში არსებობდა კერპების ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები, ნაკოვნისა ბრინჯაოს კერპები (ნახარია, გეზერი). პალესტინის შეაბრიმჯაოს ხანის კ. წ. II ფაზიდან მასობრივად ვრცელდება ბრინჯაოს, ვერსცლის და ოქროს ტერაფიმები. ამ ტიპის ნაყოფიერების ღვთაებები, კერპები უცხო არ ყოფილა ბრინჯაოს ხანის საქართველოსთვის. მელაანისა სა შილდის წარმართულ სამლოცველოებზე ამ ტიპის ტერაფიმებია აღმოჩენილი.

### **ძვთევან ჟღუასელი**

#### **სუავლებისა და კვლევის გაერთიანება საქართველოს უნივერსიტეტებში – რეზორმის ეპორაული განზომილება**

2005 წლის მაისში საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე 2010 წლისათვის. ერთ-ერთი მოთხოვნა ამ სივრცის წევრი ქვეყნებისათვის არის უმაღლესი განათლების საერთო სტრუქტურის - სამ საფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემუშავება (სამსაფეხუროვანი სისტემა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტირებულ უნივერსიტეტებში. რეფორმა მრავალ შრეს მოიცავს და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ასპექტია იმ ფორმატის შეცვლა, რომელშიც სამცნიერო კვლევა მიმდინარეობდა წინა პერიოდის საქართველოში. საღოქტორო, ანუ მესამე საფეხურის პროგრამების ჩამოყალიბება საქართველოს უნივერსიტეტებში გულისხმობს დასავლური მოდელების შესაბამისად, სწავლების და კვლევას შორის იმაზე უფრო მჭიდრო კავშირის დაფუძნებას უნივერსიტეტების ბაზაზე, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდში იყო.

კვლევის დაფინანსება ერთ-ერთი ფაქტურული უფრო მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა, რომლის გადაჭრაც საქართველოს მთავრობას მოუწეს მომავალ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით. დასავლეთში დღეს ეპროპელი და ამერიკული უმაღლესი განათლების სიტემები ორ სხვადასხვა მიმართულებად ითვლება პირველ რიგში სახელმწიფოს და უნივერსიტეტების ურთიერთობის თვალსაზრისით. ამერიკამ სახელმწიფო კონტროლი მინიმალურად შეამცირა უნივერსიტეტებზე და შესაბამისად, დაფინანსების საკითხის მოგვარება ძლიერ ბაზარს მიანდო. ევროპაში, უნივერსიტეტებისათვის საჭირო ავტონომიის ფარგლებში, სახელმწიფო წამყან როლს ინარჩუნებს უნივერსიტეტების დაფინანსებასა და მათ ხელმძღვანელობაში.

საქართველომ უნდა შეძლოს სისტემის შექმნა, რომლის უნივერსიტეტების ქსელშიც სადოქტორო პროგრამებით თუნდაც მინიმალური რაოდენობის, მაგრამ ხარისხიანი კვლევა განხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რამდენიმე კვლევითი ფუნქციის მქონე უნივერსიტეტის შექმნას და ამ კვლევების დაფინანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საფრთხე, ჩამოყალიბდეთ პერიფერიულ სისტემად, რომლის უნივერსიტეტებიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების შემდეგ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების შეთავაზებას კერ მოახერხებს. ეს კი ისევ გონიერივი რესურსების კარგვას და ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას გამოიწვევს.

მოცემულ ეტაპზე უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში სახელმწიფო პასუხსმგებელია და ერთადერთი სუბიექტიცაა თავის თვზე აიღოს უნივერსიტეტების რეფორმირება და დაფინანსება ყველა საჭირო დონეზე მანამდე მაინც, ვიდრე საბაზო მიმართულება, გარე დაფინანსების წყაროების ძიების, შიდა ინსტიტუციონალური მდლაცრი მენეჯმენტის და უნივერსიტეტებს შორის სადი კონკურენციის პირობები არ იქნება უზრუნველყოფილი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ოუ ქვეყნისათვის პრიორიტეტული კვლევითი პროგრამების განსაზღვრა მხოლოდ არსებულ ეტაპზე ეპონომიკური და პოლიტიკური საჭიროებებით მოხდება, ისინი შესაძლოა რაოდენობრივად მცირე და თვისებრივად ერთხაზოვნად გამოყენებითი აღმოჩნდეს, რამაც შეიძლება დაკარგოს საქართველოში მდიდარი კვლევითი ტრადიცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ფილოსოფია ან ლიტერატურა; ანუ იმ ფუნდამენტურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომლებსაც ეფუძნება ახალი მიმართულებები ყველა ეპოქაში, საზოგადოებრივი და ტექნიკური

განვითარების კულტურული ეტაპზე; ამ სფეროში კვლევის ოუნდაც რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტში დაფინანსება და გადარჩენა კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქართველოში ახალი სფეროების განვითარებისათვის მომავალში.

**ეჭვიანი სარაძე**  
გურების მომღერალის საკითხი  
და მიზანის საკითხი

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტი გულისხმობს ახლებურ მიღომას ცოდნის მიწოდების თვალსაზრისით როგორც მოსწავლებით მიმართებაში (რა ვასწავლოთ), ასევე ძველზე დაფუძნებული სწავლების ინოვაციური ხერხებისა და მეთოდების დანერგვას (როგორ ვასწავლოთ). ბუნებისმცოდნეობის სწავლებაში ცვლილებები დაკავშირებულია ორ საგულისხმო გარემოებასთან: 1. სწავლებაში სტრუქტურულ ცვლილებებთან. ბოლონიის პროცესში შესვლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა სწორედ ამ მომენტის გათვალისწინება. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებით საფეხურად მოიაზრება უკვე სწავლების არა პირველი ოთხი წელი, არამედ – ექვსი, ასევე უმაღლეს სკოლაშიც სწავლების ხუთწლიანი ტიპის მაგივრად დაფუძნებულია ბაკალავრიატი (ოთხი წელი) და მაგისტრატურა (ორი წელი). ეს კი ძირულ გადანაცელებებს მოითხოვს სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების შედეგნისას; 2. უნივერსიტეტოვანების და განხორციელების თვალსაზრისით გაცილებით როგორც საკითხია სწავლების მეთოდიკაში ჩასატარებელი ცვლილებები. რთულში იგულისხმება ის, რომ ცვლილებები უნდა გატარდეს ძალზე ფაქტზე და მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ქართული პედაგოგიური სკოლის მიღწევები, და ამდენად, უდაოდ საჭირო ცვლილებები გატარებული უნდა იქნას ეროვნული ნიშნით.

დღესდღობით ბუნებისმცოდნეობაში საკმაოდ მომრავლებულ ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ავტორთა იმ ნაშრომებს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იქნება სწავლებისას ოვალუსაჩინოების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებაზე, მოსწავლეებში წიგნების მუშაობის ჩვევის გამომუშავებაზე, საქართველოს არაცოცხალი და ცოცხალი რესურსების ცოდნასა და მათ მოფრთხილებაზე, ჩვენი ქვეყნის ბუნების სიკვარულზე.

დაწესითი საფეხურის მომავალი პედაგოგების მომზადება  
უნდა წარიმართოს ისე, რომ მან აზიაროს მოსწავლე

საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას უნარ-ჩვევები, რომელიც საშუალებას მისცემს გარემოს პასიური აღქმიდან მის შემცნებაზე გადავიდეს, დააკვირდეს ცოცხალ და არაცოცხალ გარემოს, შეძლოს მათი განმასხვავებელი და ერთმანეთან დამაკავშირებელი ნიშნების ამოცნობა, მარტივი ექსპერიმენტის დაყენება, მონაცემების შეგროვება, ინფორმაციის მოძიება და გააზრება, მონაცემებისა და დაკვირვებების შედეგების თავმოყრა და მათი პრეზენტაცია.

უმაღლესი სკოლის სტუდენტებს, რომელთაც უპვე არჩეული აქვთ თავიანთ მომავალ პროფესიად დაწყებითი კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგობა, მოცემული საგნის კურსის გავლის შედეგად უნდა შეეძლოთ გადაწყვიტონ მათ წინაშე დასმული კონკრეტული პედაგოგიური ამოცანები პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და შემოქმედებითად; გამოუმუშავდეთ და ჩამოუყალიბდეთ მომავალი მასწავლებლებისათვის აუცილებელი კომუნიკაციური უნარები; განუვითარდეთ უნარი მიღებულ თეორიულ ცოდნას მოუქებნონ უფასტური გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში; შეძლონ მოსწავლეთა კოლექტივის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია.

## თამაზ გარანაძე

რელიგია იაკობ ბოგობაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში

1. გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს სწამდა – “ეტიკს, კაცომოვარეობის საძირკველი იყო და არის გულწრფელი სარწმუნოება. ღრმად მორწმუნე კაცი არასოდეს ყოფილა სულმდაბალი, ეგოისტი და ვერც იქნება. წინააღმდეგ ამისა, თვით პირველი სწავლული სარწმუნოებას მოკლებული, შეიძლება იყვეს არამზადა, მონა თავისი სიამოვნებისა, მაგნე მოყვასისა”.

2. იაკობი, პარალელურად, ქადაგებს იმის შესახებ, რომ “მორწმუნე ხალხი, მოკლებული ჯეროვან ცოდნა-განათლებას, წაგებს ბრძოლას არსებისათვის ... ამისათვის აუცილებელია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს სარწმუნოებითაც იყოს შემქული და ცოდნითაც მდიდარი”.

3. მნიშვნელოვანია იაკობის მოსაზრებანი რელიგიისა და ზნეობის ურთიერთკავშირის შესახებ. მისთვის მართლმადიდებლობა ზნეობის დამკვიდრების უპირველს წყაროა.

4. სამწუხაროდ, დღემდე, ძირითადად საბჭოური აზროვნების პოზიციებიდანაა გაანალიზებული დიდი პედაგოგის რელიგიური შეხედულებები. იგი არ ყოფილა თანამიმდევრული მატერიალისტი. საჭიროა იაკობის ნააზრებზე მსჯელობისას საფუძვლიანად და ობიექტურად გადავხედოთ მის მსოფლმხედველობრივ მრწამსს, რელიგიურ კრედოს.

## რ უ ს უ დ ა ნ ს ა ნ ა ძ ე

აპრენიტაციის პროცესი და უმაღლესი სპოლის მასწავლებელი

ბლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები, დღის წესრიგში უმაღლესი სკოლის აკრედიტაციას აყენებს. უმაღლესი სკოლის აკრედიტაცია საგანმანათლებლო დაწესებულების უკეთა რგოლის, მათ შორის უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ხარისხის შეფასებასაც გულისხმობს.

უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასწავლებლის წინაშე სხვადასხვა ამოცანა დგას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის მასწავლებელს თანაბრად ევალება როგორც საგნის ღრმად ცოდნა და მეცნიერული კვლევების ჩატარება, ასევე პედაგოგიურ-მეთოდური უნარ-ჩვევების ფლობა.

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის ქართული რეალობის ამ-სახველი პროფესიული მახასიათებლების შესადგენად ჩავატარეთ პედაგოგის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ქართული უნივერსიტეტის სპეციფიკა, სტუდენტთა და პედაგოგთა სურვილები თუ მოთხოვნები. მეცნიერული საფუძველისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით, კვლევის შედეგად უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიონალი მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლთა პროფესიონალი, დია და ცვლადი სისტემა. იგი მუდმივად ვითარდება და იცვლება საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად.

აკრედიტაციის ფარგლებში, უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების მრავალმხრივ სისტემაში, ჩვენი აზრით, წამყვანი როლი სტუდენტს აქვს. ამ მოსაზრებას ბოლონიის პროცესის დოკუმენტებში ნათლად გაჟღერებული მოთხოვნებიც ამყარებს.

პროფესიონალური დაყრდნობით, ჩვენს მიერ ჩატარებულია ორი მასშტაბური კვლევა (თსუ – 2003, ქრისტიან-ალბორების უნივერსიტეტი კილი, გერმანია 2007-2008), რომელიც სტუდენტის მხრიდან მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასებას გულისხმობდა. აღსანიშნავია, რომ არც ერთი კვლევის ფარგლებში, მასწავლებლის მიმართ დაფიქსირებული სტუდენტთა მოთხოვნები, არ გასულა შექმნილი პროფესიონალის ფარგლებს გარეთ, რაც პროფესიონალის აქტუალობას, რეალობასთან კავშირს ამტკიცებს.

## ძეთმგან გონილაშვილი პიონერის საზღვანების მინისტრი